

გონიერი პრაქტიკის  
არასამისა

საქართველოს ისტორიისა  
და ტექნიკური დაცვის  
საპითხები

თბილისი  
2009

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემია



## გონიელი არახამია

საქართველოს ისტორიისა და  
წყაროთმცოდნეობის  
საკითხები

თბილისი 2009

წიგნში განხილულია შუა საუკუნეების საქართველოს სამოხელეო წყობილების, ფეოდალური სენიორიების, წმ.რელიქვიების ისტორიისა და წერილობითი წყაროების ატრიბუციის ცალკეული საკითხები.

განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

**რედაქტორი:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი **გიული ალასანია**

**რეცენზენტები:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი **თამაზ ბერაძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი **დავით ნინიძე**

ISBN 978-9941-0-1140-5

საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისტემაში გარკვეული მეტამორფოზა განიცადა მონდოლთა ბატონობის ხანაში. ცვლილებათა განმაპირობებელ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ქუთაისში მეორე სამეფო კარის შექმნაც იყო, რაც შედეგად მოჰყვა დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გამეფებას<sup>1</sup>.

დავით ნარინმა, ბუნებრივია, შექმნა მმართველობის ცენტრალური აპარატი თბილისის სამეფო კარის მიბაძვით (მმართველობის ადგილობრივი აპარატი ერისთავებისა და მისი ხელქვეითი მოხელეების ხახით, რომელიც პოლიტიკური ერთიანობის ხანიდან ფუნქციონირებდა, მას მზამზარეული დახვდა). ქუთაისის სამეფო კარზე შეიქმნა ის ცენტრალური უწყებები, რომლებიც ტრადიციულად არსებობდა თბილისის სამეფო კარზე. აღბათ, ამითაც აიხსნება ინტერესი სამეფო კარის ეტიკეტისა და მოხელეთა ფუნქციების მიმართ, რაც დავით ნარინის მოთივებით „ხელმწიფის კარის გარიგების“ შედგენაში<sup>2</sup> გამოიხატა.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში პარალელურად ორი ცენტრალური აპარატის ფუნქციონირება

<sup>1</sup> გავრცელებული თეგადსაზრისით, მონდოლთა წინააღმდეგ აჯანყებისა და დამარცხების შემდეგ, 1259 წ. დამკვიდრდა დავით ნარინი დასავლეთ საქართველოში (იხ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 69; ლომინაძე, 1979, გვ. 570). განსხვავებული მოსაზრება გამოიყავა ბ.სილაგაძემ, რომლის თანახმად, დავით ნარინი უქმაყოფილო იმით, რომ მონდოლთა ყაენმა მფლეოდ არ დაამტკიცა, დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქ გამეფდა 1248 წ. (იხ. ხილაგაძე, 1992, გვ. 82-84).

<sup>2</sup> იხ. ანთელაგა, 1988, გვ. 83-92.

სავსებით გასაგებია ისეთ ვითარებაში, როდესაც  ბობს ორი სამეფო კარი – თბილისსა და ქუთაისში, ძგირამ მოულოდნელი და ერთგვარად უცნაურიცაა ისეთ პირობებში, როდესაც გარეგნულად მაინც დასავლეთი საქართველო გაერთიანებულია აღმოსავლეთთან და მასზე ვრცელდება თბილისის ტახტის უზენაესობა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, ასეთი ვითარება გვაქვს 1330 წლიდან, როდესაც გიორგი V ბრწყინვალემ ლიხტიმერეთში მეფობა გააუქმა და დასავლეთი საქართველო თბილისის ტახტს დაუქვემდებარა. დავით ნარინის შთამომავალთა მცდელობანი ლიხტიმერეთში ცალკე სამეფოს აღდგენისა, 1463 წლამდე მარცხით მთავრდებოდა. შემდგომში ერთმანეთს ენაცვლება ამ რეგიონში განცალკევებული სამეფოს აღდგენისა და გაუქმების შეტნაკლებად ხანგრძლივი და ხანმოკლე პერიოდები; ვიდრე 1490 წელს იურიდიულად არ გაფორმდა იმერეთის სამეფო<sup>3</sup>. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ წარმოდგენილი სურათი (რომელიც, არსებითად, გაიზიარა შემდგომი ხანის ქართულმა ისტორიოგრაფიამ) ასეთია: 1330–1463 წლებში თბილისის ტახტი განუყოფლად ბატონობს დასავლეთ საქართველოზე. აღნიშნულ ხანაში დასავლეთ საქართველოს ერისთავები ანუ ადგილობრივი მმართველობის აპარატი აღიარებს მხოლოდ თბილისის ტახტის უზენაესობას და დავით ნარინის მეკვიდრეებს გამეფების საშუალებას არ აძლევს<sup>4</sup>. ეს გულისხმობს იმასაც, რომ ქეთაისში სამეფო კარი არ არსებობს. ასეთი სურათის ფონზე აუხსნელი რჩება ის ფაქტი, რომ მმართველობის ცენტრალური უწყებების მე-

<sup>3</sup> ი. ლომინაძე, 1979, გვ. 629 და შმდ.; კიკნაძე, 1989, გვ. 90 და შმდ.

<sup>4</sup> ი.ვახუშტი, გვ. 802 და შმდ.



თაურები ცალკე პყავს აღმოსავლეთ საქართველოს, კარგად ჩანს დატურულების სახელოს მაგალითზე. XIV საუკუნის 30-იანი წლებიდან იმავე საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე მანდატურულების არიან სამცხის ათაბა-გების, ჯაფელთა სახლის წარმომადგენლები: უვარყვარე, შალვა, ბეჭა II<sup>5</sup>. ამავე პერიოდში, მანდატურულები არიან გურიის ერისთავი ბეჭედი ვარდანისძე, სვანთა ერისთავი ხაუიგ დადიანი, ოდიშის ერისთავი ვამევ I დადიანი<sup>6</sup>.

თბერაძის აზრით, ამ პერიოდში მანდატურულების სობა დადიანთა საგვარეულოსათვის მარტოდენ სამკაულს წარმოადგენდა და მოკლებული იყო რეალურ შინაარსებ<sup>7</sup>. ამ თვალსაზრისს მიუდებელს ხდის ის გარემოება, რომ ეს თანამდებობა ამ პერიოდში ვარდანისძეებსა და დადიანთა გვარის სხვადასხვა შტოს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა. სამკაულის დანიშნულების მქონე სახელოს მფლობელთა ამგვარი მონაცემლება ძნელი წარმოსადგენია.

აღნიშნული პარალელიზმი საქართველოს სამოხელეთ წყობილებაში ადვილი ასახსნელია თუ გავითვალისწინებთ იმ თავისებურ პოლიტიკურ-აღმინისტრაციულ სტრუქტურას, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში გიორგი ბრწყინვალის გამაერთიანებელი პოლიტიკის შედეგად და იარსება XV საუკუნის 60-იან წლებამდე. ამ თავისებურებას უკრადღება მიაქცია ტკახამებ. მისი დაკვირვებით, გიორგი ბრწყინვალის დროიდან მოკიდებული

<sup>5</sup> იხ. ვახუშტი, გვ. 258, 262; ბაქრაძე, გვ 100-101, ქრინიკები, II, გვ. 183; ბერიძე, 1955, გვ. 125; მესხია, 1979, გვ. 53-54..

<sup>6</sup> იხ. არახამია, 2002, გვ.

<sup>7</sup> ბერაძე, 1999, გვ. 138.



XV საუკუნის 60-იან წლებამდე დასავლეთ საქართველოს მეფის ტიტულით, მაგრამ მეფისნაცვლის უფლებებით განაგებდნენ საქართველოს ცენტრალური, თბილისის სამეფო სახლის წარმომადგენლები, რაც ლიხთიმერეთის აღმოსავლეთ საქართველოსთან გაერთიანებისა და მისი ცენტრისათვის დაქვემდებარების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. ასეთ მეფეებად დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი, დავით ნარინისგან მომდინარე სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა საპირისპიროდ საქართველოს მეფის ანუ ცენტრალური ტახტის მემკვიდრე, მეფის უფროსი ვაჟიშვილი ან სამეფო სახლის სხვა წარმომადგენელი ინიშნებოდა<sup>8</sup>. ამ პერიოდში ორი სამეფო კარი (თბილისსა და ქუთაისში) ისევე რჩებოდა, როგორც დავით ნარინის, კონსტანტინეს და მიქელის მეფობათა ხანაში (1248–1329 წწ.) ანუ იმერეთის სამეფოს არსებობის დროს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ დასავლეთ საქართველოს სამეფო კარი თბილისისას ექვემდებარებოდა და მათ შორის წინააღმდეგობას ადგილი არ პქონდა (XV ს. 60-იან წლებში კითარება საპირისპიროდ შეიცვალა). რაკი დასავლეთ საქართველოში სამეფო კარი არსებობდა, ცხადია, ფუნქციონირებდა მმართველობის ცენტრალური უწყებებიც, რომელთა კომპეტენცია ამ სამეფო კარის უფლებამოსილებათა არეალში ხორციელდებოდა. ამის შემდეგ გასაგები ხდება ზემოთ აღნიშნული პერიოდის საქართველოში სინქრონულად ორი მანდატუროუსებულების თანაარსებობა. ერთი მათგანი თბილისის (ცენტრალურისადმი დაქვემდებარებული) სამეფო კარისა. აქედან გამომდინარე არც იმის დადგენაა მნელი, თუ ვის ექვემდებარებოდნენ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური

<sup>8</sup> ქახაძე, 2001, გვ. 49.



და ადგილობრივი მმართველობის მოხელეები XIV უკუნის უკუნის 30-იანი წლებიდან XV საუკუნის 60-იან წლებამდე ესენი იყვნენ ცენტრალური (თბილისის) სამეცნ ხელისუფლების სანქციით დანიშნული დასავლეთ საქართველოს მეფეები.

# ჭილაძეთა ფეოდალური სახიორის ისტორიისათვის



ჭილაძეები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ოდიშის მირგელ არისტოკრატიულ საგვარეულოებს მიეკუთვნება. ამ საგვარეულოს ისტორია საგანგებოდ შეისწავლეს ეთაყაიშვილმა, ე.მეტრეველმა, ო.ხოსელიამ და თ.ბერაძემ<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულმა მკვლევრებმა პრობლემის მირთადი ასპექტები საფუძვლიანად გამოიკვლიერს, ზოგიერთი საკითხი კვლავ სადაცოდ რჩება, ზოგი მხოლოდ ახლა იჩენს თავს და, ასე თუ ისე, გარკვევას მოითხოვს.

ჭილაძეთა გვარის წარმომადგენლები წერილობით წყაროებში XIII ს. მეორე ნახევრიდან იხსენიებიან<sup>2</sup>. რაც შეეხება ცნობებს მათი ადგილ-მამულების შესახებ, ისინი, უმეტესწილად, XVII-XIX სს. წყაროებშია დაცული. უფრო ადრინდელი ხანისათვის ორიოდე ცნობა მოგვეპოვება, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ XIV-XV სს. მიჯნაზე ჭილაძეებს ეკუთვნოდა სოფტევირი და იქ არსებული წმ.გიორგის ეკლესია<sup>3</sup>; მეფეს, კონსტანტინე II-ს 1478-1484 წლებს შორის ჭილაძისათვის უბოძებია სოფელი უძღლერი, რომელიც იმერეთის მეფეს, ალექსანდრე II-ს (1484-1510) ჩამოურთმევია და პირვანდელი პატრიონისათვის (გელათის მონასტერი) დაუბრუნებია<sup>4</sup>. XVI საუკუნის პირველ ნახევარში ჭილაძეებს უმები პყოლიათ ფარსმა-

<sup>1</sup> თაფაიშვილი, 1913, გვ. 2-19; მეტრეველი, 1962, გვ. 148; ხოსელია, 1973, გვ. 271-284; ბერაძე, 1967, გვ. 165-168; ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42-44.

<sup>2</sup> მეტრეველი, 1962, გვ. 73, 148.

<sup>3</sup> თაფაიშვილი, 1913, გვ. 3-5.

<sup>4</sup> გაკაბაძე, 1912(I), გვ. 5-6. სოფტელოური აწინდელი ნახელების თემში (ხონის რაიონი)

ნაყანევსა (აწინდელი ფარცხანაყანები) და ქუთაისის იმავე საუკუნის შემდეგი ჯავახ ჭილაძეს ეპუთვნება სოფლები ჯიქტუბანი, სანავარდო, ქორეთისუბანი და გამოჩინებული<sup>6</sup>.

ჭილაძეების სენიორია (სათავადო), საჭილაო და საჯავახო მდ.მდ. ცხენისწყლისა და რიონის ორსავე მხარეს იყო განვითარილი. საჯავახო მთლიანად და საჭილაოს ის ნაწილი, რომელიც ცხენისწყლისა და რიონის მარცხენა მხარეს მდებარეობდა, XVI საუკუნის 70-იან – 80-იან წლებში იმერეთის მეფემ და გურიის მთავარმა დაისაკუთრეს, რითაც ჭილაძეების სათავადო მნიშვნელოვნად შემცირდა და ცხენისწყლისა და რიონის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლებით შემოიფარგლდა. მიუხედავად ამისა, წარმოდგენა ქორონიმების საჯავახოსა და საჭილაოს ტერიტორიული მოცულობის შესახებ ამის შემდგომაც საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩებოდა. ამიტომ გვიანდელი, XVII-XIX საუკუნეების წყაროებში გადმოცემელი შეხედულება საჭილაოსა და საჯავახოს საზღვრების, მათს შემადგენლობაში შემავალი სოფლების შესახებ, ფაქტობრივად, XVI საუკუნის 70-იან – 80-იან წლებამდე არსებულ რეალობას ასახავს ანუ წარმოგვიდგენს ჭილაძეების ფართდალური სენიორიის ფარგლებს.

აღნიშნული წეაროების მიხედვით ჭილაძეების ხენიორია მრავალ ხელფერს მოიცავდა ცხენისწყლისა და რიონის ორსავე მხარეებს. საჭილაოში შედიოდა მდინარე ცხენისწყლის მარცხენა მხარეებს – ჯიქთუბანი\*, ნაფა-

<sup>5</sup> სამართლის ძეგლები, II, გვ. 188; სამართლის ძეგლები, III, გვ. 246.

<sup>6</sup> ქრონიკა, II, გვ. 389; ბაქრაძე, 1987, გვ. 199.

ქრისტენობი, II, გვ. 389. ხელფერია აწინდევლი ეწერის თემში (სამეტრულის რ-ნი).

დაური<sup>7</sup>, ილორი<sup>8</sup>, სამტრედია<sup>9</sup>, სანავარდო<sup>10</sup>, ხვილი-  
ფი<sup>11</sup>, მდინარე რიონის მარცხენა მხარეს – ქორეთშეუტიშვილი  
ნი<sup>12</sup>, ტოლები<sup>13</sup>, ქვიშან-ჭალა<sup>14</sup>, გულეგარი<sup>15</sup>, კოდორა<sup>16</sup>,  
ცხეპიჯი<sup>17</sup>, გემპუთი<sup>18</sup>, სამარდანო<sup>19</sup>, ანჯელი<sup>20</sup>. ცხენის-

<sup>7</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42; Ad 2252 კთ. აწინდევლი  
სოფ. ნაფადაური სამტრედიის რაიონში.

<sup>8</sup> იქვე. სოფელია ნაფადაურის თემში (იხ.სიხარულიძე, 1982, გვ.103-  
104).

<sup>9</sup> იქვე. აწინდევლი სოფ. ქველი სამტრედია მელაურის თემში  
(იხ.სიხარულიძე, 1982, გვ. 107).

<sup>10</sup> იქვე. ქორდანია 1897, გვ. 389; კაკაბაძე, 1921 (III), გვ. 92. ამჟამად  
მოქცეულია ქ.სამტრედიის ფარგლებში (იხ.სიხარულიძე, 1982, გვ.  
105).

<sup>11</sup> Ad 2252 კთ. ამჟამად აღგილს ჰქვია სამტრედიის რაიონის პაშის  
თემში (იხ.სიხარულიძე, 1982, გვ. 109).

<sup>12</sup> ქორდანია 1897, გვ. 389; სამართლის ძეგლები, III, გვ. 435; ბაქრაძე,  
1987, გვ. 199; ბერაძე, 1967, გვ. 161; ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42;  
Ad 2252 კთ. ქორეთისუბანი (ვარ. ქორენისუბანი) არის აწინდევლი  
სოფელი ვაზისუბანი სამტრედიის რაიონის ტოლების თემში  
(იხ.სიხარულიძე, 1971, გვ. 138).

<sup>13</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42; Ad 2252 კთ. სოფელი  
სამტრედიის რაიონში იმავე სახელწოდების თემში.

<sup>14</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42; Ad 2252 კთ. ამჟამად აღგილს  
ჰქვია სამტრედიის რაიონის საჯავახოს თემში (იხ.დღონტი, 1993,  
გვ. 179).

<sup>15</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 13; ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42; Ad 2252  
კთ. აწინდევლი სოფ. გულეთ-კარი ქოთილარის თემში (აბაშის რ-ნი).

<sup>16</sup> კაკაბაძე, 1921 (I), გვ. 113; კაკაბაძე, 1921 (II), გვ. 13; ბერაძე,  
ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42; Ad 2252 კთ. აწინდევლი გაღმა კოდორი  
ქოთილარის თემში.

<sup>17</sup> კაკაბაძე, 1921 (II), გვ. 13; ქმ № 1866. ამ სოფლების ლოკალიზაცია  
დაუზუსტებელია, მაგრამ მათი მდებარეობა გულეთ-კარისა და  
კოდორის სანახებში ივარაუდება.

<sup>18</sup> კაკაბაძე, 1921 (II), გვ. 13; ქმ № 1866. ამ სოფლების ლოკალიზაცია  
დაუზუსტებელია, მაგრამ მათი მდებარეობა გულეთ-კარისა და  
კოდორის სანახებში ივარაუდება.

<sup>19</sup> იქვე. სოფელია სენაკის რაიონის ზემო ჭალადიდის თემში  
(იხ.კლიავა, 1989, გვ. 16).

<sup>20</sup> იქვე. ამჟამად ჰქვია სამოვარ მასივს კეთილარის თემში.

წყლისა და რიონის მარჯვენა მხარეს სოფლები კვათანა<sup>21</sup>, ეგალი<sup>22</sup>, ნაფაცხევი<sup>23</sup>, ტყვირი<sup>24</sup>, ცილენტი<sup>25</sup> მარანი<sup>26</sup>, რუშა<sup>27</sup>, საჭილაო<sup>28</sup>, შუა-ქალაქი<sup>29</sup>.

## საჯავახოში შედიოდა:

ბურნათი<sup>30</sup>, ნანეიშვილისეული<sup>31</sup>, ქვემო ხეთი<sup>32</sup>, ჩომე-თი<sup>33</sup>, ობუთვანი<sup>34</sup>, ქალაგონი<sup>35</sup>, ზემო ხეთი<sup>36</sup>, თხილაგანი<sup>37</sup>,

<sup>21</sup> Ad 2252 კთ. სოფელის აბაშის რაიონის ნორის თემში.

<sup>22</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42. Ad 2252 კთ. ამჟამინდელი მდებარეობა გაურკვეველიდა.

<sup>23</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42. Ad 2252 კთ. ამჟამად პქვია რამდენიმე ადგილს აბაშის რაიონის ქოლობნისა და გაუწყინარის თემებში (იხ. ელიავა, 1977, გვ. 42, 48).

<sup>24</sup> თაყაიშვილი, 1913; კაჯაბაძე, 1921(I), გვ. 152; ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42; Ad 2252 კთ. სოფელობნის თემში (აბაშის რაიონი).

<sup>25</sup> სამართლის ძეგლები, III, გვ. 475; Ad 2252 კთ. სოფელის ქოლობნის თემში (აბაშის რაიონი).

<sup>26</sup> დაღიანი, 1963, გვ. 205; ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42. Ad 2252 კთ. აწინდელი სოფ. მარანი აბაშის რაიონში.

<sup>27</sup> სამართლის ძეგლები, III, გვ. 475. მდებარეობდა აწინდელი მარანისა და გაუწყინარის თემების ტერიტორიაზე. აქ მიედინება დელე რუშე/რუშას სახელწოდებით (იხ. ელიავა, 1977, გვ. 41, 50).

<sup>28</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 5; სოფელს პქვია გაუწყინარის თემში (აბაშის რაიონი). საბჭოურ პერიოდში სოფ. საჭილაოს სახელი გადაერქვა და პირველი მაისი ქრონი (იხ. ელიავა, 1977, გვ. 47).

<sup>29</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 42. Ad 2252 კტ. სოფელია აბაშის რაიონის ნაესაკაოს თემში (იხ. ელიავა, 1977, გვ. 52).

<sup>30</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 43. Ad 2252 კტ. სოფელია სოხა-ტაურის რაიონის კოხნარის თემში.

<sup>31</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 193; ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 43. Ad 2252 კტ. ამ სოფლის სახელწოდება ნახეისულის ფორმით შემთხვევა ადგილს კოხნარის თემში (იხ. ლლონჩი, 1993, გვ. 128).

<sup>32</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 43. Ad 2252 კტ. სოფელია სოხატაურის რაიონის საჭამიასერის თემში.

<sup>33</sup> Ad 2252 კტ. სოფელია საჭამიასერის თემში.



გორმალალი<sup>38</sup>, ქვეყნი<sup>39</sup>, გამოჩინებული<sup>40</sup>, აბაშა<sup>41</sup>, სახელმწიფო  
თი<sup>42</sup>, ტორჩაული<sup>43</sup>, წიაღუბანი<sup>44</sup>, მუხადრუა<sup>45</sup>, ნოტარიუსი,  
კულტურული მინისტრის კარი<sup>46</sup>, ნიკოლოზ ბაგრატიონი<sup>47</sup>.

ასეთი იყო ჭილაძეთა მამულების ტერიტორიული  
მოცულობა XVI საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს. მნე-  
ლი სათქმელია, ზემოთ ჩამოთვლილ სოფელთაგან რო-

<sup>34</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 43. Ad 2252 ქმ. ამ სახელმწიფოების ხოფელი დღეს არ არსებობს, მაგრამ ჯერ კიდევ XIX ს. 90-იან წლებში ეს ხოფელი არსებოდა აბუთვანის სახელმწიფოებით (იხ. მავრე, 1896, გვ. 39). ამჟამად სახელმწიფოება აბუთვანი შემორჩა ერთ ტერიტორიას ადგილს ხოფელ საჭამიასერში და გორაქს ქვემო აბაშაში (სამტრედიის რის გამოჩინებულის თემში) [იხ. ხისარულიძე 1971, გვ. 128; დლონიშვილი 1993, გვ. 54].

<sup>35</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 43. Ad 2252 ქმ. ხოფელია საჭა-  
მიასერის თემში.

<sup>36</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 193-195; Ad 2252 ქმ. ხოფელია იმავე სახელმწიფოების თემში (ხოხატაურის რაიონი).

<sup>37</sup> Ad 2252 ქმ. ხოფელია ზემო-ხეთის თემში (ხოხატაურის რი).

<sup>38</sup> Ad 2252 ქმ. ხოფელია სამტრედიის რაიონში იმავე სახელმწიფოების თემში.

<sup>39</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 43. Ad 2252 ქმ. ხოფელია გორ-  
მალალის თემში (სამტრედიის რაიონი).

<sup>40</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 196-198. Ad 2252 ქმ. ხოფელია იმავე სახელ-  
მწიფოების თემში (სამტრედიის რაიონი).

<sup>41</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 43. Ad 2252 ქმ. ხოფელია გამო-  
ჩინებულის თემში (სამტრედიის რაიონი).

<sup>42</sup> იქვე ხოფელია იმავე სახელმწიფოების თემში (სამტრედიის რი).

<sup>43</sup> Ad 2252 ქმ. აწინდევდი ტერიტორიული სამტრედიის რაიონის ოფეთის თემში (იხ. ხისარულიძე, 1971, გვ. 131).

<sup>44</sup> ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, გვ. 43. Ad 2252 ქმ. ხოფელია ოფეთის თემში (სამტრედიის რაიონი).

<sup>45</sup> იქვე. აწინდევდი ხოფელი გომმუხაურუა გომის თემში (სამტრედიის რაიონი).

<sup>46</sup> იქვე. ხოფელია ტოლების თემში (სამტრედიის რაიონი).

<sup>47</sup> იქვე. ამჟამად ნახოფელი საჯავახოს თემის ტერიტორიაზე (იხ. დლონიშვილი, 1993, გვ. 183).

<sup>48</sup> იქვე. აწინდევდი ხოფელი ნიკოლოზდვა საჯავახოს თემში (სამტრე-  
დიის რაიონი).



მედი როდის გახდა ჭილაძეთა საცუთრება. მათი <sup>საქართველოს</sup>  
ორიის ნამოყალიბება, ცხადია, ხანგრძლივი და თან-  
დათანი პროცესი იყო. ამ პროცესში გარდამტებები ეტაპად  
XIII საუკუნის მეორე ნახევარი უნდა მივიჩნიოთ. ეს არის  
ჭილაძეთა სახლის დაწინაურების ხანა, როდესაც ის  
ისტორიულ არენაზე გამოდის როგორც ეკონომიკურად  
ძლიერი სენიორია, რაზედაც თვალნათლივ მეტყველების  
ის სოლიდური შესაწირავი, რასაც ამ დროს ჭილაძეები  
უგზავნიან იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონას-  
ტერს<sup>49</sup>. მათი ამგვარი ეკონომიკური სიძლიერე, ცხადია,  
უმა-გლეხთა სიმრავლეს და მამულების სივრცელეს ემუ-  
რებოდა. არის საფუძველი გიფიქროთ, რომ ჭილაძეთა  
სენიორიის ტერიტორიული მოცულობის ფარგლები ძი-  
რითადად ამ დროს, XIII საუკუნის მეორე ნახევარში  
ნამოყალიბდა.

ამის ერთ-ერთ მოწმობად მიმაჩნია ქორონიმის „საჯავახო“ წარმოშობის დრო. „საჯავახო“ რომ ჯავახ  
ჭილაძის სახელიდან მოდის, ეს თავისთავად ცხადია,  
მაგრამ გასარკვევია რომლის სახელიდან. XIII–XVI სს.  
ჭილაძეთა გვარში ცნობილი ირი ჯავახი, რომელთაგან  
პირველი მოღვაწეობდა XIII საუკუნის მეორე ნახევარში,  
მეორე – XVI საუკუნის 30-იან – 60-იან წლებში<sup>50</sup>. ქორო-  
ნიმ საჯავახოს წარმოშობას ვერ დავუკავშირებთ ჯავახ  
II სახელს. საქმე ის არის, რომ ჯავახ II 1568–1572 წლებს  
შორის სიკვდილით დასაჯა იმერეთის მეფემ, გიორგი II-მ,  
რითაც სამუდამოდ შეწყდა ჭილაძეთა მემამულური უფ-  
ლებები საჯავახოზე. მას შემდეგ, რაც ჯავახ II-ის მემ-  
კვიდრეობა ახალი მესაკუთრის ხელში გადავიდა, შეუძლებელია ამ მემკვიდრეობას მიედო სახელწოდება „საჯა-

<sup>49</sup> მეტრუველი, 1962, გვ. 22,73,85,89,123,141,148

<sup>50</sup> სოსელია, 1973, გვ. 274.

ვახო“, რომელიც ენობრივი გაფორმებითა და შინაარსით  
ჯავახის საკუთრებას აღნიშნავს. ეს ქორონიმი თვით კულტურული  
ლაქების წრეში შემუშავდა ჯავახის მამულის ჭილაქეთა  
დახარჩენი მამულისაგან განსასხვავებლად (სხვაგვარად  
წარმოედგენელია საკუთარი სახელიდან სამამულო მიწა-  
წყლის სახელწოდების წარმოქმნა). ასეთი სახელწოდება,  
როგორც წებია, ფეხს იკიდებს და სიცოცხლისუნა-  
რიანობას იძენს სახელის მიმცემის პირდაპირ მემ-  
კვიდრეთა რამდენიმე თაობაში. ჯავახ II-ის მამულზე მისი  
შემკვიდრების უფლებები, როგორც ითქვა, გაუქმდა.  
გარდა ამისა, მნელი წარმოსადგენია, რომ ჭილაქეთა  
გვარის შიგნით შემუშავებულ-წარმოქმნილი სახელწო-  
დება (თუკი ამას ჯავახ II-ის სახელს დავუკავშირებთ),  
როგორც არსებობის ხანმოკლე (ერთი ადამიანის სიცო-  
ცხლის წლების მომცველი) ისტორიის მქონე, გასცდა-  
ნოდა ჭილაქეთა გვარის ფარგლებს და ისეთი საყოველ-  
თაო გავრცელება მიეღო, როგორითაც სარგებლობდა ეს  
ტერმინი საუკუნეების სიკრძეზე.

მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი გარემოება.  
„საჯავახოს“ წარმოქმნა ჯავახ II-ის სახელთან და  
სენიორიის ამ ნაწილის ჩამოყალიბების სათავეში მის  
დგომასთან რომ იყოს დაკავშირებული, მაშინ მისი  
უმემკვიდრეოდ დარჩენილი მამულის აღსანიშნავად დამ-  
კვიდრდებოდა არა „საჯავახო“, არამედ ყოფილობის  
შინაარსის შემცველი, წარსულში არსებული ვითარების  
გამომხატველი „ნაჯავახუ“ ანუ „ნაჯავახური“, ისე რო-  
გორც ნაფაღაური, ნაჩხეტური, ნაგვაზუ, ნაკიკიანუ, ნაჯა-  
იანუ, ნაჯახუ და სხვა მრავალი, რაც ფაღავას, ჩხეტის,  
გვაზავას, კიკიანის, ჯაიანის, ჯახიას ამ ადგილებში  
ოდებდაც მკვიდრობის ან მფლობელობის შედეგად წარ-  
მოქმნილი ოკონიმებია. ჯავახ II-ის შემდგომაც მისი

ნამემკვიდრეების აღსანიშნავად საუკუნეების განმავლობაზე  
ბაში რომ „საჯავახო“ გაბატონებული, იმის არაპირ-  
დაპირი მოწმობაა, რომ „საჯავახო“, როგორც ქორონიძი  
უკვე ჯავახ II-ის ხიცოცხლებში ხანგრძლივი ტრადიციის  
მქონე იყო. მხედველობაში მისაღები იხიც, რომ საჯა-  
ვახო მხარის ხახელწოდებად XVI საუკუნის 40-იან  
წლებში იხსენიება<sup>51</sup>, როდესაც ჯავახ II ჯერ კიდევ  
ახალი გამოსულია ხამოღვაწეო ასპარეზზე.

ამრიგად, იმის ძიებისას, თუ რომელმა ჯავახმა  
მიხცა ხახელწოდება „საჯავახოს“ ანუ ვინ იყო ამ მიწა-  
წყლის პირველი მემამულე ჭილაძეთა საგვარეულოდან,  
ყოველივე ზემოთქმულს მივყავართ ჯავახ I-თან, რომე-  
ლიც, როგორც ითქვა, XIII საუკუნის მეორე ნახვარში  
მოღვაწეობდა.

ყერადებას იქცევს ქორონიმების „საჯავახოს“ და  
„საჭილაოს“ ურთიერთმიმართება. გამოთქმულია მოსაზ-  
რება, რომლის თანახმად, ჭილაძეთა ხენიორიის აღსანიშ-  
ნავად თავიდანვე საჭილაო უნდა ყოფილიყო მიღებული,  
ხოლო ჯავახ I-ის თუ ჯავახ II-ის დროიდან ჭილაძეთა  
სამფლობელოს, მდრიონის თრსავე ნაპირზე განვითილს,  
საჯავახო დაერქვა. შემდეგ, როდესაც ჭილაძეთა სამ-  
ფლობელოს რიონის მარცხენა მხარის ხოფლები გურიის  
სამთავროს შეუერთდა (XVI ს. 80-იანი წლები), ამ ნა-  
წილს ხახელად საჯავახო შერჩა, ჭილაძეთა მამულის  
რიონის სამხრეთით მდებარე ნაწილს კი საჭილაო ეწო-  
და<sup>52</sup>. ვფიქრობ რეალური ვთთარება სხვაგვარად უნდა  
წარმოვიდგინოთ. ქორონიძი საჯავახო, როგორც ითქვა,  
ჭილაძეთა წრეში იშვა ჯავახ I-ის მიერ შენაძენი აღიიღ-  
მამულების აღსანიშნავად. ანგარიშგასაწევია ის გარე-

<sup>51</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 360. ვახუშტი, გვ. 814.

<sup>52</sup> ხოსელია, 1973, გვ. 278; ბერაძე, 1967, გვ. 198.



მოება, რომ წერილობით წყაროებში ყოველთვის „საჭიდო“ და „საჯავახო“, ისინი სხვადასხვა ტერიტორიებს მიემართებიან და ერთმანეთს არ ფარავენ. ჭილაძეთა სენიორიას თავიდან თუ საჭიდო ერქვა, მას შემდგომ, რაც ჯავახ I-ის მონაგები მამულებიც ზედ დაერთო საჯავახოს სახელწოდებით, ეს ორი ქორონიმი ერთმანეთის პარალელურად განაგრძობდა არსებობას ჭილაძეთა როგორც ძლიერების, ისე დაქვეითების ხანაში ანუ იმ დროსაც, როდესაც „საჭიდო“ და „საჯავახო“ მხოლოდდა გეოგრაფიული ცნებები გახდა და უკვე დაცლილი იყო თავდაპირველი შინაარსისაგან. მიუხედავად იმისა, რომ საჯავახო და საჭიდო ჭილაძეთა საგვარეულოს კოლექტიურ საკუთრებას შეაღებდა ერთი სენიორით სათავეში, ეს ქორონიმები სინონიმებად არასოდეს ქცეულან.

ჭილაძეები წერილობითი და ტრანსნიმური მასალების მიხედვით სხვადასხვა დროს აღვილმამულებს და ყმა-გლეხებს ფლობდნენ თდიშისა და იმერეთის შემდეგ სოფლებში: ნახუნავო (მარტვილის რ-ნი), სამიქაო, გუბათი<sup>53</sup>, სეფიეთი<sup>54</sup>, ძველი აბაშა, ნორიო, ზანათი, სუჯუნა (აბაშის რ-ნი)<sup>55</sup>, შხეფი, ნოსირი<sup>56</sup>, უკი<sup>57</sup>, ზემო ჭალადიდი, მონგირი (სენაკის რ-ნი)<sup>58</sup>, უძლოური (ხონის რ-ნი), ჭანგა (აწინდელი ჭაგანი), ეწერი (სამტრედიის რ-ნი), ოფისკუჯი

<sup>53</sup> იხ.ელიავა, 1977, გვ. 119, 22, 20

<sup>54</sup> თავიაშვილი, 1913, გვ. 3.

<sup>55</sup> ელიავა, 1977, გვ. 27, 35, 57, 54.

<sup>56</sup> ბერაძე, 1967, გვ. 166-168

<sup>57</sup> კაკაბაძე, 1921 (I), გვ. 47-48.

<sup>58</sup> ელიავა, 1989, გვ. 20,22

(აწინდელი ოფშოვითი), ფარსმანაფანევი (აწინდელი ფარსმანაფანევი ქართულის ზონა), აგრეთვე, ქართაის შემოსის სამინისტრო

უნდა ითაქვას, რომ კველა სოფელი, სადაც ჭილა-ძეებს საკუთრება ჰქონდათ, არ შეიძლება საჭილაოს მივა-კუთვნოთ. საქმე ისაა, რომ საჭილაო (საჯავახოსთან ერთად) კომპაქტურ ტერიტორიას ქმნიდა და ჭილაძეების საერთო-საგვარეულო კწ. „გაუკოფარ“ მამულს წარმოადგენდა. ცხადია, ჭილაძეთა ცალკეულ ოჯახებს ამ სა-ერთო ყმა-მამულის ფარგლებს გარეთ ჰქონდათ სხვა-დასხვა გზით (ნასყიდი, ნამზითვი, ნახისხლი) შექმნილი ადგილ-მამულები მასზე მოსახლე ყმა-გლეხებით, მაგრამ ისინი საჭილაოს საზღვრებს მიღმა რჩებოდნენ. ამიტომ გაუმართლებლად მიმახნია ნისირის, აბაშის, სეფიეთის შემოტანა საჭილაოს საზღვრებში<sup>60</sup>.

ვარაზა და ჯავახ ჭილაძეები აქტიურად მონაწილეობდნენ XVI საუკუნის 60-იან – 70-იან წლებში იმე-რეთის მეფესა და დადიანებს შორის გაჩადებულ შინა-ვეოდალურ ბრძოლებში ამ უკანასკნელის (როგორც თავიანთი სიუზერენის) მხარეს, რასაც საბედისწერო შედეგი მოჰყვა ჭილაძეებისათვის. 1568–1572 წლებს შორის იმერეთის მეფემ, გიორგი II-მ მოაკვლევინა ჭილაძეთა სათავადოს მეთაური ჯავახ II და, ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაიპყრა მამული ჯავახ ჭილა-ძისა მეფემან გიორგი“<sup>61</sup>. ვახუშტის ამ ცნობის აზრი თბერაძეს და ოსმალების ამგვარად ესმით: იმერეთის მეფე დაპატრონებია ჭილაძეების სენიორიას მთლიანად,

<sup>59</sup> ქადაგიძე, 1912(I), გვ. 5-6; სამართლის ძეგლები, II, გვ. 187-188; სამართლის ძეგლები, III, გვ. 246, 502.

<sup>60</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 3; შდრ. ბერაძე, 1967, გვ. 166; ბერაძე, ტეიტიშვილი, 1971, გვ. 42-43; სოხელია, 1973, გვ. 275-276.

<sup>61</sup> ვახუშტი, გვ. 816.



როონის ორსავე მხარეზე<sup>62</sup>. ვფიქრობ, აღნიშნული ცნობის  
ამგვარი გააზრება უდაო არ არის. ამ საკითხის შესხვევა  
უფრო კონკრეტული ცნობა დაცულია „ქართლის ცხოვ-  
რების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში, რომლის მიხედვით  
გიორგი მეფეს ჯავახ ჭილაძის სიკვდილით დასჯის  
შემდეგ ხელთ უგდია ჭილაძეთა სათავადოს მხოლოდ  
ნაწილი, სახელმომრ, საჯავახო<sup>63</sup>. და, როგორც ქვემოთ  
დავინახავთ, საჭილაოს რამდენიმე სოფელი ცხენის-  
წყლისა და რიონის მარცხენა სანაპიროზე (საჭილაოს  
ეწ. „გადმართი“ ნაწილი). გიორგი მეფის ამ ნაბიჯით  
შეშფოთებულმა ლევან I დადიანმა მიიმსრო გიორგი  
გურიელი და ორივემ იმერეთის მეფეს ამ მიწა-წყალზე  
ხელი ააღებინებს: მათ „დაიპურეს საჯავახო და განიყვეს;  
ნახევარი დადიანმან დაიპურა და ნახევარი გურიელმან“<sup>64</sup>.  
ასეთი გაყოფის შედეგად ოდიშის მთავარმა, ლევან  
დადიანმა დაიბრუნა საჯავახოს ნახევარი, რომელიც მან  
თავის ბიძას, ბათულიას უბოძა<sup>65</sup>. იბადება კითხვა, დადი-  
ანმა საჯავახოს ამ ნახევარზე რატომ არ აღადგინა კანო-  
ნიერი პატრონის, ჭილაძეთა სახლის უფლებები? საქმე  
ისაა, რომ ჭილაძეები საკუთარი ძალებით იმერეთის  
მეფეს ვერ გაუმკლავდებოდნენ და მასთან ბრძოლაში  
საჯავახოს ამ ნაწილსაც ვერ შეინარჩუნებდნენ. ეს ოდი-  
შის მთავრის ძალებსაც აღემატებოდა. ამიტომ დადიანმა  
მაშველ ძალად გურიელს უხმო და მასთან გარიგება

<sup>62</sup> ბერაძე, 1967, გვ. 179; ხოსელია, 1973, გვ. 278.

<sup>63</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 503.

<sup>64</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 503.

<sup>65</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 362; ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 504. თ.ხოსელიას აზრით, ამ დროს ბათულიას ხელში გადასულა  
საჯავახოს ის ნაწილიც, რომელიც გურიელს ერგო (ხოსელია, 1973,  
გვ. 279), როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ვაქტი უფრო გვიან  
მოხდა.



დადო. სამთავროს ფარგლებში დარჩენილი საჯავახოს ნახევრის შენარჩუნება მაინც რომ უზრუნველყო, ლევანი დადიანმა ის თავის სახლიკაცს გადასცა და არა პირვანდელ პატრიონებს.

ლევან I დადიანის გარდაცვალებისთანავე (1572) მთავრის ტახტი მისმა უფროსმა ძემ, გიორგი IV-მ დაიკავა. 1573 წელს იმერეთის მეფემ და გურიელმა გიორგი დადიანი ტახტიდან სამოაგდეს და მისი ძმა, მამია დახვეს მთავრად. მათთვის სასურველ კანდიდატურას იმერთა მეფემ და გურიელმა „მოსცეს რომელი ეპურა ჭილაძისელი“<sup>66</sup> ანუ იმერეთის მეფემ ოდიშის მთავარს დაუბრუნა საჭილაოს „გადმური“ (ცხენისწყლისა და რიონის მარცხენა მხარეს მდგბარე) ხოფლები, გურიელმა კი საჯავახოს ნახევარი. ოდიშის სამთავროს საზღვრებში დაბრუნებული ეს ტერიტორია, როგორც ჩანს, მამია დადიანმა ბათულიას უბოძა (საჯავახოს ნახევარი მანჯერ კიდევ ლევან I დადიანისგან მიიღო). 1578 წ. გიორგი IV დადიანი, იმერეთის მეფე გიორგი II და გიორგი გურიელი შერიგდნენ, მამია დადიანს მთავრის ხელისუფლება ძმის, გიორგი IV-ის სასარგებლოდ დაათმობინეს, სანაცვლოდ კი მიიღო „ლომქაც ჭილაძისელი და რევაზისელი“<sup>67</sup>. ე.ი. მამია დადიანს გადაეცა ლომქაც ჭილაძის და ვინძე რევაზის ნაქონი, უმემკვიდრეოდ დარჩენილი ყმა-მამული. რევაზის ვინაობა უცნობია. რაც შეეხება ლომქაც ჭილაძეს, ის XVI საუკუნის დასაწყისის მოდვაწეა. ის იხსენიება 1503 წელს გაცემულ ჯაფარიძეთა სასისხლო ხიგელში<sup>68</sup> და ილორის ოლარის წარწერაში<sup>69</sup>

<sup>66</sup> ვახუშტი, გვ. 817.

<sup>67</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 362.

<sup>68</sup> სეანეთის ძეგლები, I, 1986, გვ. 114.

<sup>69</sup> ქორდანია, 1902.



მამია III დადიანთან ერთად. როგორც ჩანს, ის კვიდრეულ გადაეგო, ხოლო მისი მამული, როგორც ბეითალმანი 1578 წელს ტახტიდან გადაყენებულ მამია დადიანს ერგო. „ლომკაც ჭილაძის შეული“ მამულის აღგილმდებარეობაზე ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ყველაზე ნაკლებად არის საფიქრებელი, რომ ის საჭილაოს ნაწილი ყოფილიყო<sup>70</sup>. საქმე ისაა, რომ საჭილაოს ცხენისწყალ-რიონის მარჯვენა მხარეს მდებარე ნაწილი არა თუ ამ დროს, XVII საუკუნეშიც როგორც საერთო-საგვარეულო მამული ჭილაძეთა ხელში იყო და „ჭილაძის შეული“ (ჭილაძეთა ნაქონი) არ გამხდარა. ლომკაც ჭილაძეს, იხევე როგორც სხვა ჭილაძეებს (იხ. ზემო), ალბათ, საჭილაოს გარეთაც ჰქონდა აღგილ-მამულები და ის გამხდარა მამია დადიანის საკუთრება.

გიორგი IV დადიანის ხელშეორედ გამთავრების უმაღლ ახალმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. ამჯერად გიორგი IV დადიანს საჯავახოს ახალი მებატონე, ბათულია დადიანი აუჯანყდა. ეს უკანასკნელი მთავართან ბრძოლაში დამარცხდა. იმერეთის მეფისა და დადიანის დასტურით საჯავახო და საჭილაოს ორი სოფელი – ტოლები და ქორეთისუბანი გურიელმა შეიირთა<sup>71</sup>, ხოლო საჭილაოს „გადმართი“ სოფლები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იმერეთის მეფეს გადაეცა. ამის შემდგომ საჯავახო ნაწილობრივ ან მთლიანად ხან გურიის სამთავროში შედიოდა, ხან იმერეთის სამეფოში<sup>72</sup>.

საინტერესოა რა ბედი ეწია საჭილაოს „გადმურ“ ნაწილს. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს

<sup>70</sup> ბერაძე, ცეიტიშვილი, 1971, გვ. 44.

<sup>71</sup> ვახუშტი, გვ. 817.

<sup>72</sup> იხ. ხოსევანა, 1973, გვ. 279-280; სხატარაიშვილი, 1985, გვ. 48 და შედე.



ერთი გარემოება. იმერეთ-ოდიშის სახაზდვრო ზელიანი მდებარე ერთი სათავადო XVII–XVIII საუკუნეების წყაროებში ხშირად საჭილაო-სამიქელაოს სახელწოდებით იხსენიება, ამ სათავადოს მეთაური კი ჭილაძე-მიქელაძედ.

ვახუშტის ცნობით, იმერეთის მეფობის მაძიებელი არჩილ შაჰნავაზის ძე და მისი მმა გიორგი 1687 წელს „ვერდარა დააღვრნენ თდიშს და მოვიდნენ საჭილაო-სამიქელაოს“<sup>73</sup>; 1703–1707 წლებს შორის იმერეთის სამეფოს ფაქტიურმა მპრძანებელმა გიორგი აბაშიძემ და ოდიშის ბატონმა გიორგი ლიპარტიანმა „გამოაძეს მიქელაძე (გიორგი – გ.ა.) მამულისაგან და დაიპყრა საჭილაო-სამიქელაო ლიპარტიანმან“<sup>74</sup>. 1733 წელს იმერეთის მეფემ ალექსანდრე III-მ „გამოართვა საჭილაო-სამიქელაო დადიანს“ და თავის ძმას, მამუკას უწყალობა<sup>75</sup>.

ჭილაძე-მიქელაძეთა შესახებ წყაროები შემდეგს გვაუწყებენ: 1634 წ. ოდიშის მთავარმა, ლევან II დადიანმა დაატყვევა იმერეთის მეფე გიორგი III, რომლის გამოსასყიდში მიიღო „ნაპირის ალაგნი ჭილაძენი და მიქელაძენი“<sup>76</sup>; 1657 წელს, ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ახალგამთავრებულმა ვამცე დადიანმა „ჭილაძე-მიქელაძე“ იმერეთის მეფეს დაუთმო<sup>77</sup>. 1658 წელს ოდიშის მთავრის ტახტისთვის მეპრძოლ ლიპარიტ დადიანს სხვებთან ერთად მხარს უჭერდა „ჭილაძე-მიქელაძენი“<sup>78</sup>. წყაროს მიხედვით, „ჭილაძე-მიქელაძენი“, ფაქტობრივად, ერთი პიროვნების, ოტია მიქელაძის სახი-

<sup>73</sup> ვახუშტი, გვ. 851; დადიანი, 1963, გვ. 166.

<sup>74</sup> ვახუშტი, გვ. 866; დადიანი, 1963, გვ. 169.

<sup>75</sup> ვახუშტი, გვ. 888; დადიანი, 1963, გვ. 176.

<sup>76</sup> გორგიჯანიძე, გვ. 241.

<sup>77</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 71.

<sup>78</sup> ვახუშტი, გვ. 833; დადიანი, 1963, გვ. 162.



თაა წარმოდგენილი<sup>79</sup>; 1660 თუ 1661 წელს იმერეთის მეფემ, ვამექ დადიანმა გურიაში იღაშქრა. ლაშქრობაში იმერეთ-ოდიშ-აფხაზეთის ფეოდალებთან ერთად მონაწილეობდა ჭილაძე-მიქელაძე<sup>80</sup>. იმერეთის მეფემ, ალექსანდრე III-მ (1683-1695) ჭილაძე-მიქელაძე გურიელს მიჰყიდა, რაც შემდგომ დამტკიცეს მომდევნო მეფეებმა, გიორგი V-მ (1696-1697) და სვიმონმა (1698-1701)<sup>81</sup>.

როგორც ვხედავთ სახეზე გვაქვს ორწევრიანი გვარ-სახელი ჭილაძე-მიქელაძე და, შესაბამისად, სათავადოს სახელწოდება საჭილაო-სამიქელაო. ასეთი გვარსახელები ფეოდალური საქართველოს სინამდვილეში მრავალი იყო, მაგალითისათვის, აბაზაძე-აბულეთისქე, გოგიძაშვილ-შანშიაშვილი, ომოგველ-უჯარმელი, ციხისჯვარელ-ჯაველი, ორალელისძე-კვიტაშვილი, ურდოელასშვილი-ლაფირისძე და სხვა<sup>82</sup>. ორწევრიანი გვარსახელის წარმოქმნას ფეოდალურ საზოგადოებაში თავისი კანონზომიერი საფეხველი პქონდა. ცნობილია, რომ ამა თუ იმ გვარის საფეხვალო მამული მისი პატრონის გვარსახელით ინათლებოდა. მაგალითად, „ბოცოსძენი“ აღნიშნავდა როგორც გვარს, ისე ამ გვარის სამფლობელო მიწა-წყალს. იგივე იგულისხმება წყაროთა ზემოთ მოტანილ ჩვენებებში, რომ ვამეუ დადიანმა იმერეთის მეფეს დაუთმო ჭილაძე-მიქელაძენი ან იმერეთის მეფეებმა გურიელს მიჰყიდეს ჭილაძე-მიქელაძე. აქ, ფაქტობრივად, საუბარი ეხება ჭილაძე-მიქელაძის მამულს.

სხვადასხვა მიზეზთა გამო გვარის სამამულო უფლებები თუ გაუქმდებოდა, მამული ოდინდელ მფლო-

<sup>79</sup> ვახუშტი, გვ. 833; დადიანი, 1963, გვ. 162.

<sup>80</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 163.

<sup>81</sup> ისტორიული დოკუმენტები, 1959, გვ. 45.

<sup>82</sup> სურგულაძე, 1986, გვ. 20-22; ტუდუში, 1997, გვ. 128-130.



ბელთა სახელს კვლავ ინარჩუნებდა და მისი ძველი მეპატრონის გვარსახელი უცებ არ ქრებოდა, ის გარე კვეულ ხანს განაგრძობდა ხიცოცხლეს ახალი მფლობელის გვარსახელის წევრად და ასეახებოდა ძველი და ახალი მფლობელის გვარსახელების შეერთებაში<sup>83</sup>. „ჭილაძე-მიქელაძეში“ ჭილაძე ძველ მფლობელს აღნიშნავს, მიქელაძე ახალს. ამას მოწმობს ვახუშტის ზემოთ მოტანილი ცნობები, საიდანაც აშკარად ჩანს, ამ თრწევრიანი გვარსახელის მატარებელია მიქელაძე (ერთგან თტია, მეორეგან გიორგი). ეს ნიშნავს იმასაც, რომ ჭილაძის გვარი, ცხადია, მის მამულთან ერთად მიიღო მიქელაძეში. ასე რომ, საჭილაო-სამიქელაო იყო მიქელაძეთა საფეოდალო, რომელიც ჭილაძეთა უოფილ მამულსაც მოიცავდა.

აქვე უნდა დაისვას ერთი საკითხიც, კერძოდ, უნდა გაირკვეს საჭილაო მთლიანად მოექცა მიქელაძეების ხელში თუ მხოლოდ მისი ნაწილი. მიქელაძეთა სენიორია XVII-XVIII საუკუნეების წეაროების მიხედვით, როგორც ოსმალებიამ დაადგინა, მოიცავდა საჭილაოს შემდეგ სოფლებს: ილორი, ხეილიფი, ნაფადაური, სამტრედია და სანავარდო<sup>84</sup>. ყველა ეს სოფელი ცხენისწყლისა და რიონის მარცხენა მხარესაა და უშუალოდ გეგრის საკუთრივ მიქელაძეთა მამულებს. რაც შეეხება ცხენისწყლისა და რიონის მარჯვენა მხარეს მდებარე საჭილაოს, აქ მიქელაძეთა მფლობელობა არაურით დასტურდება. ასე რომ, საჭილაო-სამიქელაოში ანუ მიქელაძეთა სათავადოში მოქცეულია საჭილაოს „გადმური“ სოფლების ერთი ნაწილი.

<sup>83</sup> სერგელაძე, 1986, გვ. 20.

<sup>84</sup> ხოსელია, 1973, გვ. 54-55.



როდის დაკარგეს ჭილაძეებმა ეს სოფლები? ამასთან დაკავშირებით უურადღებას იქცევს „წყალობის წიგნი კდიაშვილებს“, რომელიც გაცემულია იმერეთის მეფის, გიორგი II-ს (1565–1585) მიერ<sup>85</sup>. საბუთის ჩემთვის საინტერესო ადგილი ასე იკითხება: „აწ მოიხსენეთ ერისთავთ-ერისთავო, ბატონო ქუთათელო, ბატონო სახლთუხუცესო და ბატონო ბაბაშიძევ, და ბატონო მხეიძევ, ბატონო მიქელაძევ და ჭილაძევ, ბატონო ჩიჯავაძევ-იმერელთ დარბაისელნო“<sup>86</sup>. როგორც ვხედავთ, ჭილაძის გარდა უოველი დარბაისელის გვარს ცალ-ცალკე წინ უძღვის მიმართვა „ბატონო“, მხოლოდ მიქელაძესა და ჭილაძეზე ურცელდება საზიარო მიმართვა. ეს გარემოება იმის მაუწყებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ საუბარი ეხება ერთ პიროვნებას, რომელიც ორ გვარს ატარებს. ასეთი დასკვნის დამაბრკოლებელ გარემოებად შეიძლება ჩაგვეთვალა ამ ორ გვარსახელს შორის მოქცეული „და“ კავშირი, მაგრამ ეს მოჩვენებითი დაბრკოლებაა. ზუსტად ამგვარი სინტაქსური აგებულებისაა ფგორგიჯანიძის ზემოთ მოტანილი ფრაზა: „ნაპირის ალაგნი ჭილაძენი და მიქელაძენი“, სადაც, აშკარად, ორი გვარსახელის გამაერთიანებელი ერთი პიროვნების სამფლობელო „ალაგებზე“ საუბარი და არა ორი სხვადასხვა გვარის სენიორიებზე.

აქედან გამომდინარე, იმერეთის მეფემ, გიორგი II-მ ჯავახ ჭილაძის მოკვლის შემდეგ საჯავახო ვერ შეინარჩუნა, მაგრამ საჭილაოს ის სოფლები, რომლებიც ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა და

<sup>85</sup> იხ. იხტორიული დოკუმენტები, 1959, გვ. 17-18; სამართლის ძეგლები, II, გვ. 192.

<sup>86</sup> იხტორიული დოკუმენტები, 1959, გვ. 18; სამართლის ძეგლები, II, გვ. 192.



უშეალოდ მპვროდა მის სამფლობელოს, ბათუმის დადიანის დასჯის (1680 წ.) შემდეგ დაუსაკუთრების დროზე თავისი ქვეშევრდომი თავადის, მიქელაძისათვის უბოძებია. აქედან მოკიდებული საჭილათ-სამიქელათ იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებს შორის მუდმივი ცილობის ობიექტი იყო<sup>87</sup>.

საჭილათს დიდი ნაწილი ცხენისწყლისა და რაიონის მარჯვენა მხარეს ჭილაძეებმა XVII საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნეს<sup>88</sup>.

ჭილაძეების სათავადოს ისტორიასთან უშეალოდ არის გადაჯაჭვული ოდიშის საერისთავოს (შემდგომ სამთავროს) აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის ცვალებადობა.

წყაროები მოწმობენ, რომ XVI საუკუნის დახაწყისისათვის ჭილაძეები ოდიშის ერისთავის ქვეშევრდომები იყვნენ. ასეთად გვევლინება ლომქაც ჭილაძე<sup>89</sup>. ოდიშის მთავრის ვასალები იყვნენ ვარაზა და ჯავახ ჭილაძეები, რომდებაც XVI საუკუნის 60-იან წლებში ლევან I დადიანის მომხრეებად ვამოდიან იმერეთის მეფესთან ბრძოლაში<sup>90</sup>. უფრო ადრეული ვითარების შესახებ წყაროებს პირდაპირი ცნობები არ შემოუნახავთ, მაგრამ მობანილი ცნობები და, აგრეთვე, ის გარემოება, რომ დადიანებს „გადმური“ საჭილათს და საჯავახოს დაკარგვის შემდგომ თითქმის ორხაუკუნენახევრის განმავლობაში პრეტენზიები პქონდათ ჭილაძეების მემკვიდრეობაზე, როგორც თავიანთი სამთავროს კუთვნილ მიწა-წყალზე, შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ჭილაძეები

<sup>87</sup> იბ. ხოსელია, 1973, გვ. 281-282.

<sup>88</sup> იბ. ხოსელია, 1973, გვ. 283-284.

<sup>89</sup> სვანეთის ძეგლები, I, 1986, გვ. 114; ქორდანია, 1902.

<sup>90</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 361, 502; ვახუშტი, გვ. 816.



იმთავითვე დადიანების ვასალები იყვნენ და ეს უმცირესი ერთობა ოდიშის საერისთავოს ჩამოყალიბების დროიდან იდებს სათავეს. თავდაპირველიდ, ჭილაძეთა მამულები, ცხადია, საერისთავოს ფარგლებს შიგნით, ცხენისწყლისა და რიონის მარჯვენა მხარეს იყო განლაგებული. შემდგომში თანდათანობით ფართოვდებოდა აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, XIII საუკუნის მეორე ნახევარში თავის საზღვრებში იქცევს ვრცელ მიწა-წყალს საჯავახოს ჩათვლით. ჭილაძეთა სენიორიის ტერიტორიულ გაფართოებასთან ერთად, ბუნებრივია, ფართოვდებოდა იმ საერისთავოს საზღვრებიც, რომლის ქვეშვრდომებიც ისინი იყვნენ.

საჯავახოსა და საჭილაოს „გადმური“ სოფლების ერთი ნაწილის დაკარგვის (XVI საუკუნის 70-იან – 80-იანი წლები) შემდეგ საჭილაოს რიონის მარცხენა ნაპირის რამდენიმე სოფელი (აუკუთი, კოდორა, ცხემიჯი, სამარდანო, გულეკარი, ანჯელი) ოდიშის სამთავროს საზღვრებში რჩებოდა<sup>91</sup> და ის მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან დავის საგნად არახოდეს ქცეულა.

<sup>91</sup> იხ. სამართლის ძეგლები, III, გვ. 501; კავაბაძე, 1921 (I), გვ. 113; ქმ. 1866.

## ქართლის დედოფლის, თამარ ლიპარტიანის ჭარმომავლობისათვის

ქართლის მეფების, გიორგი X-ის (1600–1605) თანამეცხედრე და ლუარსაბ II-ის (1605–1614) დედა, დედოფლი თამარი, რომელიც ამ მეფების მიერ გაცემულ მრავალ სიგელში იხსენიება<sup>1</sup>, ერთი ქრონიკის ცნობით, გიორგი ლიპარტიანის ასედი იყო<sup>2</sup>.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სრული უმჯობესობით მიჩნეულია, რომ თამარ დედოფლის მამა არის იგივე, ისტორიაში კარგად ცნობილი, გიორგი ლიპარტიანი – ოდიშის მთავრის, მანუჩარ დადიანის (1596–1611) უმცროსი ძმა, ლევან II დადიანის (1611–1657) ბიძა და რეგენტი მიხი მცირეწლოვანების ხანაში (1611–1614 წ<sup>3</sup>). გარდაიცვალა 1623 წ<sup>4</sup>.

ასეთი იდენტიფიკაციის მართებულობაში სერიოზული კორექტივი შეაქვს თამარ დედოფლისა და დიდი გიორგი ლიპარტიანის ცხოვრების ქრონილოგიის შესაბამიბას მათს მამა-შვილობასთან. მართალია, არც ერთი მათგანის დაბადების თარიღები ქრონიკებს არ შემოუნახავთ, მაგრამ ზოგი არაპირდაპირი მონაცემი მათს მამა-შვილობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

გიორგი X-ისა და თამარ დედოფლის მემკვიდრე, ლუარსაბი (შემდგომში ქართლის მეფე ლუარსაბ II) დაიბადა 1592 წ<sup>4</sup>. ეს ნიშნავს იმას, თამარი გათხოვილა

<sup>1</sup> იხ. ანთიორებული ლექსიკონი, I, გვ. 250-252.

<sup>2</sup> ცხოვრება საქართველოსა, 1980, გვ. 63.

<sup>3</sup> ბერაძე, 1964, გვ. 118; ანთელავა, 1990, გვ. 42-44; ანთელავა, 1999, გვ. 173.

<sup>4</sup> ჯამბურია, 1983, გვ. 301.

არაუგვიანეს 1591 წლისა. ამ დროს ის იქნებოდა ნაკლებ 12–13 წლის (გათხოვების ასაკი იმ ეპოქაში). აქედან გამომდინარე, ის დაიბადებოდა არაუგვიანეს 1578/1579 წლისა თუ უფრო ადრე არა. ცხადია, მისი მამა ამ დროისათვის ოჯახს მოკიდებული, მოწიფული ასაკის პიროვნებაა. რაც შეეხება დიდ გიორგი ლიპარტიანს, მისი ამ დროისათვის დაოჯახებულობა ნაკლებ დასაჯერებელია. საქმე ისაა, რომ გიორგი ლიპარტიანი დაიბადა არაუგრეს 1575 წლისა<sup>5</sup>. ამიტომ გამორიცხულია, რომ მას შვილი პეტრები 1579/1580 წლისათვის. თამარ ლიპარტიანი კი, როგორც ითქვა, ამ თარიღზე გვიან ვერ დაიბადებოდა.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება.

ცაიშის გულანის ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „ადიდნეს დმერთმან ორთავე შინა ცხოვრებათა ლიპარტიანი ბატონი გიორგი, თანამეცხედრე მათი ბატონის დადიანის ასული ანა, ძე მათი ვამეუყი გაზარდე დმერთო, ამინ“<sup>6</sup>. მინაწერი შესრულებულია გულანის ტექსტის გადამწერის ხელით და თარიღდება 1608 წლით<sup>7</sup>. მინაწერის შემსრულებელი უფალს ევერება გიორგი ლიპარტიანის შვილის, ვამეუყის გაზრდას, კ.ი. ვამეუყი ამ დროს მცირებულოვანია. ძნელი წარმოსალგენია, რომ აღმიანს, რომელსაც 1608 წ. პეტრები მცირებულოვანი შვილი, პეტრების ამ უკანასკნელზე, სულ ცოტა, 27–28 წლით უფროხი კიდევ სხვა შვილი.

ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს უარესოთ დიდი გიორგი ლიპარტიანისა და თამარ დედოფლის მამის იგივეობა.

<sup>5</sup> არახამია, 2006, გვ. 69.

<sup>6</sup> თავაიშვილი, 1913, გვ. 191.

<sup>7</sup> არახამია, 2006, გვ. 70-71.



გამოდის, რომ თამარ დედოფლის მამა ეპუთვნისადაც დიდი გიორგი ლიპარტიანის უფროს თაობას. ამანთან დაკავშირებით ქურადღებას იყერობს ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში 1568 წლის ამბების აღწერაში მოხსენიებული „ლიპარტიანი“ (სახელის გარეშე)<sup>8</sup>. ამ ლიპარტიანის შეიძლად მიაჩნიათ მკვლევარებს ცაიშის გულანისა და თქორდანიას ნაქონი ერთი „ლოცვანის“ მინაწერებში მოხსენიებული მანია ლიპარტიანი<sup>9</sup>, რომელიც ცაიშის გულანის შედგენის დასრულებამდე გარდაიცვალა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, მანია ლიპარტიანი და თამარ დედოფლი დები გამოდიან. თამარ დედოფლალს, როგორც ირკვევა, სხვა დაც ჰყოლია, რომელსაც ზებედე მღვდელ მონაზონის (XVII ს.) ცნობით, ხუარაშანი რქმევია<sup>10</sup>.

ზემოთ აღნიშნული იდენტიფიკაციის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ვახუშტის თხზულებაში სახელის გარეშე მოხსენიებულ ლიპარტიანს გიორგი რქმევია. დღეისათვის ცნობილი კველა ლიპარტიანი ოდიშის მთავართა უმცროსი შტოს ის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც სალოპარტიანოს ფლობდნენ<sup>11</sup>. თამარის, მანიას და ხუარაშანის მამა, გიორგი ლიპარტიანი, რომელიც XVI საუკუნის 60-იან – 80-იან წლებში მოღვაწეობდა, ლევან I დადიანის (1533–1572) ძმა ან ძმისშვილი უნდა ყოფილიყო. მის შემდგომ უნდა მიეღო სალიპარტიანო მამია IV-ის ძეს და მანუჩარ I-ის ძმას, გიორგის.

<sup>8</sup> ვახუშტი, გვ. 815-816.

<sup>9</sup> ქრონიკები, 1897, გვ. 536; ბერაძე, 1964, გვ. 116.

<sup>10</sup> გრიგოლია, 1953, გვ. 98.

<sup>11</sup> ბერაძე, 1964, გვ. 126-130; ხოსელია, 1990, გვ. 88-89.

X-XI სს. მიჯნაზე ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შედეგად შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა ქართულ სინამდვილეში ადრიდანვე არსებულ საერისთავოთა სისტემას დაემყარა. ერთ-ერთი ასეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული დასავლეთ საქართველოში რაჭა-თაკვერის, ოდიშისა და აფხაზეთის საერისთავოებთან ერთად იყო ცხეუმის საერისთავოც (ცხეუმი ერთ-ერთი უძველესი კოლხური ქალაქის, – დიოსკურიასებასტომოდისის აღგილობრივი სახელწოდებაა. მისი არაბულ-თურქული ვარიანტია სოხუმი, სუხუმი).

ცხეუმის საერისთავო წერილობით წერილებში პირველად თამარის მეფობის ხანაში (1184–1207) იხსენიება. მისი პირველი ისტორიკოსის თხზულებაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდევდთანი“) თამარის გამეფების ახლოდროინდელი ამბების შესახებ თხრობაში ჩამოთვლილია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერისთავები. მატიანის ტექსტის ეს აღგილი ხელნაწერებსა და, შესაბამისად, გამოცემებში მეტნაკლები სისრულითა და განსხვავებული კონიექტურებით არის წარმოდგენილი<sup>1</sup>. სხვადასხვა ნესხათა ვარიანტების გათვალისწინებით აღნიშნული თხზულების წვენთვის საინტერესო ფრაგმენტი ასე იკითხება: „და ერისთავნი მის ჟამისანი (იგულისხმება თამარის მეფობის დასაწყისი – გ.ა.) ესენი იყვნეს: ბარამ ვარდანისძე – სუანთა ერისთავი; კახაბერ კახაბერისძე – რაჭისა და თაკუერის ერისთავად; და აფხაზთა ერისთავად ოთადო შარვაშისძე; ცხეუმის ერისთავად ამანელისძე;“

\* დაიბუჭლა ქურნალში „ბედია“ № 6-7, 2000.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, 1849, გვ. 283; ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 34.



და ოდიშის ერისთავები ბედიანი<sup>2</sup>. ცხემის საერისთავოს  
პირველი მოხსენიება XII საუკუნის 80-იან წლებში ასრულ  
დებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს ტერიტორიულ-ადმინის-  
ტრაციული ერთეული მაინცდამაინც ამ დროს შეიქმნა.  
აღნიშნული საერისთავო ტერიტორიულად ეგრისის  
(ლაზიკის) სამეფოს ერთ-ერთი შემადგენელი კუთხის,  
აფშილეთის შემცველება. ამაზე მიუთითებს „ქართლის  
ცხოვრების“ დასაწყის ნაწილში დაცული ცნობა, რომ-  
ლის თანახმად ცხემი VIII საუკუნის 30-იან წლებში  
აფშილეთის მთავარი ციხე-ქალაქი იყო<sup>3</sup>.

ცხემის საერისთავოს, როგორც ტერიტორიულ-ადმი-  
ნისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბება ეგრის-აფხა-  
ზეთის სამეფოს შექმნისთანავე (VIII ს. ბოლო) ივარაუ-  
დება და ამ სტატუსით შემოვიდა ის ეგრის-აფხაზეთის  
სამეფოს სხვა ადმინისტრაციულ დანაყოფებთან ერთად  
გაერთიანებული საქართველოს ადგილობრივი მმართვე-  
ლობის სისტემაში XI საუკუნის დასაწყისიდან.

ცხემის საერისთავოს ფარგლებში მოქცეული იყო  
ისტორიული აფშილეთი, სანიგეთის ერთი ნაწილი და მო-  
სიმიანეთი (მდ.კოდორის ხეობის ზემო წელი)<sup>4</sup>. ეს საე-  
რისთავო მოქცეული იყო ოდიშისა და აფხაზთა საერის-  
თავოებს შორის. ცხემისა და აფხაზთა საერისთავოებს  
შორის საზღვარი ანაკოფიასთან (აწინდებული ახალი ათო-  
ნი) ახლოს, მდ.ფსირცხაზე გადიოდა<sup>5</sup>. წყაროებიდან გარ-  
კვევით არ ჩანს, თუ სად გადიოდა საზღვარი ოდიშის სა-  
ერისთავოსთან. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელე-  
ბული მოხაზურებით, ასეთი საზღვარი მდგადლიძგას სანა-

<sup>2</sup> ანთელაგა, 1988, გვ. 46.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 235.

<sup>4</sup> ლეთოდიანი, 1991, გვ. 67, 114-116.

<sup>5</sup> ვახუშტი, გვ. 783; ბერაძე, 1967, გვ. 168; ხორავა, 1996, გვ. 34.



პირო ზოდი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ისტორიული მატერიალი შედებითი (რომლის ტერიტორია შემდგომ ცხემის საერის-თავობ მოიცვა) აღმოსავლეთით დაღიძგამდე ვრცელდებოდა<sup>6</sup>. წერილობითი წყაროების კრიტიკულმა ანალიზმა უწვენა, რომ ისტორიული აფშილეთი აღმოსავლეთით ვრცელდებოდა არა მდგრადიძგამდე, არამედ მდგრადორამდე<sup>7</sup>. ცხემის საერისთავო ძევლი აფშილეთის ტერიტორიული მემკვიდრე თუა (ეს კი სადათ არ არის), მაშინ ცხემის საერისთავოს საზღვარი ოდიშთან იმთავითვე მდგრადორი უნდა ყოფილიყო.

ცხემის ერისთავთა გვარის სახელი წყაროებში „ამანელისძე“, „ამენელასძე“, „ამუნელისძე“ და „ამუნასკირი“ ფორმებით გვხვდება. სწორად უნდა ჩაითვალოს ორი უკანასკნელი ფორმა.

ამუნელისძეები ფეოდალური საქართველოს იმ წარნიებულ საგვარეულოთა რიგს მიეკუთვნებოდნენ, რომელთაც თავიანთი მადალი მდგრმარეობა გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარზე და სამოხელეო სისტემაში ეგრის-აფხაზეთის სამეფოდან (IX-X ს.ს.) გადმოჰყაო. ამუნელისძეთა საგვარეულო ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ძირძველ არისტოკრატიას რომ ეკუთვნოდა, ამას მოწმობს თამარის სამეფო ტახტზე ეკუთხევის ცერემონიალში ამუნელისძეთა საგვარეულოს წარმომადგენლის მონაწილეობა. საქმე ისაა, რომ მეფის კურთხევის წესი, შემუშავებული და მიღებული ეგრის-აფხაზეთის სამეფოში, გაერთიანებული მონარქიის პერიოდშიც დიდხანს უცვლელი რჩებოდა<sup>8</sup>. „ვინათგან ლიხთ-იმერთგან იყო

<sup>6</sup> ივაშენეო, 1926, გვ.83; ანხაბაძე, 1959, გვ. 7-8; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 107-108; ლეთოდიანი, 1991, გვ. 184-185.

<sup>7</sup> ი. აქვე, დალიძგა ისტორიულ ქრინიკებში.

<sup>8</sup> იხ. ავახანიშვილი, 1984, გვ. 150-151.



წესი დადგმად გვირგვინსა თავსა სამეცნიეროსა“, ამ კულტურული მემკვიდრეობის თამარის კურთხევის ცერემონიალის აღსასრულებლად „აწვიეს... მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი სადიორისძე მოდებად გვირგვინსა, და ცალ-ქერძისა კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, და სრულ ყვეს მოხელეთა სვიანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირისძეთა და ამანელის-ძეთა მოდება და დადება ხრმლისა<sup>9</sup>. როგორც ვხედავთ, თამარის კურთხევაში მონაწილეობდნენ იმ საგვარეულოთა წარმომადგენლები, რომელთა წინაპარი სახლებიც ამ პრეროგატივით იყვნენ აღჭურვილნი ეგრის-აფხაზეთის სამეფო კარზე არსებული ტრადიციით. სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს, რომ თამარის კურთხევაში მონაწილე ამუნელისძეთა საგვარეულო ეგრის-აფხაზეთის სამეფოს დროინდელ დიდგვარიანთა წრეს მივაკუთვნოთ.

ამუნელისძე, მართალია, ერისთავის რანგში ერთადერთხელ იხსენიება (XII ს. 80-იანი წლებისათვის), მაგრამ ამ საგვარეულოს დაწინაურებულ მდგრმარეობაზე არა-ერთი წყარო მოგვითხრობს. ამ დიდგვაროვანი სახლის წარმომადგენელი, თამარი დასავლეთ საქართველოს მეფის, დავით ნარინის (1259–1293) მეუღლე და ამ სამეფოს დედოფალი იყო<sup>10</sup>. ცეუმის საერისთავოს გაუქმების (XIII საუკუნის ბოლო – XIV საუკუნის დასაწყისი) შემდგრმაც, ეს ფეოდალური სახლი რჩებოდა დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ წარჩინებულ საგვარეულოდ.

აღნიშნული გვარის წარმომადგენლები XV-XVI სს. წყაროებში ამუნასკირის ფორმით იხსენიებიან. აღსანიშნავია, რომ ნბერძენიშვილის ნააზრებში ამუნასკირი გა-

<sup>9</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 26-27.

<sup>10</sup> ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984, გვ. 161, 163.

იგივებულია ქართული მატიანეების ამანედისძე/გრიფის  
ლისძესთან<sup>11</sup>.

ერთ-ერთ დოკუმენტში, კერძოდ, მაღნარაძეთა ხა-  
სიხლო სიგელში, რომელიც 1486–1488 წლებით თარიღ-  
დება, დასავლეთ საქართველოს დიდებულებთან (აბდა-  
ჭელიძე, ჩხეტიძე, დოღობერიძე, ჩიჯავაძე, ჭილაძე, აფაქი-  
ძე, გომაძე, ქორთოძე) ერთად იხსენიება გავაშელ ამუნას-  
კირი, რომელსაც იმერთა მეფის კარზე ჩუხჩარხის თანა-  
მდებობა ხტერია<sup>12</sup>. თოფურიძეთა ხასიხლო სიგელში, რო-  
მელსაც ამ ბოლო დროს 1484–1510 წლებით ათარიდებენ,  
დასავლეთ საქართველოს ხევა დიდგვარიიანებთან (შარვა-  
შიძე, ანჩაბაძე) ერთად დასახელებულია „ულაშარ ამუნას-  
კირი“<sup>13</sup>.

„ამუნასკირი“, „ამუნედისძის“ („ამანედისძე/ემენედას-  
ძე“) მეგრული ფორმაა (ქართული „ძე“, მეგრული „ხე-  
რი“, იგივე „შვიდი“)<sup>14</sup>.

ამუნასკირის გვარის წარმომადგენლის მოხსენიებას-  
თან უნდა გვქონდეს საქმე კიდევ ერთ დოკუმენტში. კერ-  
ძოდ, საუბარი ეხება წალენჯიხის ჯვარცმის ხატის წარ-  
წერას, სადაც ვკითხულობთ: „დმერთო შეიწყალე თრსავე  
შინა ცხოვრებასა მნასკირის ასელი დედოფალი თუხა-  
რან“<sup>15</sup>.

ამ წარწერის პუბლიკატორი ე.თაყაიშვილი ფრაზას  
„მნასკირის ასელი“ კითხულობს როგორც „მანასკერტე-  
ლის ასელი“<sup>16</sup>. ვფიქრობთ, ქარაგმის ამგვარი გახსნა

<sup>11</sup> ბერძენიშვილი, 1989, გვ. 363.

<sup>12</sup> აბგაბაძე, ხმ. II, 1924, გვ. 21.

<sup>13</sup> ქრონიკები, II, გვ. 233; საქართველოს ხიდგელები, III, გვ. 37;  
ანოტირებული ლექსიქონი, I, გვ. 219.

<sup>14</sup> ანთვლავა, 1988, გვ. 47.

<sup>15</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 225.

<sup>16</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 225



უდათ არ არის. წარწერის მიხედვით, დაქარაგმებულ წარწერაში ტექსტი არ ჩანს ასო-ნიშნები: კ, ტ, ლ, რაც აუცილებელია ასეთი წაკითხვის დამაჯერებლობისათვის. ყველა მონაცემით, „მნასკირი“ უნდა წავიკითხოთ როგორც – „(ა)მნასკირი“. ასეთ წაკითხვას, ერთი შეხედვით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ის გარემოება, რომ სიტყვის თავში გრაფემა „ა“ არ ჩანს, მაგრამ ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობაა. ხშირად ხდება, რომ წარწერის გამომყვანს სიტყვის დასაწყისში გამორჩება ხოლმე ის ასო-ნიშანი, რომლითაც დაამთავრა წინამავალი სიტყვა, ვინაიდან ეს სიტყვები, როგორც წესი, მიჯრით იწერებოდა და ერთმანეთისაგან არ იმიჯნებოდა. ძალაც სწორედ ასეთ ტიპიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. წარწერის გამომყვანმა დაწერა რა სიტყვა „ცხოვრებასა“, მისი უკანასკნელი ასონიშანი ა-ნი მექანიკურად, მომდევნო, ახალი სიტყვის დასაწყის გრაფემად მიიჩნია და ის ხელახლა არ გამოიყვანა. ასეთ შემთხვევებში წინამავალი სიტყვის უკანასკნელი ასონიშანი ფაქტობრივად მომდევნოს დასაწყისიცაა (ასე ვთქვათ, საზიარო ასონიშანია). აქედან ვამომდინარე, წარწერის „მნასკირი“ უნდა წავიკითხოთ როგორც „ამნასკირი“, ხოლო მისი ქარაგმის გახსნა იძლევა სხვა წყაროებით ცნობილ ფორმას – „ამ(უ)ნასკირი“.

აღნიშნული ხატის წარწერა უთარიღოა. ეთაყაიშვილის ვარაუდით (რაც პალეოგრაფიულ ანალიზს ემყარება) ის XVI საუკუნით თარიღდება<sup>17</sup>. წარწერის შესრულების თარიღის დაზუსტება მომავლის საქმეა.

ამჯერად სემთვის საქმარისია იმის კონსტატაცია, რომ აღმოჩნდა შეაფეოდალური ხანის კიდევ ერთი

<sup>17</sup> იქვე-



წყარო, სადაც ამუნელისძე/ამუნასკირთა გვარის სახელმწიფო მაღანელი იხსენიება.

ცხემის საერისთავოს არსებობა დასავლეთ საქართველოში XIII საუკუნის მიწურულს და XIV საუკუნის დასაწყისში შექმნილ შიდაპოლიტიკურ არეულობას შეეწირა. 1293 წელს გარდაიცვალა დასავლეთ საქართველოს (ლიხთ-იმერიის) მეფე დავით ნარინი და სამეფო ტახტზე ავიდა მისი ერთ-ერთი მემკვიდრე, კონსტანტინე (1293–1327). ამ უკანასკნელს განუდგა ძმა მიქაელი. ძმებს შორის გამართული განუწყვეტელი „ბრძოლა-შლილობა და შფოთი და ხდომა“, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი შენიშნავს, კარგად გამოიყენა ოდიშის ერისთავმა გიორგი I დადიანმა და „მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპურა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიამდე“<sup>18</sup>. ეს უნდა მომხდარიყო XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დასაწყისში, როდესაც კონსტანტინესა და მიქაელს შორის ბრძოლა განხაგუთრებით იყო გამწვავებული. საქმე ეხებოდა სამეფო ოჯახთან ნათესაობით დაახლოებული ამუნელისძეების სამოხელეო მემკვიდრეობას (იმერთა მეფის კონსტანტინეს და მისი მეტოქე ძმის მიქაელის დედა, დავით ნარინის მეუღლე, როგორც ზემოთ ითქვა, ამ საგვარეულოს წარმომადგენელი იყო). ამ ფონზე აღვილი წარმოსალგენია იმერთა მეფის კონსტანტინეს უმბომესი მდგომარეობა, რის გამოც შეიძლებოდა ის შეგუშბოდა დედული სახლის მიმდლავრებას დადიანისაგან. დადიანის აღნიშული ნაბიჯი იმერთა მეფის კონსტანტინეს მხრიდან უპასუხოდ რომ დარჩა, ეს შეიძლება აიხსნას მისი ხელისუფლების არამყარი მდგომარეობით. ან იქნებ განმდგარ ძმასთან, მიქაელთან ბრძოლაში ოდიშის ერისთავის მხარდაჭერით იყო გამოწვეული მეფის „წაყ-

<sup>18</sup> ვახუშტი, გვ. 801.



რუება“ დედისეული სახლის „დამხობის“ მიმართ. ამ რამ კი ცხადია, საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინაშე დადიანთა მიერ ცხუმის საერისთავოს ტერიტორიის მითვისების ფაქტის სიმრვავე ანუ ამუნელისძეთა მემკვიდრეობის საკითხი ამის შემდგომ მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში არ განელებულა, მაგრამ ჩვენთვის ცნობილ ყველა შემთხვევაში ეს საკითხი დადიანთა სასარგებლოდ გადაწყდა. ასე მოხდა 1330 წელს, როდესაც გიორგი V ბრწყინვალემ დასავლეთი საქართველო ცენტრალურ ხელისუფლებას დაუქვემდებარა, „მისცა ცხომის საერისთო პეტიონს, კითარცა პირველ ცხომისა იყო“<sup>19</sup>. ამით სამეფო ხელისუფლებაში იურიდიულად გააფორმდა ის, რაც მისი სანქციის გარეშე მოხდა<sup>20</sup>. იგივე გამეორდა XIV საუკუნის მიწურულს, როდესაც საქართველოს მეფემ გიორგი VII-მ (1393–1407) ოდიშის ერისთავს, მამია დადიანს (1396–1412) „მიუბობა საერისთო ცხომისა... ერთგულობისათვის თვისისა“<sup>21</sup>.

ასეთი სახის „მიცემა“ და „ბოძება“ შექმნილი რეალობის იურიდიული აღიარება და დადასტურება იყო სამეფო ხელისუფლების მხრიდან. წყაროებით არ დასტურდება, რომ გიორგი I დადიანის შემდეგ ცხუმის საერისთავო ოდიშის ერისთავებს დაუკარგოთ ან ის რაღაც დროით მაინც აღედგინოთ<sup>22</sup>. ამ ორი საერისთავოს შერწყმას და შემდგომში მათი ერთიანობის დაურდვეველობას უფრო სერიოზული ფაქტორები ედო საფუძვლად, კიდრე ფეოდალთა ნება-სურვილი საკუთარი საგამგებლოს გაფართოებისა ან მეფეთა ქველმოქმედება „მიცემა-

<sup>19</sup> ვახუშტი, გვ. 258.

<sup>20</sup> ხორავა, 1996, გვ. 41. ვახუშტი, შეცდომით მოტანილ ცნობაში დადიანს „ბოძება“ უწოდებს (იხ. ბერაძე, 1982, გვ. 114).

<sup>21</sup> ვახუშტი, გვ. 269.

<sup>22</sup> ხორავა, 1996, გვ. 45–46.

ბოძების“ სახით. ეს ფაქტორები იყო ოდიშისა და ცნურული საერისთავოების ენობრივი და ეთნიკურ-ტომობრივი ერთობა<sup>23</sup>.

<sup>23</sup> ამ საკითხის შესახებ იხ. ნაფხაზავა, აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის. — ქრ.: აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998, გვ. 6-13; დმუშებელიშვილი, აფშილთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. — ქ. არტანუჯი, № 10, 2000, გვ. 17-24.

გურიის ერისთავი პირველიდ წერილობით წყარო-  
ებში XIII ს. 40-იანი წლების ამბების აღწერაში იხსენიება  
(სახელის გარეშე)<sup>1</sup>. წყაროებით ცნობილ მომდევნო ერის-  
თავად ჯუმათის წმ.გიორგის და ბადლების მაცხოვრის  
ხატების წარწერებში მოხსენიებული ბეჭება გურიელი<sup>2</sup>  
უნდა მივიჩნიოთ. ამ უკანასკნელს პინგოროვა იერუსა-  
ლიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულ მანდა-  
ტურთუხუცეს ბეჭება ვარდანისძესთან აიგივებდა<sup>3</sup>. ამ  
იდენტიფიკაციაზე ქვემოთ იქნება საუბარი. აქ კი რამდე-  
ნიმე ხიტვით ბეჭება ვარდანისძის მოღვაწეობის ქორნო-  
ლოგიაზე.

აღნიშნული საკითხი საგანგებოდ განიხილა ს.ქაგა-  
ბაძემ. მისი აზრით, აღაპის ტექსტში დასახელებული  
ბეჭება ვარდანისძე მოღვაწეობდა დასახლოებით 1325-1350  
წლებში. მართალია, საამისოდ მკვლევრის მიერ არგუმენ-  
ტებად მოხმობილი ფაქტების (აღაპების ცოტნე დადიანის  
მოღვაწეობის განსაზღვრა 1290-1320 წლებით, ბეჭება ვარ-  
დანისძის ნათესაური წრის დაკავშირება გიორგი ალას-  
ტანელის სახლეულთან)<sup>4</sup> რეალურობა საკითხის შემდ-  
გომმა შესწავლამ არ დაადასტურა<sup>5</sup>, მაგრამ მის მიერ  
მოცემული ქრონოლოგია სინამდვილესთან რომ ახლოა,  
თუმცა სხვაგვარი დასაბუთებით, ამაში ქვემოთ დავრწ-  
მუნდებით. იგივე უნდა ითქვას პინგოროვას მოსაზრე-

\* გამოქვეყნდა ქურნალში „მაფშალია“, № 7, 2003.

<sup>1</sup> ასწლოვანი მატიანე, 1987, გვ. 79.

<sup>2</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 215, 224.

<sup>3</sup> ინგოროვა, 1963, გვ. 584.

<sup>4</sup> ქაკაბაძე, 1914, გვ. 8-9.

<sup>5</sup> ი. მეტრეველი, 1962, გვ. 134.



ბაზე, რომლის თანახმად, ბეჭედი ვარდანისძის მოდერნიზაცია  
ობის ხანა XIV საუკუნის პირველი მესამედი<sup>6</sup>.

ბეჭედი ვარდანისძის და კიდევ რამდენიმე პირის  
(სულ 14) აღაპი ჯვრის მონასტრის სულთა მატიანეში,  
როგორც ემეტრეველმა გაარკვია, შეტანილია ერთი მწერ-  
ლის მიერ და ამ ნიშნით ერთიანდება ერთ ტაბულაში<sup>7</sup>.  
მასში გაერთიანებულ აღაპთაგან ერთ-ერთი ჩაწერილია  
1305 წლის შემდეგ, როდესაც ქართველებმა ეგვიპტის  
სულთნის მიერ ჯერ კიდევ XIII საუკუნის 70-იან წლებში  
ჩამორთმეული იერუსალიმის ჯვრის მონასტერი დაიბრუ-  
ნეს. აქედან ვამომდინარე ემეტრეველი აღნიშნულ ტაბუ-  
ლაში გაერთიანებულ აღაპებს XIII საუკუნის დამლევითა  
XIV საუკუნის დამდეგით ათარიღებს<sup>8</sup>, რაც ზოგადად,  
ცხადია, მართებულია, მაგრამ ამ აღაპებში მოხსენიებული  
ამა თუ იმ პიროვნების მოღვაწეობის ქრონოლოგიის  
დადგენისას აუცილებელი ხდება სხვა გარემოებათა გათ-  
ვალისწინებაც. საქმე ისაა, რომ ჯვრის მონასტრის ქარ-  
თველებისათვის დაბრუნების თარიღი, 1305 წელი<sup>9</sup> აღაპთა  
აღნიშნული ჯგუფის ჩაწერის ქვედა ქრონოლოგიური  
ზღვარია, ზედა ზღვარი კი საძიებელი რჩება. ბეჭედი  
ვარდანისძის მოღვაწეობის დროის გარკვევისას გათვა-  
ლისწინებული უნდა იყოს მისი მანდატურთუხუცესობა.  
XIII-XIV სს. მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში ეს თა-  
ნამდებობა, როგორც ზემოთ ითქვა, ოდიშის ერისთავს,

<sup>6</sup> ინტერესულია, 1963, გვ. 584.

<sup>7</sup> მეტრეველი, 1962, გვ. 134-135.

<sup>8</sup> მეტრეველი, 1962, გვ. 135.

<sup>9</sup> ჯვრის მონასტერი, დაგრძნელებული აზრით, ქართველებმა  
დაიბრუნეს 1310 წ. (იხ. გომილებული, 1988, გვ. 39), გ.ჯაფარიძის  
მოხაზრებით, 1310-1320 წლებს შორის (ჯაფარიძე, 2006, გვ. 291-296).



გიორგი I დადიანს ეჭირა<sup>10</sup>. მის მემკვიდრეებს, მამის ქადაგი (1323–1345) და გიორგი II-ს (1345–1384) ეს სახელო არ ჰქონიათ. ამდენად, ბეშქენ ვარდანისძეს, რომლის მოდვაწეობის ქვედა ქრონილოგიური ზღვარი 1305 თუ 1310 წელია, მანდატურთუხეცესის თანამდებობა შეიძლებოდა პქონოდა გიორგი I დადიანის გარდაცვალების ანუ 1323 წლის შემდგომ ხანაში.

ბეშქენ ვარდანისძეს მანდატურთუხეცესის მეტყველებს იმაზე, რომ ის, ამავე დროს, რომელიდაც მხარის ერისთავიც იყო (ტრადიციულად, სამეფო კარის მოხელეობას „საქვეუნოდ გამრიგე“ მოხელე ითავსებდა). იმის გათვალისწინებით, რომ ვარდანისძეებმა XIII საუკუნის ბოლოს სვანთა ერისთავობა დაკარგეს (უკანასკნელი სვანთ ერისთავი ადნიშნული საუკუნის მეორე ნახევრის მოდვაწე არიშიან ვარდანისძე იყო)<sup>11</sup>, ბეშქენ ვარდანისძეს სვანთა ერისთავად ვერ მივიჩნევთ. ყოველივე ამას მივყავართ ზემოთ ხსენებულ ბეშქენ გურიელისა და ბეშქენ ვარდანისძის იგივეობის პინგოროვასეულ თვალსაზრისთან.

გურიის ერისთავები ვარდანისძეთა საგვარეულოს რომ ეკუთვნოდნენ, ამის შესახებ ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებდა. მისი აზრით, 1361 წელს მეფემ, ბაგრატ V-მ ვარდანისძეს სვანთა ერისთავობა ჩამოართვა და გურიის ერისთავად დასვა<sup>12</sup>. ვახუშტის მიერ ნაჩვენები თარიღი, როგორც თბერაძემ ცხადჰყო, სანდო არ არის<sup>13</sup>, თუმცა გურიის ერისთავებად, რომ ერთ ხანს ვარდა-

<sup>10</sup> ადმისავლეთ საქართველოში მანდატურთუხეცესის მოედი XIV საუკუნის განმავლობაში სამცხის ოთაბაგების, ჯაფულების ხელში იყო (იხ. აქვ. ორი მანდატურთუხეცესი XIV ს. საქართველოში).

<sup>11</sup> იხ. ბერაძე, 1983, გვ. 28; ბერაძე, 1999, გვ. 142-143.

<sup>12</sup> ვახუშტი, გვ. 261.

<sup>13</sup> იხ. ბერაძე, 1983, გვ. 28; ბერაძე, 1999, გვ. 143.

ნისძეთა გვარის წარმომადგენლები ისხდნენ, ეს



გზითაც დასტურდება.

ვარდანისძეთა გვარიდან გურიის პირველი ერისთავი, ჩანს, ბეშქენი იყო, რომელიც გურიაში შესრულებულ წარწერებში გურიელად (იგივე გურიის ერისთავად) იწოდება.

ბეშქენ ვარდანისძეს უნდა ჩამოეტანა სვანეთიდან გურიაში ვარდანისძეთა საგვარეულო ხატები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ჯუმათისა და ლიხაურის ეპლესიებში ესვენა. ჯუმათის საეპისკოპოსო ტაძარში ინახებოდა სვანთა ერისთავის, ვარდან ვარდანისძის (XI ს.) ნაქონი წმინდაგის ხატი. ხატის თანადროული წარწერა ვარდან ვარდანისძეს იხსენიებს, გვიან ამოკვეთილი კი ბეშქენ გურიელს. ჯუმათშივე ინახებოდა ივანე სვანთა ერისთავის (XII ს.) კუთვნილი გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი, რომლის ძველ წარწერაში ივანე სვანთა ერისთავი იხსენიება, გვიანდელში კი კახაბერ გურიელი. ლიხაურის ეკლესიაში ესვენა მარტინ ვარდანისძის ნაქონი წმინდასის ხატი<sup>14</sup>.

ბეშქენ ვარდანისძის შემდგომი გურიის ერისთავი უნდა ყოფილიყო ზარზმის ტაძრის ფრეხებაზე გამოსახული „ერისთავთ-ერისთავი, მსახურთუხეუცესი, სუანთ ერისთავი სუიმონ გურიელი“<sup>15</sup>. ეს უკანასკნელი გამოსახულია ბექა (+1309), სარგის (+1334) და უვარუევარე (+1361) ჯაყელების გვერდით<sup>16</sup>. ს.კაკაბაძის აზრით, სვიმონ გურიელი ერისთავობდა XIV საუკუნის 40-იან – 50-იან წლებში<sup>17</sup>,

<sup>14</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 99, 218, 220; მესხია, 1979, გვ. 123-124.

<sup>15</sup> თაყაიშვილი, 1905, გვ. 44; ბერიძე, 1955, გვ. 133.

<sup>16</sup> ბერიძე, 1955, გვ. 133-134.

<sup>17</sup> კაკაბაძე, სმ, II, 1925, გვ. 240-242.



პინგოროვას შეხედულებით, 1350–1370 წლებში<sup>18</sup>. თევკაშვარი  
ვითვალისწინებოთ ზარზმის ჯგუფურ პორტრეტზე სჭირდნ  
გურიელთან ერთად გამოსახულ ჯაყელთა ქრონილო-  
გიას, აგრეთვე იმას, რომ ფრესკების შესრულების დროს  
ანუ ყვარევარე ჯაყელის მოღვაწეობის ხანაში სვიმონ  
გურიელი ჟავა აღარ არის ერისთავი და ბერად არის  
აღკვეცილი (დახატულია ბერის ნოხაში)<sup>19</sup>, ს.კაკაბაძის  
მოსახრება უფრო მისაღები ჩანს.

სვიმონ გურიელი, როგორც პინგოროვა ვარაუდობს,  
ვარდანისძეთა გვარის წარმომადგენელი უნდა ყოფილი-  
ყო<sup>20</sup>.

1372 წ. ტრაპიზონელი ავტორის, მიქელ პანარეტოსის  
ქრონიკაში დახახელებულია გურიელი სახელის გარეშე<sup>21</sup>.

ამრიგად, დღეისათვის უცნობია თუ რომელ საგვა-  
რეულოს ეპუთვნოდნენ გურიის პირველი ერისთავები.  
XIV საუკუნის დახატვისიდან გურიის ერისთავები ვარდა-  
ნისძეთა გვარის წარმომადგენლები ჩანან.

XIV საუკუნის 80-იან წლებში გურიის ერისთავობა  
ოდიშელ დადიანთა გვერდითმა შტომ მოიპოვა და სათავე  
დაუდო გურიელთა ახალ დინასტიას, რომელიც ამ მხა-  
რეს 1828 წლამდე განაგებდა.

დადიანთა გვარის წარმომადგენელი გურიის ერისთა-  
ვად ანუ გურიელად პირველად XIV საუკუნის 80-იან  
წლებში ჩანს. ამის შესახებ იუწყება ჯუმათის ტაძრის  
გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის წარწერა, რომელიც  
ასე იკითხება: „...მთავარანგელოზო გაბრიელ, მეოს და  
მფარველ ექმენ ამა სოფელსა და მერმესა საუკუნესა

<sup>18</sup> ინგოროვა, 1963, გვ. 586.

<sup>19</sup> თავაიშვილი, 1905, გვ. 44.

<sup>20</sup> ინგოროვა, 1963, გვ. 586.

<sup>21</sup> პანარეტო, 1960, გვ. 40; იხ. აგრეთვე, გვორგია, 1967, გვ. 205.



პატრონთ ერისთავთ-ერისთავს დადიანს გიორგის სახელმწიფო მუზეუმში მათსა რუსეთის და ძველი მათთა მანდაბურთუხუცესსა ვამჟეს და გურიელსა კახაბერსა, რომლისა ბრძანებითა მოიქვედა... უსე ხატი გაბრიელისა<sup>22</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია გარევმულია, რომ მოტანილ წარწერაში მოხსენიებული გიორგი დადიანი არის თვითი ერისთავი გიორგი II, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, გარდაიცვალა 1384 წ.<sup>23</sup>

აღსანიშნავია, რომ წარწერა შესრულებულია გიორგი დადიანის სიცოცხლეში, რაზედაც მიუთითებს გამოთქმა: „მეოს და მფარველ ექმენ ამა სოფელსა და მერმესა მას საუკუნესა“. ევდოქის ასეთ ფორმას მიმართავდნენ მხელოდ მაშინ, როდესაც საუბარი ეხებოდა ცოცხალ პიროვნებას. აქედან გამომდინარე, კახაბერ დადიანი გურიელი ანუ გურიის ერისთავი გახდა 1384 წლამდე, მაშინ გარდაცვალებამდე. ამ კახაბერ გურიელთან აიგივებენ ლიხაურის დვითისმთხობლის ხატის წარწერაში მოხსენიებულ პატრონ კახაბერს („ყოვლად წმიდაო, მეოს და მფარველ ექმენ პატრონსა კახაბერს და მისსა მეუდღეს საგნექს“)<sup>24</sup>. მოტანილ წარწერას მისი პირველი გამომცემელი და ინტერპრეტატორი დ.ბაქრაძე 1352 წლით ათარიღებდა<sup>25</sup>, რაც გაიზიარეს ეთაყაიშვილმა<sup>26</sup> და ქ.ჩხატარაიშვილმა<sup>27</sup>. აღნიშნული დათარიღება, როგორც გაუგებრობით გამოწვეული, სავსებით დასაბუთებულია უარყოთ-უორდანიამ<sup>28</sup> და მისი არგუმენტების დამაჯერებლობა

<sup>22</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 221.

<sup>23</sup> ვახუშტი, გვ. 803; ბაქრაძე, 1987, გვ. 225; კაკაბაძე, 1914, გვ. 11.

<sup>24</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 99; თაყაიშვილი, 1907, გვ. 81.

<sup>25</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 99.

<sup>26</sup> თაყაიშვილი, 1907, გვ. 81.

<sup>27</sup> ჩხატარაიშვილი, 1990 (II), გვ. 142.

<sup>28</sup> ქრონიკები, II, გვ. 183.

გაიზიარა ოსმალეთიამ<sup>29</sup>. ამასთან დაკავშირებით დაკავშირდა იმასაც, რომ თუ გავაიგივებთ ჯუმათის გაბრიელ მთავარ-ანგლოზის ხატის წარწერის კახაბერ დადიანს და ლო-ხაურის ხატის წარწერის პატრონ კახაბერს, მაშინ ამ უკანასკნელი წარწერის ბაქრაძისეული დათარიღება (1352) უნდა უარვყოთ, ვინაიდან კახაბერ დადიანი მამის, გო-ორგი II-ის გარდაცვალებამდე 32 წლით ადრე ერის-თავობას ვერ გასწევდა მცირებლოვანების გამო.

ამრიგად, კახაბერ გურიელის ერისთავობის ხანა XIV საუკუნის 80-იან – 90-იანი წლებით უნდა შემოიფარგ-ლოს.

შემდგომ გურიელად დადიანთა გვარიდან უნდა მი-ვიჩნიოთ ჯუმათის ტაძრის მიქაელ მთავარანგელოზის ხატის ერთ უთარიღო წარწერაში მოხსენიებული „ერის-თავთ-ერისთავი და სუანთა ერისთავი გიორგი გურიელი“. აღნიშნული წარწერა ასე იკითხება: „ქ.ქალთა მთავარო მიქაელ, მეოს ექმენით მამკობსა შენსა ერისთავთ-ერის-თავსა და სუნათა ერისთავსა გიორგი გურიელსა, ლომასა და მეუღლესა... დედოფალთ დედოფალსა...“<sup>30</sup> ლომა, რო-მელიც გიორგი ვურიელის შემდეგაა დასახვლებული, კონტექსტის მიხედვით, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ამ უკანასკნელის შვილი. ამასთან დაკავშირებით უუ-რადღებას იქცევს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთი ადამი, რომელიც დაწესებულია ლომა დადიან-გუ-რიელისა და მისი თანამეცხედრის აღუსაჯანის სახელ-ხე<sup>31</sup>. აღაპი XV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდე-ბა<sup>32</sup>.

<sup>29</sup> ხოსტია, 1954, გვ. 118-119.

<sup>30</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 220.

<sup>31</sup> მეტრევალი, 1962, გვ. 77, 85, 91.

<sup>32</sup> მეტრევალი, 1962, გვ. 27, 141.



ლომას წინამორბედის, გიორგის ერისთავობის ხელმისაწვდელი ბუნებრივია, აღნიშნული საუკუნის პირველი ათწლეულები მივიჩნიოთ. ამას ირიბად ემოწმება 1408 წელს გაცემული ცირდილასძეთა სახისხლო სიგელი, სადაც იხსენიება „სვანთ ერისთავი გურიელი“<sup>33</sup>. ერთმანეთს ემთხვევა ზემოთ მოტანილი წარწერის გიორგი გურიელისა და სახისხლო სიგელის უსახელო გურიელის არა მარტო მოღვაწეობის ქრონლოგია, არამედ თანამდებობრივი მდგომარეობაც: ორივე წყაროს მიხედვით გურიელი ამავე დროს არის სვანთა ერისთავიც.

უნდა ითქვას, რომ ლომას „დადიან-გურიელობა“ არ შეიძლება მივიღოთ იმის მოწმობად, რომ ის თავის ხელში აერთიანებდა დადიანებისა და გურიელების საგამგებლო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს – ოდიშისა და გურიის საერისთავოებს. XIV ს. ოდიშის ერისთავთა რიგი კარგადაა ცნობილი და აღნიშნული პიროვნებისათვის იქ ადგილი არ რჩება. ამიტომ ლომას დადიან-გურიელობა იმის მაუწყებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ ის იყო გურიის ერისთავი (გურიელი) და გვარით დადიანი.

ლომა გურიელის გვარით დადიანობა, თავის მხრივ, არკვევს მისი მამის, გიორგი გურიელის გვარსაც და მოღვაწეობის დროსაც. ამ უკანასკნელის მამისშვილობა წყაროებში მოთითებული არ არის. ის შეიძლება მივიჩნიოთ კახაბერ დადიანის მემკვიდრეობა, რომელმაც, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ქართულ სინამდვილეში, თავის შვილს პაპის სახელი (გიორგი) დაარქვა.

ლომა დადიან-გურიელის მომდევნო ერისთავი ჩანს გიორგი გურიელი, რომელიც თანამეცხედრებსთან, დედოფლად ელენესთან და შვილებთან (მამია და ქვიშაბადი)

<sup>33</sup> საქართველოს სიცელენი, III, გვ. 434-435; კაქაბაძე, 1913(I), გვ. 4-5.



ერთად იხსენიება ლიხაურის სამრეკლოს კედლის, მათის მიქაელ მთავარანგელოზის, შემოქმედის მაცხოვრის, ბაილეთის წმ.თევდორეს ხატების, ბაილეთისა და შემოქმედის ჯვრების წარწერებში<sup>34</sup>. ყველა წარწერა უთარიდოა. მართალია, დაბაქრაძემ ლიხაურის სამრეკლოს წარწერა 1422 წლით დაათარიღავს, მაგრამ თ.ეორდანიაშ ამგვარი დათარიღების უსაფუძვლობაზე მართებულად მიუთითავს<sup>35</sup>. გიორგი გურიელის დროს შეიქმნა შემოქმედის საეპისკოპოსო კათედრა<sup>36</sup>. ეს ფაქტი ქრისტიანობის გურიელის მოდგაწეობის ხანას (მიხი ერისთავობის დროს შემოქმედში საეპისკოპოსო კათედრა უკვე არსებობდა) – XV საუკუნის 60-იან წლებს (ამაზე იხ.ქვემოთ).

1463 წლით დათარიღებულ ორალელისძე-ქვიტაშვილთა ხახისხლო ხიგელში იხსენიება ლიპარიტ დადიანის ძე მამიძ გურიელი<sup>38</sup>. აქ დასახელებული ლიპარიტ დადიანი სხვა წყაროებითაც კარგად ცნობილი ოდიშის ერისთავი ლიპარიტ პირველია, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1470 წელს გარდაიცვალა<sup>39</sup>. მამიძ გურიელი (დამახინჯებული ფორმით „მანია“) იხსენიება 1460 წელს ხაჭართველოდან ევროპაში ჩახუდი ელჩების მოხსენებაშიც<sup>40</sup>.

როგორც ვხედავთ, გურიის ერისთავთა ის რიგი, რომელიც XIV საუკუნის 80-იან წლებში ქახაბერ დადიანი-

<sup>34</sup> ბაქრაძე, 1987, ვ.3, 98-130.

<sup>35</sup> ପ୍ରକାଶ ନାଥ, ୩୩-୩୫ ମେ

<sup>37</sup> წხატარიაშვილი 1990 (II) ა. ა. 142-143.

<sup>38</sup> *Ibid.* III no. 426.

39 *askm<sup>3</sup>s. o. o.* 806

<sup>40</sup> *Советское право*, 1982, № 292, 294.



XV საუკუნის 60-იან წლებში, კერძოდ, 1463–1465 წლების ამბების აღწერაში ვახუშტი ბაგრატიონი იხსენიებს კახაბერ გურიელს, რომელიც, მიხივე ცნობით, 1483 წელს გარდაიცვალა<sup>41</sup>. ზემოთ აღნიშნულ სახისხდო ხიგელში მამია გურიელის მოხსენიების თარიღი (1463 წ.) იმდენად ახლოსაა კახაბერ გურიელის სამოღვაწეო ახარეზზე გამოჩენის ვახუშტის მიერ ნაჩვენებ დროსთან, რომ კახაბერი სრული უძრაველობით მამიას მომდევნო ერისთავად უნდა მივიჩნიოთ.

კახაბერ გურიელის შესახებ ცნობას გვაწვდის შემოქმედის მაცხოვრის ხატის წარწერაც, სადაც ნათქვამია: „ხატო დვთაებისა, მეოს და მფარველ ექმენ ერისთავოურისთავსა და სვანთა ერისთავსა გურიელს კახაბერს და თანამეცხელრესა მისსა ანას დედოფალსა და ზურგისა მომჟედელსა და მომჟრელსა და დავასვენეთ ხატი ესე სამიტროპოლიტოსა ხარისხსა ზედა შემოქმედს“<sup>42</sup>. ამ წარწერის კახაბერ გურიელს ოსთხელია და ქნებატარაიშვილი<sup>43</sup> აიგივებენ იმ კახაბერ გურიელთან, რომელიც ვახუშტის ზემომოტანილი ცნობით 1483 წელს გარდაიცვალა. ასეთ იდენტიფიკაციას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ კახაბერ გურიელის დროს, როგორც მოყვანილი წარწერიდან ჩანს, შემოქმედში უკვე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა, რომლის შექმნა XV საუკუნის პირველ ნახევარში თავსდება<sup>44</sup>. კახაბერ II გურიელის ერისთავობა, როგორც ჩანს, უწყვეტი არ ყოფილა. როგორც ქვემოთ

<sup>41</sup> ვახუშტი, გვ. 808.

<sup>42</sup> ბროხე, 1850, გვ. 183. იგივე წარწერა ნაკლები სახით გამოაქვეყნა დაქრადებ (იხ. ბაქრაძე, 1987, გვ. 129).

<sup>43</sup> სისხლი, 1954, გვ. 134, სქ. 2; წხატარაიშვილი, 1990 (II), გვ. 141.

<sup>44</sup> წხატარაიშვილი, 1990 (II), გვ. 143.



დავინახავთ, 1470–1475 წლებში გურიისა და სვანთა მმართველობას თავობას ოდიშის ერისთავი, შამაღავლა დადიანი არაგვის სებდა. ამ პერიოდში კახაბერ II ხელისუფლებას ჩამოშორებული კოფილა.

კახაბერის შემდგომი გურიის ერისთავების თანმიმდევრობა და ქრონილოგია კარგადაა ცნობილი<sup>45</sup>. კახაბერის შემდეგ, 1483–1512 წლებში ერისთავის ტახტზე იჯდა მისი ძე გიორგი<sup>46</sup>. ეს უკანასკნელი 1488 წელს გაცემულ ფალავანდიშვილთა სახისხლო სიგელში იხსენიება როგორც დადიან-გურიელი<sup>47</sup>. სიგელში არსებული რეალიები აშკარად მოწმობებს იმას, რომ გიორგი დადიან-გურიელის საგამგებლოს შეადგენს მხოლოდ გურია<sup>48</sup>. ამ შემთხვევაშიც იგივე ვითარებაა, რაც ლომა დადიან-გურიელთან. დადიანობა აღნიშნავს გიორგის გვარიშვილობას, გურიელობა გამოხატავს თანამდებობრივ მდგომარეობას. ვახუშტი ბაგრატიონისა და სახისხლო სიგელის მონაცემების შეჯერება უჩვენებს, რომ გიორგი გურიელი გვარით დადიანია. ამით ნათელი ხდება მისი მამის, კახაბერ გურიელის გვარიც.

კახაბერ გურიელის მამისშვილობაზე წყაროები პირდაპირ არაფერს გვეუბნებიან. ის მამია გურიელის ძე ან, როგორც ქნეატარაიშვილი ვარაუდობს მისი ძმა და ლიკარიტ დადიანის ძე უნდა ყოფილიყო<sup>49</sup>. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: მამია, კახაბერი და გიორგი გურიელები გვარით დადიანია.

<sup>45</sup> სოსელია, 1990, გვ. 134–140.

<sup>46</sup> ვახუშტი, გვ. 808.

<sup>47</sup> კაქაბაძე, სმ, II, 1924, გვ. 24–25.

<sup>48</sup> კაქაბაძე, სმ, II, 1924, გვ. 27.

<sup>49</sup> სხატარაიშვილი, 1990 (II), გვ. 142.



გიორგი ქახაბერის ძის შემდგომ, 1512–1533 წლებში გურიის ერისთავი იყო მამია<sup>50</sup>. მართალია, წეროებს შინი მამის სახელი არ შემოუნახავთ, მაგრამ ის დადიანთა გვართან და წინამორბედ გურიის ერისთავებთან პირდაპირი ნათესაური ხაზით რომ არის დაკავშირებული, ეს უმჯობესია. ამის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ მამიას ძე, როსტომ გურიელი (1533–1564) ოდიშში, დადოანების საბატონოში სამეგვიდრეო მამულს ფლობდა<sup>51</sup>. როსტომ მამიას ძის შემდგომი გურიელები გურიის უპანახანელი მთავრის ჩათვლით მისი პირდაპირი შთამომავლები არიან<sup>52</sup>.

უმჯობესივე ზემოთქმულის საფუძველზე XIV–XVI საუკუნეებში დადიანთა საგვარეულოს გურიის შტო ასე წარმოგვიდგება:

გიორგი II დადიანი  
ოდიშის ერისთავი  
(გარდ. 1384 წ.)

---

|  
ქახაბერ I (გიორგი II დადიანის ძე)  
თანამეცხედრე სავჩუქ  
(≈XIV ს. 80-90-იანი წლები)

|  
გიორგი I [ქახაბერ I-ის ძე]  
სვანთა ერისთავი

|  
ლომა [გიორგი I-ის ძე]  
თანამეცხედრე ადუსაჯან

XV ს.  
I ნახ.

|  
გიორგი II [ლომას ძე]  
თანამეცხედრე ელენე, შვილები:  
მამია, ქვიშობად

<sup>50</sup> სოხუმი, 1954, გვ. 134.

<sup>51</sup> ქაკაბაძე, 1921 (I), გვ. 16; ქაკაბაძე, სტ II, 1924, გვ. 27.

<sup>52</sup> სოხუმი, 1954, გვ. 134-140

ლიპარიტ I დადიანი  
ოდიშის ერისთავი  
(გარდ. 1470 წ.)

|  
მამია I (ლიპარიტ I დადიანის ძე)  
(. . . 1460-1465)

|  
ქახაბერ II [მამია I-ის ძე]  
სვანთა ერისთავი  
თანამეცხდრე ანა  
(1465-1470)  
(1475-1483)

|  
შამადავლა [ოდიშის ერისთავი,  
გურიელი და სვანთა ერისთავი]  
(1470-1475)

|  
გიორგი III (ქახაბერ II-ს ძე)  
(1483-1512)

|  
მამია II [გიორგი III-ის ძე]  
(1512-1533)

|  
როსტომ (მამია II-ის ძე)  
(1533-1564)



საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში ვლაშერნისად წოდებული წმ.ღვთისმამდლის ხატები, როგორც ისტორიული მატიანებები იუწებიან, საუკუნეების მანძილზე ესვენა ბედის, ქუთაისისა და ქვათახევის ტაძრებში (იხ. შენიშვ. 1). ის გარემოება, რომ წმ.ხატის სახელდებაში ვლაშერნი ფიგურირებს, მიუთითებს მის წარმომავლობით კავშირზე მართლმადიდებლური სამყაროს სასულიერო ცენტრის, კონსტანტინეპოლის ერთ-ერთ უბანთან, რომელსაც ვლაშერნი ერქვა. კვარტალს ვლაშერნის სახელწოდებით ბიზანტიის დედაქალაქის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეჭირა. მის ფარგლებში იყო მოქცეული ე.წ. „ოქროს რქაც“ ზღვის პირად. ვლაშერნი მთელ საქრისტიანოში ცნობილი იყო თავისი ეკლესია-მონასტრებითა და მათში დაგანხებული სიწმინდეებით. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ვლაშერნის წმ.ღვთისმამდლის დიდი ეკლესია (იხ. შენიშვ. 2), რომელიც 451 წელს ბიზანტიის კეისრის, თეოდოსი უმცროსის დის, კეთილმორწმუნებულებრიას თაოსნობით აშენდა „ოქროს რქის“ სიღრმეში, ზღვის პირად (იხ. შენიშვ. 3). პულხერიას მიერ აშენებული ეკლესია მრგვალი ფორმის ე.წ. მარტინის ტიპისა იყო. შემდგომში, V საუკუნის მეორე ნახევარსა და VI საუკუნეში ეკლესია გააფართოვეს, მიაშენეს ორი ეკვდერი, მიუმატეს ორი აბსიდა და დაამშვენეს მარმარილოს კოლონებით. ტაძარმა საბოლოოდ ჯვრის ფორმა მიიღო, მის ერთ ეკვდერში იდგა ლუსკუმა, სადაც ჩახვენებული იყო წმ.ღვთისმამდლის სამოსელი (კვართი), სარტყელი და სკუფია. მეორე ეკვდერში იყო წმ.ემბაზი. ემბაზზე ესვენა წმ.ღვთისმამდლის ხატი. იქვე, მარცხნივ – მარმარილოსა-



გან გამოკვეთილი ვერცხლით დაფერილი გამოსახულებისა, წმ.ღვთისმშობლისა და ასევე წმ.ღვთისმშობლისავე შარმარილოს ბარილიეფი, რომლის ხელებიდან გადმოსული წმ.წყალი ემბაზში იღვრებოდა.

ამ ტაძარში ესვენა, აგრეთვე, უფლის ძმის, იაკობისა და ზაქარია წინასწარმეტყველის წმ.ნაწილები, მრავალი წმ.ხატი.

ვლაქერნის ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე იქთ წმ.ღვთისმშობლის სამოსელი, რომელიც 474 წელს პალეხტინიდან კონსტანტინეპოლიში ჩამოაპრძანეს და ამ ეკლესიაში დასვენებული ბიზანტიის იმპერატორის ლეონ ლიილის (457-474) კარისკაცებმა გადაიუსმა და კანდიდმა. ვლაქერნის ტაძარში წმ.სამოსლის დადგების დღესასწაულს ანუ ვლაქერნობას მართლმადიდებელი ეკლესიები, მათ შორის საქართველოს ეკლესია, 2 ივლისს (ახ. ხტო 15 ივლისს) დიდი ზეიმით აღნიშვნავს (იხ. შენიშვ. 4). წმ.სამოსლის სასწაულებრივმა ძალამ აღყაში მოქცეული კონსტანტინეპოლი თრჯერ (626 წ. და 860 წ.) იხსნა წარმართების მხრიდან განადგურებისაგან.

ვლაქერნის ტაძრის მთავარ სიწმინდეებს, რომლებმაც მას ფართოდ გაუთქვეს სახელი მთელ ქრისტიანულ სამყაროში, წარმოადგენდა წმ.ღვთისმშობლის მოზაიკური გამოსახულება საკურთხევლის კედელზე და მიხივე სასწაულებრივი (ნიშვნანი) ხატი. ამ ხატზე გადმოფენილი საფარველი ყოველ პარასკევს სასწაულებრივად ზევით აიწეოდა და წმ.ღვთისმშობლის სახება იხს გაბრწყინდებოდა, თითქოს თვით ღვთისმშობლი „ხტუმრებოდა“ ხატე<sup>1</sup>. ამ სასწაულის გამო მას „ნიშვნან ღვთისმშობელს“ უწოდებენ.

<sup>1</sup> ვრცლიდ იხ. კონდაქო, 1915, გვ. 107-123.



ვლაქერნშივე, წმ.დვთისმშობლის გკლეხის მახლობლების  
ლად იდგა იმპერატორების საზაფხულო სასახლე. კეისარ  
იუსტინე უფროსის (518-527) დროიდან დამკვიდრდა ტრა-  
დიცია ამ სასახლიდან ვლაქერნის წმ.დვთისმშობლის  
ტაძრისკენ იმპერატორისა და მისი კარისკაცების საზემო  
მსვლელობისა წმ.წყაროში განსაბანად<sup>2</sup>. ვლაქერნის სა-  
სახლე ჯვაროსნების მიერ დიდი საიმპერატორო სასახ-  
ლის დანგრევის (1204 წ.) შემდეგ ბიზანტიის იმპერატო-  
რების მთავარი რეზიდენცია გახდა, ხოლო ვლაქერნის  
წმ.დვთისმშობლის ტაძარმა აია-სოფიას ადგილი დაიმ-  
კვიდრა<sup>3</sup>.

ვლაქერნის წმ.დვთისმშობლის ტაძარი 1434 წელს  
ხანძარმა შთანთქა. მასთან ერთად განადგურდა წმ.დვთის-  
მშობლის მოზაიკური გამოსახულება. ხანძრისგან ისესნეს  
წმ.დვთისმშობლის სამოსელი, რომლის ნაწილები შემდ-  
გომში სხვადასხვა ქვეყნების ეკლესიებში აღმოჩნდა. მრა-  
ვალი სიწმინდე უკვალოდ დაიკარგა. ხატის სახელდებაში  
„ვლაქერნის დვთისმშობელი“ – მინიშნებულია ადგილსამ-  
ყოფელი იმ სახებისა, რომელიც გახდა პირველწყარო ანუ  
პროტოტიპი ამ სახელწოდებით ცნობილი ხატებისა სა-  
ქართველოსა და სხვა ქვეყნებში. ესაა წმ.დვთისმშობლის  
დიდი ეკლესია კონსტანტინეპოლის ვლაქერნის „ებანში.

აღნიშნულ სახელდებაში ნაგულისხმევია, აგრეთვე,  
წმ.დვთისმშობლის იკონოგრაფიის გარევეული ტიპი, რო-  
მელიც იდენტური ან მსგავსია ვლაქერნის ტაძარში და-  
ცელი წმ.დვთისმშობლის გამოსახულებისა. ცნობილია,  
რომ საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანულ ხატწერულ  
ხელოვნებაში ჩამოყალიბდა წმ.დვთისმშობლის იკონოგრა-  
ფიის სხვადასხვა ტიპი: ოდიგიტრია („გზის მაჩვენებელი

<sup>2</sup> კონდაკოვი, 1887, გვ. 18; კონდაკოვი, 1915, გვ. 56.

<sup>3</sup> კონდაკოვი, 1915, გვ. 60-61.

დედა“); კედრები („აგიოსოროტისა“); აღწვილება („აღლუმი ფილუსა“, ზოგჯერ „ელეუსასაც“ უწოდებენ)<sup>4</sup>, ორჭხუბ („მეოხი“)<sup>5</sup> და ა. შ.

სპეციალურ ლიტერატურაში ვლაქერნის ღვთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპის განსაზღვრაში ჯერ კიდევ არ არის შეტანილი სრული სინათლე, მაგრამ ერთი რამ უდაო ფაქტია: წმ.ღვთისმშობლის გამოსახულება, რომელსაც XI საუკუნის ბიზანტიურ<sup>6</sup> და ქართულ<sup>7</sup> მონეტებზე მიემართება სახელწოდება „დედა ღვთისა ვლაქერნისა“, ორანტის ტიპისაა. მათზე წმ.ღვთისმშობელი წარმოდგენილია ნახევარი ტანით, მხრების სიმაღლეზე ზეაწეული ხელებით; ბედის მთავარ ხატზე, რომელსაც „ვლაქერნის ღვთისმშობელი“ უწოდება, ყოვლადწმინდა მარიამი წარმოდგენილია ნახევარი ტანით, ზეაღმართული ხელებით, მკარდზე ქისტე ემანუელის შედალიონით. ეს იკონოგრაფიული სახესხვაობა „ნიშოვანი (სახწაულებრივი) ღვთისმშობლის“ სახელწოდებით არის ცნობილი<sup>8</sup>.

ორანტის ტიპი წმ.ღვთისმშობლის გამოსახულება ადრეული ქრისტიანობის წიაღიდან იღებს სათავეს და თავისი გენეზისით ამაღლების კომპოზიციას უკავშირდება<sup>9</sup>. ქრისტიანობის ადრეული საუკუნეებიდან (ხატმებრძოლების წინა დროიდან) მოღწეულია მრავალი ბიზანტიური საბეჭდავი და ბულა წმ.ღვთისმშობლის აღნიშნული ტიპის გამოსახულებით<sup>10</sup>. ორანტაშ განსაკუთრებით ფარ-

<sup>4</sup> ლაზარევი, 1971, გვ. 276-313.

<sup>5</sup> ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1882, გვ. 48-55; კონდაქოვი, 1887, გვ. 63-75.

<sup>6</sup> კონდაქოვი, 1887, გვ. 63; ლიხაჩივი, 1911, გვ. 49; შამბა, 1987, გვ. 108.

<sup>7</sup> პახომიევი, 1970, გვ. 63.

<sup>8</sup> ჭიჭინაძე, 2003, გვ. 79-82.

<sup>9</sup> კონდაქოვი, 1914, გვ. 60-100.

<sup>10</sup> ლიხაჩივი, 1911, გვ. 51.



თო გავრცელება პერიოდა IX-XIII სს. ბიზანტიურ მონასტერებისა ზე, გემებსა და საბეჭდავებზე<sup>11</sup>. წმ.ღვთისმშობლის გამოხატვის სახელების ეს იკონოგრაფიული სახესხვაობა პოპულარული იყო საქართველოშიც. ვლაძერნის წმ. ღვთისმშობლის აღნიშნული ხატება გამოსახულია XI საუკუნის ქართულ მონეტებზეც, კერძოდ, ბაგრატ IV-ის (1027-1072), გიორგი II-ის (1072-1089) და დაგოთ აღმაშენებლის (1079-1125) სახელით მოჭრილ ვერცხლის ფერებზე<sup>12</sup>. გიორგი II-ის ერთ-ერთ მონეტაზე წმ.ღვთისმშობლის გამოსახულებას ახლავს ბერძნული ზედწერილი: „დედა ღვთისა ვლაძერნისა“<sup>13</sup> წმ.ღვთისმშობლის გამოსახულებას ორანტის სახით წარმოგვიდგენენ: ახიზის საეპისკოპოსო ტაძრის საკურთხევლის მოზაიკური კომპოზიცია<sup>14</sup>; ხატების ხატის მედალიონი (IX ს.); მარტვილის გულსაკიდი ჯვარი (X ს.); ვარძიისა და მარტვილის (X-XI სს.) ხატების მედალიონები; ვერცხლის ჯვარი უშგულიდან (XI-XII სს. მიჯნა); ქიანის სამწერობელი (X ს. I ნახ.)<sup>15</sup>; გელათის მოზაიკური და ზარზმის ფერწერული ფრესკები<sup>16</sup>.

ფართოდაა წარმოდგენილი, აგრეთვე, „ნიშვანის“ სახელწოდებით ცნობილი ვლაძერნის ღვთისმშობლის გამოსახულება XI-XII სს. ბიზანტიურ მონეტებსა და საბეჭდავებზე<sup>17</sup>.

ვლაძერნის ღვთისმშობლის ეს იკონოგრაფიული სახესხვაობა (ე.წ., „ნიშვანი“) წარმოდგენილია ჩვენშიც, კერ-

<sup>11</sup> კონდაკოვი, 1915, გვ. 68-70.

<sup>12</sup> კაპანაძე, 1969, გვ. 65; პახომოვი, 1970, გვ. 70-71; შამბა, 1987, გვ. 98-101; დუნდუა, 1992, გვ. 18-26; სილოგავა, 2005, გვ. 227-252.

<sup>13</sup> პახომოვი, 1970, გვ. 63.

<sup>14</sup> სხირტლაძე, 1991, გვ. 154-160.

<sup>15</sup> დუნდუა, 1992, გვ. 115-125.

<sup>16</sup> კონდაკოვი, 1887, გვ. 21; კონდაკოვი, 1915, გვ. 83.

<sup>17</sup> კონდაკოვი, 1914, გვ. 107-123.



ძოდ, ლაგურებისა (კალას თემის წმ.კვირიკესა და ფაფულის ტაძრისა) და ლახუშტის (ლატალის თემი) ეკლესიების ხატებზე<sup>18</sup>.

როგორც ითქვა, ვლაქერნის წმ.ღვთისმშობლის ხახელწოდებით ხევადასხვა ქრისტიანულ ქვეყნებში გავრცელებული ხატები შექმნილია კონსტანტინეპოლის ვლაქერნის უბანში მდებარე წმ.ღვთისმშობლის ტაძარში არსებული ხატისა და მოზაიკური გამოსახულების მიხედვით. საქართველოს ეკლესიაში საუკუნეების განმავლობაში პატივდებული ბედის, ქვათახვის, ქუთაისის და ა.შ. ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატებიც კონსტანტინოპოლიტი პოოტოტიკის მიხედვით შესრულებული ასლებია.

ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი ბედის საკათედრო ტაძრის მთავარი ხატი იყო. „ბედის ვლაქერნის ღვთისმშობელი“ უაღრესად ტევადი შინაარსის მომცველია. ასე აღინიშნებოდა ა) თვით ხატი, ბ) ტაძარი, რომლის მთავარი საესავი ის იყო და გ) ეპარქია, რომლის სასულიერო ცენტრს ეს ტაძარი წარმოადგენდა.

ბედის ვლაქერნის წმ.ღვთისმშობლის ხატს განუყრელად უკავშირდება კიდევ ერთი სიტმინდე – წმ.ღვთისმშობლის სარტყელი.

გადმოცემის თანახმად, წმ.ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ მისი სარტყელი თომა მოციქულის ხელში გადასულა. შემდგომ ის მორწმუნეთა ხელში თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ვიდრე იმპერატორ არკადიუსის დროს (395-408) არ გადაიტანეს იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლი. გარკვეული დროის შემდეგ წმ.სარტყელი ხალკოპრატიის (ასე ერქვა კონსტანტინეპოლის ერთ-ერთ უბანს) ღვთისმშობლის ახალაშენებულ ეკლესიაში დაასვენეს საგანგებოდ დამზადებულ ოქროს კიდობანში. აღნიშნული

<sup>18</sup> ჭიჭინაძე, 2003, გვ. 79-81.

ეკლესია ააშენებ 450 წელს იმპერატორ თეოდოსი <sup>აქატება  
მაცხოველი</sup> (408-450) დის, კეთილმოირწმუნე პელერიიას თაოსნობით კონსტანტინეპოლის ცენტრში, აია-სოფიასთან ახლოს, ავგუსტენისა და კონსტანტინეს ფორუმს შორის<sup>19</sup>. VI საუკუნის დასაწყისში არეულობის დროს წმ.სარტყელი გადაიტანებ კაპადიკიაში (ქალაქი ზილა), საიდანაც იმპერატორ თუხტინიანებ (527-565) განკარგულებით კვლავ ხალკოტატის დასავენებელს<sup>20</sup>. წმ.სარტყელის სასწაულებრივმა ძაღლამ უკურნებელი სენისაგან ისნენა ბიზანტიის დედოფალი ზოია, იმპერატორის, დეონი ფილოსოფოსისად წოდებულის (886-912) თანამეცხედრე. სნეულ დედოფალს წმ.სარტყელით პირჯვარი გადასახახ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, რამაც დედოფალი მყისიერად განკურნა. ამ სასწაულის აღსანიშნავად დაწესდა დასამშობლის პატიოსანი სარტყელის დადგების დღესასწაული ყოველი წლის 31 აგვისტოს<sup>21</sup>. პატიოსანი სარტყელის ნახვარმა ვლაქერნის დასამშობლის ხატან ერთად სამუდამო სავანე პპოვა საქართველოში.

საგანგებო განხილვას მოითხოვს აღნიშნული ხიწმინდების საქართველოში ჩამობრძანების თარიღი. წერილობითი წყაროების მიხედვით, XV ს. დასაწყისში დასავლეთ ეკროპედი პილიგრიმები ქართველებს „სარტყელის ქრისტიანების“ სახელწოდებით იცნობდნენ<sup>22</sup>, რაც „ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებული იმ წერილობითი თუ ზეპირი ტრადიციის გამოძახილი უნდა იყოს, რომელიც დასამშობლის სარტყელს მაინცდამაინც საქართველოს და ქართველებს „უკავშირებს“<sup>23</sup>. უმჯობესია, რომ ქართველი

<sup>19</sup> კონდაქოვი, 1915, გვ. 294; ხელაია, 2006, გვ. 642.

<sup>20</sup> ხელაია, 2006, გვ. 643.

<sup>21</sup> მერავიონვი, 1848, გვ. 279-280; ხელაია, 2006, გვ. 643.

<sup>22</sup> ფერაძე, 1995, გვ. 44,45,72.

<sup>23</sup> ხაზარაძე, 1999(II), გვ. 7.



ლების აღმნიშვნელი ახეთი სახელწოდების („სარტყელის  
ქრისტიანები“) გაჩენა საქართველოში არსებულ ღვთხს-  
მშობლის სარტყელთან უნდა იყოს დაკავშირებული<sup>24</sup>.  
აქედან ვამომდინარე, XV ს. დამდევისათვის ღვთისმშობ-  
ლის პატიოსანი სარტყელი უკვე საქართველოშია.

კველაზე ადრეული წერილობითი ცნობა, რომელიც  
პირდაპირ მიუთითებს ღვთისმშობლის სარტყელის არსე-  
ბობის შესახებ საქართველოში, ეკუთვნის XVII საუკუნეს.  
ეს ცნობა დაცულია ინსტრუქციაში, რომელიც მისცა  
რესეთის საგარეო საქმეების უწყებამ 1639 წ. სამეგრე-  
ლოს სამთავროში გამოგზავნილ ღესპანს ფედოტ ელჩინს.  
ამ უკანასკნელს, სხვათა შორის, დაევალა შეკრიბა ცნო-  
ბები სამეგრელოს წმ.რელიქვიებზე, მათ შორის, ღვთის-  
მშობლის სარტყელზე<sup>25</sup>.

კველაზე ადრინდევლი წერილობითი ცნობა, საიდანაც  
ჩანს, რომ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი ბედის ტა-  
ძარშია, XVI საუკუნით თარიღდება (იხ. ქვემოთ). ხოლო  
ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატისა და პატიოსანი სარტ-  
ყელის ერთობა პირველად წერილობით დაფიქსირებულია  
1805 წლით დათარიღებულ დოკუმენტში, სახელდობრ, სა-  
მეგრელოს ღეღოფლის, ნინო ბაგრატიონის წერილში რე-  
სეთის იმპერატორისადმი (იხ. ქვემოთ).

ახეთია ვითარება წერილობითი წყაროების მიხედ-  
ვით, მაგრამ არსებულა ზეპირსიტყვიერი გადმოცემა ად-  
ნიშნული რელიქვიების ბედის ტაძარში დავახების დრო-  
ისა და ვითარების შესახებ. ეს გადმოცემა პირველად  
ჩაიწერეს XIX ს. ავტორებმა და მიხი შინაარსის გარკვე-  
ული ინტერპრეტაციებიც მოგვცეს (იხ. შენიშვ. 5). აღნიშ-  
ნული გადმოცემის ინტერპრეტაციის საბოლოო შედეგები

<sup>24</sup> ხაზარაძე, 1999 (I), გვ. 259.

<sup>25</sup> ელჩინის ელჩობა, 2005, გვ. 141.



ამჟამად ასე გამოიყერება: დასახელებული რელიქვიათული საქართველოში კონსტანტინეპოლიდან ჩამოიტანა საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის თანამეცხედრებმ, ბიზანტიის კეისრის, რომანოს არგიოროსის (1028-1034) ძმისწელდა ელენემ 1031 წელს და დაასვენეს ბედიის ტაძარში<sup>26</sup>.

აღნიშნულ თვალსაზრისს მიუღებელს ხდის რამდენიმე გარემოება. ჯერ ერთი, ბაგრატ IV-ისა და ელენე დედოფლის ქორწინების თითქმის თანადროულ ქართულ და ბიზანტიურ მატიანებში („მატიანე ქართლისა“, სემბატ დავითის-ძე, გიორგი კედრენე, იოანე ზონარა) ელენე დედოფლის მიერ დასახელებული რელიქვიების საქართველოში ჩამოტანის შესახებ არაფერია ნათქამი. XVIII საუკუნის ავტორები, ვახტანგ VI თავის 1708 წელს გამოცემულ სიგელში<sup>27</sup> და ვახუშტი ბაგრატიონი (1745 წ.)<sup>28</sup>, რომლებიც ელენე დედოფლის სახელს „უკავშირებენ უფლის სამსჭვალის და ოქთის ჯვარცმის ხატის ჩამოტანას საქართველოში, არაფერს ამბობენ იმავე დედოფლის მიერ ვლაქერნის ხატის და პატიოსანი სარტყელის ჩამოსვენების შესახებ; მეორე, იხტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ბედიის საკათედრო ტაძრის მთავარი (თავი) ხატი არის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი. ასე მაგ., ბედიის ტაძრის მთავარ ხატს ასე მიმართავენ ბედიელი ეპისკოპოსები: გერმანე წხეტიძე (XVI ს.) – „კოვლად წმიდა დედოფალო, ვლაქერნის ღვთისმშობელო“<sup>29</sup>; ნიკოლოზ მხეიძე (XVII ს.) – „ბედიისა და ვლაქერნის ღვთისმშობელო“<sup>30</sup>; მესამე, ბედიის საკათედრო ტაძრის იმთავითვე წმ.ღვთისმშობლის სახელზე აშენდა. ამაზე მიუთი-

<sup>26</sup> ხაზარაძე, 1999 (II), გვ. 6-7.

<sup>27</sup> ქრონიკები, III, გვ. 26.

<sup>28</sup> ვახუშტი, გვ. 144.

<sup>29</sup> ქორდანია, 1983, გვ. 137.

<sup>30</sup> ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 297.

თებს ტაძრის სატფურების მომენტისთვის დამზადებული დარძიმის წარწერა: „წმიდაო ღვთისმშობელო, მეოქ ჟეზ  
წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა  
მათხა გურანდუხტ დედოფალსა, ამის ბარძიმისა შემწირ-  
ველთა, ამის საკურთხევლის შემამკობელთა და ამის წმი-  
დისა საყდრისა აღმაშენებელთა, ამინ“<sup>31</sup>. ის ფაქტი, რომ  
ბედის ტაძრისათვის ბარძიმის შემწირველი წმ.ღვთის-  
მშობელს მიმართავენ, მოწმობს იმას, რომ თვით ტაძარი  
წმ.ღვთისმშობლის სახელზე აგებული და იმასაც, რომ  
საყდრის მთავარი ხატი წმ.ღვთისმშობლისაა. წარწერიდან  
ისიც ჩანს, რომ ტაძრის მშენებლობა და სატფურება უპვე  
დამთავრებულია და იქვე ბრძანდება მთავარი ხატი, რომ-  
ლისადმი მიმართვით იწყებენ თხრობას თავიანთი ქველ-  
მოქმედების შესახებ მეტე და დედოფალი. ბედის ტაძრის  
მშენებლობა კი 999 წ. დასრულდა<sup>32</sup>, ბარძიმის წარწერაც  
ამ დროის კითარებას ასახავს. ასე რომ, ბედის ეკლესია  
იმთავითვე წმ.ღვთისმშობლის სახელზე აიგო, რაც თა-  
ვისთავად გულისხმობს იმასაც, რომ მშენებლობის დამ-  
თავრებისთანავე (999 წ.) იქვე დაასვენებს მთავარი ხატი  
ე.ი. წმ.ღვთისმშობლის ხატი. ბედის ტაძრის მთავარი  
ხატი კი, როგორც XVI-XVIIსს. წყაროები გვიჩვენებენ, სა-  
ხელდობრ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატია. მაშასადამე,  
ბედის ტაძრის თავი ხატი იმთავითვე ვლაქერნის ღვთის-  
მშობლისა იყო. სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებას  
ისტორიული ცნობები არ იძლევიან.

აღნიშნულ დასკვნას ეწინააღმდეგება ზეპირგადმოცე-  
მის ანალიზზე დამყარებული ზემოთ განხილული თვალ-  
საზრისი, რომლის თანახმად ვლაქერნის ღვთისმშობლის  
ხატი (პატიოსან სარტყელთან ერთად) ბედის ტაძარში

<sup>31</sup> ჩუბინაშვილი, 1940, გვ. 2.

<sup>32</sup> ქრონიკები, I, გვ. 137.



დაასვენეს 1031 წ. – ბაგრატ IV-ის და ელენეს ქორწინებული  
ბის შემდეგ. გამოდის, რომ ბედის ტაძრის მთავარი ხატი  
ტაძრის აგებიდან 30 წლის შემდეგ დაუსვენებიათ იქ, ან  
მთავარი ხატი 1031 წლამდე სხვა ყოფილა და ამ დროს  
შეუცვლიათ კლაქერნის წმ.ღვთისმშობლის ხატით. ასეთი  
რამ ყოვლად წარმოუდგენელია. ეკლესია ყველა დროში,  
როგორც წესი, ამა თუ იმ წმინდანის (ან წმინდანთა  
კრებულის) სახელზე ფუძნდებოდა. მის მთავარ ხატს  
სწორედ იმ წმინდანის (ან წმინდანთა კრებულის) ხატი  
წარმოადგენდა, ვის სახელზედაც ის აიგო. ტაძარში, ცხა-  
ლია, სხვა წმინდანთა ხატებიც ეხვენა, მაგრამ თავი ხატი  
ერთი იყო და ის არასდროს იცვლებოდა. ეკლესიაც მთა-  
ვარ ხატზე გამოსახული წმინდანის სახელზე იხსენიე-  
ბოდა (მაგ. ილორის წმ.გიორგი, ხეთის მთავარანგელოზი,  
გერგეტის სამება...). ყოველიგე ეს, კვიქრობ, საკმაო ხა-  
ფუძველს იძლევა იმისთვის, რომ უნდობლობით მოვაკი-  
დოთ ზემოთ მოტანილ თვალსაზრისს იმ ნაწილში, რომე-  
ლიც კლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ბედის მა-  
ლებიაში დასვენების თარიღს ეხება.

ამრიგად, კლაქერნის წმ.ღვთისმშობლის ხატი X ს.  
ბოლოს უკვე საქართველოში იმყოფებოდა, როდესაც ის  
ახალაშენებულ ბედის საკათედრო ტაძარში დააბრძანეს,  
როგორც მთავარი ხატი.

ბედის მთავარი ხატის ამაზე ადრინდელი ისტორია  
წერილობით წყაროებს არ შემოუხახავს, მაგრამ არაპირ-  
დაპირი მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელია  
ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა. აქ, უწინარეს ყოვლისა,  
უნდა გავითვალისწინოთ ბედის საეპისკოპოსოს დაარსე-  
ბის ისტორიული ვითარება. IX-X საუკუნეებში ეგრის-აფ-  
ხაზეთის სამეფოში ინტენსიურად მიმდინარეობს კონსტან-  
ტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ზღვის-

პირა საეპისკოპოსოების ქვეყნის ხიდრმეში გადმოტანის  
პროცესი, რასაც თან ხდევდა ეგრისის ეპლების გამოყენების  
ანგაძე დედა-ეკლესიასთან – მცხეთის საკათოლიკოსოს-  
თან. სწორედ ამ ფონზე შეიქმნა ბედიის საეპისკოპოსო.  
მემატიანე გვაუწყებს: ბაგრატ III-მ „აღაშენა საყდარი  
ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა  
მუნ გუდაჭყსა საეპისკოპოსო“<sup>33</sup>.

გუდაჭყა (აწინდელი გუდავა გალის რაიონში) ბერძ-  
ნულ წყაროებში ზიღანერსად იწოდება<sup>34</sup>. ზიღანერის საეპისკოპოსო,  
როგორც ფასიდის სამიტროპოლიტოში  
შემავალი ეპარქია, ბიზანტიურ წყაროებში VII საუკუნი-  
დან იხსენიება<sup>35</sup>. სწორედ ეს გუდაჭყა//ზიღანერის საე-  
პისკოპოსო კათედრა გადაიტანა ბაგრატ III-მ ბედიაში. ეს,  
ცხადია, გუდაჭყის საეპისკოპოსო ტაძარში დაცული ხიწ-  
მინდების მიხსავე შემცვლელ ახალ ტაძარში, ბედიაში  
გადახვენებასაც გულისხმობდა, როგორც ეს მოხდა ფასი-  
დის სამიტროპოლიტოს გაუქმებისა და მის ნაცვლად იმა-  
ვე ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსე-  
ბის დროს (XI ს. დასაწყისში), როდესაც ფასიდის სამი-  
ტროპოლიტო საყდრის – პალიასტომის ტაძრის მთავარი  
ხატი, პალიასტომის წმ.ღვთისმშობლის ხატი ქუთაისში,  
ახალაშენებულ საეპისკოპოსო ტაძარში დაახვენეს<sup>36</sup>, რო-  
გორც უკვე ამ ახალი ტაძრის თავი ხატი, რომელსაც  
ამიერიდან ასე მიმართავენ: „ქუთათისისა და პალიასტო-  
მის ღვთისმშობელო“<sup>37</sup>.

აღნიშნული ფაქტის ანალიგით, შეიძლება ვივარაუ-  
დოთ, რომ ვლაქერნის წმ.ღვთისმშობლის ხატი ბედიის

<sup>33</sup> ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 281.

<sup>34</sup> გურგაია, 1952, გვ. 413.

<sup>35</sup> იქნა გვ. 130.

<sup>36</sup> გიმურელიძე, 1987, გვ. 104; ბერაძე, 2001, გვ. 2.

<sup>37</sup> ნიკოლეიშვილი, 2001, გვ. 41, 57.



ტაძარში გუდაყვა/ზიდანეოსის ეკლესიიდან მემკვიდრეობული  
ბით მიიღო. რაც შეეხება წმ.სარტყელს, არაა გამორიც-  
ხული, რომ მისი ნახევარი მართლაც ელენე დედოფლის  
მიერ იყოს ჩატოტველოში (1031 წ.) და  
შეერთებული ბედის მთავარ ხატთან.

გუდაყვის (ზიდანეოსის) საყდარში თუ როდის შეიძ-  
ლებოდა დაბრძანებულიყო ვლაქერნის წმ.დვთისმშობლის  
ხატი, ამასთან დაკავშირებით შეიძლება ანგარიშგასაწევი  
იყო პიოსელიანის მიერ ჩაწერილი გადმოცემა, რომლის  
თანახმად ვლაქერნის წმ.დვთისმშობლის ხატი ქართვე-  
ლებს ბიზანტიის კეისარმა, ერაკლემ (610-641) უხახესოვ-  
რა<sup>38</sup>. ცნობილია, ერაკლე კეისრის განსაკუთრებული და-  
მოკიდებულება ეგრისისადმი, რომელიც მისი ძირითადი  
პლაციდარმი იყო ირანის წინააღმდეგ ხანგრძლივ ომში<sup>39</sup>.  
ბიზანტიისათვის ამ სამკვდრო-ხასიცოცხლო ომში უგრი-  
სის მოკავშირეობას კეისრისათვის დიდი მნიშვნელობა  
ჰქონდა. ამიტომ გამორიცხული არაა, რომ მოკავშირე  
ეგრისელთა კეთილგანწყობის განსამტკიცებლად ან ხუ-  
ლაც მადლიერების ნიშნად მას ასეთი ნაბიჯი გადაედგა.

ვლაქერნის წმ.დვთისმშობლის ხატი ბედის ტაძარში  
იმყოფებოდა საეპისკოპოსოს არსებობის მთელ მანძილზე  
(იხ. შენიშვ. 6). XVIII ს. 60-იან წლებში, როდესაც ბედის  
საეპისკოპოსომ ფუნქციონირება შეწყვიტა, ვლაქერნის წმ.  
დვთისმშობლის ხატი მარტვილის (ჰელნდიდის) საკათედ-  
რო ტაძარში დაასვენებს<sup>40</sup>.

აღნიშნული წმინდა ხატი XVIII ს. ბოლოს იმერეთის  
მეფის, სოლომონ II-ის ხელში მოხვედრილა. ამის თა-  
ობაზე პიოსელიანი გვაუწებს, რომ სოლომონ მეორემ

<sup>38</sup> იოსელიანი, 1866, გვ. 17.

<sup>39</sup> ალექსიძე, 1968, გვ. 203; ლომიური, 1991, გვ. 111-122.

<sup>40</sup> ხორავა, 2000, გვ. 41.

წმ.ხატი ძალით ჩამოართვა თდიშის მთავარს, გრიგოლ  
დადიანს<sup>41</sup>, ალბათ სამეგრელოში ერთ-ერთი ლაშქრის მიმდევა  
დროს. გრიგოლ დადიანის მეუღლემ, ნინო დედოფალმა  
თხოვნით მიმართა თავის გვირვანოსან მამას, ქართლ-  
კახეთის მეფეს გიორგი XII-ს (1798-1800), რათა დახმარე-  
ბოდა წმ.რელიკვიის სამეგრელოში დაბრუნების საქმეში<sup>42</sup>.  
გიორგი XII-მ იმერეთში სოლომონ მეორესთან საგანგებო  
დავალებით გაგზავნა ალექსანდრე მაყაშვილი და დავით  
აბაზაძე<sup>43</sup>. როგორც ირკვევა, სოლომონ მეორეს აღნიშნუ-  
ლი წმ.ხატი გიორგი XII-ის მოციქულებისათვის გადაუ-  
ცია, რომლებსაც ის თბილისში წაუბრდანებიათ და  
გიორგი მეფისათვის მიურთმევიათ. სამეგრელოს დედო-  
ფალმა, ნინო ბაგრატიონმა არაერთხელ სცადა წმ.ხატის  
სამეგრელოში დაბრუნება, მაგრამ ამ განზრახვისაგან მუ-  
დამ თავს იკავებდა, რაღაც არ იყო დარწმუნებული, რომ  
საამისოდ წარვლენილ პირებს სოლომონ II იმერეთის სა-  
მეფოზე მშვიდობიანად გაატარებდა.

გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წ.) შემდეგ წმ.  
ხატი მისი მემკვიდრის, დავით ბატონიშვილის ხელში  
გადავიდა. ეს უკანასკნელი 1803 წელს პეტერბურგში გა-  
დაასახლეს და წმ.ხატიც თან წაიღო<sup>44</sup>. მამის გარდაცვა-  
ლების შემდეგ ნინო დედოფალმა თბილისსა და პეტერ-  
ბურგში მრავალგზის მიმართა თავის ძმას, დავით ბატო-  
ნიშვილს წმ.ხატის სამეგრელოში დაბრუნების თხოვნით,  
მაგრამ ამაოდ. დავით ბატონიშვილი სხვადასხვა გარე-  
მოებათა მომიზეზებით ყოველთვის უარით პასუხობდა

<sup>41</sup> იოსელიანი, 1978, გვ. 222.

<sup>42</sup> აქტები, 1868, გვ. 504.

<sup>43</sup> იოსელიანი, 1978, გვ. 200.

<sup>44</sup> აქტები, 1868, გვ. 504.

დედოფლის კანონიერ მოთხოვნას<sup>45</sup>. მაშინ სამეგრელოს/ სამეგრელოს  
მესვეურებმა და ნინო დედოფალმა მიზნის მიხატულებადაც  
ერთობ თრიგინალური საშუალება გამონახეს. 1805 წელს  
ნინო დედოფალმა და სამეგრელოს მმართველმა საბჭომ  
სამთავროს საქმეების მოსაწესრიგებლად რუსეთის იმპე-  
რატორთან, ალექსანდრე პირველთან წარგზავნა საგან-  
გობო დეპუტაცია ნიკო და ბეჟან დადიანებისა და კარის  
დეკანოზის, იოანე იოსელიანის შემადგენლობით, რომე-  
ლიც პეტერბურგში ჩავიდა 1806 წ.<sup>46</sup> დეპუტაციას დაევა-  
ლა ვლაქერნის წმ.დღისმშობლის ხატის საკითხის საბო-  
ლოოდ მოგვარება. ამ საკითხზე დეპუტაციას ორი წერი-  
ლი მიპქონდა. ერთი ნინო დედოფლისა, იმუამად უკვე პე-  
ტერბურგში ჩასახლებული დავით ბატონიშვილისადმი და  
მეორე მთავარმართებლის პავლე ციციანოვის მოხსენება  
იმპერატორისადმი. ნინო დედოფალი დავით ბატონიშვი-  
ლისაგან მოითხოვდა ვლაქერნის წმ.დღისმშობლის ხა-  
ტის დეპუტაციისათვის გადაცემას, რათა ამ უკანასკნელს  
წმ.ხატი რუსთის იმპერატორისათვის ეძღვნა საჩუქრად<sup>47</sup>.  
ნინო დედოფალი დარწმუნებული იყო იმაში, რომ წერი-  
ლის ადრესატი ამ განხრახვას წინ ვერ აღუდგებოდა და  
წმ.ხატს უსიტყვოდ გადასცემდა დედოფლის წარგზავნი-  
ლებს. პ.ციციანოვი თავის მოხსენებაში იმპერატორს  
თხოვდა, რომ მიეღო დეპუტაციის მიერ მირთმეული  
წმ.ხატი, მაგრამ თავისთვის კი არ დაეტოვებინა, არამედ  
იმავე დეპუტაციასთან ერთად გამოვეგზავნა სამეგრელოში.  
მოვუსმინოთ თავად მომხსენებელს: „ამასთან ვბედავ დაჭ-  
ძინო ჩემი უქვეშევრდომილები აზრი ამ ხატის შესახებ.  
როგორც ცნობილია, მეგრელები ქრისტეს რჯულის გულ-

<sup>45</sup> ხელაია, 2006, გვ. 646.

<sup>46</sup> აქტები, 1868, გვ. 504.

<sup>47</sup> აქტები, 1868, გვ. 504.

მხეურვალე მორწმუნები არიან და სამეგრელოსთვის კუთხით და ბედნიერებად მიაჩნიათ ამ ხატის მათვის დაბრუნება, რადგან მასზე ამყარებენ უღრმეს სასოფტას. თავზე დამტყვდარ კველა უბედურებას ისინი მიაწერენ იმ გარემოებას, რომ დაკარგეს თავიანთი ქვეყნის მფარველი ამ ხატის სახით. ამიტომ ამ დეპუტაციასთან ერთად მისი დაბრუნება დიდ სიხარულს გამოიწვევს სამთავროში და მეგრელებზე მოახდენს ისეთსავე დიდი შთაბეჭდილებას, როგორიც მოახდინა წმ.ნინოს ჯვრის დაბრუნებამ ხაქართველოში<sup>48</sup>.

ნინო დედოფალი და პ.ციციანოვი, როგორც ჩანს, შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ამ შეთანხმებულმა გეგმამ შედეგიც გამოიღო. დავით ბატონიშვილმა, როგორც მოხალოდნელი იყო, დაუბრკოლებლად გადასცა წმ.ხატი ხამეგრელოს დეპუტაციას, ამ უკანასკნელმა კი ის წმ. დვოთისმშობლის სარტყელითურთ, მიცემული დავალების შესაბამისად, იმპერატორს მიართვა. ალექსანდრე პირველის ბრძანებით წმ.ხატი დროებით პეტერბურგის საიმპერატორო რეზიდენციის კარის ეკლესიაში დაასვენეს და ძვირფასი თვლებითაც შეამკეს<sup>50</sup>.

იმპერატორმა, პ.ციციანოვის თხოვნისამებრ, წმ.ხატის საჩუქრად მიღება არ ინება. ამის შესახებ ნინო დედოფლისადმი გამოგზავნილ 1806 წ. 31 მაისის რესკრიპტში ის წერდა: „ვუწყი რა მეგრელების ძველისმველი სასოფტა და ოწმენა ვლაპერნის დვთისმშობლის ხატისადმი, ვუბრუნებ მას საჩუქრად თქვენს ოჯახს და მთელ მეგრელობას“<sup>51</sup>

სამეგრელოს დეპუტაცია, რომელმაც სანკტ-პეტერბურგში თითქმის ერთი წელი დაჟო, სამშობლოში ვლა-

<sup>48</sup> აქტები, 1868, გვ. 513-514; ხელაია, 2006, გვ. 647-648.

<sup>50</sup> აქტები, 1869, გვ. 177.

<sup>51</sup> იქვე.

ქერნის წმ.დვთისმშობლის ხატთან ერთად დაბრუნდა სამართლიანობა – წმინდა რეპრეზების ბოლოოდ აღდგა სამართლიანობა – წმინდა რეპრეზების თავის მრევლს დაუბრუნდა, რაშიც განუზომელი წვლილი მიუქმდის ნინო დედოფლის ხაზრიანობას და დაუცხოო მელ ხელისაკენ.

რესევთის იმპერატორი თავის 1806 წ. 31 მაისის რესკრიპტი იძლეოდა განკარგულებას, რომ ნინო დედოფლის მიერ შერჩეულ აღგილზე აგებულიყო ეკლესია ვლაქერნის წმ.დვთისმშობლის ხატის ხახელზე (რისთვისაც ხაზინას თავიდან 2000 წერვონეცი უნდა გაედო) და წმ.ხატიც იქ დაესვენებინათ<sup>52</sup>. ამასთანავე, ალექსანდრე პირველმა გამოთქვა ხურვილი, რომ აღგილი, სადაც ეს ეკლესია აშენდებოდა, ქცეულიყო სამეგრელოს მთავართა ძირითად რეზიდენციად, შემდგვარი კი, ეს აღგილი მცხოვრებთა რაოდენობის ზრდის კვალობაზე ქცეულიყო ქალაქად, რომელსაც გრიგოლ დადიანის პატივსაცემად უნდა დარქმეოდა გრიგორიოსტოლით<sup>53</sup>.

ხანკტ-პეტერბურგიდან დაბრუნების (1806 წ.) შემდეგ ვლაქერნის ხატი, როგორც წყაროებიდან ჩანს, კვლავ მარტვილის ტაძარში დაუსვენებიათ. აქ იმყოფებოდა ხატი ჯერ კიდევ 1837 წელს<sup>54</sup> ამავე პერიოდის ერთი ხელნაწერის ცნობით „მარტვილის მონასტერში ასვენია ხატი ვლაქერნის დვთისმშობლისა და შიგ მდებარეა სარტყელი“<sup>55</sup>.

იმპერატორის ალექსანდრე პირველის მითითება ვლაქერნის ხატის ხახელზე ეკლესიის აშენების სისრულეში მოიყვანა სამეგრელოს მთავარმა ლევან V დადიანმა, რომ-

<sup>52</sup> იქავ.

<sup>53</sup> იქავ: მეუნარგია, 2002, გვ. 30-31.

<sup>54</sup> აქტები, 1869, გვ. 439.

<sup>55</sup> ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 248.

ლის თაოსნობით ეკლესიის მშენებლობა დაიწყო და დიდ ში, მთავრის სასახლის გვერდით 1825 წელს დასრულდა 1830 წელს<sup>56</sup>

ა.მურავიოვი, რომელიც 1846 წელს ზუგდიდში იმუფლებოდა და აღნიშნულ ეკლესიაში საკვირაო ლიტურგიასაც დაეხსრო, ვრცლად მოგვითხრობს ამ ეკლესიის მთავარი სიწმინდის, წმ.დვთისმშობლის სარტყელის შესახებ, რომელიც მას უხილავს საგანგებოდ მისთვის დამზადებულ ჩასასვენებელში საკურთხევლის წინ<sup>57</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ა.მურავიოვი საუბრობს მხოლოდ წმ.სარტყელზე და არაფერს გვეუბნება ვლაპქერნის ხატის შესახებ, რომელსაც, როგორც ვიცით, განუყრელად თან ახლდა წმ.სარტყელი, ვლაპქერნის ხატიც აღნიშნულ ეკლესიაში წმ.სარტყელთან ერთად უნდა ვიგულვოთ (იხ. შენიშვ. 7). ამას შესანიშნავად ადასტურებს მ.ბროსე, რომელიც ა.მურავიოვის სტუმრობიდან ერთი წლის შემდეგ (1847 წ.) იმყოფებოდა ზუგდიდში და იმავე ეკლესიაში იხილა ვლაპქერნის წმ.დვთისმშობლის ხატი სარტყელთან ერთად<sup>58</sup>.

როგორც ითქვა, ჯერ კიდევ 1837 წლის დასაწყისში ვლაპქერნის ხატი წმ.სარტყელითურ მარტვილის ეკლესიაში ესვენა. როგორც ბარონი როზენი 1837 წ. 29 იანვრის წერილში გრაფ ნესელროდეს აუწყებდა, სამეგრელოს მთავარს, ლევან დადიანს განზრახული ჰქონია ვლაპქერნის ხატი მარტვილის მონასტრიდან მისსავე სახელზე აშენებულ ზუგდიდის სასახლის კარის ეკლესიაში გადმოესვენებინა<sup>59</sup>. ზუსტად არ ვიცით, თუ როდის აღსრულ-

<sup>56</sup> აქტები, 1869, გვ. 439; თაყაიშვილი, 1913, გვ. 198.

<sup>57</sup> მურავიოვი, 1848, გვ. 282.

<sup>58</sup> ბროსე, 1849, გვ. 53.

<sup>59</sup> აქტები, 1869, გვ. 439.



და მთავრის ებ განზრახვა, მაგრამ 1846 წელს, როგორც  
ზემოთ ვნახეთ, წმ.ხატი სარტყელითურთ ჰპპე აღნიშნულ  
ეპლეხიაში იყო დასვენებული.

კირიმის ომის (1853-1856) დროს, 1855 წლის შემოდგო-  
მაზე სამეგრელოს სამთავროს თხმალეთის მხრიდან ოკუ-  
პაციის საფრთხე დაემუქრა. ომის გამო ეკატერინე და-  
დოფლის განკარგულებით, ვლაქერნის ხატი ზუგდიდის  
ეპლეხიაში დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში,  
გორდის სასახლეში გადაასვენეს. მალე ოკუპაციის საფრ-  
თხე რეალობად იქცა. თხმალებმა დაიკავეს სამეგრელოს  
სამთავროს ერთი ნაწილი, მათ შორის, ზუგდიდი. უკან-  
დახვისას, 1856 წლის იანვარში ოკუპანტებმა დაწვეს და  
იავარჲულების სამეგრელოს მთავართა ზუგდიდის სასახლე-  
ები, სადაც სრულფასოვანი ცხოვრების განახლება ოცი  
წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. მანამდე კლაქერნის  
ხატის აღგილსამყოფელად გორდის სასახლე რჩებოდა.  
წმ.ხატისა და სარტყლის ჩასასვენებლად ეკატერინე და-  
დოფლისა ახალი კიდობანი შეიძინა, რომელიც საიმპე-  
რატორო კარის ფაბრიკაში იყო დამზადებული 1857  
წელს.<sup>60</sup> რერისთავი 1867 წელს დაწერილ ნაშრომში გვამ-  
ცნობს, რომ აღნიშნული ხატი ამ დროს (1867 წ.) ეკა-  
ტერინე დედოფლის გორდის სასახლეშიაღმდეგ.<sup>61</sup> წმ.ხატი  
სარტყელთან ერთად იმავე სასახლეში უნახავს ქ.მურიეს  
XIX ს. 70-იან წლებში<sup>62</sup>. აღნიშნული ხატი, რომელიც ჩანს,  
გორდის სასახლეში ესვენა ეკატერინე დედოფლის გარ-  
დაცვალებამდე (1882 წ.).

ამის შემდეგ ის კვლავ ზუგდიდის კარის ეკლეხიაში  
დაუბრძანებიათ. ცნობილია, რომ უკვე 1903 წლისათვის ამ

<sup>60</sup> მუქნარგია, 2002, გვ. 30-31.

<sup>61</sup> ერისთავი, 1873, გვ. 71.

<sup>62</sup> მურიე, 1884, გვ. 192.

ეპლესიაშია წმ. სარტყელი<sup>63</sup>, რაც მოწმობს იმასაც, ეპლესიაში ვლაქერნის ხატიც, რომელსაც მუდმივად თან ახლდება. სარტყელი, ამ დროს ამავე ეპლესიაშია. ამის შემდგომ წმ. ხატი სარტყელით ურთ ნიკო მინგრელსკის (უმცროსის) განკარგულებით კარის ეპლესიიდან სასახლის მუზეუმში დაუბრძანებიათ, სადაც ის უნახავს ი. მეუნარგიას<sup>64</sup>. 1913 წელს, როდესაც ე. თაყაიშვილი სამეცნიერო სიმაღლეთა შესახწავლად მოგზაურობდა, ეს სიწმინდეები ეპლესიაში აღარ იყო, ისინი, ადგილობრივთა გადმოცემით, თავად მინგრელსკის (ივალისხმება ნიკო მინგრელსკი უმცროსი – გ. ა.) გაუტანია ეპლესიიდან<sup>65</sup>, როგორც ჩანს, სასახლის მუზეუმში დასახვენებლად.

1914 წლის დეკემბერში დადიანების ზუგდიდის სასახლეების მოურავს თურქების შემოსევის შიშით განხეულობასთან ერთად ვლაქერნის ხატი ეკატერინესეცლი სასახლის პირველ სართულზე საგანგებოდ მოწყობილ სამაღლავში შეუნახავს<sup>66</sup>.

1919 წელს დეკემბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით შექმნილ კომისიას ე. თაყაიშვილის მეთაურობით დაევალა სამეცნიეროს ყოფილი მთავრების სასახლის ქონებიდან ისტორიული დირექტულების მქონე ნივთების შერჩევა და თბილისში გადატანა. ამ კომისიის გადაწყვეტილებით, ვლაქერნის ხატი ხევა ძვირფასეულობასთან ერთად გადაიტანეს თბილისში და შესანახად გადასცეს საქართველოს ბანკს<sup>67</sup>.

<sup>63</sup> ცხოვრება დეპოსტმობლისა, 1996, გვ. 37.

<sup>64</sup> მეუნარგია, 2002, გვ. 31.

<sup>65</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 198-199.

<sup>66</sup> ჭორდანია, 1983, გვ. 23-25.

<sup>67</sup> იქმ, გვ. 32-35, 40.

1921 წელს საბჭოთა რესეტის მიერ ოკუპირებული საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, საფრანგეთში წავიდა და თან წაიღო ქვეყნის სამუზეუმო განძეულობა, მათ შორის, ვლაქერნის ხატი, რომელიც საქართველოს დაუბრუნდა 1945 წელს.<sup>68</sup> დაბრუნების შემდეგ ვლაქერნის ხატი გადაეცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს, სადაც იმყოფება დღესაც. წმ.სარტყლის ადგილსამყოფელი დღეისათვის უცნობია.

ქვათახევის სახელგანთქმული მონასტრის მთავარი სიწმინდე ვლაქერნის წმ.ღვთისმშობლის ხატი იყო. ამ სამონასტრო კომპლექსის მთავარი ეკლესია მის სახელზე იყო აშენებული და აღნიშნული წმ.ხატიც აქ ესვენა. ამის შესახებ სავსებით მკაფიო მითითებებია დაცული XII-XIII საუკუნეების წერილობით წყაროებში<sup>69</sup>.

ქვათახევის მონასტრის მთავარი ეკლესია XII-XIII სს. მიჯნაშეა აშენებული<sup>70</sup>. გადმოცემით, მონასტრის დაარსება დავით აღმაშენებელს მიეწერება<sup>71</sup>, თუმცა მისი მეფობის დროინდელი ნაგებობის ქვალი სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე დღეისათვის აღარ შემორჩა.

თემურ-ლევნგის ურდოებმა (1386 წ.) ქვათახევის აყვავებული მონასტერი უმოწყალოდ დაარბიეს, ტაძარი ცეცხლს მისცეს, იქ შეხიზნული მონაზვნები, მღვდლები, ქალები და ბავშვები ცოცხლად დაწვეს<sup>72</sup>. მონასტრის მეცნერებმა, იგრძნეს რა მტრისგან მოსალოდნელი უბედურება, მონასტრის სიწმინდეები, მათ შორის, მონასტრის

<sup>68</sup> ამირანაშვილი, 1978, გვ. 52.

<sup>69</sup> ხელნაწერთა აღწერილობა, 1980, გვ. 182; კავბაძე, 1915, გვ. 23; ქრონიკები, II, გვ. 344, 419; ანოტირებული ლექსიკონი, I, გვ. 459; ხელნაწერთა აღწერილობა, 1985, გვ. 165.

<sup>70</sup> ხაქარაია, 1978, გვ. 41-76.

<sup>71</sup> ქალენდარი, 1852, გვ. 257.

<sup>72</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 328, 452.



ტრის თავი ხატი კლაქერნის წმ.დვთისმშობლისა წმ. განარიძეს მტრის ხელს და საიმედოდ გადამაღეს. მტრების უკუქცევის შემდეგ წმ.ჯგარ-ხატებიც მონასტერში დაბრძანეს და ნახანძრალი ტაძრის აღდგენასაც შეუდგნენ.

ქვათახევის თავი ხატი 1699 წელს რუსეთში გადასახლებულ არჩიდ მეფესთან ერთად მოსკოვის გარეუბანში, ვხეხსვიატსკოეში აღმოჩნდა. ემიგრანტმა მეფემ წმ.ხატი ოქროთი დაფურილი ვერცხლით მოაჭედინა. არჩიდ მეფის მოსკოვში გარდაცვალებიდან (1713 წ.) თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ, 1751 წელს წმ.ხატი კვლავ თავის ტაძარს, ქვათახევის მონასტერს დაუბრუნდა<sup>73</sup>.

ქვათახევის მონასტერი საქართველოს საეგზარხოს გადაწყვეტილებით გაუქმდა 1820 წელს, ხოლო გაუქმებული მონასტრის სიწმინდეები, მათ შორის, ვლაქერნის ხატი, თბილისში (ავლაბარში) განახლებულ ფერის ცვალების მონასტერში დაასვენეს 1821 წელს.

ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ივანე თარხან-მოურავის თავგამოდებით, ეგზარხოს ისიდორეს შუამდგომლიბით და რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ პირველის ნებართვით 1849 წელს აღდგა ქვათახევის მონასტერი. ამის შედეგად ვლაქერნის წმ.დვთისმშობლის ხატი სხვა სიწმინდეებთან ერთად ამჯერად უკვე მესამედ დაუბრუნდა მშობლიურ ეკლესიას<sup>74</sup>.

1924 წელს საბჭოურმა ხელისუფლებამ, სხვა მრავალ ეკლესიასთან ერთად ქვათახევის მონასტერიც ძალით დახურა, ხოლო ვლაქერნის წმ.დვთისმშობლის ხატი საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადასცა, სადაც ინახება დღემდე.

<sup>73</sup> იოსელიანი, 1973, გვ. 95.

<sup>74</sup> კალუნდარი, 1852, გვ. 257; იოსელიანი, 1866, გვ. 72

ვლაქერნის წმდვთისმშობლის ხატი ქუთაისის წმ. ხატი ქუთაისის თეატრი („ბაგრატის“) ტაძარშიც ესვენა. ამის შესხვებში მოგვითხოვთ რუხი ელჩი ალექსი ივალიევი, რომელიც 1650-1651 წლებში დიპლომატიური მისით იმყოფებოდა იმერეთის სამეფოში. ელჩი დაწვრილებით აღწერს იმერეთის კალეხია-მონასტრებს და მათ ხიწმინდებს. ქუთაისის საყდრის წმ. ხატებს შორის ის ასახელებს ვლაქერნის ღვთისმშობელს. ტაძრის „აღსავლის კარების მარცხენა მხარეს – მოგვითხოვთ ელჩი – ვლაქერნის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატია მარადიული ყრმით, ადგილობრივი (ქართული) ხელოვნებისაა, გვირგვინი და შესაბამისი თქროთი არის მოჭედილი, გვირგვინის სამკული მინანქრით არის შემკული, ღვთისმშობლის გვირგვინში ლაქვარდისხვერი დიდი იაგუნდებია ჩახმელი, გვერდებზე მიმაგრებული, ოქროს პატარა კიდობანი. გვითხრებს, რომ შიგ წმინდა თომა მოციქულის ხაწილებიათ. ხატის არმიები, ბუდე და ბუდის კარები ამოტვიფრული ვერცხლით აქვს მოჭედილი, კარებზე საუფლო დღესასწაულებია, ბუდეზე, აგრეთვე, დღესასწაულებია და წმინდანებიც, მოჭედილობა ოქროშია დაფერილი“<sup>75</sup>.

იმავე ელჩის ანგარიშიდან ჩანს, რომ ეს წმ. ხატი XVI საუკუნის II ნახევარში, ევდემონ წხეტიძის კათალიკოსობის დროს (1557-1578) შეკვეთის ტაძარში ბრძანებულად<sup>76</sup>. აღნიშნული რელიკვია ბაგრატის ტაძარში ესვენა XVII ს. ბოლოს<sup>77</sup>. (იხ. შენიშვ. 8).

ქუთაისის ტაძრის ამ წმ. რელიკვიის შემდგომი ბედის შესახებ ცნობები, სამწუხაროდ, არ შემონახულა. არც იმის შესახებ შემოგვრჩა სანდო ცნობები, თუ როდის

<sup>75</sup> ივალიევის ელჩობა, 1969, გვ. 60, 138.

<sup>76</sup> იქვ. გვ. 138.

<sup>77</sup> ვახუშტი, გვ. 847.



## შენიშვნები:

1. პეტრიწონის (ბულგარეთი, ბაჩკოვი) ქართველთა მონასტრის მთავარ, წმ.დვითისმშობლის სახელობის ეკლესიაში დღესაც ასვენია წმ.დვითისმშობლის ფერწერული ხატი, რომელზე-დაც გადაპრეულია ვერცხლის მოჭედილობის ორი ფენა. პირველი მათგანი ეკუთვნის ქართველ ოსტატებს და გაკუთბებულია 1311 წელს, მეორე – ვინმე პეტრუ ხამრი ლომისას და გაკეთებულია 1819 წელს<sup>1</sup>.

1311 წლის მოჭედილობაზე წმ.დვითისმშობლის თავის გამოსახულების ორსავე მხარეს განლაგებულ მედალიონებზე წერია (ბერძნულად): „დედა დვითისა“, ხოლო მედალიონების ქვემოთ, ორსავე მხარეს დამაგრებულ სწორგუთხოვან ფირფიტებზე ბერძნულადვე წერია: „ვლაქერნისა“. მაშისა-დამე, მედალიონებისა და ფირფიტების წარწერათა მიხედვით, ხატზე გამოსახულია „დედა დვითისა ვლაქერნისა“.

ხატის ფერწერა ხანძრისაგან იმდენად დაზიანებულია, რომ არ ჩანს წმ.დვითისმშობლის და მარადიული ყრმის სახეები, განირჩევა მხოლოდ დედის თავის გამოსახულების საერთო კონტურები და ხელები, ყრმისაგან კი მხოლოდ მარცხენა ხელი<sup>2</sup>.

ნ.ლიხაჩოვის აზრით, გამოსახულების შემორჩენილი ნაწილის მიხედვით ხატი ელევანტი ტიპისაა და მოჭედილობის ფირფიტების წარწერა „ვლაქერნისა“, რაც ორანტის იკონოგრაფიულ ტიპს გულისხმობს, არ შეესაბამება თვით ხატზე მოცემულ გამოსახულებას წმ.დვითისმშობლისას. აქვდან გა-

<sup>1</sup> შანიძე, 1971, გვ. 356, 360; ურუშაძე, 1969, გვ. 36.

<sup>2</sup> შანიძე, 1971, გვ. 357.



მომდინარე, ნ.ლიხაშვილი სავსებით მართებულად მიიჩნეულა  
რომ აღნიშნული ფირფიტები აღრე სხვა ხატს ექვთვნოდა,  
საიდანაც გადმოიტანეს პეტრიწონის აღნიშნულ ხატზე 1311  
წელს, ხელმეორედ მოჰკვდვის დროს<sup>3</sup>.

სამწუხაროდ, დღეისათვის უცნობია ხატი, რომელსაც  
ექვთვნოდა თავიდან ფირფიტები წარწერით „კლაქერნისა“.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულია ერთ-ერთი  
ხატიდან დარჩენილი ვერცხლის ფირფიტის ფრაგმენტი, რომელიც თავის დროზე ხატის ზურგზე ყოფილი დაკრული  
სამ ნაწილად (თვით ხატი დაკარგულია). ფირფიტები ქუ-  
თაისის მუზეუმში 1926 წ. გუმათის (მდებარეობს ქუთაისთან  
ახლოს) მთავარანგელოზის ეკლესიიდან შესულა. აღნიშ-  
ნულ ფირფიტებზე დაზიანებული ასომთავრული წარწერაა,  
რომელიც ქარაგმების გახსნით ასე იკითხება: „ქრისტე, მე,  
ბედიელმან გერმანე წხეტისძემან მოვაჭედინე ხატი ეხე  
წმიდას დაწერილი ხაწინამძღვრისა კლაქერნისა სავსრად  
სულისა ჩემისა, ამინ. ქრისტე, წხოტიდეთა პადრ(ხ) და შე-  
დანს შეუნდვნეს დმერთმან; მათთა მშევალთა ყოველთა:  
მარებისა და ას(...), ანშიბაია(ს შეუნდვენ) დმერთმან“<sup>4</sup>.

წარწერაში მოხსენიებული გერმანე წხეტიდე ბედიის  
გპისკომოსი იყო XVI-XVII სს. მიჯნაზე<sup>5</sup>.

მკვდევრები მიიჩნევენ, რომ წარწერაში საუბარია ბე-  
დიის კლაქერნის წმდვთისმშობლის ხატის მოჰკვდვაზე<sup>6</sup>,  
მაგრამ ვიოქრობ, ასე არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ წარ-  
წერაში „კლაქერნის დვთისმშობელი“ აღნიშნავს არა ხატს,  
არამედ კლაქერნის დვთისმშობლის ხატის სამყოფელ ეპ-  
ლებისა – ბედიის ტაძარს. საბოლოოდ, წარწერის შინაარსი  
მე ასე მეხმის: გპისკომოსმა გერმანე წხეტიდემ მოაჭედინა

<sup>3</sup> ლიხაშვილი, 1911, გვ. 136.

<sup>4</sup> ნიკოლაევშვილი, 2001, გვ. 32.

<sup>5</sup> ხორავა, 2001, გვ. 36.

<sup>6</sup> ხორავა, 2000, გვ. 32, 35.

ბედიის მთავარი ეკლესიის საწინამდვროს კუთვნილი წერტილი  
წერტილი („დაწერილი“) ხატი.

საწინამდვრო, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა ამა  
თუ იმ დიდ ეკლესიასთან არსებულ დამოუკიდებულ საკულ-  
ტო დაწესებულებას, ჩვეულებრივ, სასაფლაო-ეკვდერს, მო-  
შენებულს მთავარ ეკლესიაზე, ზოგჯერ, ცალკე ეკლესიას  
მთავარი ეკლესიის გალავნის შიგნით ან გარეთ, მის სიახ-  
ლოვეს. საწინამდვრო იქმნებოდა ცალკეული პიროვნების  
და ადამიანთა ჯგუფისათვის (ოჯახი, საგვარეულო) საფ-  
ლავზე და მისი ძირითადი დანიშნულება იყო მიცვალებუ-  
ლის ხელის მოხახხენებლად წირვა-ლოცვისა და აღაპის  
გადახდა<sup>7</sup>.

ბედიის ვლაქერნის წმ.ღვთისმშობლის ხახელობის მთა-  
ვარ ეკლესიასთან არსებულ სწორედ ასეთ საწინამდვროში  
ყოფილა დახვენებული ხატი, რომელიც ეპისკოპოს გერმანე  
წხეტიძეს მოუქედინებია. ასე რომ, აღნიშნული წარწერა არ  
ეხება ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატს. საერთოდაც, წარ-  
წერაში არაა მითითებული, თუ რომელი წმინდანის ხატი  
მოაქედვინა გერმანე წხეტიძემ. თავად ხატი კი, როგორც  
ითქვა, დაკარგულია.

2. ვლაქერნის უბანში ღვთისმშობლის ხახელზე სხვა ეკლე-  
სიაც (გარდა დიდისა) აშენდა, საღაც, აგრეთვე, ღვთის-  
მშობლის ხატი ეხვენა. ეს ხატი წინ უძლოდა ბიზანტიის  
კუისრის ჰერაკლეს (610-611) ლაშქარს საარსეთთან ომში.  
დიდი ხნის შემდეგ, 1653 წ., როცა ბიზანტიის დედაქალაქი  
უკვე ოსმალთა ხელში იყო, აღნიშნული ხატი რუსეთის  
მეფეს აღექსი რომანოვს მიართვეს. ამ უკანასკნელმა მოხ-  
კოვთან ახლოს საგანგებოდ ამ ხატის დასახვენებლად ეკ-  
ლესია ააშენა. ამ ადგილს, საღაც ეს ეკლესია აშენდა,  
ვლაქერნსკოვ დაარქვეს. მოგვიანებით ხატი უსპენსკის ტა-

<sup>7</sup> ლომინაძე, 1954, გვ. 145-157.



მარში დაასვენებს<sup>8</sup>. ნ.კაპტერევის აზრით, ეს ხატი არიქონის გლაქერნის მცირე კლეისიდან, არამედ დიდი ტამარიშვილის ეს ის ხატია, რომელმაც კონსტანტინებოლი დაიფარა VII ს-ში სპარს-სკვითთა შემთხვევისაგან. ა.ხელაია უიქრობს, რომ ეს მოხაზულება ნაკლებად ხარწმუნოა.<sup>9</sup>

3. გლაქერნის დიდი ტამარი, ზოგი ცნობით, მარკიანეს კეიხ-რობის (450-457) დროს – 450—453 წლებში აშენდა<sup>10</sup>, ზოგი ცნობით, ლევ I დიდის (457-474) იმპერატორობის ხანაში<sup>11</sup>.
4. ძველ ქართულ დიტურგიკულ კრებულებში წმ.ღვთისმშობლის სამოხელი ზოგჯერ გაიგივებულია წმ.სარტყელოთან. ასე მაგ: XI საუკუნის სვინძქსარში კითხულობთ: „ოვესა ივლისხა ბ (2), დადებათ პატიოსხნისა სამოხლისა წმიდისა დმრთისმშობლისათ, რომელ არს ვლაქერნას“<sup>12</sup>. ასევე სხვა მრავალ ხელნაწერში<sup>13</sup>. 1736 წ. შედაგნილი კროი „სადღუხასწაულო“ გვაუწევბს: „ოვესა ივლისხა ბ (2), დადებათ პატიოსხნისა სარტყლისა წმიდისა დმრთისმშობლისათ ვლაქერნას“<sup>14</sup>. ასევა კიდევ რამდენიმე ხელნაწერში. ცნობილია, რომ პატიოსანი სარტყლის დღესასწაული დაწესებული იყო 31 აგვისტოს<sup>15</sup>. ადსანიშნავია, რომ ორივე დღესასწაული ერთი და იმავე განგებით აღინიშნებოდა<sup>16</sup>. შეიძლება ამოთაც იყოს გამოწვეული პატიოსანი სამოხლისა და სარტყ-

<sup>8</sup> ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1882, გვ. 681.

<sup>9</sup> ხელაია, 2006, გვ. 651-653.

<sup>10</sup> კონდაკოვი, 1887, გვ. 14.

<sup>11</sup> ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1882, გვ. 681.

<sup>12</sup> ხელნაწერთა აღწერილობა, 1974, გვ. 224.

<sup>13</sup> მეტრევალი, 1998, გვ. 177; ხელნაწერთა აღწერილობა, 1976, გვ. 21; ხელნაწერთა აღწერილობა, 1985, გვ. 166.

<sup>14</sup> ხელნაწერთა აღწერილობა, 1974, გვ. 247.

<sup>15</sup> იქვე გვ. 225; ხელნაწერთა აღწერილობა, 1976, გვ. 22; ხელნაწერთა აღწერილობა, 1985, გვ. 167.

<sup>16</sup> ხელნაწერთა აღწერილობა, 1985, გვ. 167.

ლის გაიგივება ზოგიერთ შემთხვევაში. ასეთი გაიგივება  
აისახა პატიოსანი სარტყლის საქართველოში ჩამოტკიცითია  
შესახებ არსებულ გადმოცემაშიც, რომელიც დაფიქსირებულია პ.ი.ოს ელექტრონული შენიშვნა №5).

5. პ.ი.ოს ელექტრონული ცნობილი ყოფილა გადმოცემა, რომლის მიხედვით დავთისმშობლის სამოსლის ნაწილი (ცხოველმყოფეელი ჯვრის ნაწილთან ერთად) ქართველებს უხახსოვრა ბიზანტიის კეისარმა ერაკლემ ირანელებთან ომში გაწეული თანადგომისათვის. იმავე გადმოცემით, ცხოველმყოფეელი ჯვრის ნაწილი ორად დანაწილდა და ალავრერდისა და ნიქოზის ტაძრებში დაიდო, ხოლო დავთისმშობლის სამოსლის ნაწილით დამშვენდა ვლაქერნის ხატი სამეცნიეროში<sup>17</sup>.

ქვათახევის მონასტრის რელიქვიების შესახებ არსებული გადმოცემა, რომელიც ასევე პ.ი.ოს ელექტრონული იურიდიული, რომ დავთისმშობლის სამოსლის ნაწილი და პინაკი საბერძნეთიდან, კონსტანტინეპოლიდან, ბერძენთა მეფის ასულის, კლენე დელოფლის მიერ არის ჩამოტკიცილი. იმავე გადმოცემით, დავთისმშობლის ნაწილი ქვათახევის ტაძრის საძირკველში დაუტანებიათ<sup>18</sup>.

მოტანილი ორი გადმოცემა დავთისმშობლის სამოსლის ნაწილის შესახებ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალს იძლევა იმის დაშვება, რომ პირველ მათგანში დავთისმშობლის სამოსელი გაიგივებულია სარტყელთან, როგორც ამას აღიილი ჰქონდა წერილობით ძეგლებშიც (იხ. ზემოთ, შენიშვნა № 4).

როგორც ირკვევა, გადმოცემას შემოუნახავს ვერსია, რომლის თანახმად წმდვთისმშობლის სარტყელი ჩვენი წინაპრებისათვის საჩუქრად გადმოუცია ერაკლე კეისარს და აღნიშნული რელიკვია სამეცნიეროში არსებულ ვლაქერნის ხატს შეერთებია.

<sup>17</sup> იოსელიანი, 1866, გვ. 17.

<sup>18</sup> იოსელიანი, 1973, გვ. 97, 99.



აშვარაა, რომ ამ შემთხვევაში გადმოცემა ეხება ბეჭედის კუთხით, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატს და პატიოსან სარტყელს.

გადმოცემა პატიოსანი სარტყელის საქართველოში ჩამოტანის შესახებ, სადაც ფიგურირებს საქართველოს ბიზანტიული ღვთისმშობლი, ცნობილი გახდა ა.მურავიოვისათვისაც ხილველეთა შესახებ ვალი ხატართველოში მოგზაურობის დროს (1846 წ.) ამ გადმოცემის მიხედვით, აღნიშნული სარტყელის ხახვარი საქართველოში ჩამოტანისადმი ბაგრატ კურაპალატის მეუღლეს, ბიზანტიის იმპერატორის, რომანოს არგიონის ასულს<sup>19</sup>.

გადმოცემის ვარიანტს იცნობს ქ.მურიეც. ამ ვარიანტის თანახმად, ღვთისმშობლის სარტყელის ხახვარი და ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი საქართველოში ჩამოტანა და ბედის ტაძარში დასაცენა ბიზანტიის კეისრის, რომანოზის ასულმა ელენემ, როცა ის საქართველოს მეფის ბაგრატის მეუღლე გახდა და ხატი და სარტყელის ნაწილი თავიდან ბედის ტაძარში დაასცენება<sup>20</sup>.

ა.მურავიოვის ინტერპრეტაციით, გადმოცემაში მოხსენიებული ელენე ღვთისმშობლი და ბაგრატ კურაპალატი X ს. დასახრულის მოღვაწები არიან<sup>21</sup>. ქ.მურიეს აზრით, ელენე ღვთისმშობლი და მისი მეუღლე ბაგრატ კურაპალატი XI საუკუნეში ცხოვრობდნენ<sup>22</sup>.

ა.ხელაიას მიანია, რომ ა.მურავიოვთან დაცული გადმოცემის ბაგრატ კურაპალატი საქართველოს მეფე ბაგრატ მესამეა და სავხებით შესაძლებლი თვლის, რომ ბაგრატ მესამეს ცოლად ჰყოლოდა იმპერატორ რომანოს არგიორის ასული. მისი აზრით, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი და პატიოსანი სარტყელის ხახვარი სწორებ ამ უკანასკნელს ჩამოტანია საქართველოში. რაც შექმნა ბაგრატ

<sup>19</sup> მურავიოვი, 1848, გვ. 280.

<sup>20</sup> მურიე, 1884, გვ. 199.

<sup>21</sup> მურავიოვი, 1848, გვ. 280.

<sup>22</sup> მურიე, 1884, გვ. 182.

IV-ის მეუღლებს, ელენე დედოფალს, რომელიც ბაგრატ IV-ის ცოლად მისცა იმპერატორმა რომანოზ არგიროსმა და მეუღლების ამ უკანასკნელის ძმის, ბახილის ასული, ა.ხელაიას აზრით, არავერი აქვს საერთო ვლაქერნის ხატის და სარტყელის ხაქართველოში ჩამოტანასთან<sup>23</sup>. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობაზე დაყრდნობით ა.ხელაია აღნიშნავს, რომ ბაგრატ IV-ის მეუღლებს, ელენე დედოფალსაც ჩამოუტანია ბიზანტიიდან წმ.რელიქვიები, ქრისტებს სამხჭალი და სახატაულ-მოქმედი ხატი, მაგრამ ეს იყო არა ვლაქერნის, არამედ რქონის ხატი<sup>24</sup>.

გადმოცემის ელენე დედოფალი ქ.მერიეს, ე.თავაიშვილის და ნ.ხარაძის აზრით, ბაგრატ IV-ს თანამეცხედრეა, იმ კორექტოვით, რომ ის რომანოზ არგიროსის ასული კი არ იყო, როგორც გადმოცემა იუწყება, არამედ მისი ძმის წული, ბახილის ასული<sup>25</sup>. ასეთია ზეპირი გადმოცემები და მათი ინტერპრეტაციები ვლაქერნის დათისმთხობლის ხატისა და პატიონსანი ხარტყელის ნაწილის ხაქართველოში ჩამოტანის შესახებ.

6. ა.ხელაია ფიქრობდა, რომ ვლაქერნის დათისმთხობლის ხატი ბედის ტაძრიდან ზუგდიდში გადაასვენებს XVI საუკუნეში, ლევან I დადიანის (1532-1572) ბრძანებით, რაც გამოწვეული იყო ამ დროს სამეგრელოს მთავართა რეზიდენციის ბედი-იდან ზუგდიდში გადმოტანით<sup>26</sup>. ა.ხელაიას მიერ ამ ნაშრომის დაწერის შემდგომ გამოვლენილი წყაროები მოწმობენ, რომ დასახელებული ხატი ბედის ტაძარში ესვენა XVIII ს. 60-იან წლებამდე. ასე მაგალითად, პავლე ალექოვლი 1664 წელს ბედის ტაძარში მოხვევია ვალქერნის დათისმთხობლის ხატი<sup>27</sup>.

<sup>23</sup> ხელაია, 2006, გვ. 645.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> ხაზარაძე, 1999 (I), გვ. 258.

<sup>26</sup> ხელაია, 2006, გვ. 618, 642.

<sup>27</sup> მასალები, 1973, გვ. 96.



7. ა.მურავიოვის მონათხერობში შეიმჩნევა ერთი თავისებულებისათვის ის ფურადდებას ამახვილებს მხოლოდ ღვთისმმობლის სარტყელზე და ერთხელაც არ ახსენებს ბედის ვლაქერნის ღვთისმმობლის ხატს, მაშინაც კი, როცა სხვა წერილობითი ცნობების მიხედვით, დანამდვილებით ცნობილია, რომ სარტყელი და ხატი ერთადაა და არა განცალკევებულია. ასე მაგალითად, ა.მურავიოვი ვრცლად საუბრობს ნინო დედოფლის სახელით ღვპუტაციის მიერ ღვთისმმობლის სარტყლის აღექსანდრე I-სათვის მირთმევის, ამ უკანასკნელის მიერ მისი შემქობის, სამეგრელოში დაბრუნების და ეკლესიის ამენების შესახებ და არც ერთხელ არ იხსენიებს ხატს, მაშინ როდესაც ნამდვილად ვიცით, რომ აღექსანდრე I-ს მიართვებს ხატი სარტყელთან ერთად. აქედან გამომდინარე მართებულია დავასკვნათ, რომ ყველაფერი, რასაც ა.მურავიოვი მოგვითხოვთ ღვთისმმობლის სარტყლის თავგადასავლის შესახებ საკუთრივ საქართველოში, ვრცელდება ბედის ვლაქერნის ღვთისმმობლის ხატზეც, რომელსაც ამ დროსათვის განუყრელად თან ახლდა აღნიშნული სარტყელი.
8. ქუთაისის ვლაქერნის ღვთისმმობლის ხატის თავგადასავლის შესახებ ისტორიულ წეროებს მეტად სავალადო ცნობები შემოუნახავს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, იმერეთის სამეფო ტახტისათვის გამართულ ბრძოლაში გიორგი II გურიელმა შეფეხთან ერთ-ერთი შეტაკების შემდეგ (1683 წ.) „განსხარცუა ხატი ვლაქერნისა ღვთისმმობლი და ჰყო სამკაულად თვისად“<sup>28</sup>. რერისთავი<sup>29</sup> და ი.მეუნერგია<sup>30</sup>. გიორგი გურიელს შეცდომით მიაწერენ ბედის ვლაქერნის ღვთისმმობლის ხატის გამარცვას. შეცდომა გამოწვეულია იმით, რომ ვახუშტის არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ ეკლესიას ექვთვნოდა გურიელის მიერ

<sup>28</sup> ვახუშტი, გვ. 837.

<sup>29</sup> ერისთავი, 1873, გვ. 70.

<sup>30</sup> ივალივის ელჩობა, 1969, გვ. 138.

შეურაცხეოფილი ხატი, ხოდო რერისთავისა და ი.მერის მინისტრისა გაისათვის (ისევვე, როგორც დღეს ფართო საზოგადოებრივისათვის) ქართულ კალესიაში ვლაპერნის დვთისმმობლის ხატის სახელწოდებით ცნობილი იყო ერთადერთი ანუ ის, რომელიც ბედიაში ეხვენა და ვახუშტის აღნიშნული ცნობაც სწორედ მასზე (ბედის ხატზე) გაავრცელებს. ვახუშტის აღნიშნულ ცნობას, რომ ქუთაისის ვლაპერნის დვთისმმობლის ხატს ეხება და არა ბედისას, ნათელ-ჟოფს ის გარემოება, ბრძოლა ტახტისათვის მეფესა და გურიელს შორის იმერეთის ტერიტორიაზე, ქუთაისის სანახებში მიმდინარეობდა. ასე რომ, ამ ბრძოლების დროს ბედის ვლაპერნის დვთისმმობლის ხატი, რომელიც ამ დროისათვის მარტივილის ტაძარში ეხვენა, შორს იყო ბრძოლის ასპარეზიდან და, შესაბამისად, მიუწვდომელი რჩებოდა გურიელისათვის.

რერისთავი იმასაც იუწყება, რომ ბედის ვლაპერნის ხატი იმერეთის მეფეს ალექსანდრესაც გაუძარცვავს<sup>31</sup>. ის უთითებს რომელიდაც „ქართულ ხელნაწერს“. სინამდვილეში, ალექსანდრე იმერთა მეფეს (1721-1752), როგორც ვახუშტი ბაგრატიონი<sup>32</sup> და ნიკო დადიანი<sup>33</sup> მოგვითხოვთ, გაუძარცვავს არა ბედის, არამედ გელათის ხახულის დვთისმმობლის ხატი.

9. ქუთაისის ვლაპერნის დვთისმმობლის ხატის წინა ისტორიის შესახებ ა.ივგლევი აღგილობრივ ინფორმატორებზე დაყრდნობით წერს: „გვიამდეს, რომ ის, ყოვლადწმიდა დვთისმმობლის ხატი, კონსტანტინეპოლიდან არის მოტანილი და წინათ ვლაპერნის საყდარში იდგაო. იმ ხატითავ, კონსტანტინე მეფემ, თავისი ქალიშვილი აქურთხაო, როცა მას იმერეთის მეფე დავითზე ათხოვებდაო, ამ ქალმა კი ხატი

<sup>31</sup> ერისთავი, 1873, გვ. 70.

<sup>32</sup> ვახუშტი, გვ. 914.

<sup>33</sup> დადიანი, 1963, გვ. 177.



ქუთაისში თან წამოახვენათ. ამ ხატის მიერ დიდი წაულები ხდებათ. იმ ხატს დიდგალი სამოხელის გასასწორებელი ბი, ოქროს მონეტები, მკირფასი ქვების სამკაულები, ყოველგვარი საეკლესიო ჭურჭლეულობა, აუარებელი თვლები და მარგალიტები პქონდათ. ეს დამატებითი ხიმდიღრე შემდგომ სხვა მიზნებით გამოუსუნებიათ.<sup>34</sup> იმავე ელჩის ცნობით, რომელიც მიხოვის გენათელ მიტროპოლიტს, ზაქარიას მიუწოდებია, იმერეთის მეფის დავითის ბიზანტიელ თანამეცენედრეს, რომელსაც სხენებული ხატი დავთისმშობლისავე სხვა ორ ხატთან (წმინდა ნაწილებითურთ) და ჯვართან ერთად ქუთაისის საყდარში დაუსვენებია, ირინე რქმევია.<sup>35</sup>

ა.იუვლევის მონათხრობი მრავალმხრივად საინტერესო. უწინარეს ყოვლისა, კლაქერნის წმ.ლვთისმშობლის ხატის ქუთაისის ტაძარში დახვენების თარიღის გასარკვევად.

ცნობა ამ საკითხის შესახებ საკმაოდ ბუნდოვანია. ვინ არის იმერეთის მეფე დავითი, რომლის თანამეცენედრე ირინე ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინეს ახელი ყოფილა? იმერეთის მეფეს დავითის შესახებ ა.იუვლევს „ზაქარია მიტროპოლიტმა იხიც უამბო, რომ გელათის მონასტრის ერთ-ერთი ალაყაფის კარი „კიზილბაშთა ქვეყნიდან არის მოტანილით, დარუბანდის ციხე-სიმაგრიდან“, იმ დროს, როცა დავით იმერეთის მეფემ კიზილბაშთა ქვეყანა დალამქრაო“<sup>36</sup>. ეს იმასაც იუწიუბა, რომ ეს დავით მეფე მონასტრის ალაყაფის კარებთან არის დასაუფლავებულით<sup>37</sup>. ადვილი მისახვედრია, რომ საუბარი ეხება დავით აღმაშენებელს (1089-1125). საქმე ისაა, რომ დარუბანდის კარებში, ფაქტობრივად, განჯის კარები იგულისხმება, რომელიც, მართალია, დემეტრე პირველმა 1138 წ. განჯაზე ლამქრო-

<sup>34</sup> იევლივევის ელჩიობა, 1969, გვ. 60, 138.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 131.

<sup>36</sup> იევლივევის ელჩიობა, 1969, გვ. 128.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 135.

ბის დროს ჩამოსხენა და გელათის მონასტერს შესწირა<sup>38</sup> მაგრამ ამ ფაქტმა თაობების მეხსიერებაში გარკვეულიყოს ცელილებები განიცადა: კარების ჩამოტანა მიუწერა დემოტოე პირველის მამას, დავით აღმაშენებელს, ხოლო განჯის კარები დარუბანდის კარებად იქნა გადასრებული. სწორედ ამგვარად სახეცელილი ინფორმაცია მიაწოდეს რუს ელჩს, მაგრამ ამჯერად მთავარი ისაა, რომ რუსეთის ელჩის ქართველი ინფორმატორები „იმერეთის მეფის დავითის“ ქვეშ დავით აღმაშენებელს გულისხმობენ.

ა.იევლევისათვის ქართველ მეგზურებს ისიც უთქვამო, რომ „იმერეთის მეფის დავითის“ თანამეცხედრე ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინეს ასული ირინე ყოფილა. ცხადია, ეს ცნობა რეალობას მოკლებულია, ვინაიდან დავით აღმაშენებელს ბერძენი თანამეცხედრე არ ჰყოლია და მის თანამედროვე ბიზანტიის იმპერატორთაგან კონსტანტინე არავის რქმვია. ჯგამახარია ვარაუდობს, რომ შესაძლოა აღნიშნულ გადმოცემაში იგულისხმებოდეს დავით VI ნარინი, რომელმაც 1267 წელს შეირთო ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ VIII პალეოლოგოსის ასული<sup>39</sup>, რომელსაც მარიამი ერქვა<sup>40</sup>. აღნიშნულ გადმოცემაში ისტორიული სინამდვილის ანარეკლის ძიებისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ უკვე XVII საუკუნისათვის ჩვენს წინაპრებს ცოტა არ იყოს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონიათ ქართულ ტაძრებში არსებული რელიქვიების ჩამოტანის დროისა და თაოსანთა შესახებ. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ უცხოელების (ქრ.კახტელი, პ.ზახარიავი, ფ.ელჩინი, ა.იევლევი) შეკითხვაზე, თუ საიდან, როდის ან ვის მიერ არის ჩამოტანილი საქართველოში ესა თუ ის სიწმინდე, მასპინძლები ბუნდოვან პასუხებს იძლეოდნენ, რაც, მათივე განმარტებით, სათანადო ცნობების უქონ-

<sup>38</sup> ახათიანი, 1968, გვ. 41; სტეფანძე, 1985, გვ. 43.

<sup>39</sup> გამახარია, 2005, გვ. 226.

<sup>40</sup> ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 182.



ლობით ან მატიანების დადუპვით იქო გამოწვევის მიზანის რომელიმე სიწმინდის გამომგზავნის ვინაობის დაკონკრეტული მიზანისას კი ასეთად ყოველთვის ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე დიდს (306-337) ასახელებდნენ<sup>41</sup>. ყოველივე კი ქუთაისის ვლაქერნის დფთისმმობლის ხატის ისტორიის შესწავლისას აღნიშნული გადმოცემების მიმართ ურთხილ დამოკიდებულებას გვეარნახობს.

<sup>41</sup> იხ. გამახარია, 2005, გვ. 235, 270, 271.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 291; გასტრი, 1977, გვ. 176.

ქიაჩის მთავარანგელოზთა ხატი სამეგრელოში სხვა სიწმინდებთან ერთად ოდითგანვე გამორჩეული პატივის-ცემით სარგებლობდა. ის იღორის, ყულიშკარის, სუჯუნის ხატების გვერდით ძლიერმოქმედი ხატის სახელით იყო ცნობილი.

სოფელი ქიაჩი, სადაც მთავარანგელოზთა ხატის სახელობაზე ეკლესია აშენდა და სადაც თვით ხატი ესვენა, წერილობითი წერტილის მიხედვით, ისტორიული სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე ენგურსა და კოდორს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამას მოწმობს ქიაჩის მთავარანგელოზის ხატზე 1640 წელს ამოკვეთიდი წარწერა, რომელიც გვაუწებს, რომ ლევან II დადიანმა მოჰკვდვინა და თვალმარგალიტით შეამკობინა მთავარ-ანგელოზის ხატი და დაასვენა ქიაჩის მონასტერში. ამავე დროს ქიაჩის მონასტრის წინამდღვარს დააკისრა ვალდებულება, რომ წელიწადში ორჯერ აღნიშნული ხატი მონასტრიდან კვიტაურის სასახლის ხაჯვარეში გადაეცვენებინა<sup>1</sup>. კვიტაური (აწინდევლი კუტოლი) მდებარეობს მოქვისწყლის ხეობაში. ქიაჩიდან კვიტაურში ხატის გადასვენების შესაძლებლობა მათი ტერიტორიული სიახლოვის მაჩვენებელია. მხარის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის შედეგად განისაზღვრა ქიაჩის ზუსტი აღვილმდებარეობა. დღეისათვის დადგენილია, რომ სოფელი ქიაჩი მდებარეობს მოქვისწყლის ხეობაში, ფანავის ქადზე, აწინდევლი თხამირის რაიონის ჯგურდის თემის ტერიტორიაზე. ნასოფლარს ამჟამად აფხაზები „ქიაჩნიის“ (ქიაჩის საღოცავს) ან „ქიაჩაბაა“ (ქიაჩის ციხეს) ეძახიან<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ხესტივაძე, 1975, გვ. 38; ისტორიული დოკუმენტები, 1959, გვ. 150-151.

<sup>2</sup> ხერავა, 1996, გვ. 153.



ამ სოფელში ეკლესიის არხებობის შესახებ დამწერლის ლენი ცნობა მოგვეპოვება თვით ეკლესიის სამწერობლის (რაპიდის) ასომთავრულ წარწერაში: „სახელითა ღმრთისათა, მე, გიორგი მეტემინ დავსხენ ესე სამწერლობელნი ამას ეკლესიასა ქიანს, სალოცველად სულისა ჩემისათვის“<sup>3</sup>.

წარწერა უთარიდოა, ამიტომ გარკვევით არ ჩანს კონკრეტულად რომელმა გიორგი მეფემ შესწირა სამწერობელი ქიანის ეკლესიას. თვით სამწერობლის შექმნის თარიღის შესახებ წინასწარი მოსაზრება გამოთქვა ეთავაიშვილმა. მისი ვარაუდით, სამწერობელი, ხელობის მიხედვით, XIII-XIV სს-ში უნდა იყოს შექმნილი, ხოლო მის წარწერაში მოხსენიებული მეფე გიორგი XIV საუკუნის ამ სახელის მქონე საქართველოს მეფეებს შორის არის საძიებელი. აღნიშნული სამწერობელი, როგორც ხელოფნების ძეგლი, საგანგებოდ შეისწავლა გჩუბინაშვილმა. მისი დასკვნით, ხატი-სამწერობელი მტკიცებ თარიღდება X საუკუნით<sup>4</sup>. გამომდინარე იქიდან, რომ ხატი X საუკუნეშია შექმნილი, მისი ქმიტორი მეფე გიორგიც იმავე საუკუნეშია საძიებელი. სოფელი ქიანი, ხადაც მეფე გიორგიმ აღნიშნული ხატი მთავარანგელოზთა ეკლესიაში დაასვენა, X საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საზღვრებში იყო მოქცეული. ამდენად, ხატის ქმიტორი ეგრის-აფხაზეთის მეფეა. X საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის მეფე, რომელსაც გიორგი ერქვა, იყო გიორგი II, რომელიც მეფობდა 922–957 წლებში<sup>5</sup>.

<sup>3</sup> თავაიშვილი, 1913, გვ. 238.

<sup>4</sup> ჩებინაშვილი, 1957(I), გვ. 210.

<sup>5</sup> ლორთქიშვილი, 1973, გვ. 429.



ამრიგად, ქიანის ხატი-სამწერობელი შეიქმნა X საუკუნეების  
კუნის პირველ ნახევარში, 922–957 წლებს შორის ქიანის  
მთავარანგელოზთა ეკლესიისათვის.

ამის შემდგომ ვიღრე XVII საუკუნემდე ქიანის ეკლესიისა  
და მისი სიწმინდეების შესახებ წერდობითი წყაროები დაუმან.

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც  
სამეგრელოში მოდვაწეობდა 1636–1649 წლებში, გვა-  
უწყებს, რომ ძველად ქიანის ეკლესია საეპისკოპოსო საყ-  
დარი ყოფილა, ხოლო მისი სამეგრელოში ყოფნის დროს  
მონასტერი<sup>6</sup>.

ქიანის საეპისკოპოსო კათედრის არხებობა ისტორი-  
ული წეროებით არ დასტურდება. გასაკვირი არაა, რომ  
ძველი ამბების გადმოცემაში არქლამბერტს შეცდომა მო-  
სვლოდა. სულ სხვაა მისი, როგორც თვითმხილველის მო-  
ნათხოვბი თავისი თანადროული ფაქტების შესახებ.  
არქლამბერტის სამეგრელოში მოდვაწეობის დროს ქიანის  
ეკლესია მართლაც სამონასტრო სავანე იყო. ამას მოწ-  
მობს ლევან II დადიანის ბრძანებით 1640 წ. ხატზე ამო-  
კვეთილი ზემოთ აღნიშნული წარწერა, სადაც იხსენიება  
„ქიანის წინამძღვარი“<sup>7</sup>. წინამძღვარი კი ამ ეპოქაში, რო-  
გორც ცნობილია, მონასტრის მეთაურს ერქვა.

1640 წელს ლევან II დადიანმა ქიანის მონასტრისა-  
თვის მოაქედვინა და თვალ-მარგალიტით შეამკობინა მთა-  
ვარანგელოზის ხატი. ეს ქიანის ეკლესიის მეორე ხატია,  
რომელიც წერილობითი წყაროებით არის ცნობილი (ესეც  
ამჟამად ინახება ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში).

ამის შემდგომ, როგორც ისტორიული წეროები გვა-  
უწყებენ, ქიანის სამწერობელს ხოფელ ობუჯში (აწინდე-

<sup>6</sup> ლამბერტი, 1938, გვ.

<sup>7</sup> ხუსკივაძე, 1978, გვ. 38; ისტორიული საბუთები, 1959, გვ. 150-151.

ლი წალენჯიხის რაიონი) ვხედავთ. ამას ადასტურებს სამეგრელოს სამთავროს ფაქტიური გამგებლის, ტანძის მცირეწლოვანი მემკვიდრის რეგენტის კაცია ჩიქოვანის მიერ 1681 წელს გაცემული სიგალი და ზეპირსიტყვიერი გადმოცემები ქიანის ხატის შესახებ.

აღნიშნული სიგლის დედანი ინახებოდა ობუჯელი შენგელაიების ოჯახში და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ასე მიიღო ის მემკვიდრეობით ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ლეო შენგელაიამ (ქიანელმა). მწერლის ნებართვით დასახელებული სიგალი გადაიწერა (1921 წ.) და გამოაქვეყნა (1925 წ.) იხტორიკოსმა ს.კაკაბაძემ.

მოგვაქვს სიგლის ტექსტი: „[წვენ, სახელ]ოვნად აღმატებულმა ჩიქუანმა ბატონმა კაციამ გავაბჭვეთ მამაში შერგელათ და გამახადი კაკანია და ნვენთან თვითონ ბატონიშვილი და საუსტანი შარვაშიძე და მურზაუანი ამჩაბაძე დავისწარით, საჩივარს უყურეთ, უსამართლობით და გარდადგომით არა გაგვიჩნიათ რა. მამაშის თეთრი კაკანიას ბეჭერი დაედუა თავს: ოთხი კარგი ვერცხლის თასები, ექვსი ოქროს ბეჭედი, ერთი მარგალიტის საყბოური, ორი ტყავი, სამი დარეის საგულე, ოთხი კაბა, სამი პერანგი, ერთი ზარბაბის სარტყელი, ერთი ქათიბი, ერთი ტყავკაბა, სამი ყორუდი, ორი კემუხთის მაშა, ორი ფოსთალი, ოთხი ჯორაბი, ორი თავსაკარი მუყაიშისა, ოთხი ლაჩაქი, ათი ვერცხლის ქინძისთავი, სუფრა, ტაშტი და წერწუმა. ამას გარეთ, ვერცხლის მოჭედილი თვალიანი კოლოფი, ორი კაკლის ნალბაქი, ექვსი თეთრი საინი, ერთი თეთრი ხალიჩა, ერთი საბანი და ერთი ქუნთი, ერთი სადაფის სარკე. ამას გარეთ ერთი მატყლის ფართალი, თავს კარგი ქამხა, ოცი ლაინი, ერთი ხანჯარი, ერთი კარგი მშვიდლი, ერთი სახთანი, სამი ახლანი ვერ-

ცხდი. ესენი ყველა კაკაჩია გამახადის დაატყდა. გამდებრებული ჯეთ, მაგრამ გარდასახადი ვერა იშოვა რა. მისი შვილი გაუზი, ორი სასახლე [აღგილი] მევალესათვის მიეცა, სხვა ვერაფერი გარდიხადა. ამასობაში შემოგვეხვეწა კაკაჩია და ამის გარდასახადათ ხატის კლიტის არჩივი დაგვანება. ეს კლიტე გამახადის არ არი, მამაში შერგელაიასათვის მიგვიცემია. სხვა შერგელაიას ამაშიდ არა ურევია რა. მამაშის და მის შვილებს ასე მკვიდრად ქონდეს. ვინც ეს მოშალოს და წაართვას, მას მეორედ მოსვლას ჩვენი ცოდვის მუქაფი ქრისტეს მეუფის წინაშე ისიმც გაიკითხვის. ამის მოწამე მდივანი ქაიხოსრო არის და ეს წიგნი მე დამიწერია<sup>8</sup>.

მოტანილი სიგლის მონაცემებით ირკვევა შემდეგი: სასამართლომ გამახადი კაკაჩია ამხილა მამაში შერგელაიას ოჯახის გაქურდვაში. ნაქურდალის ანაზღაურებას გამახადი კაკაჩიას ქონება ვერ აუვიდა. ამიტომ მისივე თხოვნით და სასამართლოს თანხმობით საზღაურში „ხატის კლიტე“ დათმო. სასამართლომ „ხატის კლიტე“ დაზარალებულ მამაში შერგელაიას გადასცა.

სიგლში არ არის აღნიშნული, თუ რომელი ხატის კლიტეზე საუბარი, თუ როგორ მოხვდა აღნიშნული კლიტე გამახადი კაკაჩიას ხელში ან რომელი სოფლის მკვიდრი არიან შერგელაია და კაკაჩია. აქ, უკვე, სიტვა მპუთვნის ხალხურ გადმოცემას, რომელიც ს.კაკაბაძეს ჩაუწერია სოფელ ობუჯში (1921 წ.). ამ გადმოცემის თანახმად, კაკაჩიას გვარის წარმომადგენელს აფხაზეთში მოუპარავს ქიაჩის ხატი და ობუჯში დაუსვენებია. ამ კაკაჩიას შთამომავალს გაუქურდავს შენგელაიას ოჯახის რძლის მზითვევი, რის გამოც კაკაჩიას ხატი გადაუცია

<sup>8</sup> კაკაბაძე, სმ, I, 1925, გვ. 248-249.



შენგელაიასათვის<sup>9</sup>. პ.ცხადაიას მიერ ჩაწერილი გადმოცემა მის მიხედვით, ობუჯელი კაკაჩიების წინაპარი, რომელმაც ხატი ჯგუდის ეკლესიიდან გადმოასვენა, სოფელ კვირიულიდან ყოფილია<sup>10</sup>.

ხალხური გადმოცემა და ზემოთ მოტანილი 1681 წლის ხიგელი ავსებენ ერთმანეთს. მათი მონაცემის შეჯერების შედეგად ირკვევა შემდეგი: ხიგელში დასახელებული გამახადი კაკაჩია და მამაში შერგელაია ობუჯის მკვიდრნი არიან; ხიგელში ნახსენები ხატი იგივე ქიანის ხატია, რომლის ადგილსამყოფელი სოფელი ობუჯია; კვირიულ კაკაჩის ქიანის ხატი ობუჯში ენგურს გაღმიდან [„აფხაზეთიდან“] მოუტანია 1681 წელზე აღრე [ამ წელს ქიანის ხატი უკვე ობუჯშია]. ხატის ადგილსამყოფელის შეცვლა აიხსნება მისი პირვანდელი, მშობლიური ტაძრის გაუქმებით. როგორც ზემოთ ვნახეთ, 1640 წელს ქიანის ეკლესია მოქმედი იყო, რაც იმასაც გულისხმობს, რომ მისი სიწმინდეები, მათ შორის, სამწერობელი, იქვე ესვენა, 1681 წელს ის უკვე ობუჯშია. ამ პერიოდში, დაახლოებით 40 წლის ფარგლებში ქიანის სამწერობელი მოქვისწყლის ხეობის სოფელ ქიანიდან ჭანისწყლის ხეობის სოფელ ობუჯში იქნა გადასვენებული. რამ გამოიწვია ხატის ადგილსამყოფლის შეცვლა?

დროის აღნიშნული მონაკვეთი სამეგრელოს სამთავროს ისტორიაში ძნელდედობის ხანაა. ამ პერიოდში (XVII ს. 70-იან წლებში) აფხაზთა ცალკეული საფეოდალოები შერვაშიძეების მეთაურობით და მათი მოკავშირე ჩრდილო-კავკასური აღიდეური თემები სარგებლობენ რა სამეგრელოს სამთავროში შექმნილი შიდაპოლიტიკური არეალობით, განუწყვეტლივ ლაშქრავენ სამეგრელოს ტე-

<sup>9</sup> იქვე, გვ. 248.

<sup>10</sup> ცხადაია, 2000, გვ. 173.



რიტორიას მდ.კოდორის აღმოსავლეთით. განსაკუთრებულად ბული რისხვა დაატყდა თავს სამეგრელოს მოსახლეობას კოდორსა და დალიძგას შეა. მოსახლეობის აწიოკებას, დატყვევებას, აკრა-გასახლებას თან სდევდა ეკლესია-მონასტრების ძარცვა-რბევა. ამ პერიოდში სამეგრელოში მყოფი იერუსალიმის პატრიარქი დოსითეონი წერდა, რომ აფხაზებმა გააჩანაგეს სამეგრელო. აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიანი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან [აწინდელი ხოხუმი (-გ.ა.)] ცხვისწყლამდე და რიონამდე<sup>11</sup>. სათარეშოდ ქცეული მხარის ეკლესია-მონასტრებიდან ჯვარ-ხატები, საეკლესიო წიგნები და სხვა სიწმინდეები შედარებით უსაფრთხო ადგილებში ენგურს გამოდმა გადმოჰქონდათ. ამ დროს გადმოიტანეს მარტვილში ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი ბედიიდან და სახარება მოქვიდან, ზუგდიდისა და ხობის ეკლესიებში – მოქვის ტაძრის ხატები. სწორედ ამ ტალღას გადმოჰყვა ქიანის სიწმინდეებიც ენგურს გამოდმა მდებარე ადგილებში: ქიანის მთავარანგელოზის ხატი, რომელიც 1640 წელს ლევან II დადიანმა შეამკობინა, ჭოდაში (აწინდელი ჩხოროწყუს რაიონი) დაასვენეს, ხოლო ქიანის სამწერობელი ობუჯში<sup>12</sup>. ამის შემდეგ ობუჯში საგანგებოდ ამ ხატისათვის ააშენეს ხის ეკლესია, რომელსაც ქიანის ეკლესია დაერქვა. ასე გადმოჰყვა ხატს იმ ხოფლის სახელწოდება, ხადაც მისი მშობლიური ეკლესია იდგა, თავის ახალ სამკვიდროში, ობუჯში, ამიერიდან ქიანის ხატი და ობუჯი განუყრელი ერთობა გახდა.

ზემოთ მოტანილ სიგელში მოხსენიებულ კვიტოულელ კაპაჩიას (სამწერხაროდ მისი სახელი უცნობია) ამ ძნელბედობის უამს ქიანის ხატი-სამწერობელი საფრთხი-

<sup>11</sup> სელენიოვი, 1847, გვ. 46.

<sup>12</sup> ხორავა, 1996, გვ. 112.

საგან განურიდებია, ობუჯში საიმედო ადგილის დაუძინებულებია და თვითონაც აქ დასახლებულა. ცხადია, კაკანია ამას მაღლად, მოთარეშეთაგან შეუმნევლად თუ შეძლებდა. ამიტომ ზეპირი გადმოცემის ცნობა ხატის „აფხაზეთიდან მოპარვის“ შესახებ უნდა გავიგოთ როგორც ხატის წამოსვენება მოთარაშეებისაგან შეუმნევლად. მან ხატი „მოპარა“ ეკლესიის შემუსვრელებს და არა ეკლესიას. ამიტომაც ობუჯელი კაკანიას შთამომავლები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი შორეული წინაპრით, რომელმაც ეს დვთის სათხო საქმე უანგაროდ აღასრულდა.

ქიანის ხატი-სამწერობელი ობუჯში ახალაშენებულ ეკლესიაში დაუსვენებიათ, ხოლო მისი კლიტე (იგულისხმება სამწერობლის ჩასახვენებლის გასაღები) კაკანიას გვარის წარმომადგენელს ებარა.

ცნობილია, რომ ხატის კლიტის მცველობა ძალზე პრესტიჟული და შემოსავლიანი საქმე იყო. ეკლესიის შემოსავლიდან ხატის კლიტის მცველი განსაზღვრულ წილს დებულობდა. სწორედ ამიტომ ჩაითვალა გამახადი კაკანიასათვის დაკისრებული საკმაოდ დიდი საზღაურის ტოლფასად ხატის კლიტის არჩივის ანუ ეკლესიის შემოსავლიდან მისი კუთვნილი წილის მამაში შერგელაიასათვის გადაცემა.

1681 წლიდან 1923 წლამდე, ობუჯის ეკლესიის დახურვამდე, ქიანის ხატის კლიტე მამაში შერგელაიას და მის პირდაპირ შთამომავლებს ებარათ.

ქიანის ხატის შესახებ ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში XIX საუკუნეში შემოდის მიმოქცევაში. ამ დროისათვის აღნიშნული ხატი ხოფ. ობუჯში ესვენა. აქ უნვენებენ მის ადგილსამყოფელს მარი ბროსე (1847 წ.) და ეთაყაიშვილი (1913 წ.). თუ როგორ და როდის მოხვდა

აღნიშნული სიმწინდე ქიაჩიდან ობუჯში, ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. აქ კი კიდევ ერთხელ უნდა დავაზუსტოთ „ქიაჩის ხატის“ იდენტიფიკაციის საკითხი. ქიაჩის ეკლესიაში, როგორც ითქვა, მთავარანგელოზების ორი ხატი ესვენა, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს. უკვე ელია, რომ ქიაჩის ტაძარში სხვა წმინდანთა ხატებიც იყო. ამ სიწმინდეთაგან თბუჯსა და მის მიდამოებში სახელწოდება „ქიაჩის ხატი“ კონკრეტულად მხოლოდ ერთმა მათგანმა, სახელდობრ, სამწერობელმა დაიმკვიდრა. ხალხის წარმოდგენაში „ქიაჩის ხატი“ სწორედ ამ სამწერობელთან იქნა გაიგივებული, რომელიც ქიაჩიდან ობუჯში გადმოასვენა კაკაჩიამ. ამას მოწმობს მპროსეს მითითება, რომ ობუჯი არის სამწერობლის ადგილ-სამყოფელი<sup>13</sup>. ამასვე ადასტურებს სიძველეთა შესახწავლად სამეგრელოში მოგზაურობის დროს (1910-1911) ეთაყაიშვილის მიერ აღწერილი ერთი შემთხვევა: ....როცა ჩვენ მოვედით წალენჯიხას... იმჟამად იქ მყოფმა ადგილობრივმა გამომძიებელმა... გვაუწყა, რომ მომრიგებელ მოსამართლესთან მოწმეების დასაფიცებლად მოსვენებულია სოფელ ობუჯიდან ძველი ხატი, რომელსაც დიდი სახელი და პატივი აქვს სამეგრელოში. ეს ძლიერ ხატად არის მიწნეული და საყურადღებო საქმეების გარჩევის დროს მოწმეებს აფიცებენ. ხატის გასინჯვამ, დაგვარწმუნა, რომ იყო ვერცხლისაა, ოქროთი დაფერილი, არის ლამაზი ხელობისა“<sup>14</sup>.

ს.მაკალათია აღნიშნავს, რომ ქიაჩის მიქელ-გაბრიელის ხატი თავისი სიძლიერით ცნობილია წალენჯიხის რაიონში. ეს ხატი დასვენებული იყო სოფელ ობუჯში და მასზე აფიცებდნენ ქურდებს, ავაზაკებს და მოწმეებს.

<sup>13</sup> ბროსე, 1850, გვ. 8-9.

<sup>14</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 238.



ხატი წარმოადგენდა ვერცხლის სამწერობელს, ოქროთი დაფერილს... მასზე, სხვათაშორის, გამოსახული მწინდა მიქაელი და წმინდა გაბრიელი. ობუჯის ქაჩის ხატი ეპუთვნოდა შენგალაიას გვარს და მნათეგბეაც ამ გვარიდან ირჩევდნენ<sup>15</sup>.

შერგელაია (შენგალაია) სამეგრელოს ძირძველი აზ-ნაურული გვარია. ამ საგვარულოს წარმომადგენელი წერილობით წყაროებში პირველად XVI საუკუნეში იხსე-ნიება. მხედველობაში მაქვს შერგილაძეთა სახისხლო ხი-გალი, რომელიც გაცემულია იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის მიერ 1554 წელს. სიგელში მეფე აღნიშნავს: „მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდად ერთგული და ნამსახურნი თავსდებით აზნაურისშვილი, შერგილაძენი ჯაკვა და მათნი შვილნი მათე და მომავალნი მათი ყოველივე და სახლისშვილნი, რაითამცა დაგვეაჯნეს და ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი, შევიწყალეთ და უბოძეთ სახისხლო სიგელი ეხე“. მეფის განაჩენის დამამტკიცებელთა შორის დასახელებულია მეფის მანდატურთუხუცესი და ოდიშის ერისთავი ლევან I დადიანი<sup>16</sup>.

ჯაკვა შერგილაძე, როგორც კხედავთ, მეფის აზნა-ური ყოფილა. სახისხლო სიგელი გაცემულია ოდიშის საპ-თავროს, როგორც პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალი-ბების კვირაძალში. სიგლის გაცემის დროს ოდიში იური-დიულად ჯერ კიდევ იმერეთის სამეფოში შემავალი ტერიტორიულ-აღმინისტრაციული ერთეული ანუ საერის-თავია, რომელზეც იმერეთის მეფის ხელისუფლების უზენაესობა, მართალია, ფორმალურად, მაგრამ ჯერ კიდევ ვრცელდება, სადაც მეფეს ჯერ კიდევ ჰყავდა თავისი ქაშევრდომი აზნაურები, მათ შორის, ჯაკვა

<sup>15</sup> მაკალათია, 2006, გვ. 349.

<sup>16</sup> ქრონიკები, II, გვ. 397-398.



შერგილაძე. აღნიშნული სიგელის გაცემიდან ორი წელი 1556 წ. ოდიშის საერისთავოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულიდან პოლიტიკურ ერთეულად ტრანსფორმაციის ხანგრძლივი პროცესის დასასრული იურიდიულად გაფორმდა, რაც გამოიხატა ოდიშის ერის-თავის ხელმწიფედ კურთხევაში. ამიერიდან შერგილა-ძეები, ისე როგორც ოდიშის სხვა სამეფო აზნაურები, ხელმწიფე დადიანების აზნაურებად იქცნენ.

გვარსახელი შერგელაძე/შერგილაძე, როგორც ქარ-თული გვარების უმეტესობა, ნაწარმოებია საკუთარი სა-ხელიდან შერგელი//შერგელა. სამეგრელოსა და აფხა-ზეთში, როგორც მთელ საქართველოში, თავად-აზნაურთა გვარები ძე ბოლოსართით ფორმდებოდა (მაგალითისა-თვის, აფაქია-აფაქიძე, გოშუა-გოშოძე, ჟვანია-ჟვანიძე, თოფურია-თოფურიძე, ლგებია-ლგებუაძე და ა.შ.). გვარ-სახელი შერგელაძე ადგილობრივ გამოითქმოდა შერგე-ლაიად. სწორედ ეს ფორმა დასტურდება ზემოთ მოტანილ 1681 წლის სიგელში. XIX საუკუნეში შერგელაიამ მიიღო შენგელაიას ფორმა.

ურველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავას-კვნათ: ქიანის ხატის სახელწოდებით ცნობილი სამწერო-ბელი შეიქმნა 922–957 წლებს შორის ეგრის-აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის დაკვეთით და დაასვენეს სოფელ ქიანის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში. სოფე-ლი ქიანი მდებარეობს მოქვისწყლის სათავეებთან, ფანა-ვის ქედზე (აწინდელი ოჩამჩირის რაიონის ჯგუფის თე-მის ტერიტორიაზე).

XVII საუკუნის 70-იან წლებში აღნიშნული ხატი-სამწერობელი კაპანიას გვარის წარმომადგენელმა ქიანის ეკლესიდან ობუჯში გადმოასვენა. ამ დროიდან ობუჯის ეკლესიას, სადაც ქიანის სამწერობელი იქნა დასვენებუ-

ლი, ქიათის ეკლესია ეწოდა. ობუჯში ქიათის ხატის მცველები თავდაპირველად კაკათიას გვარის წმინდაში მადგენლები იყვნენ.

1681 წელს სამეგრელოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ქიათის ხატის კლიტე ჩამოერთვა გამახადი კაკათიას და გადაეცა აზნაურ მამაში შერგელაიას. ამ დროიდან მოკიდებული ხატის მცველები იყვნენ მამაში შერგელაიას პირდაპირი შთამომავლები.

ქიათის ხატი-სამწერობელი 1923 წლიდან ზუგდიდის ისტორიულ მეზეუმშია.

ქიათის ეკლესიასა და მის სიწმინდებზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავტაროთ სამეგრელოს სოფლებში, ნოდაში, თამაკონსა და გურძემში (მარტვილის რაიონი) დადასტურებულ ტოპონიმს „ნაქიაჩუ“-ს. ნოდაში „ნაქიაჩუ“ („ნაქიათარი“) ჰქვია აღგილს, სადაც ერთ დროს ქვაჯვარი ყოფილა აღმართული. იქვე, ახლოს დგას ციხე, რომელსაც ჯაიანების ციხეს უწოდებენ. ციხის მიღამოებში დამოწმებულია მიკროტოპონიმები: „ჯაიანიშ ნოხეორი“ („ჯაიანის ნასახლარი“), „ჯაიანიშ ნამარან“ („ჯაიანის ნამარნევი“)<sup>17</sup>. ამრიგად, აღგილს ნოდაში, ჯაიანების კარმიდამოში, სადაც ერთ დროს აღმართული ყოფილა ქვაჯვარი, აღგილობრივი „ნაქიაჩუს“ ეძახიან. ფორმა „ნაქიაჩუ“ ყოფილობას გამოხატავს, ისევე როგორც „ნოხეორი“, „ნამარანუ“ და ა.შ., რაც გელისხმობს იმას, რომ თავდაპირველად აღგილის სახელწოდება „ქიათი“ ყოფილა, ხოლო „ნაქიაჩუ“ გვიანდებით მოვლენაა. მაშასადამე, ნოდაში, ჯაიანების კარმიდამოში აღმართული იყო ქვაჯვარი „ქიათის“ სახელწოდებით. ბუნებრივად იბადება კითხვა, რატომ უნდა დარქმეოდა ქვაჯვარს სოფლის სახელწოდება ქიათი? ვყიქრობ, აქ არა სოფელი ქიათი,

<sup>17</sup> ელიაგა, 1977, გვ. 153-160.



არამედ ქიანის გკლეხია იგულისხმება. ამის საფუძვლით მეტად იძლევა შემდეგი: შეა საუკუნეების საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ამა თუ იმ გკლეხიის სახელზე დაშორებულ აღგილებში ქვაჯვარების (სტელების) აღმართვის პრაქტიკა. დანიშნულების მიხედვით, ამ ქვაჯვარებს სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა პქონდათ<sup>18</sup>. ნოდაში, ჯაიანების სამოსახლოში ქვაჯვარი აღუმართავთ ქიანის გკლეხიის სახელზე. საკითხავია, რა კავშირი პქონდათ ნოდაში ჯაიანებს ქიანის გკლეხიასთან? ისტორიული წყაროები ასეთ კავშირს, მართალია, ირიბად, მაგრამ მაინც ავლენენ. ჯაიანები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში (თუ უფრო ადრე არა), ქიანის სიახლოვეს, ჭალასა (აწინდელი ჭლოუ ოჩამჩირის რაიონში) და ფშიაში (აწინდელი ფში) მკვიდრობდნენ. XVII საუკუნის დასაწყისში ჯაიანები აქედან „უკვე წასულები არიან, რასაც მოწმობს შემდეგი. 1611/12.წწ. გაცემული ერთი დოკუმენტის მიხედვით, სოფლები ჭალა და ფშია „ჯაიანისეულად“ იხსენება<sup>19</sup>. 1621 წელს შედგენილი ბიჭვინთის სათოლიკოსო ემა-მამულების ნუსხაში სოფელ ჭალაში იხსენიება „სასახლე ნაჯაიანუ“<sup>20</sup>. ჭლოუში ამ ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო „უბნის სახელწოდება ნაჯაიანუ“<sup>21</sup>. „ჯაიანისეული“ და „ნაჯაიანუ“ ორივე ყოფილობას გამოხატავს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ XVII საუკუნის დასაწყისიათვის ჯაიანები აქ ადარ მკვიდრობენ. ჭალიდან და ფშაფიდან წამოსულ ჯაიანებს ახალ სამკვიდროზე, ნოდაში თავიანთი საღლოცავის, ქიანის გკლეხიის სახელზე ქვაჯვარი აღუმართავთ. ეს ქვაჯვარი ახალ

<sup>18</sup> იხ.ჯავახიშვილი, 1998; მანაბელი, 1998.

<sup>19</sup> კაკაბაძე, სმ, II, 1925., გვ. 182.

<sup>20</sup> სამართლის ძეგლები, III, გვ. 434.

<sup>21</sup> ზუბაძა, 2000, გვ. 77.

ადგილზე დედაეკლესიას (ქიანისას) განახახიერებდა და მის მისამართი სახელს ატარებდა.

რაც შეეხება გურძემის „ნაქიაჩუს“, დღეს ამ ადგილზე გადასახის ან რაიმე საკულტო დანიშნულების ნაგებობის ნაშთი არ ჩანს. მაგრამ აქაც ერთ დროს (მნელი სათქმელია რა დროიდან) ქიანის სახელწოდების ეკლესია ან ქვაჯვარი უნდა ყოფილიყო.

ქიანის სახელწოდების ეკლესია ყოფილა სოფელ თამაკონშიც (მარტვილის რაიონში). სოფლის ერთ ადგილს შემორჩა სახელწოდება „მექიაჩეშ თხვამე“ [„მექიაჩის სალოცავი (ეკლესია)“]<sup>22</sup>, ხოლო იქვე არსებულ სასაფლაოს „ქიანიშ თოხორუ“ („ქიანის სასაფლაო“)<sup>23</sup>. ადგილობრივ მოსახლეობაში დაცული გადმოცვით, „მექიაჩები“ ერქვათ ჯანაშიას გვარის ერთი შტოს წარმომადგენლებს, რომლებიც მემკვიდრეობით „ქიანის მეხატურები“ ანუ ქიანის ეკლესიის (ხატის) მსახურები იყვნენ. აქედან გამომდინარე „მექიაჩეშ თხვამე“ თავისთავში გულისხმობს ქიანის ეკლესიას (ხატს), რომელსაც მექიაჩე ემსახურება.

სავსებით დასაშვებია, რომ ქიანის ეკლესიის სხვადასხვა ხატები იმ დროს დაებრძანებინათ გურძემსა და თამაკონში, როდესაც იმავე ეკლესიის ერთ-ერთი ხატი კაკანიამ თბუჯში დაასვენა.

<sup>22</sup> ელიაშვილი, 1977, გვ. 161.

<sup>23</sup> ცხადათ, 2000, გვ. 173.

დასავლეთ საქართველოში დალიძგას სახელწოდებით ცნობილია მდინარე, რომელიც აწინდევლი გალისა და ოჩამჩირის რაიონებს მიჯნავს ერთმანეთისაგან. სოფელი და მდინარე დალიძგა წერილობით წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენიება. 1628 წლით დათარიდებული ერთი საბუთის მიხედვით, ოდიშის მთავარს, ლევან დადიანს (1611–1657) ბიჭვინთის საკათოლიკოსო საყდრისათვის შეუწიორავს სასახლე და ყმა-გლეხები სოფელ დალიძგაში<sup>1</sup>. იმავე საბუთის შინაარსი დალიძგას შესახებ ცნობითურთ გამეორებულია დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსების, მალაქია გურიელისა (1616–1639) და გრიგოლ ლორთქიფანიძის (1696–1742) მიერ შედგენილ დოკუმენტებში<sup>2</sup>.

აღნიშნული ტოპონიმი „Echarisgas“—ის ფორმით გვხვდება იტალიული მისიონერის (სამეგრელოში მოღვაწეობდა 1630–1649 წლებში) არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუპაზე<sup>3</sup>. ლამბერტისეული „Echarisgas“ მკვლევართა მიერ, სავსებით მართებულად, მიჩნეულია „დალიძგას“ ლათინურ გადმოცემად<sup>4</sup>. ლამბერტი, ამავე დროს, მდინარეს, რომლის სანაპიროზეც თავის რუპაზე სოფელ დალიძგას უწევნებს, „Echaris“-ს უწოდებს<sup>5</sup>. თბერაძე, სრულიად სამართლიანად, თვლის, რომ ამ ფორმით ლამბერტი აღნიშნავს მდ.დალიძგას<sup>6</sup>, ხოლო თვით პინდო-

\* დაიბეჭდა ეურნალში „ენგური“, № 1-2, 1998,

<sup>1</sup> კაკაბაძე, 1921(I), გვ. 41.

<sup>2</sup> სამართლის ძეგლები, III, გვ. 476, 500, 501.

<sup>3</sup> ბერაძე, 1971, № 32, გვ. 56.

<sup>4</sup> ინგოროვა, 1954, გვ. 175; ბერაძე, 1967(I), გვ. 69.

<sup>5</sup> ლამბერტი, 1938, გვ. 179; ბერაძე, 1971, გვ. 56.

<sup>6</sup> ბერაძე, 1967(I), გვ. 137-138.



ნიმი „*Echaris*“- (ეხარის) კ.ბერულავას და თ.ბერაძეს მიერთავა, ნიათ მდღალიძეს ერთი შენაკადის, მდოხეურის სახელწოდების ლათინურ გადმოცემად, კინაიდან, როგორც ისინი ფიქრობენ, ოხურის სახელწოდება ლამბერტს, შეცდომით, დალიძგაზე გადააქვს<sup>7</sup>.

ვფიქრობ, ლამბერტის ეული „ეხარისის“ ამგვარი ეტომოლოგია და იდენტიფიკაცია საუკვამა. ამასთან დაკავშირებით უურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: ლამბერტი სოფლის სახელწოდებას „*Echarisgas*“-ის ფორმით გადმოხცემს, სადაც *Echaris* მეგრულ „დალს“ („დელს“, მდინარე, ნაკადული), ხოლო „gas“ – „ძგა“-ს („ძგიდე“, კიდე, ნაპირი) შეესატყვისება. ამ ტოპონიმის პირველი ნაწილი (*Echaris*) იმ მდინარესაც მიემართება, რომლის ნაპირადაც ნაჩვენებია პუნქტი დალიძგა („*Echarisgas*“). როგორც ვხდავთ, მეგრული „დალი“ ლამბერტან გადმოიცემა როგორც „ეხარის“, რაც, თავის მხრივ, მდინარის სახელწოდებაში „დალ“ კომპონენტის არსებობას ადასტურებს. ეს კი „ეხარისის“ ოხურისაგან წარმომავლობას მიუღებელს ხდის, თუმცა ფონეტიკურად ეს უკანასკნელი უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან. გამოდის, რომ განსახილველ მდინარეს ლამბერტის დროს უბრალოდ „დალი“ ერქვა ან მისი სახელწოდება (თუ ის იმ დროს „დალიძგა“ იყო) რადაც მიზეზით ხრული სახით ვერ მოგვცა.

მდინარის სახელწოდება ხრული ფორმით – დალიძგა – დასტურდება პავლე ალეპოველის თხზულებაში, რომელიც 1664–1666 წლებში საქართველოში მოგზაურობის შედეგად შეიქმნა<sup>8</sup>. ამ დროიდან მოკიდებული ამ სახელწოდებით მდინარე და ხოფელი არაერთ ქართულ და უცხოურ წერილობით ძეგლში იხსენიება.

<sup>7</sup> ბერულავა, 1951, გვ. 64; ბერაძე, 1967, გვ. 69-70.

<sup>8</sup> მასალები, 1973, გვ. 70.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში მდღალიძე გაიგივებულის /  
ეკუთხება  
ქართველი ქართველი წერისტების ეგრისტების გარისტების თხზულებიდან (1745 წ.). ცნობილია, რომ მდღალიძეს ვახუშტი თავისი თხზულების ტექსტში და რეპაზეც ყველგან ეგრისტების უწოდებს<sup>9</sup>.

ნიკო დადიანი, რომელიც თავის „ქართველთ ცხოვრებაში“ ძირითადად ვახუშტის თხზულებას მიხდევს, როგორც წესი, იმეორებს ვახუშტის ცნობებს დალიძგასა და ეგრისტების იგივეობის შესახებ<sup>10</sup>. ვახუშტის და ნდადიანის ეს შეხედულება გაიზიარა პინგოროვან და ახალი არგუმენტებიც მოიტანა მის სასარგებლოდ<sup>11</sup>. შემდგომში ამ მოსაზრებამ ფართო აღიარება მოიპოვა სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში.

ჯერ შევეხოთ ვახუშტის ცნობებს. კარგა ხანია შენულია, რომ ვახუშტი ეგრისისა და ეგრისტების შესახებ მსჯელობისას ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობებიდან ამოდის<sup>12</sup>. რაიმე ახალი მასალა დალიძგა-ეგრისტების იგივეობის შესახებ მას არა აქვს. ხოლო რაც შეეხება ლეონტი მროველის მიერ არაერთხელ მოხსენიებული ეგრისტების ლოკალიზაციას, ამ საკითხზე ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. თუ რომელი მდინარე ეგულება ლეონტი მროველს ეგრისტების სახელწოდების ქვეშ, ამის ამოცნობას უკავშირებენ მისსავე მითითებას ქალაქ ეგრისის მდებარეობის შესახებ. ლეონტი კი წერს: „ხოლო ამან ეგრის (მეგრელთა ეპონიმი – გ.ა.) აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი

<sup>9</sup> ვახუშტი, გვ. 845, 863, 887; ბერაძე, 1971(II), გვ. 63.

<sup>10</sup> დადიანი, 1963, გვ. 153.

<sup>11</sup> ინგოროვან, 1954, გვ. 127-128.

<sup>12</sup> ბერაძე, 1967, გვ.



ეგრისი. აწ მას ადგილსა პქვიან ბედია<sup>13</sup>. ამ ცნობებით გამომდინარე იკვავახიშვილი აღნიშნავს: „ლეონტი შრეველი ამტკიცებს, რომ ქეგრისს „აწ პქვიან ბედია-ო“. ამიტომ, აღბათ, მას ეგრისის წყალი იქმა. ბედიის მახლობლად ეგულებოდა... მაშინ ეგრისწყლად მდ. ოხოჯი უნდა ყოფილიყო“<sup>14</sup>. უნდა ითქვას, რომ ლეონტის ცნობები არ იძლევა საფუძველს იმის სამტკიცებლად, რომ მის წარმოდგენაში ქალაქ ეგრისისა და მდეგრისწყლის ასეთი ტერიტორიული სიახლოვე იგულისხმება, ასეთი რამ არსაიდან ჩანს. ამიტომ მნელია გავიზიროთ აზრი, რომლის თანახმად, ლეონტი მროველს ქალაქი ეგრისი, მერმინდელი ბედია, მაინცდამაინც უშუალოდ ეგრისწყლის სანაპიროზე ეგულება (ლეგენდარულ ქალაქ ეგრისზე კი, მაგრამ რუსის ეპისკოპოსს დახავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სახელგანთქმული საეკლესიო ცენტრის, ბედიის მდებარეობაზე რომ ზუსტი ცოდნა არ ჰქონდა, მნელი წარმოსადგენია). ამიტომ არ არის აუცილებელი რომ ლეონტი მროველს ეგრისწყალში ის მდინარე ეგულისხმა, რომლის ნაპირასაც ბედია მდებარეობს.

ვახუშტისათვის კი ამოსავალი, როგორც ითქვა, ლეონტის ცნობებია. ამ ცნობებით მას შეექმნა, უნდა ითქვას, მცდარი შთაბეჭდილება, რომ თავის დროზე ქეგრისი, მერმინდელი ბედია, მდეგრისწყლის სანაპიროზე აშენდა. ამ მცდარი დასკვნიდან გამომდინარე, ვახუშტი აკეთებს სხვა დასკვნასაც, სახელდობრ, ის მდინარე, რომლის ნაპირზეც მდებარეობს ბედია, იგივე ეგრისწყალია. სწორედ ამითაა გამოწვეული ის უზუსტობანი, რაც ესოდენ თვალში საცემია ვახუშტის ტექსტში ეგრის-

<sup>13</sup> ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 19.

<sup>14</sup> ჯავახიშვილი, 1983, გვ. 23.

წყლის სათავისა და მიმართულების აღწერასა და არმოდგენა  
ქაზე კალაპოტის გამოხაზვაში<sup>15</sup>, მაგრამ მისივე სწავლა  
ცნობებიდან აშკარად ჩანს, რომ ეგრისწყლად მას მდგა-  
ლიდგა წარმოედგენია<sup>16</sup>.

მართალია, ვახუშტის ბენდოვანი წარმოდგენა აქვს  
ენგურის დასავლეთით მდებარე ტერიტორიის ისტორიულ  
გეოგრაფიაზე<sup>17</sup>. მაგრამ ერთი რამ აშკარად ჩანს: მას  
ეგრისწყლი ის მდინარე ჰუნია, რომელსაც ჩვენთვის  
ცნობილი სხვა წყაროებით დალიდგა ჰქვია. ამიტომ ნდა-  
დიანი და მეცნიერული ისტორიოგრაფიის წარმომადგენ-  
ლები ვახუშტისეული ეგრისწყლში, სავსებით მართებუ-  
ლად, დალიდგას გულისხმობენ. ეს იმ უბრალო მიზეზით,  
რომ ვახუშტისათვის ეს ასეა. მაგრამ ეს საკითხის მხო-  
ლოდ ერთი მხარეა. მართალია ასე ფიქრობს ვახუშტი,  
მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მის მიერ  
მოცემული ლოკალიზაცია-იდენტიფიკაცია ლეონტისეული  
ეგრისწყლისა სწორია ანუ ლეონტიც ეგრისწყლში და-  
ლიდგას გულისხმობდა. თბერაძემ დამაჯერებლად აჩვენა,  
რომ ლეონტისეული ეგრისწყლი იგივე ენგურია<sup>18</sup>. აქვე  
უნდა შევნიშნო, რომ ქადაქი ეგრისი (გვიანდელი ბერია),  
ლეონტი მროველთან რომ იხსენიება, მისივე ცნობებიდან  
თუ ამოვალთ, არ არის აუცილებელი მაინცდამაინც ენ-  
გურის სანაპიროზე ვემიოთ, როგორც ამას თბერაძე  
ფიქრობს<sup>19</sup>.

ვახუშტისა და ნიკო დადიანის თვალსაზრისს და-  
ლიდგასა და ეგრისწყლის იგივეობის შესახებ პინგოროფ-

<sup>15</sup> ბერაძე, 1967(II), გვ. 63.

<sup>16</sup> ვახუშტი, გვ. 783, 845, 86-887.

<sup>17</sup> ბერაძე, 1967(II), გვ. 63.

<sup>18</sup> ბერაძე, 1967, გვ. 141.

<sup>19</sup> იქვე.

ვა ლეონტისეულ ეგრისწყალზეც ავრცელებს. ამის მოძღვანელი მობად მას მიაჩნია იხიც, რომ არქანჯელო ლაშტერტის დალიძგა მოხსენიებული აქვს სახელწოდებით „ეკარისი“, რაც იგივე ეგრისია – აღნიშნავს მკვლევარი. ეს გარემოება პ.ინგოროვას მიაჩნია იმის მოწმობად, რომ მდ.დალიძგას შერჩენილი ჰქონია ძველი სახელწოდება „ეგრისწყალი“ XVII-XVIII საუკუნეებამდე<sup>20</sup>.

როგორც თბერაძემ ცხადჲო, ლაშტერტისეულ – *Echaris*-ს, რომელსაც პ.ინგოროვა „ეკარისად“ კითხულობს, არავითარი კავშირი არა აქვს ეგრისთან<sup>21</sup>, ამასთანავე როგორც ზემოთ ვნახეთ, „ეხარის“ „დალის“ შესატყვისია და არა „ეგრისისა“. აქედან გამომდინარე ეგრისწყალი რომ მდ.დალიძგას ძველი სახელწოდება იყო, არ დასტურდება. ამრიგად, ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული ეგრისწყალი მდ.ენგურს მიემართება; ვახუშტის აზრი ეგრისწყლისა და ლალიძგას იგივეობის შესახებ ემყარება ლეონტი მროველის ცხობების არასწორ ინტერპრეტაციას; ვახუშტისა და მასზე დამოკიდებული ნ.დადიანის გარდა, არც ერთი ქართული თუ უცხოური წყაროს ავტორი დალიძგას ეგრისწყალთან არ აიგივებს.

ახლა შევეხოთ საკითხს, თუ როდის იყო დალიძგა სასაზღვრო მდინარე „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის იმ მონაკვეთში, რომელიც ტრადიციული შეხედულებით ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ავტორობითაა ცხობილი, გატარებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად ალექსანდრე მაკედონელის დროიდან (ძ.წ.IVს.) ვახტანგ გორგასლის მეფობამდე (V ს. II ნახევარი) საზღვარი ეგრისსა და „საბერძნეთის“ (იგულისხმება რომი

<sup>20</sup> ინგოროვა, 1954, გვ. 128.

<sup>21</sup> ბერაძე, 1967, გვ. 136-138.



და ბიზანტია) სამფლობელოებს შორის ეგრისწყალზე გადიოდა<sup>22</sup>. ამ ეგრისწყალს მკვლევარები: პინგოროვანი, ზ.ანჩაბაძე, დ.მუსხელიშვილი, დ.ლეთოდიანი<sup>23</sup> და სხვა იგივე დალიძგად მიიჩნევენ. როგორც ითქვა, ასეთი გაიგივების საფუძველს თვით წყაროს ტექსტი არ იძლევა, ვინაიდან ლეონტისა და ჯუანშერის მიერ ეგრისსა და „საბერძნეთს“ შორის საზღვრად დასახელებული ეგრისწყალი არის ენგური და არა დალიძგა.

სამეცნიერო დიტერატურაში საყოველთაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმად მდ.დალიძგა ერთ დროს წარმოადგენდა საზღვარს ლაზთა (მეგრელთა) და აფშილთა განსახლების ტერიტორიებს შორის. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს VI ს. ბიზანტიელი ავტორის, პროკოპი კესარიელის შემდეგი ცნობა: „ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც უქვესინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის. პონტო რომ თავდება აქ ქმნის ნახევარმთავარის მსგავს ნაპირს. ამ ნახევარმთვარის გადასავალი უდრის ხუთასორმოცდაათ სტადიონს... ნახევარმთვარის იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზისა არის, მდებარეობს ქალაქი პეტრა, ხოლო მის პირდაპირ, მეორე ნაპირას, კვროპის ნაწილში აფხილების ქვეყანაა“<sup>24</sup>. ამ ცნობის ინტერპრეტაცია პირველად მოვცა მ.ივაშჩენკომ. მისი მოსაზრებით, შავი ზღვის ნახევარმთვარის მსგავსი ნაპირის დასახრული დაახლოებით მდ.დალიძგის შესართავის მიდამოებს ემთხვევა. აქედან დასკვნა: ეთნიკური საზღვარი ლაზთა და აფშილთა შორის მდ.დალიძგაზე

<sup>22</sup> ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24, 146, 177.

<sup>23</sup> ანჩაბაძე, 1959, გვ. 7; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 110-111; ლეთოდიანი, 1991, გვ. 15.

<sup>24</sup> პროკოპი კესარიელი, 1934, გვ. 126.

გადის<sup>25</sup>. შემდგომში ეს მოხაზუება გაიზიარეს ზ.აქმაშვილის მემ, დ.მუსხელიშვილმა, დ.ლეთოლიანმა და სხვ.<sup>26</sup>

პროკოპი კესარიელის მიერ აღწერილი ნახევარმოვარის მხგავსი ნაპირის დასასრული (სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით) რომ დალიძგას შესართავის სანახებია, ამის დამადასტურებლად მკვლევართა მიერ მოტანილია შემდეგი ძირითადი არგუმენტები: ა) შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ნახევარმოვარისებური მოხაზულობა სწორედ მდ.ლალიძგასთან მთავრდება<sup>27</sup>; ბ) 550 სტადიონი, რომელიც დაახლოებით 100 კმ. უდინის, პეტრადან (აიგივებენ ციხისძირთან) იღორუამდე, დალიძგას შესართავამდე უწევს<sup>28</sup>; გ) „დალიძგა“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: დელე კიდისა, მდინარე საზღვრისა<sup>29</sup>.

შევეხოთ თითოეულ არგუმენტს ცალ-ცალკე. პირველი საბუთი, როგორც ვნახეთ, ნახევარმოვარის მოხაზულობის მხგავსი ნაპირის დასასრულის განსაზღვრაა. მაგრამ ამ ნაპირის დასასრულის მაინცდამაინც დალიძგასთან დადგება უდაო არ არის. ამასთან დაკავშირებით მართებულად მიმანია თვალსაზრისი, რომლის თანახმად შავი ზღვის აღმოსავლეთი მორკალული ნაპირის ანუ „ნახევარმოვარას“ – დასასრული ანუ ჩრდილოეთი კიდე მდ.კოდორის შესართავთან მიდის და სწორედ ამ მდინარის შედეგ სახლობენ აფხილები<sup>30</sup>.

მეორე არგუმენტად მოხმობილია მანძილის სიდიდე, რაც „ნახევარმოვარას“ დასაწყისიდან, პეტრა-ციხისძირი-

<sup>25</sup> ივაშჩენკო, 1926, გვ. 83.

<sup>26</sup> ანჩაბაძე, 1959, გვ. 7-8; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 107-108; ლეთოლიანი, გვ. 184-185.

<sup>27</sup> მუსხელიშვილი, 1977, გვ. 108.

<sup>28</sup> ივაშჩენკო, 1926, გვ. 83; ლეთოლიანი, 1991, გვ. 185.

<sup>29</sup> ინგოროვა, 1954, გვ. 108; ლეთოლიანი, 1991, გვ. 185.

<sup>30</sup> ლომოური, 1993, გვ. 79.



დან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 550 სტადიონის შეადგენს. 550 სტადიონი, თუ პროკოპი კესარიელს მხედველობაში აქვს ოლიმპიური სტადიონი (184 მ. ან 192 მ.) უდრის დაახლოებით 101–105 კმ, თუ ნაგულისხმევია ატიკური სტადიონი (177 მ.). მაშინ ის დაახლოებით 97–98 კმ-ის ტოლია. როგორც ითქვა 550 სტადიონის ათვლის წერტილად ანუ „ნახევარმთვარის“ დასაწყისად აღებულია ციხისძირი, რომელთანაც გაიგივებულია პროკოპის მიერ ნახევნები ციხე-ქალაქი პეტრა. ასეთ ლოკალიზაციას იზიარებს ყველა ზემოთ დასახელებული მქედევარი. ამ ბოლო დროს გამოითქვა განსხვავებული თვალსაზრისი, რომლის თანახმად პროკოპისეული პეტრა ლოკალიზებულია თანამედროვე ხოფასთან<sup>31</sup>. ამ გარემოებას გარკვეული კორექტივი შეაქვს „ნახევარმთვარა“ ნაპირის დასაწყისის განსაზღვრაში. დგება საკითხი: „ნახევარმთვარას“ დასაწყისის და 550 სტადიონის გადაზომვისათვის ათვლის წერტილად ციხისძირი მივიჩნიოთ თუ ხოფა. თუ ასეთად ციხისძირს მივიღებთ, 550 სტადიონი ეგრისწყლის შესართავს არ გადასცილდება, თუ ხოფას-ენგურის შესართავს. არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში 550 სტადიონი ღალიძგამდე არ მიღის. ამავე დროს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ნახევარმთვარა“ ნაპირი ჩრდილოეთით მდ.კოდორის შესართავამდე აღწევს, მაშინ უნდა ვადიაროთ, რომ პროკოპი კესარიელის მიერ „ნახევარმთვარა“ ნაპირის დასაწყისსა და დასასრულს შორის ნაჩვენები მანილი (550 სტადიონი) ზუსტი არ არის.

მესამე არგუმენტი, როგორც ითქვა, პიდრონიმ ღალიძგას ეტიმოლოგიაა. უნდა ითქვას, რომ „ღალიძგა“ (თავდაპირველი ფორმა „ღალი(მ)გა“) პ.ინგოროვაშ არასწორად განმარტა. ღალიძგა სიტყვა-სიტყვით არის „ღა-

<sup>31</sup> გრიგორია, 1994, გვ. 11-78.



ლის კიდე, მდინარის ნაპირი“ და არა „ღელე კიდება მდინარე საზღვრისა“. ამ პიდრონიმის სწორი ეტიმოლოგიური თავის დროზე მოგვცა იყიფშიძემ. მკვლევარი წერდა: „დალი-ძვა გალიძგა, რეка в самурдзакано (букв. берег: реки)<sup>32</sup>. რატომდაც, ეს სწორი ეტიმოლოგია შემდგომში იცნორირებულ იქნა.

ტოპონიმთან მიმართებაში „დალიძგა“ ასე უნდა განიმარტოს: „დელის კიდეზე, დელის ნაპირზე მდებარე“. მხგავსი აგებულების ტოპონიმი – „წყარიძგა“ – დასტურდება რიონის ხეობაშიც<sup>33</sup>. „წყარიძგა“ – „წყლის კიდეს, წყლის ნაპირს“ ნიშნავს, ხოლო დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში იმავე, რახაც „დალიძგა“.

როგორც ვხედავთ, „დალიძგას“ ეტიმოლოგიურად არავითარი კავშირი არა აქვს საზღვრის, მიჯნის ცნებასთან. დალიძგა თავდაპირველად ერქვა დასახლებულ პუნქტს (აწინდელი ბესლაბუბა), რომლის სახელწოდება შემდეგ მდინარეზეც გადავიდა.

ამრიგად, პროკოპი კესარიელის ცნობები მეგრელთა (ლაზთა) და აფშილთა ეთნოგრაფიულ საზღვრად მდგალიძგას არ გულისხმობს. ასეთად, მისი მონაცემების მიხედვით, მდ.კოდორი ჩანს.

მეგრელთა და აფშილთა ეთნოგრაფიული საზღვარი რომ მდგალიძგა იყო, ამის მოწმობად მიჩნეულია თეოდოსი განგრელის ცნობებიც, რომლებიც VII ს. 60-იანი წლების ვითარებას ასახავენ. თეოდოსი განგრელის „მოსახსენებლის“ ბერძნული ვერსიის მიხედვით, ბიზანტიიდან დევნილი ანასტასი აპოკრისიარი ლაზთა პატრიკიოსმა მოათავსა „იმ ციხეში, რომელსაც თუსუმესი ეწო-

<sup>32</sup> ყიფშიძე, 1994, გვ. 563.

<sup>33</sup> კაკაბაძე, 1921(I), გვ. 43; სამართლის მკლები, III, გვ. 476-477, 481, 500, 503, 676, 731, 767.

დება და რომელიც მდებარეობს სოფელ მოქვის ზემოთ,  
 აფხილიის მხარის საზღვარზე... აბაზგებისა და ალანების  
 ტომის მახლობლად, ხუთი სიმიის მანძილზე სოფელ  
 ჯიხახორადან, ე.ი., იმავე ლაზთა ქვეყნის... პატრიკიოსისა  
 და მაგისტროსის გრიგოლის პირველი სახლიდან<sup>34</sup>.  
 მოტანილი ფრაგმენტი იმავე თხზულების ძველქართულ  
 თარგმანში (XII ს.) ასე იკითხება: ანახტასი გამოკატეს  
 ციხეში „თუსუმის წოდებულსა, კიდესა აფხილიახსახა  
 მდებარესა... მახლობლად აფხაზთახსა, ვითარ ხუთ უბჟ-  
 ვან განშორებულად ქსიხახორისა სოფლით, სადა შენ  
 არს სახლი გრიგოლი... პატრიკისა და ლაზთა სოფლისა  
 მაგისტროსისავ“<sup>35</sup>, მოტანილ ამონაწერებში დასახელებუ-  
 ლი თუსუმეს//თუსუმი და ჯიხახორას ზუსტი ლოკალიზა-  
 ცია არ ხერხდება, მაგრამ მათ სიახლოვეს არსებული  
 მოქვის მდებარეობა კარგადაა ცნობილი. ის დალიძგას  
 დასავლეთით, მდ.მოქვისწყლის შუა წელზეა. თეოდოსი  
 განგრელის ზემოთ მოტანილი ცნობა, რომლის თანახმად  
 თუსუმეს ციხე ყოფილა მოქვთან „აფხილიის მხარის  
 საზღვარზე“, სამეცნიერო ლიტერატურაში გაგებულია  
 როგორც მითოება აფშილეთის აღმოსავლეთის საზღვარ-  
 ზე ანუ დალიძგაზე<sup>36</sup>.

წყაროს ამგვარი ინტერპრეტაცია უდაო არ არის.  
 თეოდოსის სიტყვები „აფხილიის მხარის საზღვარზე“  
 („კიდესა აფხილიახსასა“), ვფიქრობ, ისე უნდა გავიღოთ,  
 რომ მოქვი და მის სიახლოვეს განლაგებული თუსუმესი  
 და ჯიხახორა აფშილეთის საზღვართან ახლოს მდება-  
 რეობენ, მაგრამ არა აფშილეთის შიგნით, უფრო ზუსტად,  
 მოქვი და მისი მიდამოები აფშილეთის ფარგლებში არ

<sup>34</sup> თეოდოსი განგრელი, 1941, გვ. 50.

<sup>35</sup> კეკელიძე, 1955, გვ. 307.

<sup>36</sup> მუსხელიშვილი, 1977, გვ. 110.

იგულისხმება, მის საზღვართან ახლოს კი. ასეთ შემთხვევაში „აფხილის მხარის საზღვარი“ („კიდე აფხილიასი“) მოქვის დასავლეთით არის საძიებელი და საკმაო მანძილით სცილდება დალიძგას. წინააღმდეგ შემთხვევაში წყაროს ავტორს არაფერი უშლიდა ხელს აღენიშნა ამ პუნქტების აფშილეთში მდებარეობა.

აფშილეთის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს თეოდოსი განგრელის სხვა ცნობაც, რომლის თანახმად მაქსიმე აღმსარებლის ერთ-ერთი მოწაფე ერთხანს იმყოფებოდა „აბაზგის მახლობლად ერთ ციხეში, რომელსაც სკოტორი ეწოდება“<sup>37</sup>. იმავე თხზულების ლათინური თარგმანის მიხედვით, რომელიც ეკუთვნის IX ს. მოდგაწეს, ანასტასი ბიბლიოთურარს, სკოტორის ციხე აფშილეთში მდებარეობს<sup>38</sup>. სკოტორი იგივე კოდორია – დასახლებული პუნქტი მდ.კოდორის მარჯვენა ნაპირზე<sup>39</sup>. განხილული ცნობის მიხედვით, აფშილეთი მდ.კოდორის დასავლეთითაა, თუ შევაჯერებთ თეოდოსი განგრელის ცნობებს მოქვისა და სკოტორის შესახებ, ასეთ სურათს ვღებულობთ – აფშილეთი მოქვისწყლის დასავლეთითაა, კოდორის მარჯვენა ნაპირი უკავა აფშილეთის ტერიტორიაა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საყურადღებო ცნობას შეიცავს ანონიმური „სომხური გეოგრაფია“. ამ თხზულების ვრცელი რედაქციის მიხედვით, ავაზოვ ქვეყანას, „რომელიც არის აფშილეთი და აფხაზეთი“, მდ. დრაკონი ანუ ვეშაპი განყოფს ეგრის ქვეყნისაგან<sup>40</sup>. ამ ცნობაში, როგორც მკვლევარნი ფიქრობენ, იგულისხმება

<sup>37</sup> თეოდოსი განგრელი, 1941, გვ. 42.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 42. შენიშვნა 4.

<sup>39</sup> ინგოროვა, 1954, გვ. 156.

<sup>40</sup> ქუდრიავცევი, 1922, გვ. 91.

აფშილთა და აფხაზთა პოლიტიკური გაერთიანება<sup>41</sup> მდ. უნდა დრაკონი (ვეშაპი) იგივე მდ.კოდორია<sup>42</sup>. როგორც არ უნდა დათარიღდეს აღნიშნული ცნობა, ე.ი. მივიჩნევთ მას IV-V სს. მიჯნის<sup>43</sup> თუ VII ს. დასაწყისის<sup>44</sup> ვითარების ამსახველად, ამ შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი აღნიშნულ ცნობაში ისაა, რომ აფხაზეთთან პოლიტიკურად გაერთიანებული აფშილეთის აღმოსავლეთი საზღვარი მდ.კოდორზე გადის.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დალიძგა VI-VII საუკუნეებში არ ყოფილა სასაზღვრო მდინარე არც ეთნოგრაფიულ და არც პოლიტიკურ ერთეულებს შორის.

თუ თვალს გავადგენებთ მოვლენების განვითარებას შემდგომ ხანებში, დალიძგას სასაზღვრო დანიშნულებაზე XVII ს. მიწურულამდე საუბარიც ზედმეტია. ცნობილია, რომ აფხაზთა სამთავროს (აფშილეთითურთ) აღმოსავლეთმა საზღვარმა VIII საუკუნეში მდ.კოდორიდან კულასურამდე გადაიწია<sup>45</sup>.

VIII-IX სს. მიჯნაზე ჩამოყალიბებული ეგრის-აფხაზეთის სამეფო მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. აღნიშნული სამეფოს ტერიტორიულ-აღმინისტრაციული დაყოფის შესახებ ცნობები თითქმის არა გვაქვს. ამ ხარვეზის შექსება სცადა ვახუშტი ბაგრატიონმა. მისი შეხედულებით, ეგრის-აფხაზეთის პირველმა მეფემ, ლეონ II-მ ქვეყანა დაყო რვა საერისთავოდ. მათ შორის ასახელებს ცხემის და ბედის საერისთავოებს, რომელთაც

<sup>41</sup> მუსხელიშვილი, 1977, გვ. 117; ლეთოდიანი, 1991, გვ. 14-16.

<sup>42</sup> ანჩაბაძე, 1959, გვ. 65; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 98.

<sup>43</sup> მუსხელიშვილი, 1977, გვ. 98-99.

<sup>44</sup> ლეთოდიანი, 1991, გვ. 15-17.

<sup>45</sup> ანჩაბაძე, 1959, გვ. 67-68; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 79-80.

ერთმანეთისაგან ეგრისწყალი მიჯნავდა<sup>46</sup>. ცნობდღის, მომ ვახუშტი ეგრისწყალს დალიძგასთან აიგივებს. ამ-დენად, მისი თვალსაზრისით, აღნიშნულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს მდ. დალიძგა განყოფს ერთმანეთისაგან. საინტერესოა თუ რას ემყარება ვახუშტის ეს ქა შეხედულება. თუ თვალს გავადევნებთ ვახუშტის ცნობებს IX-X სს-ის ეგრის-აფხაზეთის საერისთავოების შესახებ და მათ მთლიანობაში განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ ვახუშტისათვის ამოსავალია ძველი „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა მონაცემები. ამ უკანასკნელთა მიხედვით, შედარებით მოგვიანო ხანისათვის, XII-XIII სს. დასაცლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამ-დენიმე, მათ შორის, ცხუმის და ოდიშის საერისთავოები იხსენიება. ოდიშის საერისთავოს წინამორბედად ვახუშტი ბედის საერისთავოს მიიჩნევს, მის ერისთავებს კი ბედი-ელებს უწოდებს. დღეისათვის ქარგადაა ცნობილი, რომ არავითარი ბედის საერისთავო არ არსებობდა<sup>47</sup>, მაგრამ მისი არსებობაც რომ ვირწმუნოთ, საზღვრის სისწორე მაინც საეჭვოა. საქმე ისაა, რომ აღნიშნული საერისთავოს აღმოსავლეთ მიჯნად ეგრისწყალ-დალიძგას გამოცხადება გამომდინარეობს ვახუშტის იმ მცდარი კონცეფციიდან, რომელიც მან ლეონტი მროველისა და ჯუან-შერის ზემოთ აღნიშნული ცნობების თავისებური ინტერპრეტაციით შეიმუშავა და რომელთა თანახმად ეგრისწყალი (ვახუშტისათვის დალიძგა) უძველესი დროიდან (“ალექსანდრობითგან”) სასაზღვრო მდინარეს წარმოადგენს. გარდა ამ კონცეფციისა, რომლის ქვაკუთხედს ეგრისწყლისა და დალიძგას იდენტიფიკაცია შეადგენს, სხვა რაიმე ახალი მასალა (ლეონტი მროველისა და ჯუან-

<sup>46</sup> ვახუშტი, გვ. 272.

<sup>47</sup> ბერაძე, 1967, გვ. 160.

შერისაგან განსხვავებული) აღნიშნულ საკითხზე მხატვრულობისას ვახუშტის არა აქვს. მის ხელთ არსებული წყაროები კი ასეთი დასკვნის საფუძველს არ იძლევა. ამიტომ ვახუშტის ჩვენება, რომ ეგრის-აფხაზეთის სამეფოს არსებობის ხანაში (IX-X სს.) ბედისა და ცხუმის საერისთავოებს შორის საზღვარი მდეგრისწყალ-დალიგაზე გადიოდა, შეუძლებელია რეალური ვითარების ამსახველად მივიჩნიოთ.

გამოთქმულია ვარაუდი, რომლის თანახმად XII-XIII საუკუნებში დალიგბა საზღვარი უნდა ყოფილიყო ოდიშისა და ცხუმის საერისთავოებს შორის<sup>48</sup>. რაც, არსებოთად, მდ.დალიგბას სახელწოდების პინგოროყვასეულ ეტიმოლოგიას და ვახუშტის ცნობებს ემყარება.

XIII-XIV სს. მიჯნაზე ცხუმის საერისთავო ოდიშის საერისთავომ შეიერთა, რის შედეგად ეს უკანასკნელი უშუალოდ გაუმეზობლდა აფხაზთა საერისთავოს. ამ დროიდან საზღვარი ოდიშისა და აფხაზთა საერისთავოებს შორის ანაკოფიასთან (ახლანდებული ახალი ათონი) მდ.ფსირცხაზე დაიდო<sup>49</sup>. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული აფხაზი ფეოდალებისა და მათი მოკავშირე ნრდილოკავკასიელი ტომების გამუდმებული მოწოდის შედეგად ოდიშის საერისთავოს (შემდგომში სამთავროს) დასავლეთი საზღვარი თანდათანობით აღმოსავლეთისაკენ მოიწევს და XVII საუკუნის 30-იან წლებში მდ.კელასურზე, 40-იან – 50-იან წლებში კი კოდორზე გადმოინაცვლებს. აქ შეჩერებულ იქნა მთიელთა ტალღა XVII საუკუნის 80-იან წლებამდე. იმავე საუკუნის 80-იან – 90-იან წლებში აფხაზი ფეოდალების, შერვაშიძეების მეთაურობით აფხაზმა და ნრდილოკავკასიელმა აღიღეურმა ტომებ-

<sup>48</sup> ბერაძე, იქავე, გვ. 168; ხორავა, 1996, გვ. 35.

<sup>49</sup> ხორავა, 1996, გვ. 36.



მა ისარგებლეს რა დასავლეთ საქართველოში შექმნილია ფეოდალური ანარქიით, მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ტერიტორია კოდორიდან ენგურამდე. იმავე საუკუნის ბოლოს მიტაცებული მიწა-წყალი სამფლობელოებად დაინაწილეს ზეგნაყ შერვაშიძის მემკვიდრეებმა. მათ შორის უფროსს, როსტომს წილად ხვდა ტერიტორია მდინარეებს ბზიფსა და კოდორს შორის; მომდევნო ჯიქეშიას მდ.კოდორსა და მდ.დალიძგას შეა; უმცროს ყვაპუს ღალიძგადან ენგურამდე<sup>50</sup>. მალე, XVIII საუკუნის დასაწყისში ოდიშის მთავარმა მიტაცებული ტერიტორიის ერთი ნაწილი ენგურიდან ღალიძგამდე (რომელსაც ყვაპუ შერვაშიძის მემკვიდრის, მურზაყანის სახელის მიხედვით სამურზაყანო დაერქვა) კვლავ დაიბრუნა<sup>51</sup>. სწორედ ამ დროიდან ხდება ღალიძგა სასაზღვრო მდინარე. აქედან მოკიდებული 1840 წლამდე (სამურზაყანოში რუსული აღმინისტრაციის შემოსვლამდე) მდ. ღალიძგა წარმოადგენდა მიჯნას ოდიშის სამთავროსა და შერვაშიძეთა სამფლობელოებს შორის.

აქვე უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა ე.წ. „შეა სოფლის“ შესახებ. „შეა სოფელი“ მდ.ღალიძგასა და კოდორს შორის მოქცეული ტერიტორიის აღმნიშვნელად მხოლოდ ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრებაში“ დასტურდება<sup>52</sup>. სახელწოდება „შეა სოფელი“, ისტორიულ-გეოგრაფიული შინაარსით, სწორედ ზემოთ აღნიშნული დანაწილების შემდეგ გაჩნდა. სამი მმის სამფლობელოებიდან შეაში მოქცეულს აფხაზურად (აფხსუას ენაზე) „აბჟუა“ დაერქვა<sup>53</sup>, რომლის ქართული შესატყვისია ნიკო დადიანთან

<sup>50</sup> ხორავა, 1996, გვ. 116.

<sup>51</sup> ხორავა, 1996, გვ. 121.

<sup>52</sup> ღალიძი, 1963, გვ. 209.

<sup>53</sup> ბერულავა, 1951, გვ. 17-18.



დაცული „შეა სოფელი“. პინგოროვებამ ეს აშეარად გვიან  
გაჩენილი ტერმინი გაცილებით შორეული წარსულის (VII  
სს.) ვითარების ამსახველად მიიჩნია<sup>54</sup>, რაც, ცხადია,  
გაუქმართლებელია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა და-  
ვასკვნათ, რომ დალიძგა სასაზღვრო მდინარე (დაღიანთა  
და შერვაშიძეთა სამფლობელოებს შორის) გახდა XVIII  
საუკუნის დასაწყისში. უფრო ადრეული ხანისათვის აღ-  
ნიშნელი მდინარის როგორც გამმიჯნავის ფუნქცია ეთ-  
ნოგრაფიულ, ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ თუ პოლი-  
ტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის არ დას-  
ტურდება.

<sup>54</sup> ინგოროვება, 1954, გვ. 128.

## I. ჩეშონა, უჩაშონა, კოლოშონა

ადგილის სახელწოდება ჩეშონა სამეცნიელოს ორ ათეულამდე სოფელშია დამოწმებული<sup>1</sup>. ასეთივე წარმოების ტოპონიმები ამ კუთხეში სხვაც დასტურდება. სახელდობრ, უჩაშონა<sup>2</sup>, კოლოშონა//კომოშონა<sup>3</sup>, ლუდუშონა<sup>4</sup>, ცქიშონა<sup>5</sup>, ქვიშონა<sup>6</sup>.

აღნიშნული ტოპონიმების ეტიმოლოგიას შეეხენ გელიავა და თ.მიბჩუანი.

გ.ელიავას აზრით, ჩეშონა, უჩაშონა, კოლოშონა, ლუდუშონა და ცქიშონა ვაზის ჯიშებია. მათგან ჩეშონა, მისივე განმარტებით, იგივეა, რაც „თეთრი სვანური“<sup>7</sup>, უჩაშონა – „შავი სვანური“<sup>8</sup>, კოლოშონა – „მწარე სვანური“<sup>9</sup>, ლუდუშონასა და ცქიშონას განმარტებას მკვლევარი არ იძლევა. მას არც ზემოთ აღნიშნული განმარტებების დასაბუთება მოუცია, ამიტომ არ ვიცით თუ რა გზითაა მიღებული აღნიშნული დასკვნა. მაგრამ ტოპონიმების მის მიერვე მოცემული ეტიმოლოგია გვიჩვენებს, რომ მისთვის ამოსავალი ჩანს აღნიშნული სიტყვების ასე დაშლა: ჩე-

\* დაიბჭდა კრ.; ქართველოლოგიური კრებული, IV, თბ., 2005.

<sup>1</sup> ელიავა, 1977.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 89, 145, 152; დლონტი, 1998, გვ. 44.

<sup>3</sup> ელიავა, 1977, გვ. 95, 97, 155.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 149.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 147.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 137; დლონტი, 1998, გვ. 25.

<sup>7</sup> ელიავა, 1997, გვ. 34.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 89, 145, 152.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 95, 97, 155.



შონა, უჩა-შონა, კოლო-შონა, სადაც მეგრ. წე სემანტიკური რად იგივეა, რაც ქართ. თეთრი; მეგრ. უჩა – ქართ. შავი; მეგრ. კოლო//კოლო – ქართ. მწარე; მეგრ. შონა კი, მისი აზრით, არის ქართ. სვანური, ალბათ, იმიტომ, რომ მეგრ. შონი ქართ. სვანის აღმნიშვნელი სახელია.

თ.მიბჩუანის მოსაზრებით, ჩეშონა ნიშნავს „თეთრ სვანეთს“, უჩა-შონა – „შავ სვანეთს“. ასეთი ინტერპრეტაციის საფუძველი, როგორც ჩანს, თ.მიბჩუანისთვისაც იგივეა, რაც გელიავასთვის, ოდონდ იმ განსხვავებით, რომ აღნიშნულ ტოპონიმებში მისთვის „შონა“ ნიშნავს „სვანეთს“ და არა „სვანურს“. თ.მიბჩუანი ფიქრობს, რომ ჩეშონა და უჩაშონა პირველად ადგილის სახელწოდებები იყო და შემდეგ ვაზის ჯიშების აღმნიშვნელებადაც იქცნებ. რაც შეეხება ტოპონიმ ქვიშონას, თ.მიბჩუანის აზრით, ასე დაიშლება: ქვი-შონა, სადაც შონა ნიშნავს სვანეთს (სვანს), ქვი – ელემენტი კი გაურკვეველი რჩება<sup>10</sup>.

აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: 1. ლექსემა „შონა“ არსებული მასალების მიხედვით ზანურის დიალექტებში (მეგრული, ჭანური) არ დასტურდება, ამიტომ ტოპონიმებში მოცემული „შონა“ სეგმენტის მეგრულ „შონი“-სთან (ქართ. „სვანი“) დაკავშირება და პირველის ახსნა მეორის საფუძველზე მართებული არაა; 2. „სვანური“-ს შესატყვისი მეგრულში არის „შონური“, „სვანეთისა“ კი „შონეთი“, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში არ გვაძლევან „შონა“ ფორმას; 3. ჩეშონა, უჩაშონა, კოლოშონა, ლუდუშონა, ცქიშონა არაა ვაზის ჯიშების აღმნიშვნელი სახელები. ეს გარემოებები, ვფიქრობ, საკმაო საფუძველია იმისათვის, რომ ეჭვი

<sup>10</sup> მიბჩუანი, 1989, გვ. 275, 279.

გაგებინდეს გ-ელიავასა და თ.მიბრუანის მიერ შემოწმებული ვაზებულ ეტიმოლოგიათა მიმართ.

როგორც ითქვა, ვაზის ჯიშები ჩეშონას, უჩაშონას, კოლოშონას სახელწოდებით ცნობილი არაა. სამაგიეროდ კარგადაა ცნობილი ვაზის ჯიშები სახელწოდებით – ჩეში, უჩაში, კოლოში, სადაც ფუძეებად წარმოდგენილია ზედსართავები – მეგრ.: ჩე „თეთრი“, უჩა „შავი“, კოლო „მწარე“, რომელსაც ერთვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -იშ//შ (ქართ. -ის) და ნიშნავს: ჩე-შ-ი „თეთრ-ის-ა“, უჩა-შ-ი „შავ-ის-ა“, კოლო-შ-ი „მწარ-ის-ა“. ვაზის ჯიშებმა სახელი მიიღეს მარცვლის ფერისა (ჩე, უჩა) და გემოს (კოლო) მიხედვით<sup>11</sup>.

ნათელია, რომ სიტყვები ჩეშონა, უჩაშონა, კოლოშონა დაიშდება ჩეშ, უჩაშ, კოლოშ ფუძეებად და –ონა კომპონენტიად. –ონა, თავის მხრივ, შედგება –ონ სუფიქსისა და –ა ელემენტისაგან, სადაც –ონ სუფიქსს იგივე ფუნქცია და მნიშვნელობა აქვს მეგრულში, რაც –იან, –ან, –ოვან სუფიქსებს სალიტერატურო ქართულში და რისამე ან ვისამე მქონეობა-ყოლასა და კრებითობას გამოხატავენ<sup>12</sup>, ხოლო –ა მასუბეტანტივებებული<sup>13</sup> და მატოპონიმებები<sup>14</sup> ელემენტია. ასე რომ, აღნიშვნული ტოპონიმები ისეთივე წარმოებისაა, როგორიცაა თხირ-ონა, ბინებ-ონა, ჭუბურ-ონა, გვიმარ-ონა<sup>15</sup>, შამგ-ონა<sup>16</sup>, სქინდ-ონა<sup>17</sup>, ტკილ-

<sup>11</sup> ჯავახიშეიღო, 1986, გვ. 464 და შედ.

<sup>12</sup> ჩიქობავა, 1926, გვ. 306-307; ცხადაძე, 1981, გვ. 96-103.

<sup>13</sup> ჩიქობავა, 1926, გვ. 307.

<sup>14</sup> მაკალათია, 1977, გვ. 109.

<sup>15</sup> ჩიქობავა, 1926, გვ. 306-307.

<sup>16</sup> სამუშაია, 1990, გვ. 134.

<sup>17</sup> მემიშიში, 1991, გვ. 90-91.

ონა<sup>18</sup>, სადაც – ონა სუფიქსია; ჭუბური, გვიმარა, შამბა<sup>19</sup>. სქინდი, ტკილი – ფუძეები და აღნიშნავენ აღგილს სამართლისა დაც ხარობს ან მრავლადაა თხილი, ვენახი, წაბლი, გვიმრა, შამგუ (ვაზის ჯიში), შინდი, ფიქალი.

ამრიგად, ტოპონიმები ჩეშონა, უჩაშონა, კოლოშონა, ლუდუშონა, ცქიშონა აღნიშნავს აღგილს, სადაც ხარობს ვაზის ჯიშები: ჩეში, უჩაში, კოლოში, ლუდუში, ცქიში (საყერადღებოა, ვაზის ჯიშის აღმნიშვნელი ლუდუში სახელი, რომელიც დღუდღუში ფორმითაცაა დადასტურებული. გურიაში მას დონდოლ//დორდოლ ეძახდნენ. ის იგივე დონდოლაბია)<sup>20</sup>. რაც შეეხება ტოპონიმ ქვიშონას, იგი მიუთითებს ქვიშიან აღგილზე<sup>21</sup>.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ტოპონიმების სემანტიკას არაფერი აქვს საერთო ცნებებთან „სვანეთი“ და „სვანური“, ვინაიდან, ჯერ ერთი, მათში ცალკე ელემენტად გამოიყოფა არა შონა, არამედ – ონა სუფიქსი, – შ კი ფუძისეულია. ამდენად, „შონა“ ზემოთ დასახელებული ტოპონიმების არასწორი დაშლის შედეგად ხელოვნურადაა მიღებული და არ არის ენობრივი ფაქტი. მეორე, „სვანეთისა“ და „სვანურის“ მეგრული (ჭანური) შესატყვისები „შონეთი“ და „შონური“ არც ერთ პოზიციაში არ გადადის „შონა“ ფორმაში.

<sup>18</sup> ცხადათ, 1991, გვ. 98.

<sup>19</sup> ჯაფახიშვილი, 1986, გვ. 466, 477, 501, 531.

<sup>20</sup> ჭუმბურიძე, 1971, გვ. 217.

## „საქართლის ერისთავი“ თუ „საქართლისმოისთვო“<sup>\*</sup>

საქართველოს მეფემ, გიორგი მეოთხემ (1207–1222) ქართლის ერისთავის, სულა სურამელის თხოვნით ქვათახევის მონასტერს სოფელი სველნეთი შესწირა. ამასთან დაკავშირებით მეფის მიერ გაცემული შეწირულობის სიგელი დედნის სახითაა მოღწეული. მართალია, უტრატი საგრძნობლად დაზიანებულია, მაგრამ ტექსტის ძირითადი შინაარხი მაინც გასაგებია.

აღნიშნულ სიგელში მეფე გვაუწყებს, რომ ქართლის ერისთავი „გუგჰაჯა და მო...სენა: რაითამცა: „შეთ: და ქართლის სოფელი სუელნითი: რი პაპისა: ჩვენისაგან: პაპასა: და მამასა: მისა: პქონებულა... ან მას: პქუნდა საქართლისერისთვეისაგნმცა: გ...ნასტერს: ქვათაკევს: შევსწირეთ: დაგუაჯერა: ლთნ: ვისმინეთ: პაჯაი: დამოხსენებაი: ე~ვისა: სულა: ქ~ს: ე~ვისა: დასუელ... გამოგუიდია: საქართლის ე~ვისაგან: და შეგუიწ...მფარგვ...ს: ჩუენისა: ყოლად: წმიდისა ლთისმშობელისა: დამონასტრისა: მისის ქვათაკევისადა“<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ სიგელი სამჯერად გამოცემული, მისი ფრაგმენტი მაინც დედნის მიხედვით (უცლელად) მოვიტანე, რათა ქვემოთ მკითხველს საშუალება პქუნდებს თვალი ადევნოს ჩემთვის საინტერესო ადგილების წაკითხვისა და დადგენის ისტორიას საბუთის კრიტიკულ გამოცემებში. ჩემთვის საინტერესო ადგილი კი ორია: სიტყვები, „საქართლისერისთვეისაგნმცა“ და „საქართლის ე~ვისაგან“:

\* დაიბუჭდა ქრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა, XI, თბ., 2006.

<sup>1</sup> ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 239-240.



საბუთის პირველ გამოცემაში, რომელიც თ-ქორწინადან  
ნიას გაუთვნის, დედნისეული, „საქართლისერისთვეუს-  
განმცა“ ასეა წარმოდგენილი: „საქართლის (sic) ერისთა-  
ვისაგანაც“, ხოლო „საქართლი ე ვისაგან“ როგორც „სა-  
ქართლის (sic) ერისთავისაგან“\*. იგივე ადგილები  
იღოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ტაქტიზმი ასეა: საქართ-  
ლის (sic) ერისთვისაგანმც“ და „საქართლის (sic) ერის-  
თვისაგან“<sup>2</sup>, „საქართლის“ შემდეგ დასმული ნიშანი (sic)  
მოწმობს, რომ თ-ქორდანიას და იღოლიძეს ეს ფორმა,  
მიუხედავად ავტოგრაფულობისა, აშკარად უუცხოებათ.

დოკუმენტის ბოლო, მესამე გამოცემაში ნ.შოშია-  
შვილმა უცელელად გადმოიტანა დედნისეული წაკითხვა  
„საქართლისერისთვეუსაგანმცა“, სადაც ტირის მეშვეობით  
ცალკე ელემენტად გამოჰყო-სა, ტირე დასვა, აგრეთვე,  
შეაში და მოგვცა: „სა-ქართლის-ერისთვეუსაგანმცა“,  
ხოლო „საქართლის ე ვისაგან“ კვლავ ტირეების გამოყე-  
ნებით ასე წარმოადგინა: „სა-ქართლის-ე(რისთავო)ისაგან“.

სიგელის მონაკვეთი, სადაც განსახილველი სიტყვე-  
ბია მოთავსებული, დაზიანებული ადგილების ადგენითა  
და ქარაგმების გასსნით ნ.შოშიაშვილის მიერ განხორცი-  
ელებული პეტლიკაციის მიხედვით ასე გამოიყერება: „გუ-  
გჰაჯა და მოგუაკენა, რაითამცა შე(ვიწყალე)თ და ქარ-  
თლის სოფელი სუელნეთი, რ(ომელი)ი პაპისა ჩუენისაგან  
პაპასა და მამასა მის{სა} პქონებოდა [და ჩუენგან მას[ა]  
პქონდა სა-ქართლის-ერისთვეუსაგანმცა გ[ამოვიდე]თ და  
მოწახსტერსა მისსა ქუათაჯევს შეესწირეთ. დაგუაჯერა  
დ(მერ)თ(მ)ან, ვისმინეთ ჰაჯათ და მოწხენებაი ე(რისთავო)-  
ე(რისთავისა) სულა ქ(ართუ)ის ვ(რისთავისა) და სულ

\* ქრონიკები, II, გვ. 266.

<sup>2</sup> სამართლის ძეგლები, II, გვ. 35.

[ნეთი] გამოგუიდია საქართლის-ე(რიხთავო)ისაგან დაბრუნებული  
გუიშ[ირავს ესრე]დ მფარველი]სა ჩუენისა ყოვლად  
წმიდისა დ(მრ)თისმშობლისა და მონასტრისა მისისა ქვა-  
თაჯვეისადა“<sup>3</sup>.

აქ დედნისეულ დაწერილობასთან დაკავშირებით  
მაქვს მცირეოდენი შენიშვნა. ყურადღებას იქცევს სა-  
ბუთის დედნისათვის დამახასიათებელი ერთი თავისებუ-  
რება: —ო გრაფემის მაგივრად უმეტესწილად —უ წერია.  
სახელობრ, ნაცვლად ფორმებისა: „სომეხთა“, „პეონებო-  
და“, „პეონდა“, „პეონდეს“, „მეფობისა“ გვაქვს — „სუმეხ-  
თა“, „პეონებუდა“, „პეუნდა“, „პეუნდეს“, „მეფუბისა“, რაც  
კრიტიკულ გამოცემებში გასწორებულია ი.დოლიძის და  
ნ.შოშიაშვილის მიერ<sup>4</sup>. აშკარაა, რომ აღნიშნული თავისე-  
ბურების გამოვლენასთან გვაქვს საქმე განხილულ სიტ-  
ყვაშიც, სადაც —ო გრაფემის ნაცვლად —უ წერია. აქაც,  
ისე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებში, დედნისე-  
ულ —უ გრაფემას —ო უნდა ჩაენაცვლოს, კ.ი. კრიტიკუ-  
ლად დადგენილ ტექსტში უნდა გვქონდეს არა „საქარ-  
თვლისერისთვეუსაგნმცა“, არამედ „საქართვლისერისთვ-  
ლისაგნმცა“ (ნიშანდობლივია, რომ დაქარაგმებული „საქარ-  
თვლის უზისაგან“ ნ.შოშიაშვილმა ქარაგმის გახსნით, სავ-  
სებით მართებულად, ასე წარმოადგინა: „სა-ქართვლის-  
ე(რისთავო)ისაგან“).

როგორც ზემოთ ითქვა, საბუთის თეორდანიას და ი.დოლიძის შიერ განხორციელებულ გამოცემებში განსახილები ადგილებიდან პირველი ასე იკითხება: „საქართლის ერისთავისაგან“ (თეორდანია), „საქართლის ერისთავისაგანამც“ (ი.დოლიძე), მეორე – „საქართლის ერისთავისაგან“.

<sup>3</sup> ისტორიული საბუთების კონკურსი, I, გვ. 108.

<sup>4</sup> სამართლის ძეგლები, II, გვ. 35; საბუთების კორპუსი, I, გვ. 108.

ლიტერატურაში ჩამოყალიბდა მოსაზრება საქართვის /  
ერისთავის (შესაბამისად, საქართვის საერისთავოს) ხელის  
ხელმის შესახებ. ასე მაგ., ი.ანთულავა აღნიშნავს, რომ  
„ამ სიგელით ირკვევა დიდი ერისთავის, ქართლის ერის-  
თავის მმართველობის ქვეშ მყოფი საქართვის ერის-  
თავის არსებობაც“.<sup>5</sup> მკვლევარი ითვალისწინებს რა ვა-  
ხუშტი ბაგრატიონის ცნობას, რომლის თანახმად დგანის  
ხეობაში, „წორბის ზეით... მთასა შინა არს ციხე საქართ-  
ლისა“, ასკვნის, რომ სიგელის საქართვის ერისთავი  
სწორედ ამ ციხეში იჯდა და მისი „შესავალი“ ქვეყნის  
ერისთავი იყო – ქართლის ერისთავის ხელქვეითი „ცო-  
ტად ერისთავი“<sup>6</sup>. ჯგვასალიას აზრით, აღრეფერდალური  
ხანის მიწურულს მდინარე ფრონეს ხეობაში ყალიბდება  
საქართლის საერისთავო, რომელიც შედის ქართლის  
საერისთავოს შემადგენლობაში. საერისთავოს ცენტრია  
საქართლის ციხე<sup>7</sup>. აღნიშნული მოსაზრების საფუძველი,  
როგორც ვხედავთ, არის გიორგი მეოთხის სიგელის თ.ქო-  
რდანიას და ი.დოლიძის გამოცემებში წარმოდგენილი  
ტქქსტი და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა საქართლის  
ციხის შესახებ შიდა ქართლის ანუ ქართლის საერის-  
თავოს ტერიტორიაზე.

მ.ბახტაძე, რომელიც საბუთის ნ.შოშიაშვილის გამო-  
ცემით სარგებლობს, უარყოფს რა საქართლის მცირე  
საერისთავოს არსებობას ქართლის საერისთავოს შემად-  
გენლობაში, ფიქრობს, რომ სიგელის საქართლი იგივე  
ქართლია, ხოლო საქართლის ერისთავი – ქართლის  
ერისთავი<sup>8</sup>.

<sup>5</sup> ვახუშტი, გვ. 375.

<sup>6</sup> ანთულავა, 1983, გვ. 193.

<sup>7</sup> გევასალია, 1999, გვ. 66.

<sup>8</sup> ბახტაძე, 2003, გვ. 288.



ამჯერად, მე მაინტერესებს არა საქართლის ეროვნული კულტურული გვის (საერისთავოს) არხებობა-არარხებობის ან ქართლის ერისთავთან (საერისთავოსთან) მიხი მიმართების საკითხი, არამედ, აღნიშნულ მკვლევართა მიერ მოცემული ინტერესებისაცია საბუთის ტექსტისა. სიმართლეს თუ ვიტყვით, სიგელის ის გამოცემები (თ.ქორდანია, ო.დოლიძე), რომლებსაც ი.ანთელავა და ჯგვასალია ემყარებიან, პირდაპირ ასახელებენ საქართლის ერისთავს. მაგრამ საქმე ისაა, რომ სხვა ვითარებაა საქუთრივ დედანში, რომლის ჩეენება არ ემთხვევა აღნიშნულ გამოცემებში წარმოდგენილ წაკითხვას.

დოკუმენტის დედნის ჩვენება, როგორც ითქვა, „უსტადაა დაცული ნ.შოშიაშვილის გამოცემაში, სადაც ჩემს მიერ შეტანილი შესწორებით (—უ შევცვალე თ—თი) განსახილველი სიტყვა ასე იკითხება: „საქართლისერისთვოსაგნმცა“. კიდევ ერთხელ მოვიტან ციტატას ამ შესწორებით და გამომცემლისეული ტირების გარეშე: „გმშპაჯა და მოგუაჭსენა, რაითამცა... სოფელი სეულნეთი... საქართლისერისთვოსაგნმცა გამოვიდეთ და მოწინასტერსა მისსა ქვათაპევს შევსწირეთ“.

ვფიქრობ, აღნიშნული სიტყვის შინაარსის გასაგებად გადამწყვეტი შინაგნელობა მიხი მორფოლოგიური აგებულების ანალიზს უნდა მიენიჭოს. განსახილველი სიტყვა შემადგენელ ნაწილებად ასე უნდა დაიყოს: სა-ქართლი-ის-ერისთავ-ო-ი-სა-გნმცა, სადაც სა-ო (სა-ქართლის-ერისთვ-ო) დანიშნულების სახელების მაწარმოებელი აფიქსებია, —ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, —ი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სახელის დაბოლოება, —ხ(ა) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი —განმცა თანდებულის წინ. სიტყვის ფუძეა საქართლისერისთვო (რომელსაც ერთვის —განმცა თანდებული) და არა საქართლის

ერისთავი. ეს არსებითი მნიშვნელობის მომენტია (დანახული ტერებული თვით საბუთის დედანში), რომელიც უძლიერია, ვალი საფუძველია სიტყვის შინაარხის გასახსნელად.

საქართლისერისთვო სიტყვაში, როგორც ითქვა, გამოიყოფა სა-ო აფიქსები, რომლებიც დანიშნულებას აწარმოებენ (შდრ. საკარისკაც-ო, საუფლისწულ-ო, საშვილიშვილ-ო და ა.შ.). ის გარემოება, რომ „ქართლის ერისთავი“ მოქცეულია აღნიშნულ აფიქსებს შორის, გვავალდებულებს ეს უკანასკნელი განვიხილოთ არა როგორც ორი დამოკიდებელი სიტყვა, არამედ როგორც ერთი ლექსიკური ერთეული შედგენილი ორი კომპონენტისაგან ანუ საქართლისერისთვო, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს რთულ ფუძეს (ქართლის+ერისთავი) ისევე, როგორც საუფლისწულ-ო (უფლის+წული). ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართლის ერისთავი ისეთივე ფუძეა სიტყვაში საქართლისერისთვო, როგორიც უფლისწული სიტყვაში საუფლისწულ-ო. ეს ნიშნავს იმასაც, რომ ქართლისერისთავი და საქართლისერისთვო ისეთივე მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორმიც კარისკაცი და საკარისკაც-ო, შვილიშვილი და საშვილიშვილ-ო, ხელისუფალი და სახელისუფლ-ო და ა.შ. აქედან გამოდინარე, მოცემულ შემთხვევაში საქართლისერისთვო სიტყვის ფუძე უკავშირო კომპოზიტის სახით გვავლინება და ის ერთად უნდა დაიწეროს.

ამასთანავე, არ მავიწყდება, რომ სიტყვაში საქართლისერისთვო ფუძედ (ქართლისერისთავ) გამოყენებულია ხელოვნურად შექმნილი კომპოზიტი. ხელოვნურად, ვამბობ იმიტომ, რომ როგორც წესი, ქართულში კომპოზიტები იქმნება საზოგადო სახელების შეერთებით (მაგ.: ქარის+კაცი, უფლის+წული, ხევის+ბერი, ხელის+უფალი, აზნაურის+შვილი, ძმის+წული და ა.შ.), საქართლის-



ერისთვო-ს ფუძეში გაკომპოზიტებული სიტყვის პირადობა კომპონენტი საკუთარი სახელია (ქართლი), მეორე – საზოგადო (ერისთავი), რაც კანონზომიერებას არ ჰქვემდებარება. „ქართლის ერისთავი“ ყველა სხვა ცნობილ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ორი დამოუკიდებელი სიტყვაა. გარდა განსახილველი საბუთისა, ეს სიტყვები კომპოზიტის სახით პირადად მე არსად შემსვედრია. ამ შერივ საქართლისერისთვოს ანალოგიც არ ეძებნება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, წერილობით ძეგლებს არ შემორჩენია „საოდიშისერისთვო“, „საქართლისეპისკოპოსო“ და სხვა ამნაირი ფორმები. მაგრამ ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ ენას არაერთი გამონაკლისი და უწვეულო ფორმა ახასიათებს.

ასე რომ, გიორგი მეოთხის საბუთის ჩვენება „საქართლისერისთვო“ უნდა მივიღოთ როგორც ფაქტი, რომელიც, მიუხედავად მორფოლოგიური არასტანდარტულობისა, მკაფიოდ მეტყველი ინფორმატორია. თავისი აგებულებით საქართლისერისთვო ისეთი სიტყვების რიგში უნდა განვიხილოთ, როგორებიცაა: საციხისთავი, სახევისთავო, საუფლისწულო, სახევისბერო და ა.შ., სადაც ფუძეებია უკავშირო კომპოზიტები: ციხისთავი, ხევისთავი, უფლისწული, ხევისბერი. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დასახელებულ საბუთში „საქართლის“ მხოლოდ დამოუკიდებელი სიტყვის სეგმენტია და არა დამოუკიდებელი სიტყვა, რამდენადაც სა-ო აფიქსები არ იძლევა უფლებას ბგერათა თანმიმდევრობა „საქართლის“ მოვწყვიტოთ მომღვნო ბგერათა თანმიმდევრობას „ერისთვო“. აშკარაა, რომ ცალკე „საქართლის“ აქ არაფერს გამოხატავს, მათ შორის, არც ტოპონიმს (ქორონიმს), მიუხედავად იმისა, რომ ბგერითი შედგენილობით ზედმიწვნით ემთხვევა

ციხის სახელწოდებას (საქართლის ციხე). ამ შემთხვევაში სიტყვის დაწერილობაში დედნისეულ – უ გრაფების შევინარჩუნებთ თუ – ო გრაფემით ჩავანაცვლებთ, არხებითი მნიშვნელობა არა აქვს: „საქართლისერისთვუ“ – დან „საქართლის ერისთავი“ მაინც არ გამოიყვანება – აღნიშნულ დანაწილებას – უ გრაფემაც უშლის ხელს. გარდა ამისა, ხსენებული ოპერაციის შემდგაც ხომ – უ – ს წარმომავლობა და ფუნქცია გაურკვეველი რჩება.

ამრიგად, საქართლისერისთვო მორფოლოგიური აგებულებით, აგრეთვე, კონტექსტით, რომელშიც ის ექცევა გიორგი მეფის სიგელში, აღნიშნავს ქართლის ერისთავისთვის განკუთვნილს. განვავრცობ ნათქვამს. საბუთის მოხელვით, ხოფელი სველნეთი ქართლის ერისთავებს „ჰერნდა“. ერისთავმა სულამ მეფეს თხოვა ამ ხოფლის „გამოღება“ საქართლისერისთვოსაგან და ქვათახევის მონასტრისათვის შეწირვა. მეფემაც თხოვნა აღასრულა. კონტექსტი გვიჩვენებს, რომ სიგელის გაცემამდე სველნეთი, რამდენადაც ის ქართლის ერისთავებს ჰქონდათ, საქართლისერისთვოდ დაღებული ხოფელი ყოფილა ანუ სველნეთს ქართლის ერისთავების, სურამელების სასარგებლო ვალდებულებები ეკისრა, ისევე, როგორც მაგალითად, ხოფელ შექმანს აბუსერიძეების, კ.ი. „აბუსერეთ საერისთავო და ბეგარი ზედა სდებოდა“<sup>9</sup>. მეფის სიგელით კი მოხდა სველნეთის „გამოღება“ ქართლის ერისთავისათვის, ვოთარცა მოხელისათვის გამოყოფილი ანუ საქართლისერისთავო ვალდებულებების მქონე ხოფლების რიცხვიდან. ამიერიდან ეს ხოფელი, თუ სიგელის შემდგენელს სიტყვათწარმოქმნის მეთოდს დავეხესხებით, „საქვათაკევისმონასტრო“ გახდა. ასე რომ, სველნეთის „გამოღება“. „საქართლისერისთვოსაგანმცა“ მე მესმის მის

<sup>9</sup> ინტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 178.



ამორიცხვად იმ სოფლების რიგიდან, რომელთაც განსაზღვრული ვალდებულებები ეკისრათ ქართლის ერისთავების სასარგებლოდ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სათაურში დასმული კითხვის პასუხიც ასეთია: არა „საქართლის ერისთავი“, არამედ „საქართლისერისთვო“.

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ, ვფიქრობ, ზემოთ მიღებული დასკვნის საფუძველზე უპრიანია „საქართლის ერისთავის“ არსებობა-არარსებობის საკითხებიც ითქვას ორიოდე სიტყვა. როგორც ვნახეთ, საქართლის ერისთავის არსებობის შესახებ თვალსაზრისის ერთ-ერთი საფუძველია გიორგი მეფის საბუთის ზემოთ განხილული ადგილები. ვნახეთ ისიც, რომ დოკუმენტის ტექსტობრივი შესწავლის შედეგები აღნიშნული შეხედულებისათვის საფუძველს არ იძლევა. მაგრამ ეს მოსაზრება ემყარება სხვა არგუმენტსაც, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ შიდა ქართლში დამოწმებულია საქართლის ციხე, რაც გარკვეული ლოგიკური „საცდურია“ ამ მოსაზრების სასარგებლოდ დასახელებულ სიგელში საქართლის ერისთავის დადასტურების შემთხვევაში. რაკი საბუთის დედანში ასეთი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არ დასტურდება, ცალკე საქართლის ციხის არსებობის ფაქტი საქართლის საერისთავოს არსებობის სამტკიცებლად, ცხადია, საკმარისი არ არის.

საქართლის ერისთავის არსებობის შესახებ მოსაზრებას, როგორც ითქვა, არ იზიარებს მ.ბახტაძე. მკვლევარი ამ დასკვნამდე ისტორიული რეალიების ანალიზის საფუძველზე მივიდა<sup>10</sup>. ამავე დროს, მ.ბახტაძეს მიაჩნია, რომ გიორგი მეფის სიგელში იკითხება საქართლის ერისთავი, რომელიც, მიხი აზრით, იგივე ქართლის ერისთავია.

<sup>10</sup> ბახტაძე, 2003, გვ. 286-288.

ტექსტობრივი ანალიზი უჩვენებს, რომ ამგვარი იდენტიტეიტი  
ფიკაცია საჭირო არ არის, ვინაიდან საბუთის დედგნებ  
და ბოლო გამოცემაში (რომელიც ნ. შოშიაშვილს ეკუთვ-  
ნის და მბახტაძეს იცნობს) „საქართლი“ როგორც დამო-  
უკიდებელი დექსიქური ერთეული ფაქტობრუიად არ დახ-  
ტურდება და, შესაბამისად, „საქართლის“ და ქართლის  
იგივეობაზე მსჯელობა უაღგილოა.



## შამადავლა დადიან–გურიელის სიგელი და ხოგურელი „ძველი იაღგარი“\*

ოდიშის ერისთავის, შამადავლა დადიან–გურიელის (1470–1475) მიერ გაცემული წვენთვის საინტერესო სიგელის ტაქტი მოღწეულია XVII საუკუნეში გადაწერილი პირის მიხედვით<sup>1</sup>, რომლის ერთადერთი პუბლიკაცია ს.კაკაბაძეს ეკუთვნის<sup>2</sup>.

შამადავლა ერისთავის აღნიშნული სიგელი განაახლა და დაამტკიცა ლევან დადიანმა (1611–1657) მალაქია მაჭუტაძის კათალიკოსობის დროს ე.ი. 1639–1657 წლებს შორის<sup>3</sup>. ლევან დადიანის განახლების სიგელში მთლიანად გადმოღებულია შამადავლას საბუთის ტაქტი<sup>4</sup>. ამის შესახებ ლევან დადიანი პირდაპირ და მკაფიოდ აღნიშნავს თავის სიგელში, რასაც თვალნათლივ აღასტურებს ამ უკანასკნელის შედარება შამადავლას სიგელთან.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას შამადავლას საბუთის რაობის, უფრო სწორად, მისი აღრესატის შესახებ. გამომცემელი ს.კაკაბაძე ლოკუმენტს ასე უწოდებს: „შამადავლა დადიანის წიგნი საკათალიკოსო სარგოს შესახებ“<sup>5</sup>. ამგვარ დასათაურებას იზიარებს დ.კლები<sup>6</sup>. შამადავლა დადიან–გურიელის მიერ იოვაკიმე კათალიკოსისათვის მიცემულ წყალობის წიგნად მიაჩნია ის ნ.მშვიდო-

\* დაიბჭედა უურნალ ფენიქსში, № 1, 1996.

<sup>1</sup> სცესა, 1449-1571

<sup>2</sup> კაპაბაძე, 1921 (I), გვ. 1-2.

<sup>3</sup> საქართველოს სიქელენი, I, გვ. 24-28. სამართლის ქელები, II, გვ. 208-210. გამოცემებში საბუთი დათარიღებულია ლევან II დადიანის ზეობით (1611-1657 წ.).

<sup>4</sup> ანთვალავა, 1980, გვ. 60.

<sup>5</sup> კაკაბაძე, 1921 (I), გვ. 1

<sup>6</sup> ანოტირებული ლექსიკონი, I, გვ. 554.



ბაძეს<sup>7</sup>. როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურული განსახილვები საბუთის ადრესატად ბიჭვინთის კათოლიკოზი კოსია მიჩნეული.

ვფიქრობ, საბუთის მიმღების ამგვარი განსაზღვრა ზუსტი არ არის. აღნიშნულ მოსაზრებას, როგორც ჩანს, საფუძვლად დაედო შამადავლას სიგელის დღეისათვის ცნობილი ტექსტის ერთი ფრაზა, რომელიც ასე ედგრს: „საკათა[ლიკოზ]ოდ ესე გავაჩინეთ“<sup>8</sup>. საბუთის შესავალი, სადაც აღნიშნული ფრაზა იკითხება, ძლიერ დაზიანებულია, შესავლის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი, ისიც დამახინჯებული და სიტყვანაკლულია. აი ისიც: „... დავამ-ტკიცე... ჯვარი და ბისონი... კეთილითა შევამკვეთ და და-ვასუენეთ და ვირწმუნეთ იერუსალიმისა და ანტიოქისა პატრიარქსა მიხაელს სარქოთა და ომფორითა კათალიკოზი იოვაკიმ ქრისტეს სა(ფ)ლავისა მარჯუენითა კათოლიკოზად დავაუენეთ და საკათოლიკოზად დავაუენეთ და საკათო[ლიკოზ]ოდ ესე გავაჩინეთ“<sup>9</sup>. ამის შემდგომი ტექსტის შინაარხის ძირითადად გახაგებია.

სიგელის მოტანილი ფრაგმენტიდან ჩანს, რომ საუბარი ეხება იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქს, მიხაელს და იოვაკიმის კათოლიკოზად კურთხევას (ეს ფაქტი კარგადაა ცნობილი სწორედ შამადავლა დადიან-გურიელისა და ბაგრატ VI-ის დროს შედგენილ „მცნებად სასჯულოს“ ცნობებით)<sup>10</sup>. განსახილვები ამონაწერის შინაარხის გასაგებად უნდა მივმართოთ ლევან II დადიანის დასახელებულ სიგელს, სადაც შამადავლას საბუთის შესავალი ნაწილიდან შემდეგი ციტატა: ... და

<sup>7</sup> ანოტირებული ლექსიკონი, I, გვ. 146.

<sup>8</sup> კაპაბაძე, 1921 (I), გვ. 1.

<sup>9</sup> იქვე; სცხესა, 1449-1571.

<sup>10</sup> სამართლის ძეგლები, III, გვ. 222.



აღვიყვანეთ იოვაკიმ, კაცი დირსი ნეტარებისა, დაჭხველა  
კათალიკოზადო... მარჯვენითა ქრისტეს საფლავისათათ  
და იერუსალემისა და ანტიოქიის პატრიარქისა მიხაელის  
ნება-დართვითა, გავარიგეთო ჯუარითა და ონფორითა“<sup>11</sup>.  
როგორც ვხედავთ, შამადავლას საბუთის შესავალში საუ-  
ბარი ყოფილა იერუსალემისა და ანტიოქიის პატრიარქის,  
მიხაელის ხელდასხმით ბიჭვინთის კათოლიკოსად იოვა-  
კიმის კურთხევის შესახებ (რაც კარგად ცნობილი ფაქ-  
ტია საქართველოს ისტორიაში) და არა კათოლიკოსი-  
სათვის წყალობის წიგნის მიცემაზე ან სარგოს და-  
წესებაზე. აქედან გამომდინარე, შამადავლას საბუთის  
ფრაზა „საკათო[ლიკოზ]ოდ ასე გავაჩინეთ“ ნაკლულად  
უნდა მივიჩნიოთ.

ამასთანავე, ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ  
შამადავლას საბუთის დედანი ხელთ პქონდა ლევან II  
დადიანს და მის მდივან-მწიგნობრებს, რომელთათვისაც  
დოკუმენტის შინაარსი უფრო ნათელი იყო (მათს განკარ-  
გულებაში იყო დედანი), კიდრე თანამედროვე მკითხველი-  
სათვის, რომელიც ამ საბუთის დედნის მხოლოდ დამახინ-  
ჯებულ ახლს იცნობს. სიგელის განმაახლებელმა, ცხა-  
დია, კარგად უწყოდა, თუ ვის სახელზე გაცემულ დო-  
კუმენტს განაახლებდა. ამის თაობაზე ლევან II დადიანი  
გარკვევით აცხადებს: „...გკალრეთ და მოგახსენეთ დაწე-  
რილი ესე სიგელი, იადგარი... დედასა ნათლისასა და  
მშობელსა მეუფისასა, თეთროსნისა ღმრთისმშობელსა,  
და ძელსა ცხოველსა, ხოფს ტაძარსა შინა განსუენე-  
ბულთა“<sup>12</sup>. იქვე ლევან II-ს შამადავლას საბუთიდან მო-  
აქვს ციტატა (ციტირებაზე მიუთითებს სხვათა სიტყვის

<sup>11</sup> სამართლის ძეგლები, II, გვ. 209.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 209. ტექსტში შეცდომით „უთროსანი“ წერია ნაცვლად  
„თეთროსნისა“

„ო“ წინადადებაში): „ძეველითგანი იადგარი გარეუნილებულითაა და დაკარგულიყო ხოფისა დვთისმშობელისათ“, ხოლო შამაღავლა დადიან-გურიელს „როგორც ძეველად ყოფილიყო, ისრევე გაერიგებინა“<sup>13</sup>.

ამრიგად, შამაღავლა ერისთავის ხიგელის შესავალი, რომელიც დღეისათვის ცნობილ ტექნიკი ნაკლები სახითაა დაცული, მაგრამ რომლის შინაარხის ლევან II დადიანის საბუთმა შემოგვინახა, ოუწყებოდა, რომ შამაღავლას აღნიშნული საბუთი გაცემულია ხობის საყდრისადმი. შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმან, რომ აღნიშნულ ხიგელში ერთგან საუბარია ხობის საყდრისა და კათოლიკოსის წილის გამიჯვნაზე ჭალადიდის საბაჟოს შემოსავლიდან, აგრეთვე, იმაზე, რომ დადიანის და აზნაურისშვილების „თავი ნიშანი“ კათოლიკოსს ეკუთვნის<sup>14</sup>. ეს ფაქტი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ დოკუმენტის აღრესატი კათოლიკოსი არ არის. თუმცა თვით ხობის ტაბარი ამ დროს კათოლიკოსის ერთ-ერთი რეზიდენციაა<sup>14a</sup>. ხიგელის გაცემის დროს ხობის სავანე ერთდროულად იყო ბიჭვინთის (დას.საქართველოს) კათოლიკოსის ერთ-ერთი რეზიდენცია, საეპისკოპოსო ცენტრი და მონასტერი. ხობი საკათოლიკოსო რეზიდენციად სწორედ შამაღავლა დადიან-გურიელის ერისთავობის დროს იქცა, რაც განაპირობა იმან, რომ აფხაზეთში ჩრდილოკავკასიელი ადიდეების (ქართული წყაროების ჯიქების) მოძალებისა და ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობის, შესაბამისად, ბიჭვინთის საკათოლიკოსო რეზიდენციის გარშემომრევლის უკიდურესად შემცირების შედეგად საკათოლიკოსო ტაბარი აღმოჩნდა კუნძული წარმართების გარემო-

<sup>13</sup> იქავ, გვ. 210.

<sup>14</sup> კაკაბაძე, 1921 (I), გვ. 2 (იხ. აგრეთვე, აქავ „ტექნიკი“).

<sup>14a</sup> იხ. ჯოჯუა, 1999, გვ. 117-132.

ცვაში. ამიტომ აუცილებელი გახდა კათოლიკოსის მიერთების  
დენციის გადმონაცვლება ქვეყნის სიღრმეში. ხობის საე-  
პისკოპოსო წერილობით წყაროებში XV ს. დასაწყისიდან  
იხსენიება (ჯვრის აღაპები და 1432 წლის გურალიძეთა  
სასისხლო სიგელი)<sup>148</sup>. ამასვე ადასტურებს შამადავლა  
დადიან-გურიელის მიერ გაცემული სიგელიც, სადაც წე-  
რია: „სხუათა ებისკოპოზთა საფერხავი მართებს და ამას  
(იგულისხმება ხობის ეპისკოპოსი – გ.ა.) არა ეთხოებო-  
დეს“. ხობის მონასტერი პირველად XIII-XIV სს. მიჯნაზე  
იხსენიება<sup>149</sup>.

შამადავლა დადიან-გურიელის მიერ განახლებულ ია-  
დგარში აღნუსხულია საკუთრივ ხობის მონასტრისა და  
საეპისკოპოსოს ქონება და სასისხლო პრივილეგიები, რი-  
თაც ეს უკანასკნელი გამიჯნულია საკათოლიკოსო ქონე-  
ბისა და უფლებებისაგან. სწორედ ამ მიზანს ემსახურება  
იადგარში შეტანილი ნორმა, რომელიც აწესრიგებს ბაჟის  
განაწილებას ხობის ეპისკოპოსსა და კათოლიკოსს შო-  
რის, აგრეთვე, დადგენილება ხობის ეკლესიაში დაკრძა-  
ლვისათვის დაწესებული გამოსადების („ნიშანი“) კუთვ-  
ნილების შესახებ.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს იძლევა დავას-  
კვნათ, რომ „იადგარის“ ადრესატია ხობის საეპისკოპოსო  
და მონასტერი.

შამადავლას საბუთი შინაარსის მიხედვით მრავალ-  
ფეროვანი ინფორმაციის შემცველია. მის ძირითად ტექსტ-  
ში თავმოყრილია ცნობები საყდრის კუთვნილი ტყის,  
აღგილ-მამულების, ყმა-გლეხების, საბაჟოებიდან შემოსავ-  
ლების შესახებ და სასისხლო განჩინების დადგენილე-  
ბანი. ამგვარი სხვადასხვა სახის უფლებებისა და პრივი-

<sup>148</sup> შეტრეველი, 1962, გვ. 87; აკაბაძე, ხმ. II, 1924, გვ. 119.

<sup>149</sup> შეტრეველი, 1962, გვ. 79; სიჭინავა, ჩიტაია, გვ. 7-8



ლეგიების ერთ დოკუმენტში ფიქსირება, ერთ იურიდიკულ აქტში მათი თავმოყრა იშვიათი მოვლენაა ქართულ დიპლომატიკაში. სტრუქტურის მიხედვით შამაღავლას საბუთის ანალიზიურია „ბიჭვინტის იადგარი“<sup>15</sup>, რომელშიც შეტანილია სხვადასხვა საბუთებიდან ამოღებული ციტატები<sup>16</sup>. ამ ორი დოკუმენტის ტექსტებზე დაკვირვება უჩვენებს, რომ საეკლესიო სენიორიებისათვის ასეთი დოკუმენტის შედგენა გამოწვეული იყო პრაქტიკული მოთხოვნილებით. ცნობილია, რომ ეკლესია-მონასტრებში (ისე როგორც დიდგვარიანთა ოჯახებში) საკუთრების უფლების თუ სახისხლო პრივილეგიების დამადასტურებელ იურიდიულ აქტებს დოდად უფრთხილდებოდნენ და სათუთად ინახავდნენ. იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (სამამულო დავა, სარჩელის იღვრა, სასამართლო პროცესი და ა.შ.) ხდებოდა „ბეჭდით დაბეჭდილი“ დოკუმენტის „განსხვანა“. მაგრამ აღნიშნული იურიდიული აქტებით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის (გადასახადების აკრეფა, სისხლის სამართლის დაურვება და ა.შ.) საქმე ხშირად მოითხოვდა ამ აქტებთან ფიზიკურ შეხებას, რაც საფრთხეს უქმნიდა მათს უვნებლად შენახვას. ამის თავიდან ასაცილებლად, დოკუმენტების დაცვა-შენახვის ინტერესებიდან გამომდინარე ყოველდღიური გამოყენებისათვის უნდა შეედგინათ იმგარი დოკუმენტები, როგორიცაა შამაღავლას საბუთი და „ბიჭვინტის იადგარი“, სადაც ერთად უყრიდნენ თავს სენიორიის საკუთრების (აღვილ-მამულები, ყმა-გლეხები) თუ პრივილეგიების (შეუვალობა, სახისხლო განახენი) დამადასტურებელი და განმრიგებელი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მწყალობელთა, შემომწირველთა და შემსყიდველთა

<sup>15</sup> სამართლის ძეგლები, II, გვ. 176-183.

<sup>16</sup> ანთვლავა, 1980, გვ. 59.

მიერ გაცემული იურიდიული აქტების ძირითად შინაგანი ანოტაციების სახით, რომელსაც ამტკიცებდა საპისო კომპეტენციით აღჭურვილი საერთ ხელისუფალი ან საექ-ლესით იერარქი და პქონდა იურიდიული ძალა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით გასაგები უნდა იყოს შამადავლას საბუთის ინფორმაციული სისტემა. აქვე უნდა ითქვას იხიც, რომ საკუთრების ამა თუ იმ ობიექტის, აგრეთვე, სასისხლო განაჩენის შესახებ ხობის ტაძარს პქონდა ცალკე, დამოუკიდებელი სახით არსებული საბუთები შემომწირველის, შემსყიდველის, მწყალობელის ვინაობის, შეწირული ან შესყიდული მამულის მოცულობის (საზღვრების), ყმა-გლეხთა რაოდენობის, ვინაობის, მათი ვალდებულებების, საყდრის პრივილეგიების და ა.შ. აღნიშვნით. სწორედ მათ, ამ ცალკეულ აქტებს ემყარებოდა, მათგან ამოღებული ძირითადი ცნობების ნაკრებს წარმოადგენდა შამადავლას საბუთი და მისი მხგავსი სხვა დოკუმენტები.

საბუთი, რომელიც შამადავლა დადიან-გურიულმა განაახლა, „იადგარის“ სახელწოდებით იხსენიება თვით გამცემის მიერ. „იადგარის“ უწოდებს იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510–1565) ბიჭვინთის საკათალიკოსო საყდრი-სათვის შეუვალობის მინიჭებისა და სასისხლო განაჩენის დაღვენილებების თაობაზე გაცემულ დოკუმენტს<sup>17</sup>. ბაგრატისავე ერთ-ერთ სიგელში აღნიშნულია, რომ სოფ.თხი-ლარის მცხოვრებთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისა-თვის სისხლის დაურვება „რაც გელათის იადგარშიგან სწერია“, იმის მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო<sup>18</sup>. იმავე მეფის სხვა საბუთებში „იადგარის“ სინონიმია „დავთა-

<sup>17</sup> სამართლის ქადაგები, II, გვ. 179.

<sup>18</sup> კაგაბაძე, 1921(I), გვ. 179.



რი<sup>19</sup> და „გუჯარი“<sup>20</sup>. ლევან II დადიანი ზემოთ ხსენია  
ბულ საბუთში შამადავლა დადიან-გურიელის განსაზღვრულ  
დოკუმენტს „იადგარსაც“ უწოდებს და „სიგელ-საც“<sup>21</sup>. კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე ბიჭვინთო-  
სადმი გაცემულ შეწირულობების საბუთს (1733 წ.) სა-  
ხელს დებს „სიგელად და იადგარად“<sup>22</sup>.

საეკლესიო ცხოვრებაში „იადგარი“ სადღესასწაულო  
საგალობლების კრებულს ერქვა<sup>23</sup>. როგორც ზემოთ მოტა-  
ნილი ცხობებიდან ჩანს, ეს ირანული ენიდან შემოსული  
სიტყვა, რაც „სამახსოვროს“, „დასახსომებელს“ ნიშნავს<sup>24</sup>,  
სხვა ტერმინებთან ერთად (წიგნი, ხიგლი, დავთარი,  
გუჯარი და ა.შ.) დიპლომატიკური ძეგლის აღსანიშნავა-  
დაც იხმარებოდა.

ჩემი მიზნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა  
ენიჭება იმის გარკვევას, თუ რაში გამოიხატება შამადავ-  
ლა ერისთავის დვაწლი ხობის საყდრის წინაშე, უფრო  
ზუსტად, მისი წვლილი საბუთის ტექსტის ჩამოყალიბე-  
ბაში. ამასთან დაკავშირებით პასუხი უნდა გაეცეს კით-  
ხვას: შამადავლამ „ხოფის ძველი იადგარი“ მხოლოდ ხე-  
ლახლა დამტკიცა თუ თვითონ შეადგინა იმ სახით, რო-  
გორი სახითაც დღეს გვაქვხ? ამ თვალსაზრისით საგუ-  
ლისხმოა შემდეგი: საბუთის შესავალში, როგორც ზემოთ  
ვნახეთ, შამადავლა აცხადებდა, რომ ხობის საყდრის  
„ძეგლითგანი იადგარი გარყუნილიყო და დაკარგული-

<sup>19</sup> კაკაბაძე, 1921(I), გვ. 179.

<sup>20</sup> სამართლის ძეგლები, II, გვ. 186.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 210.

<sup>22</sup> სამართლის ძეგლები, II, გვ. 734.

<sup>23</sup> კაკაბაძე, 1986, გვ. 205.

<sup>24</sup> ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 333.



უო<sup>25</sup>. ამასთან დაკავშირებით რაც მან გააკეთა არის მან რომ „როგორც ძეველად ყოფილიყო, ისრევე გაარიგა ან ძეველი, ან უკვე გამოსაყენებლად უვარგისი, გაფუჭებული („გარყუნილი“) „იაღგარი“ კვლავ ძეველი სახით აღადგინა. შამადავლას მხრიდან „იაღგარის“ აღდგენის დროს რაიმე ცვლილებების (დამატების ან გამოკლების) შეტანის შესახებ მინიშნებაც კი არა გვაქვს. პირიქით, ერთგან შამაღლა ირწმუნება, რომ „მოვიკითხეთ იაღგარი, ძეველთაცა აგრე ეწერა“-ი<sup>26</sup>. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ შამადავლა დადიან-გურიელი ხობის საყდრის „ძეველი იაღგარის“ მხოლოდ განმაახლებულია და არა შემდგენელი.

ამის შემდეგ, ბუნებრივია, წამოიჭრება შამადავლას საბუთისა და „ძეველი იაღგარის“ შინაარსობრივი და ოქს-სტობრივი მიმართების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ შამადავლას მიზანი საყდრის მესაკუთრული უფლებებისა და პრივილეგიების შესახებ არსებული დოკუმენტების განახლება და თავიდან დამტკიცება იყო, მაშინ „ძეველი იაღგარის“ შინაარსი (საკუთრების ობიექტების აღნუსხვა, სასისხლო განაჩენი) მას ხელუხლებლად უნდა გადმოეტანა თავის სიგელში, რადგან მისი შეცვლის არავითარი საჭიროება არ არსებობდა. პირიქით კია, იურიდიული აქტის განახლება, უწინარეს ყოვლისა, ხომ

<sup>25</sup> სამართლის ქველები, II, გვ. 209. სიტყვა „დაკარგულიყო“ იაღგარს კი არ ეხება (ასეთ შემთხვევაში მისი ტექსტის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა). არამედ საყდრის იმ უფლებებსა და პრივილეგიებს, რომლებსაც მას „იაღგარი“ უკანონებლად და ამ უკანასქნელის „გარუქნის“ გამო გაუქმების საფრთხე დამუქრებოდა. „ძეველი იაღგარის“ ტექსტი, მართალია, დაზიანებული ყოფილა, მაგრამ ისე არა, რომ ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელი ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს შამადავლას სიტყვები: „მოვიკითხეთ იაღგარი, ძეველთაცა აგრე ეწერა“.

<sup>26</sup> კაკაბაძე, 1921 (I), გვ. 2



მისი შინაარხის სიზუსტით გადმოცემას გულისხმობული რაკი შინაარხი „ძველი იადგარის“ შამადავლას საბუთში სრულად და უცვლელად უნდა ასახულიყო, ცხადია, ტექსტიც იმავე სიზუსტით უნდა გამორჩებულიყო. ადვილი დასაშვებია, რომ ცვლილება შეხებოდა მართლწერას, ზოგიერთი გრაფემის დაწერილობას და ა.შ., მაგრამ ტექსტის ძირფესვიანი გადასხვაფერების მიზეზი და საჭიროება საბუთის განახლებისას (შამადავლას დროს) არ არსებობდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შამადავლა დადიან-გურიელის მიერ ხელის საყდრისადმი გაცემული საბუთი იმავე საყდრის „ძველი იადგარის“ ტექსტის გადანაწერად უნდა მივიჩნიოთ.

აღნიშნული გარემოება მეთოდურად გამართლებულს და პრაქტიკულად შესაძლებელს ხდის „ძველი იადგარის“ ძირითადი ტექსტის აღდგენას შამადავლას საბუთიდან მისი გამოცალკევების გზით.

შამადავლას ხიგელის დასაწყისი, როგორც ითქვა, არა მარტო ნაკლელია, არამედ მისგან შემორჩენილი ტექსტის ზოგი სიტყვა დამახინჯებულიცაა. უკელაზე რთული, მაინც, დაკარგული ტექსტის აღდგენაა, თუმცა, არა შეუძლებელი, ვინაიდან ხელო გვაქვს ლევან II დადიანის ზემოთ არაერთხელ დასახელებული ხიგელი. ამ უკანასკნელში, როგორც ითქვა, გადმოცემულია შამადავლას ხიგელის დღეისათვის დაკარგული ნაწილის (კ.წ. „ხიგელის თავის“) შინაარხი. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის მეტნაკლები სისრულით ვცადოთ შამადავლას ხიგელის დაკარგული ნაწილის აღდგენა. ასეთი მცდელობის შედეგი წარმოდგენელია კიდეც წინამდებარე პუბლიკაციაში.



შამადავლას სიგლის შესავალი, ცხადია, საკუთრებული განმაახლებლის დროისაა. სადავოა რომელს მივაკუთვნოთ საბუთის კრულობითი ნაწილი – „ძველი იაღგარს“ თუ შამადავლას სიგელს. კრულობითი ნაწილის არსებობა „ძველი იაღგარში“ თავისთავად იგულისხმება, მაგრამ ის უცვლელად გადმოიტანა შამადავლას სიგლის შემდგენელმა თუ თვითონაც განავრცო ან შეამოკლა, დღეოსათვის მნელად გასარკვევია. რაც შეეხება შამადავლას საბუთის ძირითად ნაწილს (შესავლისა და სადაო, კრულობითი ნაწილის გამოქლებით) მთლიანად „ძველი იაღგარის“ კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ.

ხობის საყდრის „ძველი იაღგარის“ შედგენას, ბუნებრივია, წინ უხრებდა ცალკეული იურიდიული აქტები მსხულების წმ.გიორგის ეკლესიის ყმებითურთ, კემხელში, ხოსულების უმა-გლეხების, რიონსა და ხობისწყალზე (ჭალადიდს, ქარიანტას და კემხელს) სანაოსნო ბაჟის, მდონარეების ცუხა და ჭურიას შუა მდებარე ტყის ხობის საყდრის საკუთრებაში გადასვლის შესახებ, აგრეთვე, სასისხლო განაჩენის თაობაზე. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს აქტები სხვადასხვა დროს არის გაცემული. რაღაც ეტაპზე ამ აქტების ძირითადმა შინაარსმა თავი მოიყარა „იაღგარში“, რომელიც შამადავლას ერისთავის დროს უკვე „ძველად“ ითვლებოდა.

„ძველი იაღგარის“ დათარიღებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხობის ღვთისმმობლის ტაძარი აშენებულია XIII ს. ბოლოს და XIV ს. დამდეგზე<sup>27</sup>. მაგრამ გამორიცხულად ვერ ჩაითვლება მანამდე ამ აღგილას უფრო ძველი ტაძრის და, შესაბამისად, მონასტრის არსებობა. ცხადია, ტაძრის აგებიდან „ძველი იაღგარის“ შედგენამდე არის გაცემული ყველა ის დოკუ-

<sup>27</sup> ბერიძე, 1973, გვ. 72-80.

მენტი, რომელიც ცალ-ცალკე ადასტურებდა ოპიტერის მართვის მიზანით ხამოთ ხამოთვლიდ ამა თუ იმ უფლებას, რაც, ბუნებრივია, ერთბაშად არ მოხდებოდა და დროის გარეკვეულ მონაკვეთს გულისხმობს. ამიტომ „ძველი იადგარი“ ზოგადად XIV ს. შუა წლებსა და მეორე ხახვარში უნდა იყოს შედგენილი.

როგორც ითქვა, შამადავლას საბუთი და მასში ჩართული ხობის „ძველი იადგარი“ მოღწეულია XVII ს. ხელნაწერით<sup>28</sup>. ლუვან II დადიანის ხიგელში გადმოღებულია უშეალოდ შამადავლას საბუთის ტექსტი. პირველ ხელნაწერში ტექსტში წარმოდგენილია (განსაკუთრებით შესავალი ნაწილი) დამახინჯებებით. მეორეში ტექსტი გაცილებით უკეთ არის დაცული. თუმცა ორიოდ ხარვეზი ორივეგან გვხვდება, კერძოდ, ერთ-ერთი სიტყვიდან შემორჩენილია ოდენ „ლოდ/ლობ“ გრაფემები, მეხადილე გლეხების რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა არც ერთში არ იკითხება. ეს ადგილები, როგორც ჩანს, ნაკლელი ყოფილა შამადავლას საბუთის დედანში უკვე იმ დროისათვის, როდესაც მას განახლებდა ლუვან II დადიანი.

შამადავლას საბუთისა და მასში მოქცეული „ძველი იადგარის“ ტექსტის გამოსაცემად მომზადებისას საფუძვლად აღებულია შამადავლას ხიგლის პირი. ამ უკანასკნელის დამახინჯებული და ნაკლელი ადგილების გასამართვად და შესავხებად მოხმობილია ლუვან II დადიანის ხიგლის ჩვენებები<sup>29</sup>. სქოლიოებში მოტანილი კითხვასხვაობებში A ლიტერი პირველ ხელნაწერს აღნიშნავს, B ლიტერი – მეორეს, ხოლო „კ“ და „ლ“ ამ ხელნაწერის პუბლიკაციებს, განხორციელებულს სკაკაბაძის და ი.დოლიძის მიერ.

<sup>28</sup> სცხსა, 1449-1571.

<sup>29</sup> Hd 1551<sup>o</sup>



განსხვავებული შრიფტით დაბეჭდილია ის მოწყობისა  
თები, რომლებიც უშუალოდ შამადავლა დადიანს ჰქონიანი  
ნის და არა „ხოფის ძველი იაღგარის“ ტექსტის შემდგა-  
ნელს.

### ტექსტი გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

- [ ] აღდგენილი აღგილები B ხელნაწერის მიხედვით.
- ( ) A ხელნაწერში დაკლებული გრაფემების აღდგენა.  
+ დამატებული ასო ან ხიტყვა
- დაკლებული ასო ან ხიტყვა
- ] ტექსტის ეს აღგილი ამა თუ იმ ხელნაწერსა და  
გამოცემაში ასევა წარმოდგენილი.
- { } გამომცემლისეული კონიუქტურა.

### ტექსტი

(1470–1475) ხოფის დეპოსმშობლის ძველი იაღგარის  
განახლების სიგელი შამადავლა დადიან-გურიელისა

... [ძუელითგანი იაღგარი გ(ა)რყუნილიყო და დაკარგულიყო  
ხოფისა დ(ვ)თისმშობელისა], {ჩუენ, დადიან-გურიელმან შამანდავ-  
ლა ახლად გავარიგეთ და} დავამტკიცე[თ]. ა[მას ქამსა უღმრთოდ  
და უსჯულოებად მი(ი)ქცეს აფხაზნი, რომელი აფხაზთა გარყუნეს  
რჯული და კათალიკოზობა, ხოლო ჩუენ] ჯვარი და ბისონი [და  
ხატი] კეთილითა შევამკვეთ და დავასვენეთ. და ვარწმუნეთ  
იერუსალიმისა და ანგიოქისა პატრიარქები მიხაელს, ჯუარითა და  
ომფორითა კათალიკოზი იოვანიმ ქრისტეს სა(ფ)ლავისა მარ-  
ჯუნითა კათალიკოზად დავაყენეთ და საკათო[ლიკოზ]ოდ ესე  
[საყდარი] გავაჩინეთ.

{ხოფისა დეპოსმშობელისა ესრეთ გავარიგეთ}

თავსა, წ მ ი დ ა გ ი თ რ გ ი მ ს ხ უ ლ ე ბ ი თ  
ს ა [მი]ხითა<sup>1</sup> შეს(ა)ვალითა და გამოსავალითა, მიხითა

<sup>1</sup> ვირწმუნეთ A.ქ. \*\* სარქოთა A.ქ. I მის B. [თვის]ითა ქ.



სამართლიანითა მზღვრითა,<sup>2</sup> ტყითა, წყლითა და სახელმწიფო  
როთა, სათევზოთა, [სა]კანითა,<sup>3</sup> უძებრითა და საძებრითა,  
რასაც მოგელია იხმარებდა იმ რიგითა და წესითა, გლე-  
ხებითა ყოლათა და ჯუარისმტურთველითა<sup>5</sup> ბერი ზონი-  
მექითა].

[კ ე მ]ე ე ლ ხ:<sup>6</sup> გეგებერია ვაჭრის<sup>7</sup> შვილები – ბაბა-  
დიშა და მისნი მმანი, კახია და ვაქეიშედაი. მასთანა<sup>8</sup>  
ორნი მაშისძენი: დეისმამათი და ნადირია; ორნი ლადარია:<sup>9</sup>  
მიქელა და მამისთუალი; წუწუნ(ა)ური მამ[უ]ლი<sup>10</sup> და მა-  
რანი, მისითა ტყითა, წყლითა და ეკლესის კარი[თა]<sup>11</sup> და სათევზოთა;  
კუირია მასხულია მისითა შვილებით; ოთარაი<sup>12</sup> წუწუნავა მისითა მამულითა;  
ბერია მისითა მამულითა; წყლისპირს ბონია ქრისტემიაი მისითა მამუ-  
ლითა.

წყლისპირსა ჰ ა ლ ა დ ი დ ს რიოზედან ნახევარი  
ბაჟი ხოფისა ღ(ვ)თისმშობელისა არის და ნახევარი  
კათოლიკოზი[ი]ხ[ა] [არის].

ჸ ა რ ი ა ნ ტ ა ს და კ ე მ ხ ე ლ ს მესამედი  
წყლის ბაჟი ყოვლად წმიდისა არის.

ხ ო ხ უ დ ე ნ ს თოხი კუამლი კაცი: ქურუ[ა]<sup>13</sup> და  
სხუიტავა, ანდალისშვილი<sup>14</sup> [და]<sup>15</sup> მონია, მათითა მამუ-  
ლითა, ტყითა, წყლითა, [სათევზოთა]<sup>16</sup> და ეკლესის  
კარითა.

2 სამართლიანითა მზღვრითა] სამსხმოთა...ითა A.ქ. 3 საყანითა B.დ.

4 უძებრითა და საძებრითა B.დ.] რასაც მოგელია იხმარებდა  
უძებარითა და საძებარითა A.ქ. 5 ჯუარისმტურთველიდ A.ქ.,  
ჯუარისმტურთლითა B.დ. 6 კემხელს B.დ. 7 ვაჭრის B.დ.] კაჭრის  
A.ქ. 8 მასთანა B.დ.] მისთანა A.ქ. 9 და ნადირია; ორნი ლადარია  
და ლადარია ორნი ნადირია A.ქ. და ორნი ლადარია B.დ.  
10 მამულია B.დ. 11 ეკლესის კარითა B.დ., ეკლესის კარი A.ქ.  
12 თათარაი B.დ. 13 ქურუა B.დ. 14 ანდალისშვილი B.დ. 15 და B.დ.  
16 სათევზოთა B.დ.



აგრევე, დადიანის სახლის თავი ნიშანი კათოლიკოსის  
ზისა არის; აგრევე, სხვათა აზნაურის შვილთა ნიშანი;  
აგრევე,<sup>17</sup> სხვათა ებისკოპოზთა საფერხავი მართებს და  
ამას არა ეთხოვებოდეს.

აგრევე, ცეს გამოდმა და ჭუირიას წყალს შეა ვინცა  
[ნა]დირი<sup>18</sup> მოკლას, სეფეს ყოვლადწმიდის წინ მოიღებ-  
დეს, – ნერავინ დააკლებს!

ქაგრევე, ჩუენ, ბატონმა დადიან-გურიელმან შამანდავ-  
ლა მოვიყითხეთ იადგარი-ძუელთაცა აგრე ეწერა:

ვინცა ხოფის საყდარსა<sup>19</sup> გარეშემო უპატიობა იკად-  
როს, ანუ გლეხი დაურბიოს,<sup>20</sup> ანუ<sup>21</sup> ჯოგი წაუხეას, ანუ  
ქურდობა ქმნას, ანუ სასახლეს მოუხდებ<sup>22</sup> და გატეხოს,<sup>23</sup>  
ათი გლეხი დაუურვოს<sup>24</sup> საყდარსა.

ვინცა სახოფოსა<sup>25</sup> ზედან მოუხდეს, დაარბიოს<sup>26</sup> და<sup>27</sup>  
დაწუას<sup>28</sup> [...] მეხადილე კუამლი<sup>29</sup> გლეხი დაუურვოს<sup>30</sup>  
საყდარსა.<sup>31</sup>

[ვინცა უსამართ]ლოდ<sup>32</sup> ანუ დალატითა [საყდრისა]  
კაცი მოკლას,<sup>33</sup> ორი ზომა სისხლი დაუურვოს.

ვინცა ძმათაგანსა უპატიობა პკადროს, ანუ აგინოს  
ათასი ბოტინატი<sup>34</sup> დაუურვოს.

აგრევე, ჭუირიას და ცეს შეა ტყე და წყალი ყოვ-  
ლადწმიდისა არის და ნერავინ დააკლებთ.

17 აგრევე A.ქ. 18 ნადირი B.დ. 19 საყდარს - A.ქ. 20 დაურბიოს] -  
A.ქ. 21 ან] - A.ქ. 22 უხდეს A. [მი]უხდეს ქ. 23 გატეხოს A.ქ.  
24 დაუურვოს A.ქ. 25 ვინცა სახოფოს] - A.ქ. 26 დარბიოს B.დ.  
27 და] - A.ქ. 28 დაწუას A.ქ. 29 კუამლი] - B.დ. 30 დაუ... A.ქ.  
31 საყდარსა] - A.ქ. 32 ბოდ B.დ. 33 მოუკლან B.დ. 34 ბოტ... A.ქ.  
პოტინატი - B.დ

და ვინ დააკლოს, რ[ისხ]ავსმცა მამა, მე და სულიშვილი და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი ხოფისა და ყოველზეთვის წმიდანი დთისან(ი): ზეცისანი და ქუეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი. და ვინცა ამისდა შლად და ქცევად კელყოს, რისხავსმაცა ქრისტეს საფლავის მაღლი, იერუსალიმს შესლვა, ჯუარემა, აღდგომა, ნათლისღება, ამაღლება, მეორედ მოსლვა, მთაწმიდა, სინაწმიდანი, მოციქულნი, წინასწარმეტყუელნი, მღდელთმოძღვარნი, მოწამენი, წმიდანი მამანი, მეუდაბნოენი და ქალწულნი, შემცაედების შიშთუილი იუდასი, კეთრი დიოსკორესი, განდგომილება ივლიანესი, ღრჟენა კბილთა და საგანჯველი მხედარისა<sup>35</sup> მის უწყალო[ღ]ება და ნურათამცა სი- (ნა)ნულით<sup>36</sup> ნუ იქნების ქსნა სულისა მისისა კელთაგან ჯოჯოხეთისათა, უკუცეს სისხლნიცა თუსნი ქრისტესთვის დასთხივნის, ამინ. დამამტკიცებულნი ამათნი აკეთრებეს ღმერთმან. ამინ.

35 მდევდარისა A.ქ. 36 სინუ[ნუ]ლით პ.

## პელაგ „პათალიკოზთა სამართლის“ დათარიღებისათვის

„პათალიკოზთა სამართლი“ ქართული საეკლესიო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ის მიიღო აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საეკლესიო კრებამ, რომელსაც უძღვებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მალაქია და აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქი ევლემონი. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები: სვიმონ ქუთათელი, ანტონ გენათელი, ჭყონდილელი, ბელიელი, მოქმედი, ფილიპე დრანდელი, კოზმან ცაგერელი, ზაქარია ხონელი, იოვაკიმ ნიკორწმინდელი, კვირილე ჩაისელი<sup>1</sup>.

აღნიშნული საეკლესიო კრებისა და, შესაბამისად, სამართლის წიგნის შედგენის თარიღი დიდი ხანია იყორობს მკვლევართა ყურადღებას. ვახუშტი ბაგრატიონი კრების მოწევის თარიღს 1605–1609 წლებს შორის ათავსებს<sup>2</sup>. შემდგომი ხანის ყველა მკვლევარი აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, არსებითად, „სამართალში“ მოხსენიებულ კათოლიკოზთა და ეპისკოპოსთა ვინაობისა და მოღვაწეობის დროის შესახებ საკუთარ შეხედულებას ემყარება. ეს შეხედულებები კი ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან.

პიონერულიანმა „სამართალში“ მოხსენიებული კათოლიკოზი ევლემონი გააიგივა კათოლიკოს ევლემონ საყვარელიძესთან, რომელიც მიხოვის ცნობილ წყაროებში 1667 წელს იხსენიებოდა და „სამართალიც“ ამის მიხედვით დაათარიღდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> სამართლის ძეგლები, I, გვ. 398.

<sup>2</sup> ვახუშტი, გვ. 824.

<sup>3</sup> იონელიანი, 1843, გვ. 117.



ევდემონ კათოლიკოსის, ანტონ გენათელისა სვიმონ ქუთათელის წყაროებში მოხსენიების თარიღების გათვალისწინებით მ.ბროსემ დაასკვნა, რომ განსახილ-ველი „სამართალი“ შედგენიათ XVI საუკუნეში, 1529–1578 წლებს შორის<sup>4</sup>.

1532 წელს გაცემულ ერთ-ერთ სიგელში იხსენიება ქართლის კათოლიკოსი მალაქია. აქედან გამომდინარე, თ.ერდანიამ „კათალიკოზთა სამართალი“ XVI საუკუნის პირველი ნახევრით დაათარიღა<sup>5</sup>.

იმავე მეთოდით ს.კაპაბაძემ აღნიშნული საეკლესიო კრების მოწვევისა და სამართლის წიგნის შედგენის დრო XVI საუკუნის 50-იანი წლებით განსაზღვრა<sup>6</sup>.

პ.პეტელიძის აზრით, საეკლესიო კრების ერთ-ერთი თავკაცი, აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონი არის იგივე აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე, რომელიც 1578 წელს გარდაიცვალა. ეს უკანასკნელი, პამელიძის მოსაზრებით, კათოლიკოსად ეკურთხა 1543 წელს, ხოლო ქართლის კათოლიკოსი მალაქია გარდაიცვალა 1549 წ. აქედან გამომდინარე, მკვლევარი მიიჩნევდა, რომ „კათალიკოზთა სამართალი“ შედგენილია 1543-1549 წწ. შორის<sup>7</sup>. ეს თვალსაზრისი გაიზიარეს ი.დოლიძემ<sup>8</sup> და ივ.სურგულაძემ<sup>9</sup>.

ნ.ქაჯაიამ ერთ-ერთ გელათური ხელნაწერის ილიტარიონის მონაცემებზე დაყრდნობით ძეგლი 1557-1578 წლებით დაათარიღა<sup>\*</sup>.

<sup>4</sup> ბროსე, 1856, გვ. 265.

<sup>5</sup> ქრონიკები, II, გვ. 375.

<sup>6</sup> პატაბაძე, 1913 (II), გვ. 10.

<sup>7</sup> პატელიძე, 1980, გვ. 605.

<sup>8</sup> სამართლის მემკლები, I, გვ. 605.

<sup>9</sup> სურგულაძე, 1984, გვ. 186.

<sup>\*</sup> ნ.ქაჯაია, 1999, გვ. 336-342.



ა.ტუდუშის მოსაზრებით, აღნიშნული „სამართლის“<sup>10</sup> დასათარიღებლად ყველაზე მნიშვნელოვანია ევდემო და მალაქია კათოლიკოსების და ანტონ გენათელის მოღვაწეობის სინქრონული პერიოდის გათვალისწინება. მისი აზრით, ქართლის კათოლიკოსი მალაქია მოღვაწეობდა 1532–1549 წლებში, ხოლო ანტონ გენათელი ეკურთხა 1548 წ. ან 1549 წ. აქედან გამომდინარე ა.ტუდუში ფიქრობს, რომ საეკლესიო კრება, რომელმაც განსახილების „სამართალი“ მიიღო, 1548 ან 1549 წელს უნდა გამართელიყო<sup>11</sup>.

ვფიქრობ, აღნიშნულ მოსაზრებებს სადაოდ ხდის „კათალიკოზთა სამართალში“ მოხსენიებული კათოლიკოსების იდენტიფიკაცია, აგრეთვე, მათი და „სამართლის“ დამამტკიცებელ ეპისკოპოსთა ქრონილოგია.

ჯერ განვიხილოთ ქართლის კათოლიკოსის მალაქიას ზეობის ქრონილოგია. მალაქია კათოლიკოსად ეკურთხა 1532 წელს<sup>12</sup>. მისი გარდაცვალების თარიღიდან ტამპლიონებს მიაჩნია 1549 წელი, რასაც იზიარებენ სხვა მკვლევარებიც<sup>13</sup>. ამ მოსაზრებას საფუძვლად დაედო ერთი უთარიღო საბუთი – ლეონ მეფის პირობის წიგნი მალაქია ქართლის კათოლიკოსისადმი, რომელიც თურქეთის 1549 წლით დათარიღდა<sup>14</sup>. მოგვიანებით გაირკვა, რომ აღნიშნული თარიღი მცდარია, საბუთი სინამდვილეში გაცემულია 1532–1534 წლებში<sup>15</sup>. ასე რომ, მალაქია კათოლიკოსის გარდაცვალების თარიღიდან 1549 წლის მიჩნევას საფუძველი აღარ გააჩნია. თარიღიან საბუთებში მალაქია

<sup>10</sup> ტუდუში, 2000, გვ. 15.

<sup>11</sup> ქრონიკები, II, გვ. 375.

<sup>12</sup> კაჭარავა, 2000, გვ. 90.

<sup>13</sup> ქრონიკები, II, გვ. 390.

<sup>14</sup> ანოტირებული ლექსიკონი, III, გვ. 16.



კათოლიკოსად უკანასკნელი 1537 წელს იხსენიება<sup>15</sup>. შემდეგ 1540 წლისათვის კათოლიკოსად ჩანს მელქისედეკი<sup>16</sup>. ამრიგად, მალაქიას ზეობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია 1540 წელი. XVI საუკუნეში სხვა ქართლის კათოლიკოსი მალაქიას სახელით წყაროებში არ ჩანს.

„კათალიკოზთა სამართლის“ პრეამბულაში მოხსენიებულია აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონი. XVI საუკუნის აფხაზეთის კათოლიკოსებს შორის ევდემონის სახელით ორია ცნობილი. ერთი მათგანი 1541 წელს გარდაიცვალა. ამის შესახებ გვაუწყებს გელათის გულანის მინაწერები. ერთ-ერთი მათგანი იუწყება: „სრულ იქმნა რვანი ჭმანი პარაკლიტონნი... ბრძანებითა ქრისტეს მიერ კურთხეულისა აფხაზეთისა კათალიკოს-პატრიარქისა ევდემონისათა“. ამავე გულანის სხვა ადგილას კვითხულობთ: „...დაიწერა და სრულ იქმნა...ესე...გულანი ქორონიკოზთისა სკო (1541 წ. – გ.ა.) ბრძანებითა აფხაზეთისა კათალიკოს-პატრიარქისა ევდემონისათა, რომლისა ჭხენებად და კურთხევად საუკუნოდმცა არს წინაშე უფლისა“<sup>17</sup>. როგორც ვხედავთ, პირველი მინაწერი, რომელიც ხელნაწერის გადანუსხვის პროცესშია შესრულებული, ევდემონ კათოლიკოს ცოცხლად იხსენიებს, მეორე მინაწერი კი, რომელიც გულანის გადაწერის დამთავრების („სრულიქმნის“) შემდეგ, 1541 წელსაა გაკეთებული, აღნიშნულ კათოლიკოსს უკვე მიცვალებულად იხსენიებს (სიტყვები „რომლისა ჭხენებად და კურთხევად საუკუნოდმცა არს წინაშე უფლისა“ მხოლოდ მიცვალებულს მიემართება).

ამრიგად, თუ „სამართლის“ პრეამბულაში მოხსენიებული ქართლის კათოლიკოსი მალაქია იგივე 1532–1540

<sup>15</sup> ანოტირებული ლექსიკონი, III, გვ. 16.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>17</sup> ხელნაწერთა აღწერილობა, 1964, გვ. 225-226.

წლებში სხვა წყაროებით ცნობილი ქართლის კატეგორია კონი მაღაქიაა, მაშინ იმავე სამართლის პრეამბულაში მოხსენიებული აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონი იგივე გელათის გულანის 1541 წლის მინაწერში მოხსენიებული აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონია, მაგრამ ეს უკანასკნელი არ შეიძლება იყოს აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე, რომელიც გარდაიცვალა 1578 წელს, ხოლო კათოლიკოსად ეკურთხა არა 1543 ან 1557 წელს, როგორც ზემოთ აღნიშნული მკვლევარები ფიქრობენ, არამედ 1557 წელს, როგორც თვითონ ევდემონ ჩხეტიძე უთითებს ბიჭვინთის დევთისმმობლის ხატის წარწერაში<sup>18</sup>. მიუხედავად ამისა, მაღაქია (1532–1540) და ევდემონ (1541) კათოლიკოსების გაიგივება „კათალიკოზთა სამართლის“ მაღაქია და ევდემონ კათოლიკოსებთან, ხოლო ამის საფუძველზე „სამართლის“ დათარიღება XVI საუკუნის 30-იანი წლებით ლოგიკური იქნებოდა, ამას რომ არ ეწინააღმდეგ გებოდეს „სამართლის“ ტექსტის ბოლოს ხელმომწერი ე.ი. საეკლესიო კრების მონაწილე ეპისკოპოსების ქრონილოგია. როგორც ზემოთ ვნახეთ სამართალს ამტკიცებენ: სვიმონ ქუთათელი, ანტონ გენათელი, ფილიპე დრანდელი, კოზმან ცაგერელი, ზაქარია ხონელი, იოვაკიმ ნიკორწმინდელი, კვირილე ცაიშელი, სამი ეპისკოპოსის (ჭყონდიდელის, ბედიელის და მოქველის) სახელი აღნიშნული არ არის.

ფილიპე დრანდელი და კოზმან ცაგერელი სხვაგან არ იხსენიებიან. დანარჩენ ეპისკოპოსთა შესახებ, ასე თუ ისე, ცნობები სხვა წყაროებშიც გვაქვს. სვიმონ ქუთათელი (ჩხეტიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი) 1519<sup>19</sup>

<sup>18</sup> ლომინაძე, 1960, გვ. 90-102.

<sup>19</sup> ვახუშტი, გვ. 810.



თუ 1529 წელს<sup>20</sup> ეპურთხა ეპისკოპოსად. ის იხსენიერებული XVI საუკუნეში შედგენილი გელათის გულანის უთარიდო მინაწერშიც<sup>21</sup>. უცნობი რჩება მისი ეპისკოპოსობის დახრულების თარიღი. სვიმონის შემდგომი ხანის ქუთათელი ეპისკოპოსი 1602 წლამდე არ ჩანს (ამ წელს გაცემულ ერთ დოკუმენტში იხსენიება ქუთათელი ბახილი ჩხეგბიძე)<sup>22</sup>. ასე რომ, დღევანდელი ჩვენი ცოდნა სვიმონ ქუთათელის ზეობის ქრონლოგიის შესახებ განხილველი სამართლის დასათარიღებლად ფრიად უმნიშვნელოა.

ერთადერთი თარიღიანი წყარო, სადაც ანტონ გენათელი იხსენიება, შედგენილია 1568 წელს<sup>23</sup>. ის იხსენიება, ავრეთვე, გელათის ხახულის დვთაისმშობლის ეპლეხის უთარიდო ფრეხებულ წარწერებში, ერთ-ერთ მათგანში, იმერეთის მეფესთან, გიორგი მეორესთან ერთად<sup>24</sup>. ბლომინაძის აზრით, ანტონ გენათელის ეპისკოპოსობის ხანაა დაახლოებით 1565–1584 წლები<sup>25</sup>. მისივე შეხედულებით, ანტონ გენათელის უშუალო წინამორბედი იყო გელათის პირველი ეპისკოპოსი მელქისედეკ საკვარელიძე<sup>26</sup>, რომელიც მკურთხა 1519 წელს<sup>27</sup> თუ 1529<sup>28</sup> წელს. ის მოქმედი ეპისკოპოსია 1548 წლით დათარიღებული სიგლის მიხედ-

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 433. ცხოვრება საქართველომასა, 1980, გვ. 42.

<sup>21</sup> ქრონიკები, II, გვ. 312.

<sup>22</sup> ანოტირებული ლექსიკონი, I, გვ. 470.

<sup>23</sup> ქრონიკები, II, გვ. 410.

<sup>24</sup> ლომინაძე, 1955, გვ. 40.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 35, 41.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> ვახუშტი, გვ. 810.

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 433; ცხოვრება საქართველომასა, 1980, გვ. 372.



ვით<sup>29</sup>. მელიქსედეკ გენათელი იხსენიება გელათის დამოუკიცებული მშობლის გალეხის ფრესკულ და ლაპიდარულ წარწერებში, ერთ-ერთ მათგანში, იმერეთის მეფესთან, ბაგრატ მესამესთან ერთად<sup>30</sup>, გელათის სამდვდელმთავრო კვერთხის წარწერაში, აქაც ბაგრატ მესამესთან ერთად<sup>31</sup>. აგრეთვე, გელათის საწინამდვრე ჯვრის ზურგის წარწერაში<sup>32</sup>. აღნიშნული წარწერები უთარიდოა. ზემოთ მოტანილი მასალა (თარიღიანიც და უთარიდოც) გვიჩვენებს, რომ მელქისედეკ გენათელი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510–1565 წწ.) თანამედროვეა, ანტონ გენათელი კი – გიორგი მეორისა (1565–1583 წწ.). აქედან გამომდინარე, ბლომინაძის მიერ შემოთავაზებული ქრონილოგია, როგორც თვითონ თვლის, მიახლოებითია. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ანტონ გენათელის ეპისკოპოსობა ბაგრატ III-ის მეფობის ხანაში დაწყებულიყო ან მელქისედეკ საევარელიძის ეპისკოპოსობა გიორგი II-ის მეფობის ხანაშიც გადმოსულიყო.

გიორგი II-ის თანამედროვე გენათელ ეპისკოპოსთა ქრონილოგიის საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს აღნიშნული მეფის მიერ კდიაშვილ-შალიკაშვილისადმი ბოძებული წეალობის სიგელის ერთი ცნობა. აღნიშნული სიგელი უთარიდოა. საბუთის დათარიდება მასშივე მოცემული ისტორიული რეალიების მიხედვით მოგვცა შპურჯანაძემ. სიგლში მეფე გიორგი მიმართავს კდიაშვილს: „[საათა]ბაგოდან რომ წამოვედით, შენ თან წამოგვყვით შენის ცოლითა და შვილით“<sup>33</sup>, შპურჯანა-

<sup>29</sup> სამართლის ქეგლები, III, გვ. 260.

<sup>30</sup> ლომინაძე, 1955, გვ. 34-35.

<sup>31</sup> ნიკოლაშვილი, 2001, გვ. 33.

<sup>32</sup> ჩუბინაშვილი, 1971, გვ. 170.

<sup>33</sup> ისტორიული ლოკუმენტები, 1959, გვ. 17.

ძის აზრით, გიორგი მეფე საათაბაგოდან დაბრუნდა წელს<sup>34</sup>. სიგელში იხსენიება გიორგი მეფის თანამდებობა ხედრე დადელფინი რუსედან, რომელიც მეფემ შეირთო 1563 წელს საბუთი დაწერილია ამის შემდეგ, დაახლოებით, 1563–1564 წლებში – აღნიშნავს შპ. რუსედანის გადედოფლების თარიღად ვახუშტი ბაგრატიონი მართლაც 1563 წელს უჩვენებს<sup>35</sup>, მაგრამ არც ერთ წერთში არ დახტურდება გიორგი იმერთა მეფის საათაბაგოში ლაშქრობა 1562 წელს. ვახუშტი ბაგრატიონი იმერთა მეფის, გიორგის სამცხეში ლაშქრობას 1553 წლით ათარიღებს<sup>36</sup>. მართლია ამ დროს გიორგი ჯერ კიდევ მეფე არ იყო, მაგრამ ვახუშტი მისი მეფევების თარიღად 1548 წელს მიიჩნევს და, აქედან გამომდინარე, გიორგის უფლისწულობის დროინდელ ლაშქრობას მისი მეფობის ხანის ფაქტად წარმოგვიდგენს. როგორც ირკვევა გიორგი ამ ლაშქრობის დროს მამის, ბაგრატ III-ის თანამოსაყდრე უნდა ყოფილიყო.

სიგელის შედგენის უკიდურესი ქვედა ზღვარი შპ. რუსენაძის მიერ მოტანილი რუსედანის გადედოფლების თარიღია – 1563 წელი.

საბუთის მიხედვით, გიორგი უფლისწულს სამცხე–საათაბაგოდან იმერეთში გადმოჰყოლიან კლიაშვილები. გიორგი უფლისწულმა სამცხე–საათაბაგოში, როგორც ითქვა, 1553 წელს ილაშქრა. კლიაშვილებიც, ამ დროს გადმოჰყვნენ მას იმერეთის სამეფოში. სიგელში აღნიშნულია, რომ კლიაშვილები გიორგიმ დაასახლა სვიმონეთში, სადაც წინამდღვრის გოხაძისეული მამული, სოფლის ეკლესის დეკანოზობა და თემის უფროსობა უბოძა.

<sup>34</sup> ისტორიული დოკუმენტები, 1959, გვ. 17.

<sup>35</sup> ვახუშტი, გვ. 716.

<sup>36</sup> იქან.



ეს ყველაფერი ცხადია კდიაშვილების იმერეთში ატარებული მოვანის ახლო ხანებში მოხდებოდა. შემდეგ სიგელის გამცემი მოგვითხრობს, რომ „ოთხი პატრიარქი გადმომყვა და მირჩიეს, რატომ ერთი ეპისკოპოზი შენს სახაფლა-ოზედ არ ზის: აბაშიძე გენათლად დავხვი, შენ (კდიაშვილი – გ.ა.) გენათელს მიგაბარე და ჩემათ საჯე-როთ ჯვარწითვლად (sic) დაგაყენე... ეს წყალობა ამდონი ამისათვის გიყავით, რომ ჩვენი თანგარდმოყოლილი იყავი და სადაც დაგხაქმე – ან ყაენთან და ან ხონთქართან – ყოვლგან კარგის საქმობით მომიხვედი“.

როგორც ვხედავთ, გენათლად აბაშიძის დასმა და კდიაშვილის ჯვარისმტკირთველად დაყენება ერთდროუ-ლად ხდება. ეპისკოპოზის „დასმა“, როგორც წესი, მეფის პრეროგატივაა, ამიტომ გიორგი უფლისწული ამას თანა-მოსაყდრეობის პერიოდში ვერ შეძლებდა, ე.ი. აღნიშნული ფაქტები (აბაშიძის გენათლად „დასმა“ და კდიაშვილის ჯვარისმტკირთველად დადგენა) ხდება უკვე მისი დამო-უკიდებელი მეფობის ხანაში – 1565 წლის შემდეგ. საბუ-თის შედგენის დროის განსაზღვრისას უნდა გავითვალის-წინოთ ისიც, რომ კდიაშვილს მეფე ელჩად აგზავნის ხან ირანში, ხან თურქეთში, რასაც გარკვეული დრო დახჭირ-დებოდა. ასე რომ, აღნიშნული სიველის 1563–1564 წლებით დათარიღებას მჟარი საფუძველი არ გააჩნია. ის გაცილებით გვიან ჩანს შედგენილი, მაგრამ არაუგვიანეს 1578 წლისა (ამ წელს გარდაიცვალა საბუთში მოხსენიე-ბული რუსულან დედოფლი)<sup>37</sup>. ასეთ კითარებაში მნელია გარკვევით ითქვას, აღნიშნულ სიგელში მოხსენიებული გენათელი აბაშიძე ანტონის წინამორბედია თუ შემდგომი. ან გენათელი აბაშიძე ხომ არ არის იგივე ანტონ გენა-თელი?

<sup>37</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 521.



ზაქარია ხონელი იხსენიება ხონის წმინდა გიორგის სახატელი ტაძრის საწინამდღვრე ჯვრის უთარიდო წარწერაში, რომელიც მასშივე მოხსენიებული იმერეთის მეფის, გიორგი II-ის ზეობით თარიღდება<sup>38</sup>. ე.ი. 1565–1583 წლებით. წარწერაში მოხსენიებული ხონელი ეპისკოპოსი ზაქარია ჩხეტიძე, ეთაყაიშვილის აზრით, „კათალიკოზთა სამართლის“ ერთ-ერთი დამამტკიცებელი ზაქარია ხონელი უნდა იყოს<sup>39</sup>. ზაქარია ხონელის წინამორბედთა შორის ცნობილია ხონის პირველი ეპისკოპოსი მანუელ ჩხეტიძე, რომელიც 1519 წელს თუ 1529 წელს აკურთხეს<sup>40</sup>. ის მოვიანებით, 1544 წელს<sup>41</sup> ახალდაარსებული კათედრის, ნიკორწმინდის ეპისკოპოსია. წყაროებიდან არ ჩანს, მანუელ ჩხეტიძის შემდეგ ვინ დაიკავა ხონის კათედრა, მაგრამ შესაძლოა, ეს ზაქარია ჩხეტიძე ყოფილიყო. ასეა თუ ისე, ხონის ეპარქიაში მისი მდვდელმთავრობის დაწყებისა და დასრულების ზუსტი თარიღების შესახებ ვერაფერს ვიტუვით.

ოფაკიმ ნიკორწმინდელი განსახილველი სამართლის გარდა, სხვაგან არ იხსენიება. XVI საუკუნის ნიკორწმინდელების შესახებ ცნობები მეტად მწირია. კათედრა შეიქმნა 1544 წელს. პირველი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი, როგორც ითქვა, იყო მანუელ ჩხეტიძე, რომელიც ამ ხარისხში ჩანს 1548 წელსაც<sup>42</sup>. 1559 წლის ოქტომბრით დათარიღებულ ერთ საბუთში ნიკორწმინდელად იხსენიება დაგით საუკარელიძე<sup>43</sup>.

<sup>38</sup> თაფაიშვილი, 1913, გვ. 278.

<sup>39</sup> თაფაიშვილი, 1913, გვ. 279.

<sup>40</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 433. ცხოვრება საქართველომასა, 1980, გვ. 42.

<sup>41</sup> ქრონიკები, II, გვ. 379.

<sup>42</sup> ქაკაბაძე, 1912, გვ. 4-5.

<sup>43</sup> სამართლის ძეგლები, III, გვ. 263.



ნიკორწმინდელი ამბროსე იხსენიება იმერეთის ნიკორწმინდის, ბაგრატ III-ის (1510–1565) მიერ გაცემულ ერთ უთარიდო სიგელში<sup>44</sup>. ნიკორწმინდის ეპლესის დასავლეთის ეპვდრის ქადელში ჩაშენებული ქვის წარწერა იმერეთის მეფის, გიორგი II-ის ხანაში (1565–1583 წლ.) იხსენიებს ნიკორწმინდელ მელქისედეკ საყვარელიძეს<sup>45</sup>. 1591 წელს იმერეთის მეფის, ლევანის მიერ გაცემულ საბუთში დასახელებულია ნიკორწმინდის მთავარეპისკოპოსი ამბროსე ბაქრაძე<sup>46</sup>. ძნელი სათქმელია, ნიკორწმინდის მთავარეპისკოპოსი ამბროსე, ბაგრატ III-ის თანამედროვე და ნიკორწმინდელი ამბროსე ბაქრაძე, ნახსენები 1591 წლის საბუთში, ერთი და იგივე პიროვნებაა თუ სხვადასხვა. მათ შორის კიდევ ნიკორწმინდელად მელქისედეკ საყვარელიძე ჩანს. გაურკვეველია ნიკორწმინდელი მელიქსედეკ საყვარელიძის და გენათელი მელიქსედეკ საყვარელიძის მომართებაც.

„კათალიკოზთა სამართლის“ დამამტკიცებელი იოვაკიმე ნიკორწმინდელი, ცხადია, პირველი ნიკორწმინდელის, მანუელ წეტიძის შემდგომი მღვდელმთავარია, მაგრამ ვერ დგინდება მისი რიგითობა XVI საუკუნის ნიკორწმინდელებში.

ცაიშელი კირილე უვანიძე იხსენიება ცაიშის საწინამდევრე ჯვრის წარწერაში ლევან I დადიანთან ერთად<sup>47</sup>. იგივე კირილე უვანიძე, უკვე ცაიშელ-ბედიელი მიტროპოლიტის ხარისხში იხსენიება ილორის წმინდა გიორგის ხატისა და მისი ჩასასვენებლის წარწერებში გიორგი დადიანთან, მის თანამეცხადრესთან და შვილთან

<sup>44</sup> კაკაბაძე, 1912 (II), გვ. 10.

<sup>45</sup> კაკაბაძე, 1929, გვ. 103.

<sup>46</sup> კაკაბაძე, I, 1921, გვ. 34.

<sup>47</sup> თაფაიშვილი, 1913, გვ. 177.



ერთად<sup>48</sup>. აღნიშნული წარწერები უთარიდოა. პირველი მათგანი შესრულებულია 1556–1572 წლებში, მეორე კი 1579–1582 წლებში<sup>49</sup>. ასე რომ, კირილე ჟვანიძე, იგივე „კათალიკოზთა სამართლის“ ხელმომწერი „კურილე ჩაისელი“ მოღვაწეობდა XVI საუკუნის 50-იან – 80-იან წლებში.

როგორც ვხედავთ, „კათალიკოზთა სამართლის“ დამამტკიცებელი (ხელმომწერი) ეპისკოპოსების ზეობათა შესახებ დღეისათვის ხელმისაწვდომი წყაროები „სამართლის“ შედგენის კონკრეტული თარიღის დადგენის საშუალებას არ იძლევა. არც იმის განსაზღვრა ხერხდება, რომელი მეფის, ბაგრატ III-ის თუ გორგი II-ის ხანაში იქნა მოწვეული საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო აღნიშნული „სამართალი“.

შესაძლებელია განისაზღვროს „სამართლის“ შედგენის ქვედა ქრონილოგიური ზღვარი, ესაა 1548 წელი, როდესაც პირველ გენათელად ჯერ კიდევ მელქისედეკ საუვარელიძეა, აგრეთვე, პირველ ნიკორწმინდელად მანუელ წერტიდე და არა „სამართლის“ დამამტკიცებელი ანტონ გენათელი და ოთაკიმე ნიკორწმინდელი. აქედან გამომდინარე, „სამართლის“ პრემბულაში მოხსენიებული ქართლის კათოლიკოსი მალაქია არ შეიძლება იყოს წვენთვის სხვა წყაროებით ცნობილი მალაქია I, რომლის კათოლიკოსობა, როგორც ვნახეთ, არ გადმოსცილდება 1540 წელს. აგრეთვე, იქვე მოხსენიებული აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონი არ შეიძლება იყოს ის ევდემონი, რომელიც გარდაიცვალა 1541 წელს, ვინაიდან დოკუმენტურად მტკიცდება, რომ მათი მოღვაწეობის პერიოდს სცილდება „სამართლის“ ორი დამამტკიცებელი ეპისკო-

<sup>48</sup> თაფაიშვილი, 1913, გვ. 195

<sup>49</sup> ი. აქვთ, გვ. 185-187.



პოსის, ანტონ გენათელისა და იოაკიმე ნიკორწმინდებულის  
კურთხევის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი (1548 წელი).

ამრიგად, „კათალიკოზთა სამართლის“ დასათარი-  
ლებლად ერთადერთი საიმედო საყრდენი, ჯერჯერობით,  
ევლემონ ჩხეტიძის კათოლიკოსობაა, რაც 1557–1578 წლებ-  
ში თავსდება.

ცაიშის საეპისკოპოსო კათედრა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში, მისი არსებობა VII საუკუნეში ჰპპ ფაქტია. ღვთისმსახურების აღსახრელებლად ამ სახელი-ერო ცენტრის საგანძუროსა და წიგნთხაცავში მრავალი წმინდა ჯვარ-ხატი და წიგნი ინახებოდა, რომელთა შორის იყო გულანიც.

გულანის სახელწოდებით ცნობილია ქართული საუკლესიო ლიტერატურული კრებული, სადაც თავმოყრილია მართლმადიდებელ გალესიაში ცველა დღისა და დღესახსა-წავლისათვის დადგენილი საკითხავები: სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლები, საგალობლები, ფსალმუნები, სვინაქსარი, მარხვანი, ზატიკი და ა.შ. ასეთი შედგენილობის კრებული ორიგინალური ქართული მოვლენაა. ის მხოლოდ ქართულ ეკლესიაში გვხვდება და არ გააჩნია არც ერთ სხვა ეკლესიას. გულანი, ჩვეულებრივ, უშველებელი მოცულობის წიგნია, რომლის დამზადება დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მისი შემქნა მხოლოდ მდიდარ, ფინანსურად უზრუნველყოფილ, დიდ სამონასტრო და საეპისკოპოსო ცენტრებს შეეძლო<sup>1</sup>.

ცაიშის გულანი, რომელიც 1923 წლიდან ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება, როგორც მისი სხვა „სენიები“ უზარმაზარი ფოლიანტია. ის შეიცავს ორივე მხარეზე დაწერილ 1131 სხვადასხვა ქადალდის ფურცელს (ზომები 29,5X24). ხელნაწერი რესტავრირებულია 1989–90 წლებში საქართველოს მეცნიერებ-

\* გამოქვეყნდა: სამეცნიერო სამსარულ სამეცნიერო ცენტრის წელიწერი, II, 2006.

<sup>1</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 186; კეცელიძე, 1980, გვ. 585.



ცაიშის გულანში შეტანილია: 1. სახარება-სამოციქულო (1r-77v), 2. თვენი (77v-87r); 3. სახარება-სამოციქულო სამსგეფხონი (87v-91v); 4. სახარებანი აღდგომისანი საცისკრონი ათორმეტნი (92r-93r); 5. დახდებელნი აღდგომისანი კვირიაკესა (95r-128v); 6. პარაკლიტონი (129r-210r); 7. მარხვან-ზატიკი (211r-515r); 8. თვენი (516r-1095v); 9. მეტაფრანი (1096r-1103v); 10. ფსალმუნი (1104r-1129r).

ხელმოწერის აშიებსა და ბოლო დაუწერელ ფურცლებზე მოთავსებულია ისტორიული შინაარსის ფრიად საინტერესო მინაწერები. ინფორმაცია ცაიშის გულანის შესახებ და მისი რამდენიმე მინაწერის ფრაგმენტი კომენტარებით ურთ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად თურდანიამ შემოიტანა<sup>2</sup>.

ცოტა ხნის შემდეგ (1910 წ.) სამეცნიეროში ხიდველეთა შესახწავლად მოგზაურობისას აღნიშნული გულანი დაუთვალისწილებია ეთაყაიშვილს. როგორც თვითონ აღნიშნავს, დიდი მოცულობის ხელნაწერის საფუძვლიანი გაცნობის დროს მას არ ჰქონია, რის გამოც მინაწერთა მხოლოდ ერთი ნაწილის გადმოდება მოუსწრია, რომლის ტექსტები, მოგზაურობის ანგარიშთან ერთად გამოაქვეყნა 1913 წელს<sup>3</sup>.

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა წიგნების, მათ შორის, ცაიშის გულანის სრული აღწერილობა ამ ოცდაათთი წლის უკან, როგორც ახლახან გავიგე, შეუდგენიათ კამეპელიძის სახ.ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომდებს თბრუეგვაძეს და ლ.კახაბრიშვილს.

<sup>2</sup> ქრონიკები, II, გვ. 356.

<sup>3</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 188-192.

აღნიშნული ნაშრომი, რომელიც იმავე ინსტიტუტში არის დაცული ხება, ელოდება გამოქვეყნებას.

თ.ქორდანიას აზრით, ცაიშის გულანი დაიწერა 1525 წლის ახლო ხანებში. ის კრებულის ერთ-ერთი გადამწერის ანდერძის ფრაზას: „გურიელის მმის ქარის მწირველი“ ასე კითხულობს: „გურიელის მამიას ქარის მწირველი“, ხოლო ამ მამიას (ტექსტში ფაქტიურად არარსებულს) აიგივებს იმ მამია გურიელთან, რომელიც სხვა წყაროების მიხედვით, 1533 წელს დაიღუპა ჯიქებთან ბრძოლაში. თ.ქორდანიას ერთ-ერთი დაზიანებული მინაწერის საფუძველზე გულანის განმაახლებლად ლევან II დადიანი (1611–1657) მიაჩნია<sup>4</sup>. ქვემოთ დავინახავთ, არც ერთი ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეეფერება.

ე.თაყაიშვილს, მართალია, გულანის დათარიღების საკითხი პირდაპირ არ დაუსვამს, მაგრამ ამასთან კავშირშია მის მიერ დართული კომენტარები მინაწერებში მოხსენიებული ისტორიელი პირების ვინაობისა და ქრონოლოგის გარკვევას რომ ისახავს მიზნად<sup>5</sup>, მაგრამ ამ კომენტარების მიხედვით კრებულის შედგენის დროის განსაზღვრა ერთობ ძნელია.

აღნიშნულ გულანს გაკვრით შეეხო კგრიგოლია. „ჩვენი დაკვირვების თანახმად, აღნიშნავს მკვლევარი, ის მანია ლიპარტიანის ქალის თაოსნობით გადაუწერიათ XVI საუკუნის ბოლოს“<sup>6</sup>. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ მანია ლიპარტიანი ამ საქმის მონაწილე იყო, მაგრამ თაოსანი არა.

ე.თაყაიშვილის პუბლიკაციამ ფართოდ გაუდო კარგი ცაიშის გულანის ისტორიელი შინაარსის მინაწერებს,

<sup>4</sup> ქრონიკები, II, 365.

<sup>5</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 190.

<sup>6</sup> გრიგოლია, 1953, გვ. 53.



უპირატესად, პოლიტიკური ისტორიის კვლევის სფერულობას, მაგრამ, ამ პუბლიკაციის შემდეგ საკუთრივ გულანის მანუსკრიპტები ისტორიის საკითხებით (შედგენის დრო, ადგილი, დამკვეთ-მომგებელი, აღდგენა-განახლება და ა.შ.) არავინ დაინტერესებულია. არადა, მათი შესწავლის შედეგები მეთოდური საფუძველია მინაწერების მართვა-გული გამოყენებისათვის.

გულანის და მისი მინაწერების ტექსტებზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ მინაწერების ერთი ნაწილი შეუმნიერებელი დარჩენილა ეთაყაიშვილისათვის (ასეთი შესაძლებლობების შესახებ ის მკითხველებს აფრთხილებდა კიდეც), მათ შორის, ისეთი მინაწერებიც, რომელთაც უშეალო კავშირი აქვთ ზემოთ აღნიშნული საკითხების შესწავლასთან. ყოველივე ამან გადამაწყვეტინა სიტყვის დაძვრა ამ საკითხების გარშემო და ზოგი მინაწერის სრულად გამოქვეყნება.

გულანის შედგენისა და მისი შემდგომი თავგადასავლის გარკვევა დამოკიდებულია მის მინაწერებში მოხსენიებული იმ ისტორიული პირების იდენტიფიკაციასა და ქრონოლოგიის დაღგენაზე, რომლებიც ამა თუ იმ კუთხით დაკავშირებულნი არიან ხელნაწერის შექმნასთან.

მინაწერების მიხედვით, გულანის გადამწერნი არიან: გაბრიელ ნინიძე, იოანე სვიმონის ძე, მათეოს წინამდვარი, ლაზარე<sup>7</sup>, მათე კომბაიძე<sup>8</sup>. მათ შორის ერთ-ერთი, კერძოდ, გაბრიელ ნინიძე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გულანის ხელნაწერზე მიტროპოლიტ მაქსიმე ცაიშელის ბრძანებით იღწვის. ამასთან დაკავშირებით უურადღებას იქცევს მინაწერები ერთი უთარიდო გულანისა, რომელიც დაბაქტირადეს უნახავს არქეოლოგიური მოგზაურობის დროს

<sup>7</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 190.

<sup>8</sup> ცაიშის გულანი, გვ. 189-190.



(1873 წ.) გურიის სოფელ ერკეთში, მთავარანგელი გელეაშვილი<sup>9</sup>, ეკლესიაში. ეს გელანი გადაუწერიათ ჩაქვში ბიჭვინთის კათოლიკოსის, ეფთვიმი საყვარელიძის დაკვეთით ცაიშის დვთისმშობლის საეპისკოპოსო საყდრისათვის და იმავე კათოლიკოსს შეუწირავს მაქსიმე ცაიშელის ეპისკოპოსობის დროს. როგორც ხელნაწერის მინაწერებიდან ჩანს, მისი გადამწერნი ყოფილან იოანე სვიმონის ძე, გაბრიელი, ივანე წხატარაიშვილი, ნათანაელ კარგარეთელი<sup>9</sup>. მათგან ჩვემს გურადღებას იყრობს პირველი ორი. მათი ვინაობა ემთხვევა ცაიშის გელანის გადამწერებისას (იოანე სვიმონის ძე და გაბრიელ ნინიძე). აქ დროებით წერტილი დავხვათ და გადავიდეთ ცაიშის გელანის მინაწერებში მოხსენიებული მაქსიმე ცაიშელის იდენტიფიკაციაზე.

ცაიშის გელანის ერთ-ერთი მინაწერი, რომელიც დღემდე არ გამოქვეყნებულა, იუწყება, რომ „დასრულდა წყობა-წებვად და ლესვა (გულანისა – გ.ა.)... ხელითა ფრიად ცოდვილისა გაბრიელ ნინიძისათად, ბრძანებითა ცაიშელის მიტროპოლიტი ბატონის მაქსიმესითა. მრავალმცა არიან წელი და ქამნი ცხოვრებისა მათისანი“ (იხ. აქვე, მინაწ. №3), როგორც ვხედავთ, გაბრიელ ნინიძე ხელნაწერზე მუშაობდა ცაიშელი მიტროპოლიტის მაქსიმეს ბრძანებით. აღნიშნული გულანის სხვა მინაწერებში იხსენიება ამავე სახელის მქონე ცაიშელი მიტროპოლიტი, გვარად ციხისთავი. თებერვლის თვის საგალობლების ბოლოს მოთავსებულ მინაწერში ვკითხულობთ: „დაესრულა ფეხერვალი სრულიად მისითა განგებითა... ადიდე აქა და საუკუნოსა ბატონი ცაიშელი მიროპოლიტი მაქსიმე ციხისთავი“ (იხ. აქვე, მინაწ. №6). სხვა მინაწერში ნათ-

<sup>9</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 187.



ქვამია: „...ვიძიე [გულანი დამპალი], დიდ(ი)სავ ლექტორია  
დადიანის[ა] უკანით უწმარ და გაუკეთებელი] და იგი  
უგულებელი. ჭელვეავნ, მე, ცაიშელმან [მიტროპოლიტ]მან  
მაქსიმე ციხისთავმა ვიგულე და ვიგულისმოდგინე გა-  
კეთებად ამა... გულანის...“ (იხ. აქვე, მინაწ. №7). ცაიშელი  
მაქსიმე ციხისთავი სხვა წყაროებშიც იხსენიება, კერძოდ,  
ბიჭვინთის კათოლიკოსის გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ  
1706 წ. და 1712 წ. გაცემულ სიგელებში, რომელთა მიხედ-  
ვით, მაქსიმე ციხისთავი ცაიშის ეპისკოპოსი ყოფილა  
დავით ნემსაძისა (1673–1696) და გრიგოლ ლორთქიფანი-  
ძის (1696–1742) კათოლიკოსობის ხანაში<sup>10</sup>. ე.თაყაიშვილის  
აზრით, ცაიშელი მაქსიმე ციხისთავი და ერკეთის გუ-  
ლანში მოხსენიებული ცაიშელი ეპისკოპოსი მაქსიმე  
ერთი და იგივე პირია, რომელიც ცაიშის კათედრას განა-  
გებდა მალაქია გურიელის კურთხევამდე, რაც, მიხი  
აზრით, მოხდა 1605 წ.<sup>11</sup> ასეთ გაიგივებას გამორიცხავს ის  
ფაქტი, რომ მაქსიმე ციხისთავი, როგორც ზემოთ ვნახეთ,  
ცაიშელად იჯდა XVII ს. ბოლო მესამედსა და XVIII ს.  
დასაწყისში და ის ვერ იქნებოდა XVII ს. დასაწყისში  
მოღვაწე მალაქია გურიელის წინამორბედი, ვერც უფთვი-  
მე საყვარელიძედ ცნობილი კათოლიკოსის თანამედროვე-  
ერკეთის გულანის მინაწერი კი ერთაზროვნად აცხადებს  
მაქსიმე ცაიშელს ეფთვიმე საყვარელიძის თანამედროვედ.  
ასეთ ვითარებაში უნდა ვაღიაროთ, რომ ერკეთისა და  
ცაიშის გულანების მინაწერებში მოხსენიებული მაქსიმე  
ცაიშელი, ეფთვიმე საყვარელიძის, გაბრიელ ნინიძის,  
იოანე სვიმონის ძის თანამედროვე და ცაიშელი მაქსიმე

<sup>10</sup> კაგაბაძე, I, 1921, გვ. 91; კვევია, 2000, გვ. 156.

<sup>11</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 190.

ციხისთავი სხვადასხვა პიროვნებებია და მათი გაიგიანის მართებული არ არის<sup>12</sup>.

ამრიგად, ცაიშის გულანის მინაწერში მოხსენიებული მაქსიმე ცაიშელი, რომლის ბრძანებით მუშაობენ გაბრიელი ნინიძე და იოანე სვიმონის ძე ხელნაწერის გადანუხევაზე და ერკეთის გულანის ანდერძში მოხსენიებული მაქსიმე ცაიშელი, რომლის მოღვაწეობის ხანაში გაბრიელ და იოანე სვიმონის ძე წერენ აღნიშნულ გულანს კათოლიკოს ეფთვიმე საყვარელიძის დაკვეთით, ერთი და იგივე პირია.

ხენებული მაქსიმე ცაიშელის მოღვაწეობის დროის გასარკვევად საჭიროა კათოლიკოს ეფთვიმე საყვარელიძის ზუსტი იღენტიფიკაცია. ეფთვიმე საყვარელიძე ორი იყო. პირველი კათოლიკოსად იჯდა 1578–1616 წლებში, ხოლო მეორე 1669–1673 წლებში<sup>13</sup>. დაქრაძის აზრით, ერკეთის გულანის დამკვეთი კათოლიკოსი ეფთვიმე მოღვაწეობდა XVII ს. მეორე ნახევარში<sup>14</sup>. ე.ი. მას მხედველობაში ჰყავს ეფთვიმე II. თუ რომელი ეფთვიმე კათოლიკოსის თანამედროვე იყო მაქსიმე ცაიშელი, ამის დადგნაში გვეხმარება ცაიშის გულანის ერთი მინაწერი, რომლის თანახმად ლევან II დადიანის ხელმწიფობის დანებრან-დარეჯანის დედოფლობის ხანაში (1622–1639) ცაიშის გულანის არსებობა უკვე ფაქტია (იხ. აქვე, მინაწერი, №5). აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ აღნიშნული გულანის დამკვეთი კათოლიკოსი ეფთვიმე II-ის თანამედროვე ყოფილიყო ქრონოლოგიური შეუთავსებლობის გამო. მაშასადამე, მაქსიმე ცაიშელი კათოლიკოს ეფთვიმე I საყვარელიძის დროს ანუ 1578–1616 წლებს შორის იჯდა

<sup>12</sup> ქმპელია, 2000, გვ. 78.

<sup>13</sup> ლომინაძე, 1954, გვ. 133; ლომინაძე, 1966, გვ. 186.

<sup>14</sup> ბაქრაძე, 1987, გვ. 188.

  
ეპისკოპოსად. მიხი მდგდელმთავრობის ქაედა ქრონიკო-  
გიური ზღვარია 1578 წ. (ეფთვიმი I-ის აღსაყდრების-თანამდე  
რიდი), ზედა ზღვარი 1612 წელი, როდესაც უპპე ცაიშის  
ეპისკოპოსად მალაქია გურიელი იჯდა<sup>15</sup>. მაქსიმე ცაი-  
შელის მოღვაწეობის ქრონილოგიის ამგვარ განსაზღვრას  
ადასტურებს მანია ლიპარტიანის ცხოვრების წლებიც. ამ  
ქალბატონის „ხელის წყობით“ უხვად უსარგებლოა გუ-  
ლანის ერთ-ერთ გადამწერს გაბრიელ ნინიძეს. მანია  
ლიპარტიანი კრებულის განსრულებას ვერ მოსწრებია.  
სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ მანია  
ლიპარტიანი XVI ს. ბოლო მესამედში მოღვაწეობდა<sup>16</sup>,  
ხოლო გარდაიცვალა ცაიშის გულანის გადანუსხვის დამ-  
თვრებამდე.

გულანის ერთი მინაწერი, რომელიც გაბრიელ ნინი-  
ძის ხელითაა შესრულებული და ხელნაწერის თანადრო-  
ულია, იხსენებს გიორგი ლიპარტიანს, მის თანამეცხედ-  
რებს ანა დადიანს და მათს მცირეწლოვან ძეს, ვამექს<sup>17</sup>.  
დიდი ხანია გარკვეულია, რომ აქ დასახელებული გიორ-  
გი ლიპარტიანი სხვა წყაროებით კარგად ცნობილი ხა-  
ხელმწიფო მოღვაწეა XVII საუკუნის დასაწყისის ოდიშის  
სამთავროში. ის იყო მთავრის მამია IV დადიანის (1573–  
1578, 1582–1595) ძე, მანუჩარ I-ის (1595–1611) ძმა და ლევან  
II-ის ბიძა და რეგენტი 1611–1614 წლებში, დადიანთა დი-  
ნასტიის უმცროსი შტოს საუფლისწულო მამულის –  
სალიპარტიანოს მფლობელი. მას სამი თანამეცხედრე  
ჰყავდა<sup>18</sup>. გულანის მინაწერში ნახსენები ანა დადიანი

<sup>15</sup> ზაქარაია, 1957, გვ. 145.

<sup>16</sup> ბერაძე, 1964, გვ. 116.

<sup>17</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 191.

<sup>18</sup> ბერაძე, 1964, გვ. 117-123; ანთელავა, 1990, გვ. 47.

მისი მეორე მუცღლუეა, გიორგი ლიპარტიანი გარდამდევნებული ვალა დაახლოებით 1623 წელს<sup>19</sup>.

გულანის მინაწერებში იხსენიება აგრეთვე „გიორგი ლიპარტიანის ძე, სარდალი ბატონი კაცია“ და თანამეცხედრე მისი, დადიანის ასული მარიამი, რომელთა ბრძანებით „აღიწერა და შეიმქო“ აღნიშნული კრებული. ამავე წელს კაცია „აკურთხეს დადიანად და დაულოცეს რკმალი“. აქ დახახლებული ისტორიული პირების იდენტიფიკაცია და ქრონოლოგია დიდი ხანია გარკვეულია: გიორგი ლიპარტიანი, ჩიქოვანთა საგვარეულოს წარმომადგენელი, ლევან IV დადიანის (1682–1696) ვეზირი და სამთავროს ფაქტიური განმგებელია, რომლის შვილი, კაცია ოდიშის მთავარი გახდა 1709 წელს თუ 1710 წელს<sup>20</sup>. ამ უკანასკნელის ზეობის წლები ემთხვევა ზემოხსენებული ცაიშელი მიტროპოლიტის, მაქსიმე ციხისთავის ეპისკოპოსობის ხანას. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება ისიც, რომ მაქსიმე ციხისთავის თაოსნობით გულანის „გაკეთებაზე“ გაწეულ დგაწლს გულისხმობს ზემოთ აღნიშნული მინაწერები, რომლებიც კაციასა და მარიამის ბრძანებით იმავე ხელნაწერის „აღწერას და შემკობას“, „დაწერას და გაკეთებას“ თუწყვებიან.

და ბოლოს, ყურადღებას იქცევს ერთი მინაწერი: „მე, ცაიშელ მიტროპოლიტმან გრიგოლ განვაახლებინე და შევაკვრევინე წიგნი ესე სულისა ჩემისა საოხად“ (იხ. აქე, მინაწერი №8). აქ ნახსენები ცაიშელი გრიგოლი, გვარით ჩიქოვანი, ცაიშის კათედრას განაგებდა 1777–1813 წლებში.

ამრიგად, ცაიშის გულანის მინაწერებში მოხსენებული ისტორიული პირები, რომლებიც ამა თუ იმ ხანით

<sup>19</sup> ბერაძე, 1964, გვ. 118.

<sup>20</sup> ვახუშტი, გვ. 866, 870; ხორავა, 1996, გვ. 127; ხორავა, 1999, გვ. 101.



დაკავშირებულნი არიან გულანის შექმნასა და მის დაცვის მინისტრის მიერთავებასთან, ქრონოლოგიურ რად ასე დაჯგუფდებიან: ცაიშელი მიროპოლიტი მაქსიმე, ლიპარტიის ქალი მანია, გორგი ლიპარტიიანი და მისი თანამეცხედრე ანა დადიანი, გადამწერები გაბრიელ ნინიძე, იოანე სვიმონის ძე თანამედროვეები არიან და მათი თანამშრომლობით შეიქმნა აღნიშნული გულანი. მათი მოღვაწეობის ხანა თავსდება XVI საუკუნის ბოლო მესამედსა და XVII საუკუნის პირველ ოცეულში.

ცაიშელი მიტროპოლიტი მაქსიმე ციხისთავი, დადიანიად ახალნაკურთხი კაცია და მისი თანამეცხედრე მარიამ დადიანი XVII საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ.

ყოველივე ეს შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს გულანის მანუსკრიპტული განვითარების ეტაპები.

გულანის შექმნის ინიციატორი და დამკვეთი არის ცაიშელი მიტროპოლიტი მაქსიმე, რომლის მღვდელმთავრობის და, შესაბამისად, გულანის შედგენის დრო 1578–1612 წლებს შორის თავსდება. თარიღის მეტი სიზუსტით დადგენის საშუალებას იძლევა ერთ-ერთი მინაწერის ცნობა, რომლის თანახმად გაბრიელ ნინიძემ მაქსიმე ცაიშელის ბრძანებით გულანის „წყობა-წებვად და ლეხვა“ დაამთავრა „მაისის კვ. დღესა ხუთშაბათსა“ (იხ. აქვე მინაწერი №3). როგორც ვხედავთ, ხელნაწერზე მუშაობა საბოლოოდ დამთავრებულია 26 მაისს, ხუთშაბათ დღეს. ვკალანდნდათის უნივერსალური კალენდრის დახმარებით შესაძლებელია დადგინდეს წელი, რომელიც დაბლოებითაა ცნობილი, თუ ვიცით სავარაუდო წლის თვე, რიცხვი და დღე<sup>21</sup>. გულანის შედგენის სავარაუდო წელი, როგორც

<sup>21</sup> კალანდაძე, 1973.

ითქვა, აქცევა 1578–1612 წლებს შორის. ამ პერიოდში აღნიშნული კალენდრის მიხედვით 26 მაისი ხუთშაბაზით იყო 1580, 1586, 1603 და 1608 წლებში.

აღნიშნულთაგან ზუსტი თარიღის შერჩევაში გადამ-წევები მნიშვნელობა აქვს გიორგი ლიპარტიანის, მიხი თანამეცხედრის, ანა დადიანის და მემკვიდრის ვამეუის შესახებ მინაწერის დათარიღებას.

რამდენადაც ეს მინაწერი გულანის ტექსტის ერთ-ერთი გადამწერის, გაბრიელ ნინიძის ხელითაა შესრულებული და ძირითადი ტექსტის სინქრონულია, ამდენად, მიხი (მინაწერის) შესრულების თარიღი, ამავე დროს, თვით გულანის შედგენის თარიღიცაა.

დასახელებული ოთხიდან ცაიშის გულანის შედგენის თარიღად პირველი ორი (1580 და 1586) მიუღებელია, რადგანაც ისინი განკუთვნებიან გიორგი ლიპარტიანის მცირეწლოვანების პერიოდს, როდესაც მას არ შეიძლებოდა ცოლ-შვილი ჰყოლოდა (მინაწერის მიხედვით, ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი). ამას მოწმობს შემდეგი: ოდიშის მთავარმა მამია IV დადიანმა იქორწინა 1573 წელს როსტომ გურიელის ასულზე<sup>22</sup>. მათი პირმშო, მანუსარი (შემდგომში ოდიშის მთავარი) დაიბადებოდა არაუდრეს 1574 წლისა, ხოლო მომდევნო შვილი, გიორგი (შემდგომში ლიპარტიანი) – არაუდრეს 1575 წლისა. ამიტომ, ცხადია, 1580 წელს და 1586 წელსაც მომავალი ლიპარტიანი, იმხანად კი გიორგი ბატონიშვილი, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იქნებოდა. აქვდან ცხადია ისიც, რომ განსახილველი მინაწერი 1586 წელზე გვიან არის შესრულებული. გვრჩება ბოლო ორი თარიღი: 1603 წელი და 1608 წელი. მათ შორის რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? დასმულ კითხვასთან დაკავშირებით ყურა-

<sup>22</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 503.



დღებას იქცევს ობჩაში (ბადდათის რაიონი) მდებარეობულ  
ხელის წმიოორგის ტაძრის წარწერები. ერთ-ერთი მშენებელი  
განი იუწყება, რომ ეს მონასტერი იმერეთის მეფის, გიორ-  
გი II-ის (1604–1639) შემწეობით აუშენებიათ გიორგი ლი-  
პარტიანს და მის მეუღლეს, თაჯი ამილახვარს მათს  
„ღარიბად კოფასა შინა“<sup>23</sup>. იმავე ტაძრის კედელზე გამო-  
სახული არიან „ამა კლების აღმშენებელი“ გიორგი  
ლიპარტიანი ეკლესიის მოდელით ხელში, მისი თანამეც-  
ხედრე თაჯი-ყოფილი თებრონია და უწვერული ქმაწვილი  
წარწერით „ძე მათი ვამეყი“<sup>24</sup>. როგორც ვხედავთ,  
კლების მშენებლების დროს გიორგი ლიპარტიანი და  
მისი ოჯახი, ჩვენთვის უცნობი მიზეზით, „ღარიბად“, ე.ი.  
დევნილობაში ყოფილა. გამორიცხულია, რომ გიორგი  
ლიპარტიანი 1611 წლის შემდგომ დევნილობაში ყოფილი-  
ყო. მისი ცხოვრების აღნიშნული თარიღის შემდგომი  
ხანის დეტალები კარგადაა ცნობილი: ის მანუჩარ და-  
დიანმა 1611 წელს, გარდაცვალების წინ, თავისი მცირე-  
წლოვანი მემკვიდრის, ლევან II რეგენტად განამწესა და  
გარდაცვალებამდე (1623) თვალსაჩინო პოლიტიკური ფი-  
გურა იყო ოდიშის სამთავროში<sup>25</sup>. ასე რომ, მისი „ღარი-  
ბად ყოფნა“ 1611 წელზე უწინარები ამბავია. აქვე ყურად-  
სალებია კიდევ ერთი დეტალი. ზემოთ აღნიშნული წარ-  
წერის მიხედვით, გიორგი ლიპარტიანი და თაჯი ამილახ-  
ვარი ობჩაში ეკლესიას აშენებენ იმერეთის მეფის, გიორ-  
გი III-ის შემწეობით. გიორგი III, როგორც ითქვა, ტახტზე  
ავიდა 1604 წელს. მაშასადამე, 1604 წლისათვის შაინც  
გიორგი ლიპარტიანი ჯერ კიდევ „ღარიბად“ არის ანუ  
დევნილობაშია, ე.ი. ოდიშის სამთავროს გარეთაა. ამ

<sup>23</sup> ქაკაბაძე, 1929, გვ. 109; ბოჭორიძე, 1995, გვ. 55; ბერაძე, 1964, გვ. 118.

<sup>24</sup> ქაკაბაძე, 1929, გვ. 109; ბერაძე, 1964, გვ. 64-65.

<sup>25</sup> ანთელავა, 1990, გვ. 47.



დროს მისი მუნდლე, თაჯი ამილახვარი უკვე მონაზუნია არის აღვევილი თებრონიას სახელით, ხოლო მას დადიანი ჯერ კიდევ არ არის მისი თანამეცხედრე. ამრიგად, 1604 წელს გიორგი ლიპარტიანი ოდიშის სამთავროს გარეთ, დევნილობაში იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში მას და მის ოჯახს ცაიშის გულანის ხელნაწერში არავინ მოიხსენიებდა. 1604 წელს ანა დადიანი ჯერ კიდევ არ არის გიორგი ლიპარტიანის მუნდლე, რაც იმას ნიშნავს, რომ გაბრიელ ნინიძის მინაწერში ასახულია გიორგი ლიპარტიანის ოჯახერი მდგომარეობა. 1603/04 წლების შემდგომი ხანისა. აქედან გამომდინარე, გაბრიელ ნინიძის მიერ შესრულებული მინაწერი გიორგი ლიპარტიანის და მისი ოჯახის შესახებ არ შეიძლება დაწერილიყო 1604 წელზე ადრე და 1612 წელზე გვიან; ამიტომ აღნიშნული მინაწერის შესაბამისად, ცაიშის გულანის შედგენის სავარაუდო თარიღებს შორის 1603 წელიც გამოირიცხება. მაშასადამე, გვრჩება 1608 წელი.

ამრიგად, ცაიშის გულანი შედგენილია 1608 წელს მაქსიმე ცაიშელის დაკვეთით. გადაწერის ადგილებია უკლიშეკარის ეკლესია და პაატა სისკირიას სახლი (იხ. აქვე, მინაწერი №1).

გულანი იმთავითვე ცაიშის საეპისკოპოსო საყდრის-თვის იყო დაკვეთილი. ამაზე მიუთითებს გადამწერის შენიშვნა: „ამის უცბად ჩხრეკისათვეს ნუ ვინ დაგუწევთ, ახლა ვისწავლეთ და ცაიშის დღვთისმრბლის გულანისათვეს არ იკადრებოდა“ (იხ. აქვე, მინაწერი №2).

შემდგომში ცაიშის გულანი წალენჯიხის სამონასტრო კომპლექსში შემავალ სკურდის (აწინდელი სკური) წმ.გიორგის ეკლესიაში მოხვედრილა, შესაძლოა, ლევან II დადიანის მითითებით (წალენჯიხის მონასტერი ამ დროისთვის მთავართა დინასტიის სამარხი იყო და დიდი



პატივით სარგებლობდა). აღნიშნულის შესახებ ცნობებია დაცულია გულანის ერთ-ერთ მინაწერში, რომელიც ზალენჯიხის მონასტრის წინამდღვარს, სიმონ ჭილაძეს აკათვნის. მისი სიტყვებით, ვინმე „ზებედე ცრუმან“ ეს გულანი მოიპარა და „ქართლით წაასვენა“, ხოლო ლევან II-ის დადიანმა ქართლიდან „ხატიც წამოასვენებინა და ესე [გულანიცა მოიტანინა“ და ხელმეორედ სკურდის წმ. გიორგის ტაძარს შესწირა (იხ. აქვთ, მინაწერი №5). მოტანილი მინაწერის ცნობები კვრიგოლიამ ზებედე მდვდელ-მონაზვნის „ანდერძის“ მონაცემებთან შეაჯერა და ამის საფუძველზე აჩვენა, რომ ლევან II დადიანის დროს წალენჯიხის მონასტრის წინამდღვარი ყოფილა ქართლელი მდვდელმონაზონი ბეზედე. მკვლევარი მართებულად ასკვნის, რომ სკურდის ეკლესიიდან გულანი სწორედ ამ ზებედეს წაუდია<sup>26</sup>. ზებედეს წინამდგრობის დროს ლევან II დადიანს და მის ბიძას, გიორგი ლიპარტიანს კახეთის „მეფისა, თეიმურაზის საშუალად“ ულაშქრიათ. ეს მოხდა 1615 წლის შემოდგომაზე<sup>27</sup>. თუ როდის დატოვა ზებედემ სამეგრელო, ამის შესახებ ცნობა შემოუნახავს ერთ კათოლიკე მისიონერს, რომელიც გვაუწევბს, რომ „სამეგრელოდან მოსულმა ზებედე მონაზონმა ცხარედ ამხილა ზურაბ ერისთავს, ქრისტიანე მეფის (თეიმურაზის – გ.ა.) ადგილას მაჰმადიანის (ცემონე-ხანის – გ.ა.) დაყენებისათვის“<sup>28</sup>. აქ ნაგულისხმევია საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ფაქტი (ზურაბ არაგვის ერისთავმა თეიმურაზ I ქართლიდან გააძევა და გამაჰმადიანებული სიმონ-ხანი გააბატონა), რასაც ადგილი ჰქონდა 1629

<sup>26</sup> გრიგოლია, 1953, გვ. 49-53.

<sup>27</sup> ანთელავა, 1999, გვ. 176-177.

<sup>28</sup> თამარაშვილი, 1903, გვ. 124.

წელს<sup>29</sup>. ოოგორც ვხედავთ, ზებედე 1629 წელს უკვე სამეცნიერო გრელოდან წასული ქართლში იმყოფებოდა. ამ წლის ისათვის გულანიც წადებულია სკურდის ეკლესიიდან, ამიტომ გასინჯვას მოითხოვს კგრიგოლიას ვარაუდი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული კრებული თავიდან სკურდის წმინდაზე ეკლესიის საკუთრება იყო და ცაიშის ეკლესიაში მოგვიანებით, XVIII საუკუნეში იქნა გადატანილი<sup>30</sup>.

თუ როდის მოხდა გულანის ქართლიდან „აღმოღება“ და სკურდის ეკლესიაში დაბრუნება, ამის გარკვევაში გვეხმარება იმავე სიმონ ჭილაძის მინაწერის ცნობა, რომლის თანახმად, ეს ამბავი დედოფლის, ნებრა-დარეჯანის სიცოცხლეში ანუ არაუგვიანეს 1639 წლისა მომხდარა.

სკურდის ეკლესიაში, ოოგორც ჩანს, გულანის მოვლა-პატრონობაზე სათანადოდ არ უზრუნიათ, რის გამოც ის „დამპალი“ და „უკმარი“ გამხდარა. XVIII საუკუნის დასაწყისში გულანი სკურდიდან კვლავ ცაიშის ეკლესის დაუბრუნდა. ამაზე მიგვანიშნებს მაქსიმე ციხისთავის სიტყვები: „ვიძიე“ გულანი ლევან II დადიანის შემდგომ „უკმარი და უგულებელიო“ (იხ. აქვე, მინაწერი №7). ბუნებრივია, რომ ცაიშის ეპარქიის მეთაურს თავისსავე საყდარში არსებული ხელნაწერის „ძიება“ არ დასჭირდებოდა. ასეთი რამ დასაშვები იყო საყდრის გარეთ. ადგილი, სადაც ცაიშედმა ეპისკოპოსმა ეს წიგნი „მოძია“, უმაღლ სკურდის წმინდაზე ეკლესია იყო.

მაქსიმე ციხისთავის ინიციატივით მოხდა გულანის დაზიანებული ნაწილის აღდგენა, რის შესახებაც ის დაწვრილებით მოგვითხოვთ თავის მინაწერში. ეს დიდი

<sup>29</sup> ვახუშტი, გვ. 436; ჯამბურია, 1973, გვ. 292.

<sup>30</sup> გრიგოლია, 1953, გვ. 53.

მოცელობის სამუშაო დაიწყო 1709 წელს და დამთავრდა 1710 წელს.

მოგვიანებით, გრიგოლ ცაიშვილის მღვდელმთავრობის დროს (1777–1813) ტექსტის გადახული ადგილები განუახლებიათ და ხელნაწერი თავიდან აუკინძავთ (იხ. იქვე, მინაწერი №8).

ფასდაუდებელია ცაიშის გულანის მინაწერების მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. მათ ხშირად მიმართავენ XVII – XVIII სს. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მკვლევარნი. შედარებით ნაკლებადაა ისინი გამოყენებული ქართული მკლეხის ისტორიის, კულტურის ისტორიის, ხელნაწერი წიგნების დამზადების ტექნიკის, კალიგრაფითა კორპორაციების, ონომასტიკონის და ა.შ. საკითხების კვლევაში. ამ და სხვა მიზეზთა ვამო აღნიშნული მინაწერების სრულად გამოცემა აუცილებელი საქმეა.

ამჯერად, ვაქევნებ გულანის მხოლოდ იმ მინაწერებს, რომლებშიც უმუალოდ აისახა ხელნაწერის შექმნასა და მის შემდგომ აღდგენა-განახლებასთან თუ ადგილსამყოფელის მონაცლებისათან დაკავშირებული პერიპეტიები. ზოგი მათგანი (№№ 1,2,3) პირველად ქვეყნებად, ზოგი (№№ 4,5,7) ფრაგმენტების სახით გამოქვეშნებული იყო თეორდანიას მიერ, რამდენიმე მათგანის სრული (№№ 6,8) ან შემოკლებული (№№ 4,5) ტექსტი გამოცემულია ეთაყაიშვილის პუბლიკაციებში. ტექსტები გადმოღებულია დედნიდან. თეორდანიას და ეთაყაიშვილის გამოცემათა კითხვასხვაობები ნაჩვენებია სქოლიოში (სადაც ჭ. და თ. აღნიშნავს კითხვასხვაობას, რომელიც გვაქვს თეორდანიას და ეთაყაიშვილის პუბლიკაციებში).

## სქოლითებში მიღებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

- [ ] აღდგენილი ადგილები;
- ( ) დაწერის მიერ უნდღიუდ დაკლებული გრაფემა;
- + უმატებს;
- აკლებს ესა თუ ის გამოცემა;
- ] ეს ადგილი ასე იკითხება გამოცემაში.

### ცაიშის გულანის მინაზერები

#### № 1

მინაწერი მოთავსებულია ფურცლის კიდეზე. დაწერილია ხუცურად, ტექსტის ხელით.

„ქ. სრულ იქმნა წმიდა ესე თვეზი გელითა ფრიად ცოდ-  
ვილისა გაბრიელ ნინიძისითა სახლსა სისკირიასსა, აღიწერა  
საყდარს ყულისკარს, ბატონის ჩემის ლიპარტიანის ქალის  
მანიას საფლავზედა . საუკუნომცა არს სახსენებული და სუ-  
ფევა მისი. ვინცა მისთვე შენდობა ბრძანო(თ), თქუცნცა შეგინ-  
დოს დმერთმან. ამინ“ (87V).

#### № 2

მინაწერი მოთავსებულია ფურცლის ბოლოს. დაწერილია ხუცურად, გადამწერის გაბრიელ ნინიძის ხელით.

„დმერთო, მოიგხენე ლიპარტიანის ქალი მანია სასუფე-  
ველსა შენსა. მმანო და მამანო, საყუარელნო უფლისა ჩუმხი-  
სანო, ამის უცბად ჩხრეკისათვეს ნუ ვინ დაგუწყევთ, ახლათ  
ვისწავლეთ და ცაიშის დვთისმმობლის გულანისათვეს არ იქა-  
დრებოდა, მაგრამ ჩემის ცოდვილის სულის სახსრათ და  
საოგად გაგბ[ედ]ეთ. ვინცა შეემთხვიოთ, შენდობასა ჰყოფდეთ  
ჩუმხითვეს, დვთისმოუკარენო. ვინცა შენდობა ბრძანოთ ჩუმხ-  
თვეს, თქუცნცა დმრთისაგან შენდობილ ხართ“... (1117r).

№ 3

მინაწერი მოთავსებულია ფურცლის ბოლოს. დაწერილია ხუცურად.

„ქ. დიდება ღმერთსა, აქა დასრულდა წეობა-წებვა და ლესვა, მაისის კვ: დღესა ხუთშაბათსა, ყამსა მესამესა, ხელითა ფრიად ცოდვილისა გაბრიელ ნინიძისათა, ბრძანებითა ცაიშელის მიტროპოლიტი ბატონის მაქსიმესითა, მრავალმცა არიან წელი და ჭამი ცხოვრებისა მათისანი. თხუთმეტ დღეს ეს ვიმეშაკე და ნუვინ დაგვწევ(ე)ცო, რამეთუ, ჩემნო, ვინც შენდობა ბრძანოთ, თქუშნც შეგინდოს ღმერთმან“ (366V).

№ 4

მინაწერი მოთავსებულია ფურცლის ბოლოს. დაწერილია ხუცურად, გადამწერის გაბრიელ ნინიძის ხელით.

„ამისა უცებად<sup>1</sup> გამაკეთებელთა <sup>2</sup> და მჩხრეკელსა, ყოველთა ადამის ტომთა უსაწყალობელებსა, ტპრომიმესა და ცოდვით აღსავსესა, საწყალსა და შეჭირვებულსა მეცამებესა<sup>3</sup> კარის მწირველს<sup>4</sup>, შენგან უნარწევებსა გაბრიელ ნინიძესა, გურიელის მმის<sup>5</sup> კარის მწირველსა, გამიკეთებია ეს გულანი დიდს შეჭირვებასა<sup>6</sup>, ხისნობასა და აშლათა<sup>7</sup> [მინა] და ყონელთა ზამთრისათა შეჭირვებულობითა და სიცხეთა და გულითა შეიწრებელობითა, ბრევალჯერ სიტკბო თა, [ბრევა] ლჯერ გულმოვლილობითა<sup>8</sup> და უცებობისათ ს ნუ ვინ და- [მწევთ]. ლვთისმოყვარენო მამანო და მმანო, ვინც ჩუმნოვის შენდობა ბრძანოთ, თქუშნცა შეგინდოს, ამინ და კირილეისონ, მამათა და მშობელთა [შე]წნდოს. ამინ“ (1128V).

1 უცებად თ. 2 გამკეთებელსა თ. 3 მეცამებები თ. 4 მწერალს თ.

5 მამიას ქ. თ. 6 დიდ შეჭირვებაში თ. 7 აშლაშიდა ქ.შლასა თ.

8 გულმოწყალებითა თ. აქ წყდება მინაწერის ტექსტი ეთაყაო-შვილის გამოცემაში.

მინაწერი მოთავსებულია ფურცლის ბოლოს. დაწერილია მხედრულით, ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით.

„ქ. იქთ ქრისტე, მეუფეო დიდებისათ, ადიდე[ძქა და მერ-  
 მესა მას საუკუნოსა] დიდისა ჭელმწიფისა მანუჩარის ძე,  
 ჭელმწიფეთა ჭელ[მწიფე], დადიანი დევონ, ყოვლისა საქართვე-  
 ლოთა პატ[რონი] და დედოფალთ-დედოფალი, პატრონი ხეს-  
 ტიან-დარეჯანი და მამკობი ხატისა და ჯვარისა თქვენისა [და  
 უდესისა] <sup>1</sup> ამშენებულნი<sup>2</sup>, რომელმან მოინდომა გულანისა  
 ქართლიდადმან აღმოდება და მოტანა, მველათ ამისვე ყო[ფი-  
 ლიყო], ზებუდე ცრუმან გარდაიხვეწა და<sup>3</sup> გაიპარა ეს გულანი  
 აქაური<sup>4</sup> და ჯვარი ყველა - მან ქართლით წა[ა]სვენა და  
 ჭელაკლა[დ ძლი]ერმან<sup>5</sup> ჭელმწიფემან ხატიც წამოასვენებინა  
 და ესე [გულანიცა მოატანინა და მეორეზედ ახლა კუალად<sup>6</sup>  
 კიდევ ჰემოგწირეს და და[ასვენეს საყდ]არს თქვენსავე წმიდა  
 გიორგის სკურდისასა ს[აოვად] და სახსრად სულისა მათი-  
 სათვის, რომლისა ბრძან[ნებითა] იქნა ესე. საუკუნომცა არის  
 სახსენებული და... თა მათის. და ძენი მათნი აღზარდე,  
 სახიერო და კაცო[ბრივო] ღმერთო...

ქ. ღმერთო და ამა გულანის [მა]დლო, აცოცხლე და ად-  
 დგერძელე ლიპარტიანი პატონი ვამეყ და ძმა მათი გიორგი  
 სიგრძესა შინა უამ მე.. დღეთასა, ამინ.

ქ. მე, ცოდვილმან უდირსმან მონასტრისა ამის წინამ-  
 ძღვარმან ხიმონ ჭილაძემან<sup>7</sup> ჩ...შიდ [წ]ვენ ვიშოვედ ეს გულა-  
 ნი... ჩუენივე და ბატონის დადიანის ლეონის სადღეგრძე-  
 ლოდ...სთვის და ადსაზრდელად და სადღეგრძელოთ, დადიანუ-  
 ბისათვის<sup>8</sup> სადღეგრძელოდ, მათვე სასაფლაოზედ<sup>9</sup> [დავასვე-  
 ნეთ]<sup>10</sup>. აწე რამანცა კაცმან<sup>11</sup> ეს ძვირად ნაშოვნი წიგნი გა-  
 მოს[წიროს], ამის მეტს საყდარზედ დასდვან ან ვინმე [წაგუ]-  
 რად [ჭელყოხ] დიდმან ანუ მცირემან, რისხავსა ცოველ][ნი  
 წმიდანი ღმრთისანი, [წმიდა გიორგი] ობუჯისა, რამანც ობუჯს

შეა საუკუნეების ავტორთა შემოქმედებითი პროცესი  
მრავალ ასპექტს მოიცავს. მათ შორის ერთ-ერთი საყურა-  
დდებოა წერილობითი წყაროსადმი დამოკიდებულება.  
საისტორიო თხზულებათა დიდი უმრავლესობა, განსა-  
კურებით ისინი, რომლებიც ხანგრძლივი ქრონოლოგი-  
ური პერიოდის ამბებს მოიცავენ, ცხადია, შედგენილია  
სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროების საფუძველზე.  
ამა თუ იმ წერილობით ძეგლში ისტორიული პროცესის  
ასახვის რეალურობის ხარისხი განისაზღვრება არა  
მხოლოდ იმით, ემყარება თუ არა ის სანდო წერილობით  
წყაროებს, არამედ იმითაც, თუ რა მეთოდებითა და  
ხერხებით იყენებს მისი ავტორი ამ წყაროებს. ამ უკა-  
ნასკნელ გარემოებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული  
შესაბამისობა პირველწყაროსთან, საბოლოო ჯამში კი –  
ისტორიულ სინამდვილეებთან, რაც ნებისმიერი საისტო-  
რიო თხზულების სამეცნიერო ღირებულების შეფახების  
ძირითადი კრიტერიუმია. აქედან გამომდინარე, „ქართლის  
ცხოვრების“ პრებულში შეტანილი თითოეული ძეგლის  
აღვებული თვალსაზრისით განხილვა ამ კრებულის წყა-  
როთმცოდნეობითი შესწავლის ერთ-ერთი აუცილებელი  
ამოცანაა. უნდა ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების“  
თხზულებათა უმეტესობის მიმართ ამ ამოცანის სასურ-  
ველი სისრულით განხორციელების შესაძლებლობა შეზ-  
ღუდულია იმ ობიექტური მიზეზით, რომ უდიდესი ნა-  
წილი ქართული პირველწყაროებისა, რომლებითაც სარ-  
გებლობნებ აღნიშნულ თხზულებათა ავტორები, დღეი-  
სათვის დაკარგულია. რამდენიმე გამონაკლისის სახით  
დღემდე შემოიხახა „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი  
ქართული პირველწყარო, რაც საშუალებას იძლევა ტექს-

წმიდა იგი [ხატნი ახვენია. ვინცა შენდობა პრძანოთ], მესამე შეიგნდოს ღმერთმან“... (910r).



1 ეკლესიისა თ. 2 მაშენებელი თ. 3 დაქს თ. 4 აქაურით თ.  
5 პელაგილა... [ძლიერმან] თ. 6 ახლა კუალალ ახლავედ თ.  
7 კილამებან ჭ. 8 ლია... ნებისთვის თ. 9 საფლავსა თ.  
10 [შევსწირეთ] თ. 11 აქ წყდობა მინაწერის ტექსტი გთავაიშვილის  
გამოცემაში.

### № 6

მინაწერი მოთავსებულია თებერვლის თვის საგალობლეულობის ბოლოს. დაწერილია ნუსხურით, ტექსტის აღმდეგნის ხელით.

„ქ. დაქსრულა ფებერვალი სრულიად მისითა განგებითა. [დმერთო] და მადლო ამათ ყოველთ(ა) წმიდა თანო, ადიდე აქა და სა[უქუნ]ოსა ბატონი ცაიშელი მიტროლოპიტი მაქსიმე ციხისთავი და ეს გულანი დღე(თა) სიგრძე(სა) და სიამესა შიგან აჭმარეთ და ჩუმნოჟსცა სრულიადა წყალობა აბოძებინეთ“ (598r).

### № 7

მინაწერი მოთავსებულია ძირითადი ტექსტის ბოლოს, დაწერილია ნუსხურით, ძირითადი ტექსტისაგან განხხვავებული ხელით.

„ქ. ცაიშის დვთისმმობლისა]<sup>1</sup> შეწევნითა ვიძიე [გულანი დამპალი]<sup>2</sup>, დ(ი)დისა ლევან დადიანის[ა] უკანით უკმარ და გაუკეთებელი<sup>3</sup> და იგი უგულებელი. ჭელყავ მე, ცაიშელმან [მიტროპოლიტმან მაქსიმე ციხისთავმან, ვიგულე და ვიგულისმოდგინე გაეკეთებად ამა საეკლესიოთა და ეკლეს(ი)სა სამკაულისა წიგნისა გულანის სრული და უნაკლულონი ყოვლით... უწყის უფალმან, რომე დიდსა გულმოდგინებით გამოვაკრებინე მრავალთა წიგნთაგან. პირველად სამოციქულო სახარება, ევანგელი, სრული მის წმად სახარება თ და მის

თვენითა და მისისა კათოლიკეთამ, სრული და უნაკლო მას ზედა რვა ხმანი სრული პარაკლიტონი უნაკლელონი წაცის კრო სახარებითა და გამოავლინენითა და აქებდითი დიდებითა რვა ჭმითა მომიჯსენენითამ... თნე თა და წმიდათამან უფალო დადადყავითა, სტიქარონითა და... გალობებითა დამისთვევის გალობითა დასხო და შე... [გუ]ნდნი ანგელოზთანი და დიდნი შენი. წარდგომითა... აქებდით და აღვივხენითა უკლებლად], ...თორმეტნი თვენი უფალო... საწინახწარმეტყველოთა სტიქარონითა დამისთვევის გალობითა], საცისკრო—სახარებითა ცისკრ... მისისა თანა ჩართულის სვი[ნაქსარ]—ნეტაფრასებითა, აქებდითითა [საწინახწარმეტყველოთა და სახარებითა და თრითა ა... [იამბ]იკონითა სრული და უნაკლელო, რაც დახდებლისა საწინახწარმეტყველონი სტიქარონი... რობის გალობითა დამისთვევისა] გალობებითა ... დაუჯდომლითა [შოშის გვრიაკითა შეხვეტ... რითა ათორმეტითა... განსანათლებლითა ცოდვილისა სულისა წევნისად ყოვლითურთ... ვინცა იკითხვიდეთ წმიდათა ამათ გულანთა, შენდობასა ჰყოფდეთ ჩემთვს და ვინცა შენდობით მოგპხენოთ, თქუმნცა მოგიჯსენოს დმერთან სასუფლებლისა ცათასა . ამინ და კირილეისონ“ (1129V).

1–3 ადღიანილია თ ქორდანიას მიერ.

## № 8

მინაწერი მოთავსებულია ფურცლის ბოლოს. შესრულებულია ხუსხურით, ტექსტის განმაახლებლის ხელით.

„მე, ცაიშელ მიტროპოლიტმან გრიგოლ განვაახლებინე და შევაკვრევინე წიგნი ესე<sup>1</sup> სულისა ჩემთვა საოხად“ (710V).

1 გულანი] ო.

## ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ზოგიერთი მპიბრავიპული ძათარილებისათვის

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი მდიდარია ჯვარ-ხატებზე, ქვასა და ქსოვილზე შესრულებული ეპიგრაფი-კული ძეგლებით. მათი გარკვეული ნაწილი უთარიდოა. ამჯერად შევეხები რამდენიმე მათგანის დათარილების საკითხს:

1. წალენჯიხის ტაძრის საწინამძღვრე ჯვრის ქვედა მკლავზე შესრულებულია შემდეგი ასომთავრული წარწერა: „ს(უ)ლსა დადი(ა)ნ(ი)სა ლიპ(არი)ტ(ი)ს ჰ(ე)ნდვ(ნ)ეს ლ(მ)ერთმა(ნ)ე“<sup>1</sup>.

ეთაყაიშვილის აზრით, წარწერაში მოხსენიებულია ან ლიპარიტ II, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ქრონიკობით, გარდაიცვალა 1512 წელს ან ლიპარიტ III, რომელიც ვახუშტისავე ცნობით მთავარი ვახდა 1658 წელს. „უფრო უკანასკნელ ლიპარიტს უნდა ეკუთვნილეს ჯვრის შემკობა და წარწერა“ – აღნიშნავს ეთაყაიშვილი<sup>2</sup>.

გ.ჩუბინაშვილი აღნიშნული ხატის წარწერაში ნახსენებ ლიპარიტ დადიანს, ეთაყაიშვილის მიხედვით, ლიპარიტ III-დ მიიჩნევს. თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ჯვრის მორთულობა დამახასიათებელია მთელი X-XVII სს. ქართული ოქრომჭედლობისათვის<sup>3</sup>.

ის გარემოება, რომ ლიპარიტი დადიანობით იხსენიება, მიუთითებს იმაზე, რომ ის ერისთავია ან ხელმწიფე (მთავარი). ოდიშის ერისთავების რიგში ამ სახელით ცნო-

<sup>1</sup> თაყაიშვილი, 1913, გვ. 235.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ი. ჩუბინაშვილი, 1959 (I), გვ. 525; ჩუბინაშვილი, 1959 (II), გვ. 580.

ბილია ორი ერისთავი ლიპარიტ I (1412–1470) და ლიპარიტ II (1482–1503). რაც შეეხება ხელმწიფებს (მთავრულობა), მათ შორის აღნიშნული სახელის მატარებელს ერთადერთი კახუშტი ბაგრატიონი იცნობს. ამ უკანასკნელის მიხედვით, 1657 წელს ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ მთავრის ტახტი მოკლე ხნით ეკავა გარდაცვლილი მთავრის ძმისშვილს, ლიპარიტს, რომელიც ტახტიდან ჩამოაგდი მთავრთა გვერდითი შტოს წარმომადგენელმა გამოჟმა<sup>4</sup>. როგორც დღესთვის დადგენილია, კახუშტის ქა ცხობა სინამდვილეს არ შეეფრება: ლიპარიტი იბრძოდა ტახტის დასაჭავებლად, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ტახტი კი ლევან II-ის შემდეგ ვამჟემდ დაიკავა<sup>5</sup>. ეს გარემოება, კ.ი. ლიპარიტი მთავარი რომ არ ყოფილა, საგვარეულოს სახისშნული წარწერის ლიპარიტ დადიანის და ტახტის მაძიებელ ლიპარიტის იგივეობას.

გარდა ამისა, გახსათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ წარწერაში ლიპარიტ დადიანი გარდაცვლილად იხსენიება (წარწერის შემსრულებელი მისი სელის შენდობას ითხოვს). როგორც ცნობილია, ლიპარიტი ბანძასთან ბრძოლაში (1658 წ.) დამარცხების შემდეგ ოსმალეთში გადაიხვეწა და მაღავე იქნე გარდაიცვალა<sup>6</sup>. ხოლო მასზე გამარჯვებული ვამჟეის მთავრობის ხანაში დადიანთა სისაფლათ მონახტრის ჯვარზე მის (ლიპარიტის) მოსახუნებელ წარწერას არავინ გააკეთებდა.

ასე რომ, განსახილველ წარწერაში მოხსენიებული ლიპარიტ დადიანი და XVII საუკუნეში მთავრის ტახტისათვის მებრძოლი ლიპარიტი სხვადასხვა პიროვნებებია.

<sup>4</sup> კახუშტი, გვ. 832.

<sup>5</sup> ის. ბერაძე, 2000, გვ. 29-30.

<sup>6</sup> იქნე.



იდენტიფიკაციისათვის გვრჩება ლიპარიტ I და ლიპარიტ II, მაგრამ გაურკვეველია, რომელი მათგანი იყენის სხმება წარწერაში. თუ ეს ლიპარიტ I-ია, მაშინ წარწერა შესრულებულია მისი გარდაცვალების, ვ.ი. 1470 წლის ახლო ხანებში. თუ წარწერაში ხაუბარია ლიპარიტ II-ზე, მაშინ ის ამოკვეთიდნია 1503 წლის ახლო პერიოდში.

ამრიგად, წალენჯიხის ჯერის განსახილველი წარწერა ხოგადად XV ხაუკუნის პოლო მესამედითა და XVI ხაუკუნის დასაწყისით თარიღდება.

**2.** ცაიშის ხაკათედრო ტაძრის ხაწინამდევრუ ჯვრის უკანა მხარეს მოთავსებულია წარწერა, რომელიც ქართულების ვახსნით ასე იკითხება: „*მ(ილა)ი ჯ(ე)რი ქ(რი)სტებეთ, შ(ე)იწყალე და დაიცვე შ(ე)იღოთბით ლეონ დადოანი თრთავე შ(ინ)ა ცხოვრებათა ჯვართ ქ(რი)სტებეთ, შ(ე)იწყალე, ცა(ი)შელი მ(ა)მამთავარი კირილე ქ(რი)სტებეთ, რ(ო)მელმან შ(ე)ვ(ა)მჰევ ჯვარი*“ ენე პატიონისი, რ(ე)ვი შემწე მექმნეს დღესა მას განკითხვისასა. ა(მი)ჩ<sup>7</sup>.

წარწერაში მოხსენიებული ცაიშელი მამამთავარი კორილე უვანიძე სხვა წეაროვბითაც არის ცნობილი. ის XVI ს-ში მოღვაწეობდა<sup>8</sup>. აქვდან გამოიღინარე, კორეფაიშვილი სავსებით მართებულია, განსახილველ წარწერაში დახახელებულ ლეონ დადიანს მიიხნევს XVI ხაუკუნეში მოღვაწე ლევან I დადიანად<sup>9</sup>, რომელიც, ვახუშტი ბაგრატიონის ქრონილოგით, თდიშს განაგებდა 1532–1572 წლებში<sup>10</sup>. კორეფაიშვილმა წარწერაც ამ წლებით დაათარიღა<sup>11</sup>.

<sup>7</sup> თავაიშვილი, 1913, გვ. 177-178.

<sup>8</sup> ი. იქვე, გვ. 178.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 178.

<sup>10</sup> ვახუშტი, 1973, გვ. 811, 816.

<sup>11</sup> თავაიშვილი, 1913, გვ. 178.

საკითხისადმი ამგვარი მიღებობა ზოგადად სწორია, უკითხებია მაგრამ თვით წარწერის შინაარსი საშუალებას იძლევათ, ქრონოლოგიური ჩარჩოს დასავიწროებლად.

აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წარწერაში ლეონ დადიანი იხსენიება სამოხელეო პატივის გარეშე. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია დაღგენილია, რომ ლევან I (იგივე ლეონ) დადიანი იყო ოდიშის უკანასკნელი ერისთავი და პირველი ხელმწიფე (გვიანდელი ტერმინოლოგიით, მთავარი)<sup>12</sup>, რომელმაც 1556 წელს უარი თქვა იმერეთის მეფის მოხელეობაზე – ერისთავობასა და მანდატუროუნიცესობაზე და ხელმწიფედ ეპურთხა<sup>13</sup>. ამის შემდგომ ის (აგრეთვე, მისი მომდევნო დადიანები) არც ერთ წეაროში აღნიშნული სამოხელეო პატივით არ იხსენიება. იგივე ვთარება გვაქვს ცაიშის ჯვრის წარწერაშიც. აქედან გამომდინარე, განსახილველი წარწერის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია 1556 წელი (ლევან I დადიანის ხელმწიფედ კურთხევა), ზედა ზღვარი კი მისი გარდაცვალების თარიღი – 1572 წელი.

3. იღორის წმ.გიორგის ხატის ჩასახვენებელზე გაკეთებულია შემდეგი წარწერა: „წ(მიდა). ღმრთისა საყდართა წინაშე მღვმარე ხარ, განათლებული მოწამეო გიორგი, ვითარცა გაქუს კადინიერება დიდი წინაშე ღმრთისა, მეოს მეყავ მე, მარადის ყოვლად სანატრელო, რათა მიქსნა და მეოს მექმენ დღესა მას განკითხვისასა შემამკობელი ხატისა შენისა, მე, ბედიელ მიტროპოლიტი კირილე ქვანიძესა, ამინ.

<sup>12</sup> ხოსეელია, 1951, გვ. 181.

<sup>13</sup> ბერაძე, 1999, გვ. 161.

წ(მიდა). ადიდნეს დმერთმან დადიანი გიორგი  თანამეცხვდრე მათი დედოფლი თამარ და მე მათი ზარდნეს დმერთმან, ამინ“.

იმავე ხატის ზურგზე მოთავსებული სხვა წარწერა ასე იკითხება: „წ(მიდა)ო გ(იორგ), ილორისაო, შეიწყ(ა)ლე სული ცაი(მ)ელ – ბ(ედიე)ლ მიტრაპოლიტი კუ(ი)რილე შუანიძი(ი)სა, რომელმან ინება შემკობ(ა) ხ(ა)ტისა ამის, ამინ“<sup>14</sup>.

როგორც ვხვდავთ, აქ კირილე უვანიძე გიორგი დადიანთან ერთად იხსენიება. მ.პროსემ და ე.თავაიშვილმა კირილე უვანიძის თანამედროვე გიორგი დადიანი მიიჩნიეს ლევან I-ის მომდევნო გიორგი დადიანად, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, თდიშის ხელმწიფის ტახტზე იჯდა 1572–1582 წლებში და მოტანილი წარწერებიც ხოგადად ამ პერიოდით დაათარიღებს<sup>15</sup>.

ვფიქრობ, შესაძლებელია წარწერების შესრულების დროის მეტი სიზუსტით დადგენა. ამაში გვეხმარება ილორის წმ.გიორგის ხატის ერთ-ერთი ზემოთ მოტანილი წარწერის შინაარსი, ხაიდანაც ვაებულობთ, რომ წარწერის გაკეთებისას გიორგი დადიანს და მის თანამეცხედრეს ჰყოლიათ მცირეწლოვანი ვაჟიშვილი (ამაზე მიუთითებს წარწერის ფრაზა „ძე მათი აღზარდნებ“). ამ უკანასკნელის ხახელი განსახილველ წარწერებში ნახსენები არ არის, მაგრამ, როგორც ზემო ჭალის (იმერეთში) ეკლესიის ერთი ხატის წარწერა იუწყება, გიორგი დადიანისა და თამარ დედოფლის ძეს ლევანი რქმევია<sup>16</sup>. ეს ლევანი, ნარატული წყაროების მონაცემებით მამის გარდაცვალების (1582 წ.) დროს ჯერ კიდევ მცირეწლოვანი

<sup>14</sup> თავაიშვილი, 1913, გვ. 194-195.

<sup>15</sup> ბროსე, 1849, გვ. 22; თავაიშვილი, 1913, გვ. 194-195.

<sup>16</sup> თავაიშვილი, 1909, გვ. 133-135.

ყოფილა<sup>17</sup>. გიორგი დადიანს გარდაცვალების შემდეგ მცი-  
რეწოდვანი შვილი შეიძლებოდა დარჩენოდა მხოლოდ  
ბოლო, მესამე ქორწინებიდან, რასაც აღილი პქონდა  
1578 წელს, როდესაც მან ცოლად შეირთო იმერეთის  
მეფის, გიორგი II-ის ცოლისდა, ყაბარდოს მთავრის  
ასული<sup>18</sup>, რომელსაც ილორისა და ზემო ჭალის ეკლესი-  
ების ხატების წარწერების ცნობებით, თამარი რქმევია.

1578 წელს შეუდლებული გიორგი დადიანისა და  
თამარის მემკვიდრე, ცხადია, დაიბადებოდა არაუადრეს  
1579 წლისა. აქედან გამომდინარე, ილორის წმიოორგის  
ხატე ეს წარწერები ამოუკვეთიათ აღნიშნული ლევანის  
დაბადებასა და გიორგი დადიანის გარდაცვალებას შო-  
რის პერიოდში, ე.ი. 1579–1582 წლებში.

4. ცაიშის ჯვარცმის ხატის ზურგზე, სანაწილეს  
შიგნით მოთავსებულია წარწერა: „ძელ(ო) ცხოვრებისაო,  
შეიწყალე ამ ხატის შემამკობელი აფხაზეთის კათალი-  
კოზი, ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი, გურიიელის გიორგის ძე,  
ბაგრონი მალაქია, მამა-მშობელთა მისთა შეუნდოს დ(მერ-  
ომან), ამინ. მისი ძმა, გურიიელი მამია კარგად უმყოფე“.

წარწერის მეტი სიზუსტით დათარიდებაში გვეხმა-  
რება მასში მოცემული ზოგიერთი დეტალი. წარწერის  
მიხედვით, მალაქია კათოლიკოსი ცაიშისა და ჯუმათის  
ეპარქიებს გარდა ხონის კათედრასაც განაგებს. ის ხონის  
ეპისკოპოსად წერილობით წყაროებში პირველად 1621  
წლისათვის იხსენიება<sup>19</sup>. ესაა წარწერის შესრულების ძვე-  
ლი ქრონილოგიური ზღვარი. წარწერაში მალაქია კათო-  
ლიკოსის ძმა, მამია გურიიელი ცოცხლად იხსენიება. ეს

<sup>17</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 362, 504; ვახუშტი, გვ. 819.

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 362, 503; ვახუშტი, გვ. 818

<sup>19</sup> იხ. სამართლის ძეგლები, III, გვ. 482; ნ.ბერძენიშვილი, 1971, გვ. 122–  
123.

უკანასკნელი მოკლეს 1625 წელს<sup>20</sup>. ამაზე გვიან წარწერის  
ვარ გაკეთდებოდა.

ამრიგად, განსახილველი წარწერა შესრულებულია  
1621–1625 წლებს შორის.

5. ხობის ტაძრის სანაწილე კოლოფზე შესრულებუ-  
ლი ერთ-ერთი წარწერა ასე იკითხება: „ქ.ხოვისა დვინის-  
მშობელო, ადიდე თრთავე შინა ცხოვებათა ამისი შე-  
მამკობელი გურიელის შვილი მაღაქია. ვინცა შენდობა  
ბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღ(მერ)ომან. ამინ“<sup>21</sup>.

წარწერაში, როგორც ვხედავთ, „გურიელის შვილი  
მაღაქია“ არც ერთი სამდვდელმთავრო ხარისხით არ  
იხსენიება. მაგრამ რაკი ის ხობის ტაძრის სიწმინდეებზე  
ზრუნავს, ის ამ დროს ან ცაიშედი ეპისკოპოსია (ხობი  
მის სამწყებლი შედიოდა) ან კათოლიკოსი. ამიტომ წარ-  
წერის გაკეთების ქადა ქრონლოგიურ ზღვრად მისი  
ცაიშელად კურთხევის თარიღი ანუ 1612 წელი<sup>22</sup> უნდა  
ავიდოთ. ზედა ზღვარი გარდაცვალების თარიღი ანუ 1639  
წელია<sup>23</sup>.

6. მოქვის ტაძრის დვინისმშობლის ხატის ჩასასვენებ-  
ლის სვეტებზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა:  
„წ(მიდამ). ღ(მ)რთისა დედაო, უბიწოო, სახელდიდო მარი-  
(ა)მ, ღმრთისა სძალო, მსახ(ო)ებ(ე)ლმან სიწმიდისა შენი-  
სამან, ჩვენ, მოქველმ(ა)ნ საყვ(ა)რელიძემან ბატონმა ანდ-  
რია, მოვ(ა)ჭედინეთ ხატი ესე სახედ და მსგავსად შენდა.  
დავ(ა)სვენეთ ტაძ(ა)რსა თქვენსა მოქეს სახსრ(ა)დ და

<sup>20</sup> ხოსელია, 1954, გვ. 136.

<sup>21</sup> ბროსე, 1849, გვ. 46; თაფაიშვილი, 1913, გვ. 154; ო.ხესეივაძე, 1975,  
გვ. 53.

<sup>22</sup> ი. ზაქარიაძე, 1957, გვ. 14-15.

<sup>23</sup> კათალიკოს მაღაქიას გარდაცვალების თარიღის შესახებ ის.  
ბ.ლომინაძე, 1954, გვ. 130.

საოხად სულისა ჩვენისათვის, რათა მეოს მექმნა  (ა)ვე შინა ცხორებ(ა)თა დ(ა) მიხსენ დღესა მ(ა)ს განვითარებისათვის ხვისასა ჭელთაგ(ა)ნ მტერთა მძლავრებისათა. ა(მი)ნ. ვოთარცა ჩვენგან შეწირული გამოსწიროს, მოქაუთაგან განიკითხოს. ა(მი)ნ<sup>24</sup>.

დ.ბაქრაძე და ნ.კონდაკოვი წარწერას XVII საუკუნეს აქტებიდებენ.

ე.თავაიშვილი ხატს და, შესაბამისად, წარწერასაც ზოგადად „დაქვეითების ხანით“ ათარიღებს<sup>25</sup>. გ.ჩუბინაშვილის მოსაზრებით, ხატი შექმნილია XVII საუკუნეში<sup>26</sup>.

XVII საუკუნეში მოღვაწე მოქველი ეპისკოპოსის ანდრიას შესახებ ცნობები შემოუნახავს ანტიოქიის პატ-რიარქს მაკარის, რომელიც ოდიშის სამთავროში იმუოფებოდა 1664–1665 წლებში. ოდიშში ყოფნის პერიოდში მაკარი ანტიოქიელს ანდრია მოქველი ეპისკოპოსობიდან გადაუყენებია<sup>27</sup>.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსახილველი წარწერა XVII საუკუნის 60-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.

<sup>24</sup> კონდაკოვი, ბაქრაძე, 1890, გვ. 79; თავაიშვილი, 1913, გვ. 147–148.

<sup>25</sup> კონდაკოვი, ბაქრაძე, 1890, გვ. 79; თავაიშვილი, 1913, გვ. 148.

<sup>26</sup> ჩუბინაშვილი, 1959 (I), გვ. 638, 641; ჩუბინაშვილი, 1959 (II), იღუსატრ. № 568.

<sup>27</sup> მაკარი ანტიოქიელი, 1982, გვ. 98.

ტემის „შედარების გზით წარმოჩენილ იქნეს „ქართლის ცხოვრების“ ამა თუ იმ თხზულების ავტორის ის შემოსისა დები და ხერხები, რომლებსაც მიმართავდნენ ისინი წყაროს გამოყენების დროს. ამჯერად შევჩერდებით „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელებისა და მისი ერთ-ერთი ქართული პირველწყაროს – „ძეგლი ერისთავთა“-ს ურთიერთმიმართებაზე.

„ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება შედგენილია XVIII საუკუნის 30-იან – 60-იან წლებში<sup>1</sup> და შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ სხვიტორულ, ბარათა-შვილისეულ, ფალავანდიშვილისეულ და დადიანისეულ ნუსხებში.<sup>2</sup> მისი ერთ-რთი ქართული წყარო, ცხრაზმის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, „ძეგლი ერისთავთა“ დაწერილია XV საუკუნის დასაწყისში და შემონახულია ავტოგრაფის სახით.<sup>3</sup>

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლა მოიხსოვს, უწინარეს ყოვლისა, იმის გარკვევას, თუ რა აიღო „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ავტორმა „ძეგლი ერისთავთა“-დან. ტექსტების შედარება გვიჩვენებს, რომ გაგრძელების ავტორს თავის თხზულებაში შეუტანია ძეგლის მხოლოდ ის მონაკვეთები, სადაც საუბარია საქართველოს ზოგადი ისტორიის ამბებზე, კერძოდ, მეფისა და სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლების ცხოვრებასა და საქმიანობაზე, საგარეო ურთიერთობასა და ომებზე<sup>3a</sup>. აღსანიშნავია, რომ გაგრძელების

